

საქართველო


თეორიული კურსი

წიგნი მეორე

180

№ VIII

თბილისი, 1897



ტფილისი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა

1897



შ ი ნ ბ ა რ ს ი

I—მულიაულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება)	88 1
II—მადამ.—ტრაგედია ევრიპიდესი, თარგმანი (დასასრული)	45
III—მსაქიზი.—ივ. ჭურაბაშვილისა	72
IV—სამი ფერი — ლექსი შ. ძღვიძელისა	77
V—მამსნი.—ამბავი ი. ნ. ზოტაშენკოსი, თარგმანი ვ. ედილაშვილისა	79
VI—ხალხური ლექსები.—ჩაწერილი თ. სახოკიას-მიერ .	128
VII—ოქროს წარწერა.—ამბავი ელზასელთა ცხოვრებიდან გესგალდერისა, თარგმანი ს. — ქისა	130
VIII—ჩვენის თავად-აზნაურობის განათლების შესახებ. — ი. გოგებაშვილისა	1
IX—ხელოვნება სოციალიზმის აზრით.—თარგმანი ან-ანისა	14
X—ტათანადან წოვთამდინ: — (მგზავრის შენიშვნები) ივ. ბუჭურაულისა	34
XI—განცხადებანი	
ღამაწყება:	
XII—საქართველოს სიძველენი	353 — 384


მ ლ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეოთხე

№ VIII

ა ბ ვ ი ს ო მ , 1897



ტფილისი

საქართველოს ზღაპრების სახელმწიფო ბიბლიოთეკა

1897



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

0 8 8 6 0 6

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 августа 1897 г.

1897, 08-08-06

შ ი ნ ა ა რ ს ე

I—მოლიკულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება)	83*
II—მედეა.—ტრაგედია ეგრძინდესი, თარგმანი (დასასრული)	45
III—მსკიზი.—ივ. ზურაბიშვილისა	72
IV—სამი ფერია.—ლექსი შ. ძღვამელისა	77
V—ქვესნი.—ამბავი ი. ნ. ზატაშენკოსი, თარგმანი გ. კვინიტაძისა	79
VI—ხალხური ლექსები.—ჩაწერილი თ. სახუკავას-მიერ	128
VII—ოძროს წარწერა.—ამბავი ელზასელთა ცხოვრებიდან გესვადლერისა, თარგმანი ს. — ქისა	130
VIII—ჩვენის თავად-აუნაურობის ბანათლების შესახებ.—ი. გვგუბაშვილისა	1
IX—ხელოვნება სოციალოგიურის აზრით.—თარგმანი იან-ანსა	14
X—ტბათანიდან წოვათამინ: — (მგზავრის უნი უნები) ივ. ბუჭურაშვილისა	34
XI—ბანცხადგბანი	
ღამაწყება:	
XII—საქართველოს სიძველენი	353—384

მედიკალ გზაზე

მ. თ. ს. რ. ბ. ა.

XXXVI*)

მაკინეს განზრახვანიც ჩინებულად ეწყობოდნენ. ოქრომ ამის მოვალეს მისცა ათასი თუმანი, თუმცა სხვებმაც აღმოაჩინეს სხვა-და-სხვა თამასუქები, მაგრამ მათაც ზოგს თავდებად დაუდგა, ზოგსაც თამასუქები დაუწერა და შეაყენა დამუქრებული რისხვა, რომელსაც გულის ცახცახით ელოდა მაკინე. იასონმაც თავის მხრივ ხუთასი თუმანი მისცა მოვალეებს, რადგან შეიძლო უჩუმრად გამოტანა მთავრობისაგან მინდობილ კასიდან; იმედოვნებდა, რომ წელიწადში გადასდებდა ორმოცსამოც თუმნამდე თავის ჯამაგირიდან და შეაფსებდა დახარჯულ ფულს, ვიდრე მთავრობა გაუგებდა. ეს მარტო მაკინემ იცოდა, რადგან ამ უკანასკნელმა სასტიკად აღუქრძალა ქმარს ოქროსთვის არა გაემხილა-რა. ოქრო დაუახლოვდა თადეოზის სახლობას, ხშირად დაიარებოდა მათთან. ლიზას იმედებიც თანდათან ფრთებს შლიდნენ და გულში ნეტარებდა. ოქროს დღითი-დღე ეჭვები ეღვიძებოდა, რაღაც მოუსვენრობასა ჰგრძნობდა. ბარემ სამი კვირაც იყო, რაც ქეთინოსგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა.

— არა, ქეთინო არ მილალატებს! ის ჩემია... როგორ წარმოვიდგინო, რომ გამცვლის პალიკოში, ან სხვაში? იქნება რაი-

*) იხ. „მოამბე“ № VII, 1897 წ.



მე შემთხვევა მიეცა. იქნება დროზე ვერ მიიღო წერილი, ნება კიდევაც დაიკარგა! ქეთინო თავმოყვარეა, რაკი არ მიუვიდა, პირველი არ მომწერს. ან კი რატომ არ უნდა მოიწეროს? განა საცა სიყვარულია, იქ უნდობლობაც სჭირია? ვთქვათ, კიდევაც არ მიუვიდა, არ უნდა მომიგონოს? იქნება მოვკვდი? მაგრამ ჩემს ამბავს გაიანე ატყობინებს. ერთ კვირას კიდევ ვიცდი, მერე მეორე წერილსაც მივწერ. ამ სიტყვებით გულს იკეთებდა ოქრო, ექვებს ხმას აკმენდინებდა. ხშირად ეკითხებოდა მაკინესაც, თუ რა მიზეზი იყო ქეთინოს ასე გაჩუმება? მაკინე არწმუნებდა, რომ მალე მიიღებდა პასუხს. თან განიადგებით ჩაჰლაპარაკობდა ღიზას ღირსებებს, ჩინებელ ხასიათს, მის გატაცებულ სიყვარულს ოქროსადმი, მაგრამ უკანასკნელი მაინც დაჟინებით გულში უმღერდა, შესტრფოდა ქეთინოს. აგერა იმედმაც ღონე დაჰკარგა, ოქრომ გაგზავნა წერილი, მაინც განიგრძო გულის მომწყვეტელი სიჩუმე. ეხლა კი დარწმუნდა, რომ ამისთვის კარგი არა იყო-რა. ექვი მწვაედებოდა, უსათუოდ ქეთინომ დამივიწყაო.

— შენ გენაცვალოს, თავს შემოგველოს ქეთინო, ოქრო! — გრძნობით ეუბნებოდა ხოლმე ქეთინო ამას. ხალხშიაც თვალებს მომართავდა ოქროსკენ, გული ტუჩებს მიაწვდენდა, ესენიც ჰაერის წყალობით გადასცემდნენ თავ-შემოვლებასა, რომელიც სადგურდებოდა ოქროში და ასაზრდოებდა ამის არსებას. არა, ეს იყო ქეშმარიტება და არა მოგონება; ქრისტიანის ლოცვა და არა ფარისევლის მოჩვენება! ყოვლად შეუძლებელია! უთუოდ ავად არის! მაგრამ გაიანესგან ორჯელ მიიღო წერილი, ატყობინებდა თუ ქეთინო როგორ მხიარულად ატარებდა დროს, პალიკოსთან ერთად ხშირად ხედავდა. საკმარისი იყო შეეტყო ოქროს ქეთინოს პალიკოსთან დაახლოვება, რომ ნაღველი გაორკეცებოდა.

— დამშვიდდი, ოქროჯან, — ეუბნებოდა შეშინებული მაკინე, რაკი ატყობდა, რომ დიდად მოქმედობდა ოქროზე ქეთინოს უპასუხობა.

— არ დავიჯერებ, რომ ქეთინომ მოგატყუოს, მაგრამ ესთქვათ, აგრეც იყოს, განა ვაჟკაცი არა ხარ? განა მაგისტანა რა არის ქეთინო, რომ მის მსგავსს ველარ შეეხვდე?

— მაკო, რას მეუბნები? დაწმუნებული ვარ, ჩემს დასამშვიდებლად ამბობ მაგასა, თორემ განა სიყვარულის გაქრობა აღდილია?

სიყვარულის გახსენებაზე მაკინეს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.

— არა, ქეთინო, უნდა ვნახო, უნდა გავიგონო მის მშვენიერ ტუჩებისკან: ოქრო, აღარ მიყვარხარ, გამშორდი თავიდანო, ისე როგორც მეჩურობოდა: ოქრო, გენაცვალოს, თავს შემოგველოს შენი ქეთინოვო. ის უნდა ვნახო!—გადაწყვეტით ამბობდა ოქრო. რაც უფრო მართოდებოდა, მეტად გაუძლის მდგომარეობაში ეარდებოდა, ვერ მარიგებოდა იმ აზრს, რომ ქეთინო უმტყუნებდა, უღალატებდა და მასხარად აიგდებდა. ოქრო ზეციდან დედამიწაზე ეშვებოდა, ეთხოვებოდა დიდებულ აზრებს, რომელთ განხორციელებას ქეთინოს წყალობით ელოდა. უნდა მოტყუებულიყო იმ არსებაში, რომელიც მნიშვნელობას აძლევდა ამის ცხოვრებას, კაცობრიობას, მთელ ქვეყანას, უარი უნდა ეყო მეუფეს თავ-შეწირულ მლოცველზე? მშვენიერი უმანკო ქეთინო გამქრალიყო, მისი აღდილი დაექირა მოარშიყე დიაცს, ის კასკასებდა ყველა ამის ნათქვამ სიტყვების გახსენებაზე და ის კასკასი, თითქო ეხლაც მკაფიოდ შეესმოდა ყურში ოქროს, თავ-პირში ანთება უჩნდებოდა. ოქროს ყოველ ზარის დაწკარუნებაზე გული აუძგერდებოდა, თითქო მაინც კიდევ ელოდა სანატრელისაგან წერილსა. ამას დაეტყო ჟინიანობა, გული ჩაეთხრო, ძნელად ვისთანმე მოჰყვებოდა ხანგრძლივ ლაპარაკს. ასე გასინჯეთ, მაკინესაც ხშირად უმაღავდა გულის განზრახვას, წინანდებურად უკლებლივ აღარ უზიარებდა. მკირედ მიზებს მოთმინებიდან გამოჰყავდა, ამხანაგებს ძალიან იშვიათად ეკარებოდა, შეკეტულ ოთახში მთელ საათობით გულალმა იწვა, ხელები თავ-ქვეშ ამოეწყო, მისცემოდა მწარე ფიქრებს, იგონებდა, სჩხრეკდა რაი-



მე მიზეზს, რომელსაც შესძლებოდა ქეთინოს გამართლება. წუთის გადასწყვეტავდა, რომ მოიშორებდა ფიქრებიდან, დაიფიწყებდა, თავს მიანებებდა ამ წყეულ ქალაქსაც, მის მომბებზრებელ მცხოვრებთა, გადავარდებოდა შორს, სადაც ყველა უცხო, უცნობი იყო ამისთვის და იქ იცხოვრებდა ისე განმარტოვებით, როგორც საფლავში. არავისი კენესა ამის გულს ღრმად არ ჩასწვდებოდა, არავისი ღალატი მოთქმა-გოდებას არ გამოიწვევდა ოქროს არსებაში. ის იყო პირზე მოადგებოდა ქეთინოსადმი შეუტრაცხყოფელი სიტყვა, მაგრამ იმ დროსვე წარმოუდგებოდა მშვენიერი ასული უმანკობისა, დაინახავდა მის თვალებსაც, რომლებიც ეკითხებოდნენ:

— რას მერჩი, ჩემო ღვთაებავ, როდესაც თავს გველები, როგორც ფარვანაო? ოქრო მრისხანედ შეუბღვერდა მიჯნურის დამამცირებელ განზრახულ აზრებს, ბოდის მოხდით იწყებდა ისევ მის მიმართ ლოცვასა. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნამ შეაწუხა.

კიდევ მიეწერა?... ეს ხომ თავის დამცირება იქნებოდა, თითქმის ჩაცობაც... გამოჰკითხებოდა შაქროს?... როგორ, როდესაც მან არ იცოდა ამისი საიღუმლო, თუმცა კი ექვი აელო!... არა, უნდა წავიდეს თვითონ... მაგრამ ეს უკანასკნელი ღონეც სამძიმოდ მიაჩნდა, რადგან შეიძლებოდა ქეთინო არც კი დანახვებოდა, ახლო არ მიჰკარებოდა და მაშინ ხომ უფრო საშინელება იქნებოდა ოქროსთვის!... გარბოდნენ დღეები, კვირები, ოქროს შვება არ ეძლეოდა. ეს ნატრობდა ნამდვილის შეტყობას. მაკინეს არწმუნებდა, რომ უსათუოდ დამშვიდდებოდა, თუ მართლა ქეთინოსგან გაიგებდა ამ სიჩუმის მიზეზსა, თუნდ პირდაპირ უარი ეთქვა, მაშინ ასე მწვავედ აღარ ეჩვენებოდა ოქროს, მოურიგდებოდა აწმყოსაც... მაკინესაც იმედი ეძლეოდა, რომ ოქრო ეხლა კი ყურადღებას მიაქცევდა ლიზას. ერთხელ ოქრო თავის ოთახში ფიქრიანად დადიოდა, რომ გაისმა ზარის წკარუნი, ბიკი ჩავიდა კარის გასაღებად და რამდენისამე წუთის შემდეგ მოუტანა წერილიც. მის დანახვაზე ოქრო აღელდა, სინარულით გამოსტაცა ხელიდან,

ბექელი გადახია, ჩაიკითხა, გაფითრებული, ტუჩებ მაგრა მოკუმული დაეყუდა მაგიდას, უსაგნოდ მიაჩერდა სივრცესა. მის წინ იდგა აგრეთვე ფერ-დაკარგული მაკინე, ხელში ეჭირა წერილი და კითხულობდა ნაცნობ სტრიქონებს...

— „ჩინაზო, მივიღე თქვენი სიყვარულით აღსავსე წერილი, მაგრამ გვიან, უდიდესადა გმადლობთ გრძნობისთვის, რომლის ამ ჟამად ჩემგან მიღება მეტი იქნება, რადგან სხვას ვეკუთვნი... გლოცავთ, მომავალისთვის ღმერთმა ღირსეული ბედნიერება მოგანიჭოთ, ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია, მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ქეთინო ზურაბიშვილი“. მაკინე კითხულობდა, უყურებდა თავის ოინების შედეგს, ჰგრძნობდა შორს შეეტოპნა, — შეიძლებოდა ოქროს სასოწარკვეთილობაში ეხიმანა რამ, თავი მოეკლა, — ახლა ჩაფიქრებულიყო, თუ რაგვარად გაესწორებინა ასეთი წინ დაუხედავი ქცევა.

— ღმერთმა ხომ იცის, რომ ოქროს ბედნიერებისთვის მომდის ყველა ეს. — იმეორებდა გულში მაკინე.

— არა უშავს-რა... კაცია, შეუძლიან მოერიოს, უფრო სუსტი ქალი ვიყავი, რომ შარშანდელ თოვლსავეთ გადამავიწყდა ზურაბი, რომლისთვის ერთ დროს თითქმის ვგეჟდებოდი... სიყვარული წარმავალია, რაც უნდა ძლიერი იყვეს... — თავს იმაგრებდა ამ მოსაზრებით მაკინე.

— ოქრო, გენაცვალე, თავი მიანებე, განა ღირსია ის უმსგავსი მაგ მწუხარება-დარდისა? — მოეხვია მაკინე ძმას. ოქრომ ხმა არ გაიღო, შევიდა ოთახში, ჩამოჯდა სკამზე და მიეცა ნალველს. მაკინემ თადეოზს მისწერა, შეატყობინა საქმე რაშიაც იყო, სთხოვა დახმარება. იასონიც ხელს უმართავდა მეუღლეს, ესეც ცდილობდა გაერთო როგორმე. ერთი თვე აღარ წასულა სამსახურში, უპატიებდა ყმაწვილებს, უფრო მეტად მხიარულებს, ხამაშვილებს და სხვებსა, რათა ოქრო არ ჩაჰფიქრებოდა საშინელ აწყყოს. პირველად ოქრო ბრაზდებოდა ასეთს ჩაცვიბაზე, მაგრამ მერე კი რწმუნდებოდა, რომ ქეთინო მისთვის დაკარგული იყო, ნაქერ-ნაქერად დაკემსილი გული ითხოვდა ან სიკვდილს, ან რაიმე საშველ ნუგეშსა...



სულის კვტება კი შეღავათს ვერ ხედავდა. სვიმონისა და მისი უზრუნველი ტრახახი მხიარულ ცხოვრების შესახებ, მახედ, თუ მთელ დღეებს, როგორ ანდომებდნენ ქალაქის თამაშობას, ქეიფს, სხვა-და-სხვა ოჯახებში ხელით სატაცებელნი როგორ განხდარიყვნენ, ყველა ეს ცოტა ეყურადღებებოდა ოქროს, ხან კი მოუნდებოდა წასულიყო მათთან რავდენისამე საათით, თავისი წამება გაეყრუებინა. ოქრო მეტად შეწუხდა; როდესაც ელაპარაკებოდნენ, თითქო ხეირიანად არც კი ეყურებოდა. სწორედ ამავე დროს მაკინეს მოვალეები ფხიზლობდნენ, იმუქრებოდნენ. მაკინეს სვინიდისის მხილებაც ხმას იღებდა, ეწინოდა ვაი თუ გამიგონ, რომ ყველა ეს ჩემის წყალობითა ხდება და ზედ მამულის გასყიდვაც დაერთოსო. შემადრწუნებელი ზომავალი გამოსქვიოდა შორიდან, თითქო მაკინე უკვე ხედავდა მას. დრო კი ყურადღებას არ აქცევდა, ვინ იყო მისი მადლიერი, თუ მონდურავი, გაუჩერებლივ მიჰქროდა, თან იტაცებდა ავსა და კარგსაც... ოქრო იშვიათად დებოდა სახლში, ნაკლებად ფიქრობდა აღმადურენათა განხორციელებაზე, ყოველივე მობეზრებოდა, აღარ ახალისებდა. ათასში ერთხელ მოიგონებდა გიორგისა და ასიკოს კრებებს, სადაც ლამაზ კაზმულ სიტყვებს დიდი გასაგელი ჰქონდა, ოქრო ყურს უგდებდა, თვითონაც ლაპარაკობდა, მაგრამ ანგარიშ-მიუტეებლად... გულსა და გონებას ურთ-ერთზე ემოქმედნათ, მოეკლოთ ცხოვრებისთვის მნიშვნელობა, დღეს ხალხის მხიარულება, ნეტარება მარტო შორიდან-ლა მოისმოდა, ღრმად აღარ იხედებოდა ოქროს გულშია. თუმცა ქეთინოს სახელიც აღარ უხსენებია ხმა-მაღლა, ფიქრებით კი ხშირად წარიტაცებოდა იქით. იგონებდა განვლილ ნეტარებას, გაგონილ ტკბილ სიტყვებს და, როდესაც რწმუნდებოდა, რომ ყველაფერი მოხერხებული მანქანება იყო, ჯადო ქალისა, გამოუთქმელი ტანჯვასაყვედური მოიცავდა, დაიმონავებდა მსხვერპლის არსებას, აწამებდა. ოქროს აგონდებოდა მაკინეს სიტყვებით:

— ღმერთმა ინებოს, ოქრო, რომ ის ქალი ბოლომდის მაგ სიყვარულის ღირსი იყვესო. მაშინ ყურში არ უშვებდა, დღეს



კი თითქმის ექვები აუხდნენ. აგერ დამძიმებული გულით შე-
კეტილა ოქრო ოთახში, გაშტერებული დასცქერებია დაუშთაე-
რებელ ნახატს, რომელიც უცხოველებს დაკარგულ ბედნიერე-
ბას. ყმაწვილი კაცი შესდგომია მაღალ ციცაბოს, თითქო უძ-
ნელდება მასზედ ასვლა, გვერდზედ უყენია მშვენიერი ქალი,
მას გაუწოდებია კაცისთვის ხელი, უადვილებს აღმართზე წინ
სვლასა. ქვევით მოსჩანს ქვეყნიერება, ყმაწვილ კაცს არ გამო-
ეპარება ერთი წერტილიც კი. სხვები ამასაც ვერ ამჩნევენ,
თვალს ვერ უწვდნენ, ხალხი ჯინქველებსავით ირევა, ეძებს
გასაველ მოხერხებულ ბილიკს, გაბეცებული თვალებით გზას
ვერ იგნებს, ბარდებში ცვივა. ყმაწვილი კაცი ხელჩაჭიდული
მშვენებასთან სდვას ისევ მაღლობზე, დასცქერებია უმეტრების
სიწყვდიადის მსხვერპლთა. ამოდ უთითებს ეაკე გზისკენ, მერე
ესვრის ზემოდან მოკიდებულ აბედსა, უნათებს გზა-დაბნეულ-
თა. მერე? მერე აღარა იყო-რა.

— შემდეგ ქალმა ხელი უნდა ჰკრას და გადაადლოს უფ-
სკრულში, საცა მოელება ბოლო მის წამებასა.— ჩაილაპარაკა
ოქრომ. მიიფარა სახეზე ხელები, უსიტყვოდ, უტრემლოდ მო-
სთქვა დაკარგული ნეტარება, მეტად ძნელი გულის-მწვავე ჭრი-
ლობის ატანა, და გმინავდა.

XXXVII

ქეთინოსთვისაც საგრძნობი იყო ოქროს მოშორება, მაგ-
რამ წარმოიდგენდა თუ არა, რომ მალე დაუბრუნდებოდა თა-
ვის ოცნების რაინდი, შეუქ-მოკლებულ დღეებს გაორკეცებულ
ბედნიერებით აავსებდა, მშვიდდებოდა, დადიოდა ტოლებთან
და ღიღნებდა. ხელს ახმარიდა მარიკასაც, რადგან ამზადდებდნენ
ჯვარის დასაწერად. ყმაწვილ ქალებს თავი მოეყარათ საპა-
ტარძლოს სახლში, მხიარულ სიცილ-ხუმრობით ირჯებოდნენ
საკერავსა და სხვა საქმეში. ქეთინო ხშირად თავის თავს ჩააყე-
ნებდა მარიკას გარემოებაში, კმაყოფილებით იღიმებოდა, თა-
ნაც ასრულებდა ოქროსგან დავალებულს და პალიკოს მო-



კრძალებით, ფრთხილად, თითქმის მორიდებით ებურობოდა. მაგრამ ოქროს წერილმა დაიგვიანა, გულში გაჰკენწლა.

— იქნება ავად არისრა? — მაგრამ ეს შიში მოაშორა გაიანემ, რომელმაც შეატყობინა, რომ ოქრო კარგაა, გაშურებულნი საქმეებს აკეთებს, დადის ბალებსა და ნადიმებში, მთელ ქალაქს გაუღვიძნია მის ნახვაზეო... ქეთინოსაც უხაროდა...

— ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ! რა სიხარულია, როდესაც ქვეყნის სალოცავი, ქვეყნის დიდება ჩემია!... რავდენიმე დღე კიდევ და მერე კი სრულიად ხელშეუხებელი საკუთრება გახდება!.. ვენაცვალე იმას, თავს შემოვევლე! — ქეთინო ტუჩებს გააწვდენდა, თითქო შორიდანა ჰკოცნიდა ოქროს.

— უეჭველია, კვირისთვის იქნება წერილიც... ქეთინოს გული აღარ უჩერდებოდა საქმეზე, სახატავიც გვერდზე მიეგდო, დადიოდა ჯეროსთან ერთად, ოცნებობდა თავის დიდებაზე.

— წუხელის სიზმარი ვნახე... ოქრო ჩემთან იყო და მკოცნიდა. — ტუჩების მტკბარუნით ამბობდა ქალი. — უთუოდ მალე მოვა, ის თეთრებში იყო მორთული, თეთრებიც, დედა-ჩემისგან გამიგონია, ბედნიერებააო. ოღონდაც, ბედნიერები ვიქნებით მაშ არა და!.. — დაუმატებდა ქეთინო. აი საგანი ამის აზრებისა და მოქმედებისა. დანარჩენი სიბნელეს მოეცვა. მაშოსა და მარიკას თავს აბეზრებდა ერთსა და იმავე საკანზე ლაპარაკით. ხშირად, როდესაც მაშო წამოწოლილი იყო დივანზე რომელისამე წიგნით ხელში, გულმოდგინედ მისდევდა ყოველ სტრიქონს, რათა ჩქარა გაეგო შედეგი მოთხრობის გმირისა, სწორედ ამ დროს მოვიდოდა ქეთინო, ღიმილით ჩამოჯდებოდა ახლო ტახტზე, თუმცა ჯერ ვერ ბედავდა დალაპარაკებას, შეჰყურებდა ვედრებით მაშოს, რომელიც ჰგრძნობდა ამის სურვილსა, ყურადღება ეკარგებოდა კითხვის დროს, ნება-უნებლიედ უნდა თავი მიენებებინა. ქეთინოც შეატყობდა თუ არა, რომ მაშო იხედებოდა დისკენ, მივიდოდა, დაუსვამდა თავზე ხელსა, აღერსიანად ჩაეკითხებოდა.

— როგორ გგონია, მაშო, ხომ მივიღებ ოქროსგან წერილს, ჰა?.. მაშოც დაბეჯითებით დაარწმუნებდა, რომ ექვი სა-

ჭირო არ იყო... ქეთინო და მაშო შეცვლილიყვნენ. რავდენად წინად ქეთინო დინჯი, საქმეზე მუყაიანი მოსჩანდა, დღეს ველარ ისვენებდა, სადაც კი თვალს მოჰკრავდა მშვენიერ სანახავს, ალტაცებით შესძახებდა:

— ჯერო, ოქრო რომ აქ ყოფილიყო, ხომ მომეტებულად დაეტკებოდით ამის ცქერით, ვიღრე ეხლა! . ჯეროც შესცქეროდა თვალეში, თითქო ეთანხმებოდა.

— ოქრო, რომ მოვა, ნახატში ჩაურთავს აი იმ მალლოზიდან გადმოშქეფარე მდინარეს. მაშინაც ხომ ასეთისავე სისწრაფით მოსურდებიან მტკვარზე ტივები?.. — განაგრძობდა ოცნებიანი ქეთინო. ეს ცოცხლობდა იმ დღით, როცა მოვიდოდა ოქრო. აგერა განვლო მეორე კვირამ, მესამემ, მეოთხემ...

— რა ვქნა, რად გაჩუმებულა სიხარული?.. — კითხულობდა ეს, მოსვენებას არ აძლევდა რკინის გზის საღვურიდან წერილების მზიდავს, რომელიც დაენიშნათ სოფელშია, რათა კვირაში ერთხელ მაინც ამოეტანა ხოლმე, ჰპირდებოდა საჩუქარსაც, თუ მოუტანდა სასურველ წერილსა.

— აბა ვნახოთ, იქნება ჩემთან არის? იქნება აღრესი შესცა! — მოუთმენლად ეუბნებოდა და გაუწვდენდა ათრთოლებულ ხელსა, როცა ამოაწყობდა სხვებთან მოწერილებს.

— არა, ბარიშნა, ეს თქვენი არ არის.

— არც ესა, არც ესა, — სთვლიდა ყოველ წერილის აღრესის წაკითხვაზე; მერე, როდესაც ცარიელი ყუთი დარჩებოდა, მძიმედ ამოიოხრებდა ქეთინო, ძირს დაუშვებდა ხელებს დადამბლავებულსავეით და გამობრუნდებოდა.

— კაცები საერთოდ გაუტანლები არიან. ამისთვის, ჩვენ, ქალებს, დიდი სიფრთხილე გემართებს მათთანო. — ავონდებოდა განოს სიტყვები. ერთ დროს დიდი ზეგავლენა მოახდინა ამ რჩევამ, მაგრამ ოქროს აღერსმა, მისმა დაპირებამ, ფიცმა, რომ რამდენისამე კვირის შემდეგ შეუერთდებოდა ეკლესიის კურთხევით, ამ სიტყვებს მნიშვნელობა დაუკარგა. დღეს კი ისევ მედგრად ამოიძარტნენ ქეთინოს წინაშე და ეუბნებოდნენ:

— ნუ დაგვივიწყე, ქეთინო, ხელი რათა გვკარი? იწამე ჩვენი სიმართლე!



ქეთინო არავის უმხელდა ამ შიშსა, გულში კი იტანჯებოდა.

ნუ თუ წავიდა, განქრა ზმანება! აღარ დაბრუნდება?.. ქეთინოს კიდევაც გადაავიწყდა არსებობა უოქროოდ. ნეტავი როგორი ელფერი ელა ცას და ქვეყანას? მაშინაც ასე ბრწყინავდა მზე? მთელი ბუნება სტკებოდა მის ცხოველმყოფელი სხივებითა? არა, უოქროოდ სიწყვლიადე იყო და კიდევაც იქმნება. იქმნება?! შეშინებული ქეთინო აქეთ-იქით იხედებოდა.

მაშ არ შეიბრალებს ამის სიყვარულს ღმერთი? ქეთინოს თვალ-წინ ეშლებოდა უფსკრული, რომელსაც ბედი უმზადებდა. როცა ოქრო აქა ჰყავდა, სიცოცხლე ძვირფასად უღირდა, ნიქსა, გონების წინ-სვლასაც მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დამფასებელი ჰყავდა. დიად, ასრულებდა ყველა იმას, რასაც შეეძლო მოთაყვანის აღტაცებაში მოყვანა.

ოქროს აღტაცება! ოხ, რა ძვირფასი საუნჯე, რა ქვეყნის დიდება იყო! უიმისოდ კი შავ-ბნელი ძაძა, სიცოცხლესთან გამოსალმება! რამდენისამე კვირის შემდეგ მარიკამ და შაქრომ ჯვარი დაიწერეს და წავიდნენ. მარიკამ აღუთქვა ქეთინოს, გავგო ოქროს შესახებ ყველაფერი და შეეტყობინებინა. ჰალიკოს კი ამშვიდებდა, არწმუნებდა, რომ ქეთინოზე უკვე დიდი ხანია ოქროს გული აეყარა და ეხლა სრული იმედი ჰქონდა, რომ ჰალიკოს თავისი ნატვრა შეუსრულებოდა. ქეთინო თვალ-ცრემლიანი ეგებებოდა ყოველს დილას, უიმედოდ შეჰყურებდა ხვალინდელ დღეს. თეკლე და მაშოც ცხადად ხედავდნენ ქეთინოს ფართულ მწუხარებას, არ იცოდნენ, როგორ ან რითი დაემშვიდებინათ. ქეთინო თავის გულის კვნესას ასმენდა ბუნებას, ჯეროს.

— მიჩიე, მეგობარო, რა ვქნა? მასწავლე, როგორ გავძლო უიმისოდ? სად არის? ვისთან? მილალატა, თავს შემოვევლე? განა ოქრომ სხვაში გამცვალა? აკი მეუბნებოდა: შენა ხარ ჩემი ამ ქვეყნის საუნჯეო?.. დღეს რაღა ვარ მისთვის, ჯერო? განა არაფერი?—ცრემლების ღვრით ჩაჰლაპარაკობდა ქეთინო შეველსა, როცა მასთან რჩებოდა მარტოდ. ერთხელ ქე-



თინომ სცადა განოსთან ამ საგანზე მოლაპარაკება, მაგრამ მის განსაზღვრულ ვერა გაიგონა-რა. ის თუმცა ატყობდა ქალის უზომო ტანჯვას, მაინც შეუბრალებლად ასრულა მაკინესაგან მონაწერი, დავალებული. უამბო, ოქრო როგორ გადარეულა ლიხასთეის, ქეთინო აღარც კი ახსოვს, არამედ დღე-დღეზედ გაათავებს საქმეს... სასოწარკვეთილი ქეთინო გულში აღგზნებული ცეცხლით უსმენდა განოს, როცა ის აუწერდა ლიხას სიმდიდრეს, ამასთანავე ქალაქის თაყყანებას ძმისადმი. კარგა დამე იყო გასული, როცა ქეთინო დაბრუნდა სახლში. ძილი ფიქრად არ მოსდიოდა, იჯდა ბედნიერების მოწამე ადგილზე, ჯერო აქ აღარ ჰყავდა. ქეთინო დაჰპირდაპირებოდა ბუნებას. მოკრიალებული ლურჯი ცა, მოქედელი ვარსკვლავებით, თითქო გულს უმწეიდებდა. სოფელი მოსვენებას მისცემოდა, მარტო აქა-იქ შეჰყევდა ძალლი და ისევ ჩაჩუმდებოდა. დაქანცული ხალხი, დადამებულიყო თუ არა, მისცემოდა ტკბილ რიოს, რათა ამ ძილში შეეკრიფათ სახვალიოდ დაკარგული ღონე, ისევ შესდგამოდნენ საქმეს. ქეთინოს ღამის მნათობთათვის თვალეზი მიეპყრო, გარინდებული უძრავად იყო. მარტო გულის კენესა არღვევდა დიდებულ ბუნების ჰარმონიას. ქეთინოს სახე ხატვდა უიმედობას. ამ დროს მოისმა თარის სიმების წკრიალი. მას მოჰყვა ნაცნობი ხმა, რომელიც იმეორებდა შემდეგს:

აღარც ნატვრა და აღარც იმედი!
 ყველა წარხდა, ვაი ესრედ შეთნილსა!
 ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
 გულს ისარი უიმედო ტრფობისა!
 მე მისი ვარ, ის კი არ არი ჩემი,
 ის სხვას ასმევს ნეტარს ნეტარებისას,
 სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
 მე კი ვწყველი დღეს ჩემის გაჩენისას!
 სად წარვიდე, ვის შეგივლო, ვის ვუთხრა?
 ვინ გამიღებს დაზულ კარსა ბედისას?
 ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
 სამუდამოდ წაწყენდილ იმედისას?...

თვითეული სიტყვა მდულარე ცრემლს აფრქვევინებდა ქეთინოს. ვის გაემხილა ამის გულში ნადები ღონება?.. ვინ



მოიწვევდა დიდებულ ბუნებას გოდების მოსასმენად?.. სიმღერა შესწყდა, ყოველივე უცვლელად დარჩა, მომთქმელი იყო პალიკო, ქეთინოსგან შეუშინველი. ქეთინო მარტო ამ ემად ჰგრძნობდა მის მწუხარება-გლოვის სიძლიერეს, რომელსაც უკიდურეს მდგომარეობამდის მიეყვანა, და ენანებოდა, ეცოდებოდა, რადგან ვერ ეშველა... ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა გრძობისგან ნაწვალები ყმაწვილი კაცი სწორედ იყო ის პალიკო, რომელიც თავ-შემაგრებით, მშვიდობიანად, კრძალვით მოვიდოდა ქეთინოსთან, პატივსა სცემდა, არა ერთხელ უტხადებდა თითქმის ძმობა-მეგობრობასა?.. რა ბედნიერი იქნებოდა თვითონ ქეთინოც, ოქროს ადგილი რომ პირველშივე პალიკოს დაეჭირა, ეხლა კი ნაძალადევად სიყვარულის გაღვიძება, გრძობის დამზობა და განახლება ქეთინოს ხელთ არ იყო. კარგა ხანს იჯდა კიდევ ქეთინო ფიქრებით მოცული, შემდეგ მოქანცულ-მოწყვეტილი გაემართა თავის ოთახისკენ. დასწყევლა, შეაჩვენა განოც, რადგან ატყობდა შეუბრალებლობას, თითქმის დაცინვითაც უყურებდა ამის ასეთს განადგურებას.

— იქნება სცდება?.. სტყუის განო!.. გულში სხივი იმედისა უკრთოდა, მაგრამ ამასაც ბოლო მოუღო მარიკას წერილმა, ის ატყობინებდა თუ მართლაც ოქრო რა უსვინდისოდ იქცევოდა იმის წინაშე, არც კი ფიქრობდა დაბრუნებას, თუმცა თვითონ ვერსად შეხვედროდა სალაპარაკოდ. შორიდან თვალი მოეკრა, ძალიან გამოცვლილი ეჩვენა, გამხდარი, გაფითრებული, მოწყენით იყურებოდა, ქალაქში ხმა დადის, რომ საქმე უკვე გაუთავებია ლიზასთანაო. მარიკა ორჯელ მისულიყო მაკინესთან, რომელიც შინ არ დახვედროდა. შაქროს ხშირად შეხვედრია ოქრო ნასვამი, შექეიფიანებული, მაგრამ თვალი მოუკრავს თუ არა შაქროსთვის, თავი მოურიდებია... უთუოდ პირი ერცხვინება. ძვირფასო ქეთინო,—სწერდა მარიკა,—ვიცი რა საშინლად იმოქმედებს ეს ამბავი შენზედა, მაინც სჯობიან პირდაპირ გამოცხადება და, როგორც გონიერი ქალი, მოურიგდი, გაუმკლავდი წყეულ გრძობას, დაივიწყე, დააფასე მარტო ისინი, რომელნიც გაღმერთებდნენ... ქეთინო მიენდო უბედურო-

ბას, რომელმაც რავდენსამე ხანს გონება წაართვა, გამო-
ფხიზლდა მარტო მაშინ, როდესაც სიცხისგან იწოდა, გაუგებ-
რად რაღასაც როტავდა... თუმცა მაშო და თეკლე ცდილობ-
დნენ დაეფარათ მიზეზი თავიანთ მწუხარებისა, მაგრამ მთელმა
სოფელმა იცოდა, ყველაზე მეტად სწუხდა პალიკო, როცა ხე-
დავდა სათაყვანოს ასეთს საშინელ მდგომარეობაში... არჩილმა
ქალაქიდან ანბავი მოუტანა: გზაზედ შემხვდა ოქრო, გამაჩერა,
მკითხა აქაური ანბავიო.

— კნიაჟნა ქეთინო როგორ ბრძანდებარა?.. დაურთო, გაცივი-
თლდა და თვალებში შემომმაჩერდა... მეც, რასაკვირველია, თავ-
გამოდებით ვუთხარი:

— კნიაჟნა ქეთინოს რა უშავს-მეთქი... თანდათან ლამაზდე-
ბა, მშვენიერდება, მხიარულობს... იმედია, მალეც გავვიფრინ-
დებამეთქი... ოქრომ თვალეები ძირს დახარა მაშინ და მსწრაფლ
გამშორდა... — როდესაც პალიკომ უსაყვედურა, რად მოატყუეო,
მაშინ უკანასკნელმა იმართლა თავი მით, რომ არ უნდოდა ქე-
თინო დაემცივებინა ოქროს თვალ-წინ, არ ეფიქრებინა, სა-
გრძობად დამიტანჯიაო, დაე დარწმუნდეს ის, რომ არავის-
თვის არ არის-რა და მეტადრე ჩვენი სოფლის ქალებს ბევრი
იმისთანა ბიჭ-ბუჭები ცხვირით გაუბრუნებიათ... ღიმილით, თავ-
მოწონებით დაუმატა არჩილმა... დაღონებული პალიკო ყურს
უგდებდა, არც მარიკას წერილს მოეტანა შვება, თუმცა ის
ულოცავდა მოახლოებულ გამარჯვებას, რადგან განგებას ამის
მხარი დაეჭირა, ქეთინოს უბრუნებდა, თითქმის ხელში აძლევ-
და, მაგრამ პალიკოს დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, არ
ჩასციებოდა ქეთინოს თავისის სიყვარულითა, არამედ გრძობა
მსხვერპლად მიეტანა.

— მაშ ამ დღეებში რუსეთს მიდიან? — ჰკირხა ამან არ-
ჩილს, რომ შეეწყვიტა უსიამოვნო ლაპარაკი...

— მიდიან და ანგრე! დიდის შიკითა!.. შაქრო ცეხზე
აღარა დგას, ხუმრობა არ არის ორას თუმნიანი ადგილი, ისიც
რუსეთში ქართველისთვისა. ბრწყინვალე თავადსაც გასწორებია
პირნათლად!...



პალიკოს უსიამოვნობის ღიმილში გადაურბინა ტუჩებზე რადკან ამას უკვე დიდი ხანია შეეტყო, რომ შაქროს მრავალი ას-მანეთიანი მიეყოლებინა თავის ჯამაგირისთვის და სხვა-დასხვა მოხერხებით კი ანგარიშებში ჩაეფუჩებინა.

— უსენიდიდისო! — იმეორებდა ეს წყრომი თ გულშია. ამას ეჯავრებოდა ყველა ამგვარი ადამიანი, თუნდ მახლობელიც ყოფილიყო. — მერე ვინ არ არის ამ ქამად ამგვარად ჩირქ-მოცხებული? ყველა, შაქრო, ოქრო, როსტომი და ათასი კიდევ სხვა... პალიკოს სული, გასპეტაკებული ქეთინოს სიყვარულის ზეგავლენით, შფოთავდა და ვერ იტანდა, ვერ ითმენდა, რომ ზიზღი არ ეგრძნო მათდამი. თუნდ ეს მუქთა-მქამელი, არაფერში გამოსაყენებელი არსება?.. ამისი ბოლო რა არის? უეჭველია, სადმე სოფლად ან ქალაქში შიმშილის შეწუხებით ჩაღრძობა! — უმატებდა, როდესაც ხედავდა არჩილს, რომელიც ხშირად დაიარებოდა ამასთან თუ სხვებთან და ყველა გაგონილს უზიარებდა, თვითონაც უმატებდა და ამშვენებდა. პალიკოს ყველა შესძაგებოდა, ეს სიამოვნებით გადიკარგებოდა ამ სოფლიდან, დედის და ქეთინოს ჯავრი რომ არა ჰქონოდა, მეტადრე უკანასკნელისა. პალიკო მზად იყო გაქცეულიყო ტფილისში, პირდაპირ ენახა ოქრო, მოლაპარაკებოდა, დაემტკიცებინა მისთვის, თუ როგორ უპატიოსნოდ, გულქვად მოქცეულიყო. განათლებულ კაცს კი არ ეკადრებოდა ამისთანა მოტყუება, სიფლიდე, მეტადრე მას, რომელიც ცაში ვარსკვლავებს ეტოტინებოდა. და თუ ის კიდევ უარზე დადგებოდა, მაშინ ხმალში გამოიწევედა. მაგრამ წუთს მეორე მოსაზრება თავს ანებებინებდა ამ განზრახვაზე. პალიკო იცნობდა ქეთინოს, როგორც თავ-მოყვარე ამაყ ქალსა და ამ ნაძალადეგობით ძალიან აწყენინებდა. პალიკოსთვის ქეთინოს წყენა კი სიკვდილზე მეტი იყო.

— ღმერთო, დამეხმარე, ჩამაგონე, რა გზით ვუშველო, როგორ დავუმტკიცო თავ-შეწირული, სამსხვერპლოდ განმზადებული ერთგულება ისე, რომ მისთვის მოსაზრებელი არ აღმოჩნდეს. — ხშირად წარმოსთქვამდა თავისთვის, პირადად შეხვე-



დრის დროს კი ისევ წინანდელზე მეტად ფრთხილობდა. მართა წყრილა ხმით შორიდან არა ერთხელ შეასმენდა ქეთინოს, შენთვის ვკვდები და ვდნები, შენ კი არ თანამიგრძნობო. პალიკომ შეიტყო ქეთინოს ავადმყოფობა თუ არა, სთხოვა დედას ენახა, თვითონაც მოსწყურდა, ეხლა მაინც დაახლოვებოდა, თვალი მოეკრა... თეკლე დაღონებული გამოეგება პალიკოს, რომელსაც ჯერ ნატო გაეგზავნა, მერე თვითონ მართოდ მოვიდა.

— კნიაჟნა როგორა ბრძანდება? — მდღეღვარებით იკიოხა პალიკომ. თეკლემ იცოდა რა, ეს გულგრილად არ იყო ქეთინოზე, ამისთვის პალიკო კეთილი, მიმზიდველი ეჩვენებოდა.

— დღეს მოიხედა, სიცხემ უკლო... — უპასუხა მან.

— ჩემ მაგივრად მოკითხვა და ეს თაიგული გადაეცით, — პალიკომ ველარ შებედა შესვლა, რადგან თეკლემ არ შეიწყია და იმედ-მოცემული, რომ ქეთინო უკედ იყო, გაბრუნდა უკან. — რა მოუვა ქეთინოს? დაქლექდება! არა, არა, ასე განგანზე ჩემი სიარული არ იქნება... ქეთინოს უნდა მოველაპარაკო, აღვუთქვა სურვილის შესრულება, ის უნდა მომენდოს, როგორც ერთად-ერთ გულის შემატკივარ მეგობარს და, როდესაც წარმოიდგენდა, რომ ქეთინოს ააცილებდა ყოველ ცუდსა, თავს ბედნიერად ჰგრძნობდა. პალიკომ მარიკასაგან დაწვრილებით იცოდა, რაც მომხდარიყო ქეთინოსა და ოქროს შორის... და, რასაკვირველია, შედიოდა ქალის მდგომარეობაში... ქეთინო უკეთობაში შევიდა, სიცხე გამონელდა. გონებაზე მოვიდა თუ არა, მაშო იკითხა. მაშო ჰპირდებოდა ქეთინოს, თუ ამის მორჩენის შემდეგ როგორ გასწევდნენ ბათუმსა და სხვა ადგილებში... შესცვლიდნენ ცხოვრებას, აღარ გაჩერდებოდნენ ამ წყვეულ სოფელში, სადაც თითქმის ყველა თავს უბედურადა ჰგრძნობდა.

— იცი, ძვირფასო, დედას უნდა ჩვენი აქედან წასვლა... ეუბნებოდა მაშო გამხდარ, მისუსტებულ ქეთინოს, რომელიც ნაღვლიანად უღიმოდა. ჯეროც მოკრიალებულის თვალებით უყურებდა მეგობარს, ზმუყუნებდა, თითქო ესეც ულოცავდა



მორჩენასა. ქეთინო არ იყო კმაყოფილი ამ მორჩენისა. ცდილობდა წამალი არ ესვა, მაგრამ მაშო არ ეშეებოდა, წუთს გვერდიდან არ შორდებოდა.

— ქეთინო, შეილო, პალიკო იყო აქა... მოგიკითხა, ძალიან სწუხს შენს ავადმყოფობას.

— პალიკო? როდის?

— გუშინ. თითქმის ყოველ დღე გკითხულობს. აი თაიგულიც. ქალაქიდან გამოუწერია.— ქეთინოს ხმა არ გაუღია, გამოართვა თაიგული, დაუწყა ხარბად ყნოსვა, თვალეში ცრემლები მოერივნენ, მოაგონდა ოქრო, მისი ალერსი— ქეთინო, შენა ხარ ჩემი სამოთხის ყვავილი, საამქვეყნიო დიდების თაიგულიო. ოქრო ამ სიტყვებთან უძღვნიდა სწორედ ამისთანა კონას და თან ტკბილ კოცნასაც. წარვიდნენ დღეები. დღეს ისევ იღებს თაიგულს, მაგრამ სხვისგან. ქეთინო მაინც აღარ შფოთავს, არ ეჯავრება პალიკოს სიყვარულის გახსენება. ეცოდება, ატყობს, რომ მხურვალე გრძნობა მეტად გამწვავებია, თავი ვეღარ შეუკავებია ამ მძიმე საბედშაო წუთებში, მოსულა, უკითხავს, მოურთმევია ეს თაიგულიც. ქეთინო მოჯობინდა, თანდათან ღონე მოიკრიბა, ხოლო ფერ-მკრთალობა, სევდა სამუდამოდ დარჩა სახეზე. თანაც, თითქო ცოტათი დამშვიდდა. სად წასულიყო ქეთინო, როდესაც ყველგან თან გაჰყვებოდა ეს ნალველი? მაშო შეუძლებელს ელაპარაკებოდა, სად ჰქონდათ იმდენი ღონისძიება, რომ ქალაქ ადგილებში გადასახლებულიყვნენ; ამ სოფელში ყოფნაც ძნელი იყო, რადგან დღე არ გავიდოდა, რომ ქეთინოსთვის არ გაეგონებინა განოს უარესი და უარესი... ქეთინოს ეჯავრებოდა, აღარ ეკარებოდა. მარიკა წასულიყო შორს; გართულს საკუთარ ზედნიერებით, ეს აღარ აგონდებოდა. ნუგეშად დარჩენოდნენ ჯერო და მაშო, რომელიც ეხლა უფრო ძვირფასად უღირდა ქეთინოს.

— სიყვარული მსხვერპლს ითხოვს. ერთი-მეორეს უნდა შეეწიროს. აკი ეუბნებოდა ერთხელ ქეთინო ოქროს? დღეს კიდრო საქმით დამტკიცებას მოსთხოვდა.

— ბედნიერი იყავი, ძვირფასო, ღმერთმა ინებოს, რამე ჩემსავით სხვამ გაღმერთოს. — ხშირად ამბობდა ქეთინო. ამ დროს სხვა ხმაც დასძახოდა:

— შურის-ძიება! გველი ანგელოზის სახით შემოგეპარა, მოშხამა უმანკო სიცოცხლე, წაიღო, წარიტაცა შენი უზრუნველობა, გამოგტყუა წმინდა ალერსი და კოცნა? შურის-ძიება!

ქეთინო კი ყურს არ უგდებდა ამ ხმას. ღმერთმა გააბედნიეროს, ალბად ღირსი არ ვიყავ, ქეშმარიტი ბედნიერებაც არ ყოფილა ქვეყანაზე, მარტო მისწრაფება, რომელიც თან ჩაჰყვება კაცს სამარეშია. მაგრამ რაღა მისწრაფება დამრჩენია?! არა, სიკვდილი! — იმეორებდა სასოწარკვეთილი ქეთინო.

XXXVIII

შემოდგომის ავდრიანი დილა იყო, როდესაც ალექსეუ-ლი როსტომ დარბოდა ოთახში, თვალებიდან სიბრაზის ნაპერწკლები სცვიოდა. ხანდისხან კიდევაც გაუბღვერდა გრიგოლა არმაშვილს, რომელიც იქვე იდგა.

— შე მამა-ცხოვნებულო, აგრე წინდაუხედავად რად მოიქეცი? იმდენი ამაგი და ხარჯი ისე ფუჟად რად ჩამიტარე? ვერა ხედავდი, შე ოხერ-მულრეგო, იმოდენა ნიაღვარსა? თვალე-ბი სადა გქონდა? რისთვის დაშალე კედელსავით შეკრული შეშა? დამლუპე და დამანელე, ჰა! — ეუბნებოდა ეს.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე ბატონო, წინდაწინ მეგრძნო, თუ ასე იქნებოდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა და წლის სავალზედაც არ მოვერიდებოდი მაგ ოხერსა. მარტო ჩვენ ხომ არ შეგებდეთ, მთელი ქვეყანაა. ზოგი შიგაც ფეხით დატოპავდა იმ დროსა. კიდევაც მოდიდებულა ეგ სატიელო, მაგრამ ასეთი ნავენევი კი არ მოუტანია სოფლისთვის, როგორც ეხლა. ნინო ოდიშერძის ქვრიუს კი არ მოსტაცა ერთად-ერთი თავშესაფარებელი ოდა და დასტოვა ცისა და დედა-მიწის შუა! — ლაპარაკობდა გრიგოლა დაღონებული. მაგრამ როსტომი არა მშვიდდებოდა, განაგრძობდა ოთახში სირბილს. ან კი როგორ მორიგებოდა ამ



უეცარ საშინელ უბედურებას, როდესაც იმ საყენებადან ღრმად გამოვიდრებასა, შევიწროვებულ სოფლის შევლასა, მაგრამ დღეს კი პარ ჩაღა გამოვლებული რჩებოდა; არამც თუ სხვას უშველის, პირიქით ყელამდის ვალებშია და ხსნა ადარა აქვს არსაითა. ფეხის დადგმა არსად არის, რომ არ დაევირავებინოს, მერე სულ ამ საქმისთვის! ღვთის წინაშე, გრიგოლაც ძალიან გულმოდგინედ ირჯებოდა. რაც უნდა შუა ღამე ყოფილიყო, მაინც ყურს არ უგდებდა დაგვიანებას, გაირეკდა ხარსა და კამჩეებს, ეზიდებოდნენ შეშებსა... თვალი თურმე არ გადასწვდებოდა იმოდენა ადგილზე ეწყო, მნახველს ასიამოვნებდა. კიდევ კარგი, რომ როსტომმა არა ნახა, თითქო განგებ სტუმრები აღარ აცლიდნენ, რომ წასულიყო; რაკი არ უნახანს, ასე ჰგონია, იქ დიდი არა ყოფილა-რაო... საკვირველია, როგორც ამბობდნენ, წყალზე დაშორებული თურმე იყო და იქამდის როგორ მისწვდა?!... როგორც გრიგოლა, ისე სხვები კი არწმუნებდნენ: მეწყერად მოხვედა და წყლისკენ წამოიღო ის ადგილიო, მერე მდინარეშე თავისი ღონიერი ტალღები შემოაჭრა და სულ გაჰფანტაო... აღბად ღმერთს არ უნდოდა და ეს არის, სხვა არაფერი... რა მოუთმენლად ელოდა შემოდგომას როსტომი!.. მაგრამ აი დადგა თუ არა ენკენისთვე, ცამ პირი მოსხნა, დაუშვა წვიმა და თქეში, ნაკადულებად წადგნენ ნიაღვრები... ეს მაშინვე შეშინდა, ვაი თუ ხელი შემეშალოს ამ ავდარშაო, გრიგოლი კი არწმუნებდა, რომ ძალიან კარგი ამინდია, ეს წყალი ისე არ მოდიდდება, რომ ხეების ჩამოტანა გასჭირდესო. გრიგოლამ გაირეკა ხალხი, საქონელი, როსტომიც წავიდა რკინის გზის სადგურისკენ შეშების საწყობის ასარჩევად... მაგრამ აგერ გავიდა დღე, მეორეც, და უეცრად გაჩნდა გაფითრებული გრიგოლა, ღრიალით მოეხვია ბატონს მუხლებზე, ტირილ-წუხილით შეატყობინა თუ ნიაღვრებს რა ზარალი მიეცა იმათთვის, როგორ დაეშალა იმოდენა ზვინი ხეებისა; ვიდრე ესენი ავიდოდნენ წყალს წამოეღო და სულ მიეფანტ-მოეფანტა... საქონელშიაც ნახევარზე მეტი მთლად გასწყვეტოდათ. როსტომმა თუმცა დიდად იტკიცა, ბევრი

აგინა, ლანძღა, დაემუქრა კიდევაც: დაგაჭერინებ, ნაობახტში დაგაღობობო, მაგრამ ვერა მოუმატა-რა; თუმცა მთელი სოფელიც შეუყენა შეშების საძებნელად, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ველარავინ გაიგო... როსტომი წელ-მოწყვეტილი დადიოდა... ხანდისხან ბავშვსავით დაიწყებდა ტირილსაც, როდესაც მარტოდ დარჩებოდა. გაიანეც ქმარზე ნაკლებ არა სწყუხდა ამ ზარალს. ნება-უნებლიედ უნდა გამოსალმებოდა მომავალ დიდებას, რომელსაც აღუთქვამდა როსტომი.

— რაღა ვქნა, ქალო? შეილები რითი დავზარდოთ? — ხშირად სასო-წარკვეთილი ეტყოდა ცოლსა, რომელიც ცდილობდა დაემშვიდებინა თავისი მეუღლე.

— გენაცვალე, როსტომ, იქნება მაგდენი ზარალიც არ არის, როგორცა გგონია! თავსაც შემოგვლებია!... ახლა სხვა საქმე აიღე. არ შეიძლება ერთხელ მაინც არ გაიმაჯგო. ცოტაა თუ!

— მაგალითად, რომელი? — დაეკითხებოდა იმედისგან კვლავ სახე-გალიმული როსტომი, რაკი წარმოუდგებოდა გამდიდრების ახალი სახსარი.

— თუნდ ფოდრატობაი, ყმაწვილო!

— ესეც სულ პირველში არა ვცადეთ! მამულიც იმისთვის არ დავაგირავე პრიკაზშია! მაგრამ არც იმაში ვნახე ხეირი.

— მაშინ სხვა იყო, ეხლა სხვა დროა. წელს მოსავალს ვერაფერი პირი უჩანს და მგონია არ მოსტყუვდე. — ამ სანუგეშო სიტყვების გაგონებაზე როსტომი თან და თან მშვიდდებოდა, გამხნევდა მომავალ გამარჯვების გათვალისწინებით.

— თქვე საწყლებო, აკი ბედი არა გქონიათ!.. — ჩიოლაპარაკა ამან თანაგრძნობით, შეხედა გრიგოლას და ისევ დაუმატა: — არა უშავს-რა, შვილო, ღმერთი მოწყალეა! ერთხელც იქმნება და ავასრულებ, შევიძენ იმდენს, რომ ამდენი მწყუხარება თავიდან ავაცილოთ. გრიგოლას კი გულში ეცინებოდა, რადგან როსტომი იბრალებდა სოფლელებს გაჭირებაში და კიდევ აღუთქვამდა რაღაც განუსაზღვრელ მომავალს, მაგრამ სახეზე კი საშინელი ნაღველი ეხატებოდა.



— ღმერთმა გისმინოს, შენი ქირიმე, — ხელს მოუწერდა ესაღმარაღი მორჩილებითა.

— გრიგოლა! მამა გიცხონდება, ეცადე, ერთი კიდეც წაიყვანე ბიჭები, ეგება ერთი ორი საყენი მაინც იპოვო სადმე, არ იქნება, რომ არსად მიეხორგოს. გავყილოთ და იმაში მაინც დავინახოთ აღებული ფასი!. — დაუმატა ამან ცოტა დამშვიდებით დღესაც, რაკი ნახა, რომ გაჯავრებით არა იქნებოდა-რა და მართლადაც გრიგოლას ბუნების წინააღმდეგი არა შექლო-რა...

— გეთაყვა, ხალხმა კი არა იწყინოს-რა ჩემს საბაბზე? — დასძინა გულმტკივნეულად როსტომმა, როდესაც გრიგოლამ კარები გააღო გამოსასვლელად... მართლადაც, დ — ს დიდი ზარალი მისცემოდა, ადგილ-ადგილ მეწყერს ბეერისთვის სახლ-კარი დაენგრია, მიწები შუაზე დაებო და წყალი ჩუხ-ჩუხით გადმოდიოდა. პავლია ოდიშერძის ქვრივისთვისაც დაევიწყებინა ახალი უბედურობა და ახლა მასთან ერთად აგლოვებდა თავ-შესაფარსაც. ნინო სწყველიდა გრიგოლას, როსტომს, თითქმის მთელ ქვეყანას, ცას და დედა-მიწას, რომელნიც, ამის აზრით, მოსიხლვე მტრებად გარდაქცეულიყვნე. ვილა იცნობდა ნინოს გამხდარს, გავყითლებულს, შავი პირკლის კაბაში გამოხვეულს და თითქმის წელშიაც მოხრილს? ძუძუთა ბავშვი აღარა ჰყავდა, რადგან იმ უბედურობის დროს ისიც უპატრონობით მოჰკლომოდა; დარჩენოდა უფროსი ბიჭი შაქარა, რომელიც აგრეთვე დაღონებული უყურებდა მიქცეულ-მოქცეულ სახლ-კარსა, გაოხრებულ, წალეკილ პატარა ბაღსა, სადაც არა ერთხელ დაუკრეფია პაწია ხელებით ახალ-ახალი კიტრები, თუ სხვა მწვანეულობა. თუმცა სოფელს ეცოდებოდა ნინო, ყველა ხელს ატანდა, მაგრამ უკანასკნელი კი არავის უმადლიდა. გაბოროტებული გული დაჟინებით გაიძახოდა:

— ვინ რას მომცემს, ვინ შემეცებს დანაკლისს?!. ვინ დამიბრუნებს ამ გულიდან მოწყვეტილ ძვირფას ქმარშვილს და სახლ-კარს! განა რიღასთვის ვიწიალო კარ-და-კარ?... რა საჭიროა?.. ნინო სიხარულით შესწყვეტდა სიცოცხლესაც, რომ



ჯავრი არა ჰქონოდა პატარა შაქარასი. კიკოლაანთ კეთილმობიანად მიაიაც სანუგეშო სიტყვებს არ აკლებდა.

— ნუ გაგკვირებია, ქალო! ეს სოფელი ნათხოვარია, შეი-
ლო. ჩვენც იქ წავალთ, მაშა ვეცადოთ პირნათლად შევეყა-
როთ ჩვენ პატრონებსა. შენზე უფრო ყმაწვილი ვიყავი, გოგო,
როდესაც დავქვრივდი. ბევრი ვითავცემე, ბევრიც ვიღრიალე
და ვიწუწუნე, მაგრამ დაკარგული კი ეერსად ვიბოვნე... მერე
თავი დავდე ზურაბასთვის, რომელიც წლისაც არ იყო, როდესაც
დამიობლდა და დღემდის იმისთვისაც ვიცოცხლე, იმის-
თვის ვიქნევი და უღალავად ამ ჩემს მარჯვენასა... დღეს კი,
შვილო, მთელ სოფელში ბედნიერ დედა-კაცს მეძახიან. ჰაი, ჰაი
ბედნიერიცა ვარ, რაკი ვხედავ მარგალიტ ცოლ-შვილით გაღან-
ძილებულ ჩემ ზურაბასა... შენც ღმერთი მოგასწრებს კიდევ ამის-
თანა დღესა, შვილო, და გაგახარებს... ეხლა კი გულ-მშვიდად
მოვკვდები, მივალ ჩემ კაცთანა და ვეტყვი:

— სოსე, შენ რომ ზუნა დამიტოვე ჯერ კიდევ კვერცხში
მწივანი-მეთქი, გაგიზარდე, დაგივაქვაცე, შენს კარ-მიდამოზე
შვილიშვილები დაფთიანებულ წიწილებსავით საყვარლად და-
ფრიალებენ, მე კი შენკენ წამოვედი, რომ ახლა შენთან მინ-
და დავისვენო მრავალ გამონაცად ტანჯვა-ვარამისაგან და-
ლალულმა-მეთქი... ასეა ჩვენი ცხოვრება, დედავ, და შენც ბუ-
ნების კანონს წინ ვერ დაუდგები. თუ სახლი აღარა გაქვს,
შვილო, ნურც მაკაზე იღარდებ... სანამ შაქარა წამოგებრდე-
ბოდეს, მუშაობას შეიძლებდეს, ჩემი სახლის კარი ღია იქნება..
შენს ბიჭსაც ჩემი ზურაბა ბიძის მოადგილეობას გაუწევს და
იცხოვრებ... ნინოს თვალებში ოდნავი შუქი გამოკრთებოდა
მაიას ლაპარაკის მოსმენაზე, მეტადრე მაშინ, როდესაც თვალ
წინ წამოუყენებდა დავაქვაცეხულ შაქარას... დასტაცებდა ხელს
თავის ბიჭუნას, მიიკრავდა გულზე და სიხარულის კრემლებს
გადმოღვრიდა დამქანარ, კრემლისგან დაღარულ ლაწვებზე.
ნინოს მარტო მაიას სიყვარული და ამაგი ჩარჩენოდა გულში.
ღმერთო, რა არ გამოსცადა, როდესაც პავლია მოუკლეს!.. ეს
ჯერ ხომ უგონოდ ვგდო, მერე, თუმცა მობრუნდა, მაგრამ



მწუხარებისგან კინაღამ არ გაგიქდა. ამ კეთილმა ადამიანმა მტკიცედ გულ მტკივნეულად უპატრონა... დაამარხვინა თუ არა ქმარი, გადაიყვანა თავის სახლში შვილებით და თავის მფარველობის ქვეშა ჰყავდა. მარტო დღე გამოდიოდა გაოხრებულ სახლშია, იქ მოსთქვამდა, გლოვობდა და გულს იოხებდა, მაგრამ ბოლოს ეს სახლიც წაართვა აღიდებულმა წყალმა ღ ახლა დღეც სულ ზურაბა კოკოლაშვილისა და მის დედა მიახ ანაბარა დასტოვა.. სხვებს ნინო ახლოს არ ეკარებოდა... მეტადრე სესელაანთ ოჯახსა... თვალს მოჰკარავდა თუ არა მათ, ქვასა და წყევლას არ უღევდა. თითქმის გული წუხილს დაუწყებდა, როდესაც დაინახავდა სესელას შვილს სანდროს, რომელიც სამი თვის პატიმრობის შემდეგ გამობრძანებულიყო და არხვინად დადიოდა. ისინი ცდილობდნენ როგორმე მოებრუნებინათ თავიანთკენ ნინოს გული, მეტადრე სესელას ცოლი. მაგრამ ეს უკმეზ ჰასუხებით თავიდან იშორებდა.

— ჩემი პავლიას მკვლელები თვალით უნდა დავინახო?! ქირმა წაგიღოთ და ჩემის კაბით დაგსვათ.— დაუმატებდა და უკანვე თავში აწყვეტდა გამოგზავნილებს.

— განა პავლიას ხსოვნა ამით უნდა დავივიწყო?...— გაიძახოდა გულ-დამწვარი...— ისემც უკენესიათ და უვადნიათ!

ერთხელ ნინო წალკილ ბაღთან იჯდა, ზუზუნებდა თავის დაკარგულ ძვირფას საუნჯის გახსენებით. მოვიდა მიაიაც და გვერდზე მოუჯდა.

— რომ იცოდე, რა ამბავი მოხდენია როსტომსა, ქა! — წარმოსთქვა მან მოუთმენლად.

— რაი? — უგულოდ იკითხა ნინომ.

— რაღა რაი, ქალო, იმოდენა შეშებიდან ისე ხელ-ცარიელი დარჩენილა ამ წყეული წყლის ონაფრობის წყალობითა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შენი სახლი დააქცია. ისეთია თურმე როსტომი, რომ სულ ცოფებსა ჰყრის პირიდანაო.

— თანაც გადაჰყოლია. რატომ არ იცის, რომ ამდენი ხალხის ცოლო ან თავს მოეწევა, ან ბოლოსა.— სთქვა ნინომ, თან გულში იამა, რადგან იცოდა, როსტომი პირს არ მოუ-



კოცნიდა გრიგოლას, რომელიც სიკვდილზე მეტად სძაგდა ნოს. როსტომის ზარალი მთლად სო—ს ხეობამ იცოდა. ახალ ამბად ეს-ლა ისმოდა, საცა კი ადამიანი მიდგებოდა. ზოგი იბრალეზდა, ზოგიც ნიშს უგებდა. ამ უკანასკნელის რიცხვი კი უფრო სჭარბობდა. გრიგოლას დიდი ხერხი და ოსტატობა დასჭირდა, რათა თავი ამ უბედურების ქირისუფლად დაესახა და ახერხებდა კიდევაც. სალომე კი მართლად სჭირდა, რადგან ეშინოდა არაფერ მიგვიხვდეს და ცუდი არა წაგვეკიდოს—რაო. მაგრამ გრიგოლას წინაწინვე აეწონ-გაეზმანა თავისი განზრახვა და ისე მოეყვანა აღსრულებაში. მრავალი წითელი ქალაღი როსტომისგან წამოღებული, რათა საყენების ხარჯად მონღო-მონღა, გაიცა სალომეს სახელზე. ახლა გრიგოლა ელოდა შემთხვევას, რომ ყველა ეს მიეფანიერებინა და როსტომისთვის უფრო მეტად თვალი აეხვია. ბუნებამ ხელი მოუწყო, მოზვე-ეებულმა მეწყერმა, მოდიღებულმა, გაონავრებულმა წყალმა გა-უადვიღეს, ერთ საათში შეასრულღებინეს სურღიღი. აირჩია რამ-ღენიმე სანღო კაცღები, მათ შორის სესელა და ისე ბევრი თავისთანა გამოქჩიღი მიისყიღა, მოიღაპარაკა მათთან და გადა-სწყეიტეს ჩუმაღ, ერთ კვირაზე ჩამოეტანათ ღამ-ღამობით ხეტყე წყლის ნაპირზე. გრიგოლამ სწორედ იმ ღროს მოახღინა ეს, როღესაც წყალი თანღათან მატუღობღა, თამამღებღა და გაღმოღიოღა სანაპიროღებზე. ამათ ღაიწყეს, მერე კი თვითონ კურთხეულმა მღინარემ ჩამოართვა საქმე და დაუბოღოღვა ისე, როგორც უნღოღა: როგორც გრიგოლა, ისე იმისი ამხანაგები განზრახ ბევრს ღრიღლებღენ, ბერ-კეტებით ღაეღეღენ მაგრამ ღაქერის მაღვირაღ უფრო გზას უკვღეღენღენ და გზავნიღ-ენღენ ღანიშნულ აღღიღისკენ, საღაც შემღეღ თვითონ ბინასაც გაუჩენღენღენ. მაგრამ ვინ წარმოიღგენღა ყვეღა ამას, როღესაც ხეღავღენღენ მწუხარე ცოღ-ქმარსა? გაიანეს მაკინესაგან წერი-ღები ხშირაღ მოსღიღენღენ, ატყობინებღა, რომ ოქრო ღაახღო-ღებღა ღიზას და უეჭვეღად კიღევაც შეიერთავღა. აუარებ-ღიღი სიმღიღრე ჩაუვარღებღაღათ ამათ ხეღშია და წეღში გაი-მართებღენღენ. როგორც მაკინე სთხოვღა განოს გულ მაგრა



ყოფილიყო, არ ენაღვლა როსტომს თავისი ზარალი, ამ დროს მასწავლებელი მცირე იმედი არა ჰქონდა ცოლის-ძმისა და ამ მოსაზრებით ცდილობდნენ ქეთინოს გულში ყოველი გრძნობა ჩაეკლათ ოქროს შესახებ... ესენი ყურადღებას არ აქცევდნენ ქეთინოს ტანჯვას, ვერც კი ხედავდნენ და თავიანთ მომავალს სხვა-და-სხვა ოცნებებით ათას ფერად აფერადებდნენ. გრიგოლამ მალე მოუტანა ამბავი როსტომს, რომ ყოველად შეუძლებელია დაბნეულ შეშების პოვნა, რის წვალებითა და დიდის ძეგნით ძლივს ორმოც ხეს მოუყარეს თავი და ამითი გაათავეს კიდევაც ეს საქმე. მაგრამ როსტომი სასოვებს არ ჰკარგავდა და მოურავთან ერთად ხშირად თათბირობდა კიდევ ახალ საქმის აღებაზე... გრიგოლამ შეიძინა სხვა-და-სხვა სოფლებში მამულები, დუქნები დამართა; ხელი მიჰყო აღებ-მიცემობას. ეხლა უროსტომოდაც შეეძლო ბატონ-კაცურად ცხოვრება, რადგან მთელი მისი ავლა-დიდება დიდი ხანია ხელში ეგდო... ეხლა უნდოდა როგორმე გასცლოდა და ეძებდა ჩანჩხვრებსა... დ — ში ყველა საკუთარის დარდ ვარაწით გულ ჩათხრობილნი ვეღარ იცლიდნენ მეზობლისათვის რაიმე ნუგეში ეცათ. ბევრი ლუკმა-გაწყეტული გრიგოლასთანა და სესელასთანა ძლიერ ხალხისგან შევიწროვებულნი გადაცვიდნენ შორს სამუშაოზე და დასტოვეს გაშურებულ შრომის დროს ცოლ-შვილნი, რომლებიც აგრეთვე ნახევარ ფასად ან ვალში, ან ნისიად ეხმარებოდნენ შემავიწროვებელთ... ნინო მოჯამაგირედ დაუდგა თეკლეს, პატარა შაქარაც იქ მიიყვანა. ქეთინო ნინოს წყალობით მრავალ უსამართლობას გებულობდა და გულზედ მოწოლილი ჯავრი უორკეცდებოდა, აღუთქვამდა ყოველ გვარი შემწეობა მიეცა ამ უბედურ დედაკაცისთვის. პალიკოც თუმცა ხედავდა სოფელი რა გარემოებაშიც იყო, მაგრამ საკუთარი ჯავრისაგან გაბეცებული სისუსტესა ჰგრძნობდა, მათთვის ვეღარ ეშველა. არჩილს კი მოსწყენოდა აქაურების დღვრემილი სახის ყურება და კარგა ხანია, რაც წასულიყო ახლა სხვა უფრო უზრუნველ სოფლებისკენ, სადაც მზიარული ხალხი ეგულებოდა. დ — ის მცხოვრებნი მოელოდნენ როსტო-



მის თავს უჩვეულო უბედურებას, რადგან ნიშნები უკვე სჩანდნენ. გრიგოლა არმაშვილსა და როსტომს შორის უკვე უკმაყოფილება ჩამოვარდნილიყო.

— ახია მაგაზე. დაე წაართვას. ეგ უფრო მოიხმარს.

— ოჰი, როსტომს კი მოჰკვდამია ი სულელი თავი, კარგი დოვლათი ეგ გამოსულა!

— ვნახოთ, ის მოყვრები რას უშველიან, ან სხვა სტუმრები, რომლებიც რუზრუზებენ მაგის სახლშია!

— ამბობენ, ცოლის ძმა მდიდარ ქალს ირთავსო. მილიონებს იღებსო... რა უჭირს. ისევ იმათი წყალობით თავის სიმშვიდეს დაიბრუნებს. ეშმაკი თავის ქახს არ დაანგრევს.

— ისემც უკვენსიათ. რაც ჰქონდათ, ისიც ხელიდან წაუვიდათ და ახალიც ძველ გზას მონახავს.

— ღმერთმა ჩვენი ბედი იმი ხელში ჩააგდო, იმან კი არ გვიპატრონა, გრიგოლა მოგვისია და რანაირად შეგვექამა და შეგვხრა! ახლა თუ კარგია, თავისგან დაგეშილი ძალლი თვითონვე უკან მიეტეოს, არა უშავს-რა.

— იქნება კიდევაც სისხლი მოუხდეთ. როსტომი თავის ნებით არ დაანებებს ი მამულებსა. გრიგოლასაც თვალებში რაღაც ბოროტი ცეცხლი უბრწყინავს.

— მერე ეხლა, კაცის სიკვდილი რომ გაადვილდა! ერთმა ხელმა მეორეს გაპარვით წითელი ქაღალდი ჩაუთვალოს და ვისზედაც გინდა, ჯავრი იყარე. რამდენ წვეთ სისხლსაც მარჯვენა გამოუშვებს, იმას ფული უზღავს... ხშირად ლაპარაკობდნენ ხოლმე სოფელში, როდესაც შეხედავდნენ როსტომის სასახლეს, რომელიც თითქო დაღვრემით გადმოიყურებოდა, მასში აღარ გაისმოდა წინანდებური უზრუნველობით დაფი და ნალარის ხმა... ზეით მის გასწვრივ ცა იხუშებოდა, გროვდებოდნენ ტყვიის ფერი ღრუბლები, მარტო-ლა ელოდნენ ქარიშხალის ამოვარდნასა. მას წინდაწინ ელჩად გამოეგზავნა სიო, რომელიც თანდათან თამამდებოდა. დიად, ბუნებ ხალხი ელოდა დროს, საათს, რომელსაც უნდა დაეხსნა, გაეშალა განგების თვითთელი კვანძი და გამოერკვია მისი აწმყო და მომავალი.



განვლო ორმა წელმა. ქრისტიზობის საშინელ ცივ ღამეს ჩვეულებრივად არ მოუსვენია, გამედგრებული ქარიშხალი მრისხანედ გრგვინავს, ჰყინავს უმიწოდაც გათოშილ აოც-მარეს, ხან-და-ხან სუსტდება, ღონე აკლდება, იცვლება სევდის ამშლელ ზუზუნად, გმინვით იკარგება შორს საღდაც, მაგრამ ახალი ძალ-ღონით შექურვილი ხელ-მეორედ ეტევაბა მოკლე ხნით შეყუჩებულ ბუნებას. შევიწროებული ელფერი ადევს. ვილა იფიქრებს, რომ აქ კვლავინდებურად სდულს სიცოცხლე, ექვებს აქარწყლებს თოვლით შეღესილ სალხის ბანებიდან ამომავალი კვამლი. სახლში მყოფნი არ თანაუგრძნობენ საშინელ ლეშტერს, რომელსაც დაუმორჩილება გარედ ბუნება. მხიარულად მოტკაცუნე ცეცხლს გააქვს გურგური, ცდილობს გარედან შემოსული სიცივე შეათბოს, არ მიაკაროს იმ ხალხსა, რომელნიც დაიმედებულან მაზე, არ შეასუსტოს თავისი ძალა, დანიშნულება. მკრთალ შუქს უერთებს ღამპრის სინათლეს, მათის დახმარებით თვალ-წინ გვეხატება მყუდრო ოთახი. ერთ მხარეს ჩატახტულია, მაზე მოუყეცნია თეკლეს, საკერავსა ჰკერავს. მაგიდასთან მიმჯდარა პალიკო, სახე-მოლიმარე წიგნს კითხულობს, უსმენენ მაშო და ქეთინო, რომელიც გაიყურება ცეცხლისკენ. ქეთინოს სახეს მოშორებია განწირულება, ადგილი დაუთმია მტკიცე მეტყველობისათვის, ტუჩების გარშემო გაჰკეთებია ნაკეცები, ყელ-მოღერებული შეხედულობა გვიჩვენებს, რომ ბრძოლაში გაუმარჯვნია, სახითათო მორვეიდან გამოსულა და ახლა კი დასცურავს მღორე წყნარ ცხოვრების მდინარეში... პალიკოს შესამცნეკად ხმა ამოუხრინწდა.

— კი არ დაიღალა, შეილო?... — ჰკითხა მზრუნველობით თეკლემ და ხელ-საქმე შეაჩერა. მაშომ ხელიდან გამოსტაცა წიგნი. პალიკომ შეხედა ქეთინოს, რომელიც უღიმოდა. პალიკოს ნატვრა ახდენოდა. რავდენიმე დღე კიდევ და ქეთინო ამისი კანონიერი მეუღლე გახდებოდა, თუმცა გულით ისევ ოქროს ეკუთვნოდა, მაგრამ პალიკოსთვის მაინც უზომო სიტკბო-

ება იყო, რაკი ყოველს წამს თავის გვერდზე იგულეზდა, თავს შემოაველებოდა, საკუთარ სურვილს, სიცოცხლეს ანაცვალებდა. ჯვარის წერის შემდეგ აპირობდნენ სამზღვარ გარედ წასვლასა-თვითონ ქეთინოც ჰგრძნობდა პალიკოს მიმართ უზომო პატივისცემა-მადლობასა, თითქმის მეგობრულ სიყვარულს, რომელიც არ შეედარებოდა იმ აღმამურენ წმინდა გრძნობას, გამო-ნაცადს ოქროსადმი. ქეთინოს ბედი გადაწყდა, ისე რომ უპ-რის თქმა ველარ მოახერხა. გარემოებამ ქარგა გაუბა, ნება-უნებლიედ შიგ ჩააქსოვინა სული და გული. პალიკოს ნამეტ-ნავმა თავ-შეწირულმა ქცევამ ქეთინო გამოიყვანა იმ საშინელ სასოწარკვეთილებიდან, რომელშიაც ჩავარდნილიყო ოქროსა-გან დატოვების გამო. მორჩა თუ არა ავადმყოფობას, ნება მისცა პალიკოს ხშირად ევლო ამათთანა. ქეთინოს აღარც კი სჯეროდა, თუ პალიკოს ოდესმე განეზრახა ამის შერთვა, არა-მედ ეპყრობოდა ისე, როგორც ქეშმარიტი გულითადი მეგო-ბარი, ართობდა ლაპარაკით, ამის ყოველს სურვილს მისდარა-ჯებოდა და ცდილობდა მაშინვე აესრულებინა და ამასობაში დროც შეუქმნევლად მიდიოდა. ერთხელ ქეთინო მტანჯველ ოცნებისაგან დაღლილი გულხელ-დაკრეფილი დადიოდა ბაღ-ში ამ დროს მოვიდა პალიკოც, მას სახეზე ეხატებოდა გარ-დაწყვეტილება.

— ნება მიბოძეთ, კნიაჟნა, მოგელაპარაკოთ ერთს საგან-ზე.— უთხრა მოკრძალებით. ქეთინომ აღელვებაც შეამჩნია, მო-წყენაც. წუთს გულში გაურბინა სიბრალულმა იმ ყმაწვილისად-მი, რომელიც მისთვის ასე სწყუხ.ა. ქალი სკამზედ ჩამოჯდა და მიენდო ხესა.

— შევიძლიანთ, მაგრამ ძნელად თუ დავაკმაყოფილებ თქვენს საკითხავებსა.

— არა, კნიაჟნა, მე მინდა მოგელაპარაკოთ მარტო იმ სა-განზედ, რომელიც ერთად-ერთი საშველი ღონისძიებაა, რათა თქვენი ტანჯვა-ნაღველი შეამსუბუქოს, გააქროს.— ქალს გაუ-კვირდა, შეხედა ყმაწვილს; ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავ-და ეს სიტყვები.



— ჩემი ტანჯვა-ნალველი შეამსუბუქოს?! მერე ვის, ან რას შეუძლიან? — ჰკითხა ქალმა და მწარე ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე. თვალები საყვედურით მიმართა ზეცას.

— ოქროს დაბრუნებასა... მის თქვენთან მახლობლად ყოფნასა... — ყრუდ ჩაილაპარაკა პალიკომ. ოქროს ხსენებაზე ქეთინო გაფითრდა.

— პათოსნებას გეფიცებით, გეფიცებით მას, რაც კი ჩემთვის წმინდაა ქვეყანაზე, რომ თქვენთვის, თქვენს დასამშვიდებლად თავი არ დაეზოგო. — განაგრძო ყმაწვილმა კაცმა. — ნუ დაჰფარავთ მას, რაც უკვე ჩემთვის დღესეც ცხადია. მიგულეთ თქვენი გულის-შემატკივრად, მომენდეთ, როგორც... როგორც თქვენს ძმასა. — დაუმატა მან. ქალის გულს აღზობდნენ ეს მეგობრული წმინდა სიტყვები. მის თვალებში ცრემლებს გამოიწვევდნენ.

— დიდადა გამდლობთ, პალიკო, მაგაში ეჭვი არას დროსაც არ მქონია, დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სიკეთე გინდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერ შეიძლებთ ჩემს შევლასა.

— ვეცდები... აქამდისინაც შევასრულებდი, რომ თქვენგან ნება-დართვის ლოდინი არა მქონოდა.

— რაზედ?

— წავიდოდი ოქროსთან, მოველაპარაკებოდი, ვავიგებდი მისგან ნამდვილ მიზეზს, იქნება სრულიად სხვაფრივ არის საქმე, ჩვენ კი ტყუილად ვიტანჯებით!...

— ოხ, ღვთის გულისათვის ნუ იზამთ მაგასა! — შესძახა შეშინებულმა ქეთინომ. — ამაზედ მეტად ნუ დამღუპავთ. როგორ?! თქვენ წახვიდეთ ოქროსთან, სთხოვოთ, იქნება კიდევაც შეაბრალოთ ჩემი თავი?! არა, არა! თუ განდათ ჩემი მეგობრობა, პალიკო, თავი დაანებეთ მაგ განზრახვას. — იმეორებდა ქეთინო, თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლებს აბნევდა. პალიკო განგმირულსავით უძრავად იდგა ერთ ადგილზე.

— არა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულა! ოქრო თვალსაც ვეღარ მომკრავს, არც საჭიროა მისი დაბრუნება! ნუ სწუხართ, ჩემო კეთილო მეგობარო, ყველაფერი მალე გაივ-

ლის.—დაუმატა ქეთინომ. ქეთინო თავმოყვარეობას დაემორჩილებინა, ამ წუთებში იმდენად უღირსად ეჩვენებოდა ოქრო, რომ მაზე ნაღველი, მწუხარება ამას თავის დამცირებადაც მიიჩნედა. ქეთინოს გონება ასე სჯიდა, გული მაინც მშვენიერ თავლებიდან მდულარე ცრემლებს აღვრევინებდა.

— თქვენი ნება იყვეს. თქვენს სურვილს წინ ვერ აღვუდგები. ჩემი ნატვრა კი იყო, რომ მოგესვენათ.—ქეთინომ კვალად მადლობით შეხედა პალიკოს, რომლის სახე სთხოვდა შებრალებასა.—მაგრამ როგორ მოისვენებთ, როდესაც ყოველთვის არ გაკლიათ გულის გამგშირავი ამბები იმ პირზე, რომელიც აგრე ძლიერ მოქმედობს თქვენზედა!—დასძინა პალიკომ და გაიარგამოიარა, ჩაფიქრდა, გონებას ძალა დაატანა მოესაზრა რამე საშველი ამ გარემოების შესამსუბუქებლად. ჯერჯერობით კი უძნელდებოდა. გაჩუმებული ქეთინოც ყურს უგდებდა გონების გულთან კამათსა.

— შორს სისუსტე! თავის შეწირვა მას, ვინც თანაგგრძნობს, აფასებს შენს სიყვარულს, მაშინ მისთვის სიკვდილიც ღებინა, არ გასაცვლელი ნადიმზედა!—ქეთინოს თვალები უბრწყინავდნენ, გასწორდა, წარბები შეიკრა, მრისხანებით აღიჭურვა, თითქო ეს არის გამკლავებას უპირობს მოწინააღმდეგესაო.

— შურისძიება!—ჩასძახა ამ დროს კვალად ნაცნობმა ხმამ.

— კნიაჟნა!—დაილაპარაკა ამ დროს პალიკომ და გაჩერდა ქალის წინ.—კიდევ ერთი სათხოვარი?

— ბრძანეთ.

— თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. მოვალეცა ხართ ასე მოიქცეთ, რადგან თქვენი თავი მარტო თქვენ არ გეკუთვნით. საზოგადოებას, მეგობართ ზეციდან დავალებული აქვთ გიძღვნან თანაგრძნობა საქმით, თუ სიტყვითა, ვისაც როგორც შეუძლიან. დიად, თქვენ აქედან უნდა წახვიდეთ.—გაიმეორა პალიკომ.

— წავიდე?.. მერე სადა? ვისთან? რა მეგულეა ამ სოფლის გარედ.

— არამც თუ სოფლის გარედ, შორს, შორს თვით საქართველოზედაც.—ქალი შეკრთა.



— მერე?— დაილაპარაკა მან.— წავიდე იქ, აქ კი დავტოვო
ვო ნათესაობა, მეგობრები: წავიდე იქ და აქ დავტოვო ჩე-
მი...— ქალს ხმა ჩაუწყდა, მარტო ტუჩები ენძრეოდა.

— დიალ, თქვენ უნდა დასტოვოთ აქ ისინი, რომელთაც
ვერ გიცნეს, ვერ დაგაფასეს, არ აღვიარეს დედოფლად, დი-
დების გუნდრუკი არ გიკმის. უნდა წახვიდეთ იქ, საცა უმან-
კოებას ღირებული ფასი აძევს, თორემ თუ აქ დარჩებით, ვერ
იცოცხლებთ, დაქლექდებით და ეგ ხომ საწყენია მახლობელ-
თათვის, რომელთ შორის იქნება აღმოჩნდეს ისეთი, რო-
მელმაც ვერ აიტანოს თქვენი დაკარგვა. — უკანასკნელ სი-
ტყეების დათავებაზე პალიკო გაფითრდა. ქეთინო კი პალიკოს
მიმზიდველ ქერა სახეს შეჰყურებდა ნაღვლიანადა.

— მერე, პალიკო, გჯერათ, რომ მივალწევ თქვენგან აღ-
ნიშნულ წმინდა ადგილს? დარწმუნებული ხართ, რომ იქაც
არ წამყვება წამება?— ჰკითხა უფრო გაბედვით ქალმა, რადგან
ხედავდა ქეშმარიტ მეგობარს, რომელთანაც აღარ მალავდა გუ-
ლის-პასუხის გამომეფავებასა.

— თქვენ უსათუოდ მივალწევთ ბრწყინვალე ადგილს. მჯე-
რა, მწამს აგრეთვე, რომ ეგ ნაღველი და სევდა დიდი ხნის გა-
ნუშორებელი წვეულია. მაგრამ ძალ-ღონე უნდა მოიხმაროთ,
ზურგი შეაქციოთ ხორც-შესხმულ უმადურ არსებათა, ნიქს ემ-
სახურეთ, ზარდეთ, აფართოვეთ. იქ, სადაც მე გითითებთ, მარ-
ტო იქ არის თქვენი ძლიერება.

— ნიქი ვასაზრდოვო, მხატვრობას თავი შევწირო?— ფი-
ქრიანად განიმეორა ქალმა. მხატვრობის მოგონებაზე, თითქო
არსება გაუფხიზლდა და გული და სულიც გამოეხმაურა.— რი-
თი?.. ჩვენი ქართველური ნიადაგ გამოცლილი ოცნება ხომ არ
არის, პალიკო?..

— არა, ქეთინო, ამ ოცნებას, ამ სურვილს მტკიცე ნია-
დაგს აღმოუჩენს თქვენი ძმა და მეგობარი პალიკო, მთელ თა-
ვის მამულის შემოსავალს თქვენ მოგართმევს, ფერხით გაგი-
ფენთ, გეტყვი, შეგებევწებათ:



— ძვირფასო დაო ქეთინო, აი ყველა ეს იყვეს თქვენს ქირის სანაცვლო. ისარგებლეთ მით, როგორც გენებებათ, მეც მიმსახურე, როგორც უკანასკნელი მონა-მეთქი!.. წელიწადში სამასი თუმანი დედით და დით გაცხოვრებთ სამზღვარ გარედა!..

— დაუმატა პალიკომ. ქეთინო გაშრა, დალაპარაკება ველარ მოახერხა, რადგან ვერ წარმოედგინა თუ პალიკოს თავშეწირულობა ამ სამზღვრამდე მიაღწევდა, მაგრამ, როგორც იყო, ბოლოს ძლივს უთხრა:

— გამადლობთ, პალიკო, მაგ საკულისხმიერო მსხვერპლისთვის... ჩემ თავს არას დროს ნებას არ მივცემ ვისარგებლო მაგითი მაშინ, როდესაც... როდესაც მაგიერის გადახდაზე სუსტი ვარ...

— არა, ქეთინო, არა გთხოვთ არაფერში თანაგრძნობას. მარტო ნუ დაიშურებთ მეგობრობას და ერთგულ, მოსიყვარულე ძმად მიგულებთ. პატიოსნებას გეფიცებით, ამაზე მეტის თხოვნით თქვენ არ შეგაწუხობთ... მოიფიქრეთ, თუ გრძნობთ შეცოდებას მასში, რომ მაგიერს ვერ მომიწყავთ, გაასწორეთ დანაშაული, მოინანიებთ ცოდოსაც იმ გულკეთილობით, თუ მიიღებთ ამ წინადადებას და წახვალთ დითა და დედით იტალიაში.— ქეთინო წამოდგა ზეზე, გაუწოდა ათრთოლებული ხელი...

— პალიკო, ძვირფასო მეგობარო, მაპატიეთ...—უთხრა ამან.—ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვარ, მაგრამ მაინც გეტყვით დაუფარავად... რომ ოქრო მიყვარს, ის მიყვარს დაჟინებით, უნებურად...—პალიკომ მოწიწებით ჩამოართვა ხელი და ელოდა ქალის დამშვიდებას.

— მერე ვინ გიშლით, ძვირფასო? ვინ გაყვედრით მაგ სიყვარულს?...—ჰკითხა ამან.

— სვინიდისი, გონება... გული გაჯიქებულია, არავის სიტყვა-რჩევას ყურს არ უგდებს... შემობრალეთ!..

— ჰოდა კიდევ მაგისთვის უნდა წახვიდეთ... მოიწოდეთ ხასიათის სიმტკიცე, მიენდეთ ერთგულ თანად შობილ ნიქსა, ამოქმედეთ. მაშინ უფრო შეიძლებთ ოქროს დაფასებას. ოხ,



ღვთის გულისთვის, ქეთინო, შეისმინეთ ეს ვედრება!—^{შეისმინეთ} პალიკომ და ქალის წინ მუხლებზე დაეწხო. ქეთინოს მარტო ეხლა გაეცნო პალიკოს პატიოსანი სული. მისი უმანკო გრძნობა, რომელიც არ მიემსგავსებოდა სხვებისას, იყო თავისებური, უჩვეულო... ეს ეხვეწებოდა მეგობრობას, ჰპირდებოდა ძმობას. ქეთინოს შეეძინა მტკიცე ყვარჯენი, ჰგრძნობდა, რომ მარტო ეხლა შეეძლო უფრო გაბედვით გამკლავება უწყალო გარემოებისთან.

— თუ გინდათ ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება, შეისმინეთ!—^{დაქინებით} დაქინებით ემუდარებოდა პალიკო. როგორ დათანხმებულყო ქეთინო ამ თხოვნაზე? როგორ წასულიყო ამის ხარჯზე დედით და დით სამზღვარ გარედა? რას ემგვანებოდა? სვინილისი განა მოასვენებდა, როცა გასძარცვავდა ამ პატიოსან არსებას? პალიკო კი გადაწყვეტილ პასუხს ითხოვდა.

— ნება მაინც მომეცით, რომ მოვიფიქრო.—^{უთხრა} უთხრა ამან კარგა სიჩუმის შემდეგ.

— დიდის სიამოვნებით, თუნდ ერთ წელიწადს დაგაცდით, ოღონდ კი ნუ მომაკლებთ ამ იმედს, ამ ნუგეშსა.

— ძალიან კარგი, სწორედ ერთი წელიწადი იყვეს ვადა.

— არა, ეგ ბევრია...^{შემიბრალებთ} შემიბრალებთ, დაუკელით!—^{მიატანა} მიატანა საჩქაროდ პალიკომ.

— ათ თვესა?

— არა, არც ათ თვესა...

— მაშ თქვენ რავდენი გინდათ?

— ორი დღე, თუნდ ერთი საათიც.

— ოხ, არა... არ შეიძლება!—^{წარმოსთქვა} წარმოსთქვა ისევ დანადგლიანებულმა ქეთინომ.

— თქვენი ნება აღსრულდეს...^{დანიშნეთ} დანიშნეთ ვადა, რომელსაც დავემორჩილები.

— ექვსი თვე იყვეს...—^{პალიკო} პალიკო დასთანხმდა, ეს წამოდგაზეზე, თუმცა სწყუროდა ჩაეკრა ეს ფას-დაუდებელი საუნჯე გულშია, მაგრამ რაკი ბედი დამხმარე არ იყო, უნდა დამორჩილებოდა მას... როგორც იყო დამშვიდდნენ ორივენი, სახლ-



ში დაბრუნდნენ. გავიდა ორი-სამი თვე... დანიშნული ვადა ახლოვდებოდა. ქეთინოს კი ვერ გადაეწყვიტა... მუდამ თან სდევნიდა აზრი, თუ პალიკო დაიღუპებოდა, ქეთინო შეიქმნებოდა იმის წინაშე დიდი დამნაშავე, ქვეყნისგან გასაკიცხი, ღირსიც ყველასგან თავდანებებისა, დამცირებისა... უარი ეთქვა, მაშინ ხომ წუთი-სოფელს მოუშხამავდა პალიკოს, სწორედ ისე, როგორც თვითონ ქეთინოს გამწარებოდა ოქროს წყალობით. აქ დარჩენილიყო-და, აქაც აუტანელი, გაუძლისი ცხოვრება ჰქონდა, რადგან ნაცნობები ხშირად ელაპარაკებოდნენ, თუ ოქრო რანაირად გამოაცვლილიყო, გართულიყო მოქეიფე ხალხშია, ჩამოსკლოდა წინანდელ პატიოსან ამხანაგებს და ახლა მთელ დღეებს ათენ-ალამებდა სასტუმროებსა და კლუბებშია. რა მადლობას გადაუხდოდა ქეთინო მას, ვინც დაჰფარავდა ყველა ამას ამასთან მაინცა და არას იტყოდა. ბრძოლისაგან ქეთინო აჩრდილს დაემსგავსა. დაანდობდა გამხდარ ხელებზე თავსა და მიეცემოდა მწვალებელ ფიქრებს. რაღა შემდეგში? ტანჯვა... ამ დროს უხილავი ხმა გამოელაპარაკებოდა:

— ქეთინო, ნუ გამიცრუებ ამ ერთად-ერთ იმედს, რომელიც მანუგეშებს, მიიღე გულწმინდად შემოწირული მსხვერპლიო...—თვალ-წინ წარმოუდგებოდა პალიკოც. მაგრამ ქეთინოს მაინც ვერ მოეშორებინ ოქროს ხსოვნა გულიდან. ვერ ამოელო მისი უსამზღვრო სურვილი. სად არის სამართალი? ნაძალადევად კი არა იქნება-რა. ფიქრებით მეტად შეწუხდა ქეთინო. პალიკოს თავისი აზრი ეთქვა მაშოსთვის, რომელსაც დაახლოვებოდა ქეთინოს წყალობითა. სთხოვა—დაეჯერებინა ქეთინო, რომ ამისი წინადადება მიეღო და წასულიყვნენ ამ დაწყვეტილ ადგილიდან.

— მერე თქვენა?—ჰკითხა მაშომ, როდესაც მოისმინა პალიკოს თხოვნა.

— მე რა? მე აქ დავრჩები.

— როგორ? ჩვენ გვისტუმრებთ თქვენი ხარჯითა, თქვენ კი აქა რჩებით? დედა-თქვენი რაღას ამბობს?

— დედა-ჩემს ჩემი სურვილი ყოველთვის აუსრულებია და არას დროს წინააღმდეგობა არაფერში არ გაუწევია. ჩემი წა-



სვლიც ყოვლად შეუძლებელია, რადგან ხალხის თვალშიც არ
 გა არ გამოჩნდება და, რომ ჩემ გამოისობით ქეთინოს ხალხი-
 დან ევნოს რამე, არას დროს არ ვიკისრებ. მაშო ხედავდა პა-
 ლიკოს სამაგალითო თავშეწირვასა და დარწმუნებულიც იყო,
 რომ ქეთინო დიდი ბედნიერი იქნებოდა ამის ხელშია, თუ კი
 როგორმე მოხერხდებოდა საქმე. პალიკოც გულისძგერით ელო-
 და დანიშნულ ვადის დადგომასა და თუ ქეთინო დათანხმდებ-
 ბოდა, მაშინ ისე მოახერხებდა ნატოსთან, რომ ეს უკანასკნე-
 ლი ვერც კი გაიგებდა, თუ პალიკო თავის შემოსავლიდან ნა-
 ხევარზე მეტს როგორ მიაწვდენდა თავის სატრფოსა. თუმცა
 პალიკოს თვითონვე არ მოსწონდა ასეთი მოტყუება დედისა,
 მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, იცოდა, რომ ნატო არას გზით
 არ დასთანხმდებოდა და უსიამოვნობის მეტი არა გამოვიდოდა-
 რა, საქვეყნოდაც გახდებოდა, რადგან ნატო ვერ მოითმენდა და
 დაუწყებდა თეკლეს კამათ-შეხირობასა. პალიკოს კი უნდოდა
 ესე მოეგვარა ეს საქმე, რომ არავისაც არა სცოდნოდა-რა...
 აგერა დანიშნული ვადა მიიწურა, ორი დღე კიდევ დარჩა, ქე-
 თინოს აღელვება დაეტყო, თვალეზი მორღვეოდნენ, გამხდარი
 სახე ჩვეულებრივზე მეტად გაუფითრდა.

— ქეთინო, რომ იცოდე, რა ნაირად უყვარხარ პალიკოს!
 ნეტაი პირველადვე შენს გულს მაგისთვის დაეკვნესა, რა ბედ-
 ნიერი იქნებოდი! ევ ყმაწვილი მაინც თან-და-თან ჩინებული
 რამ ღგება, მაგისთანა ძლიერი გრძნობის პატრონი არსად მი-
 ნახავს. ჩამცივებია, უსათუოდ უნდა წახვიდეთ სამზღვარ გარედო,
 თორე ქეთინოს არ შეუძლიან სიცოცხლე და მის სიცოცხლის
 მოსპობას მეც თან გავყვებიო.—უთხრა მაშომ ქეთინოს.

— კარგია, მაშო, ვთქვით კიდევაც ვიკისრე წასვლა, მე-
 რე თვითონა?

— თვითონ აქა რჩება. ოხ, ქეთინო, მერწმუნე მე... ხომ
 იცი შენთვის ბედნიერება მინდა?

— მაშო, შემობრალე! — შესძახა ქეთინომ. — გენაცვალე,
 მასწაელე, ამ გულს რა ვუყო? — ქეთინო ქეთიქვითით მოეხვია
 დას. — შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას?...



— როგორა და პალიკოს შევირთავდი, — ქეთინოს გააკანკალა.

— შეირთავდი?! — ფიქრიანად გაიმეორა. — მერე როგორ შეირთავდი, როცა შენი გული სხვას ეკუთვნოდა. ის კი პატიოსანია, ღირსია ქეშმარიტი გრძნობისა, რომლის მიცემასაც ვერ შეიძლებდი. ოხ, რა შემცოდე იქნებოდი მაშინა!

— რად ვიქნებოდი შემცოდე, როდესაც ჩემი შემრთველი დათანხმდებოდა მაზე, თუ ამ გულში დარჩენილიყო წინანდელი ხსოვნა, მისი კი ვყოფილიყავი მეუღლე, მეგობარი, დამხმარე, თანამგრძნობი გაქირებასა თუ დაღბინებაში! შევირთავდი, ქეთინო, გაფუწვედი სამაგალითო ოჯახის დედობას, მით ჩემს დამღუბველს დაეუმტკიცებდი, რა რიგად მოტყუებუდიყავი თავის საქციელში და რაც უფრო გათახსირებაში ვეჩვენებოდი, მით მას სვინიდისი დაუკმაყოფილდებოდა, გაიფიქრებდა, ალბად ღირსი იყო და ისე მოუვიდაო. — ქეთინო ხარბად ისმენდა მაშოს ლაპარაკს, ამასაც ხან და ხან გაუელვებდა აზრი, შეერთო პალიკო, გამხდარიყო ერთგული მეგობარი, მაგრამ ძლიერი გრძნობა, თუმცა დამცირებული, განკიცხული ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ აბედვინებდა.

— ქეთინო, პალიკოში არას ღროს არ მოსტყუვდებო. არც ის მოიოხოვს შენგან მომეტებულ აღტაცებულ სიყვარულსა, რადგან თავშეწირულია. შენი ნიქიც წინ წაიწვეს, გაფართოვდება. ხომ გახსოვს ერთ ღროს რა ნაირად ზრუნავდი მისთვის... გაიხსენე!.. დაუბრუნდი იმ ღროს, შეიცოდე პატიოსანი ყმაწვილი, მიიღე მისგან ტანჯვით გამოწვედილი ხელი, ნუ თუ შენთვის შეგება არ იქმნება, რომ გააბედნიერო ერთ-ერთი ადამიანი მაინც?!... — ქეთინო გაჩუმებული ყურს მიუკვებდა, მაშოს კი გულში იმედი ეძლეოდა საქმის ჩინებულად წასვლაზე.

— ხვალ უნდა ეუთხრა გარდაწყვეტილი პასუხი!.. — წარმოსთქვა ქეთინომ. ამას მთელი ღამე არ სძინებია. ღრმა ფიქრებში სცურავდა. ეს იჯდა, ანგარიშ-მიუცემლად, ათვალთვრებდა წინანდელ ნახატებს, შემდეგ მიეყუდა სკამის ზურგსა და დარჩა ისე რავდენსავე ხანს.



— გამარჯვება ქეთინო!—ჩაესმა ყურში, ქალი თუმცა მძიმედ ნარე მაშოს მეტს არავის ხედავდა ოთხშუბია, მაინც არ შემკრთალა, რადგან უკვე იცნო ნაცნობი ხმა... ქეთინოს თვალე-ბი გაუბრწყინდნენ...

— გული გაანდლე, მეგობარო!—იმედინის სიტყვებით უთხვრა ამან.

— ეხლა, როდესაც დამასუსტე?.. კიდევ კარგი, რომ სამუდამოდ არ დაგავიწყდი, დანაშაულს ხომ ჰგრძნობ?..

— დანაშაულს?.. რაში?

— გემონები, თავს გველები, შენ კი ყურს არ მიგდებ... მაგრამ როგორ გაგამტყუნო, როდესაც ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა...

— თუ ანგრეა, რალასთვის მეტანები?.. ჩამომეხსენ...

— განა ჩემს ნებაზე შემიძლიან რამე? მე ვარ ზეცის შვილი, ჩემი დანიშნულებაა, ავასრულო შემოქმედის ბრძანება, დავემონო მას, საითკენაც ის მიმითითებს... შენთან ერთად დავიბადე, უნდა შენს სიკვდილს მეც თან ვაყვე... შენკი უმადური ხარ, მლაღატობ, უფრო ადრე მისტუმრებ სამარისკენ. ხორც-შესხმულ არსებას ძნელად თუ ვისმეს შეუძლიან ქეშმარიტი მეგობრობა, შენთვისაც საძნელოა...

— რა უსაფუძვლო საყვედურია!..— ჩაილაპარაკა ქეთინომ.

— აბა ყური უგდე ჩემს ხმასა?—განაგრძო მობაასემ.— აჰა, უიმისოთაც ნაზი, სუსტი მომეტებულად დამლიე, უნდა მხედავდე რა პაწაწინა ვარ, ერთი ციკქნა! სულს შემებერავ, მაშინვე სიცოცხლეს შევწყვეტავ. მხედავდე მაინცა! მაგრამ არა, მაშინ შენსავით უმადური ვიქნებოდი და დაუნდობელი.

— უფრო კარგი, სამაგიეროს გადახდა შეგეძლებოდა.

— კიდევ მაგას ვერიდები. სამაგიერო ბოროტების საქმეა!.. მე მაგისთვის არა ვარ გაჩენილი.

— რისთვის?..

— მისთვის, რომ შენ შემოგწირო თავი, შენით ვიცოცხლო, ვისულდგმულო.

— გასაოცარია! მწირავ მაშინ, როცა არა ხარ ღარწმუნებული თანაგრძნობაზე?

— დანიშნულება ასეთია. მე დავიბადე, ახლა შენ უნდა გამზარდო. იცოდე, ქეთინო, თუ ჩემთვის არ იზრუნებ, ბევრს დაჰკარგავ; თუ გამაქრობ, შენც დაწვრიმალდები. ქეთინო, მაცოცხლე, მით შენს ცხოვრებას შნო. და ლაზათი, მნიშვნელობა მიეცი, თორემ გარდაიქცევი მცირე წერტილად, რომლის გაჩენა და გაქრობა ერთია ქვეყნისთვისა.

— რას ითხოვ?

— მეგობრობასა.

— აკი ვარ. მომეტებული რომ აღარ შეიძლება!

— შეუძლებელს როდი გთხოვ.

— მითხარი მაინც მეგობრის დანიშნულება?

— ვითომ არ იცი? მაშ კარგია, გეტყვი და მოგაგონებ. მეგობარი ყოველ საათს გადამდგარი უნდა იყოს მეგობრისათვის. მის სურვილს, კეთილ-დღეობას თავისი შეუსისხლ-ხორცოს, მისი გაჭირება გულის ფიცარზე მწარე ნაღველით დაიწეროს, ლხინს კი უსამზღვრო აღტაცებით გამოხატავდეს, მაგრად ხელი ჩასჭიდოს და მასთან ერთად მივიდეს სამარის კარსა. აი როგორია მეგობარი!.... ძნელი გასაგებია?.... მართლა არ იცოდე?

— ესე იგი მსხვერპლიად შემოგეწირო?.. დაიცა, იქნება აგრეც მოვიქცე.— ფიქრიანად დაუმატა ქეთინომ.

— როდის-ღა?

— მითხარი, რა დაგაკმაყოფილებს?

— აქედან გამიყვანე. მე მინდა დაუშრობელი საზრდო, სიცოცხლე მწყურიან. გამიყვანე აქედან. ნუ გიკვირს, რომ ასეთი სუსტი შენგან ამდენს მოითხოვდეს. იცოდე, როგორც ძლიერი აგრეთვე სუსტია, ისე სუსტი ძლიერია. თუ იმ გარემოებას მომცემ, როგორსაც მოგთხოვ, რამდენისამე წლის შემდეგ გავიზრდები დიდი, უზარმაზარი, თუ არა და ისე მტერი დაველიოს, როგორც მე დავილევი.

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

— აკი გითხარი, უშენოდ არა შემიძლიან-რა-მეთქი?

— სად მიბრძანებ წასვლას?



— იქ, სადაც გარემოება ვითითებს. იქ, სადა ჩემთვის უკვდავების დაუშრობელი წყაროა. აქ კი სიკვდილია, არარაობა. იქ, იქ წამიყვანე, ქეთინო.

— მერე?

— მერე, მინდა გამოსცადო რამდენადაც უბედობა, იმდენი ნეტარება. მინდა გქონდეს დიდი სიმდიდრე, აგრეთვე ჰგონობდე სიღარიბესაც, შიმშილს, სიშიშვლეს. მე მინდა, როგორც სიცხისაგან სახეზე ოფლი წურწურით ჩამოგდიოდეს, ისე სიცივით მთლად ძაგძაგებდე. მინდა გული დაგეკემსოს ნაჭრებად, როგორც მოწიწებით თაყვანსა გცემდნენ, ისე ზიზლით, სიძულვილით გიყურებდნენ. მე მინდა ის ქიქა, რომლითაც ყოველ დღე შესვამ ხოლმე სასმელსა, გვესებოდეს საწამლავეთა. მე მინდა ინეტარო და ამასთანავე იტანჯო.

— ზოგიერთი მაგ სურვილებში უკვე შესრულებულია.

— ვიცი და იმისთვისაც გავალებ განაგრძო ბრძოლა, მოთმინებით ზილო ტვირთი, ზეცისგან მონიჭებულნი.

— მერე რას მოველოდე სამაგიეროს?..

— უკვდავებას.— ქალს გააჟრჟოლა.

— უწყალოვ, ამდენ ტანჯვებთან კიდევ უკვდავება? როსლა დაისვენოს დაქანცულმა მიხრწნილმა სულმა, თუ არ ეღირსება სიკვდილი?

— თვითონ შენ უმადურო! სჩანს არ გეყურება, რასაც ლაპარაკობ. მაშ გინდა სამუდამოდ დარჩე უსუსური ყრმა, რომელსაც აჩუმებდნენ ტკბილი შაქრით! არა, ქეთინო, არასდროს შენი მეგობარი არ გიორგულებს ისე, რომ გარდაგაქციოს იმ ბურბუშელად, რომელსაც ქარი იტაცებს ყოველ მხრივ. თუ გირჩევ ტანჯვა-შრომასა, ჩემს დამონება-სამსახურს, მერწმუნე მარტო იმისთვის, რათა გახდე ქეშმარიტი აღამიანი, მუხლ-მოდრეკით სალაში მოგცენ, შენი არ გამტანი სვინიდისის ქეჯნით დაიტანჯოს, მოყვარემ იღღესასწაულლოს. შორს სისუსტევ, ლაჩრობავ, მუხთალ საწუთროს წინაშე ქედის მოხრავ! ქეთინოს გონება თანდათან აღმასდებოდა, გულის კვნესა თითქო შესუსტებულიყო. ქალი წამოდგა, მიი-

ხედ-მოიხედა, მაშოს ისევ ტკბილად ეძინა, დაეშვა მუხლქმზე ხატის წინა, იწყო ლოცვა, შესთხოვდა მეუფეს, გარდმოევილინა ძალა და ღონე, რომ შეესრულებინა ყველა ეს, რაც განეზრახა. ლოცვის შემდეგ მომეტებული შეება იგრძნო, თავი მისცა მოსვენებასა. მეორე დღეს ქეთინო ელოდა პალიკოს, მაშომ და თეკლემ იცოდნენ ამისი აზრი, უხაროდათ. ქეთინოს გადაეწყვიტა შორს წასვლა, პალიკოს თხოვნის ასრულება.

— მაშო, შენმა რჩევამ გასჭრა... — უთხრა ქეთინომ დას, როდესაც დილა აღრიან გამოეღვიძა.

— მართლა?.. რა ნაირად გაუხარდება პალიკოს, მაგრამ შენი მოშორებაც კი დაანადვლიანებს. — ქეთინოს ტუჩები დაენძრნენ, ეს თითქო შეკრთა მაშოს სიტყვებზე, მას ემჩნეოდა ბრძოლა.

— არა, თუ დავთანხმდები პალიკოს წინადადებაზე, აგრეთვე ვიკისრებ მასთან შეუღლებასაც, უიმისოდ კი არ შეიძლება... ნება არა მაქვს ვისარგებლო მის ფულებით და ის კი აქ დარჩეს... მაშო, გადაეცი პალიკოს... რასაკვირველია, თუ მოურიგდება ამ გარემოებას, რომ ოქრო მაინც მიყვარს, თემცა ვეცდები კი შევასრულო სვინიდისიერად ჩემი მოვალეობა.

— პალიკოს მთავარი გონება აღარ შერჩება, გაგიჟდება, გაღირვევა, როდესაც გიგულებს თავის საყვარელ მეუღლედ... შენ კი რეებს ლაპარაკობ?.. — ქეთინოს ცრემლები დუღილით ყელთან მოსდიოდნენ, გამოსცდიდა ჯოჯოხეთს, ტანჯვას, მაგრამ მტკიცედ იდგა თავის გარდაწყვეტილებაზე. პალიკო ქეთინოზე ნაკლებ არა ღელავდა, როცა უახლოვდებოდა ამათ სახლსა. ეს დარწმუნებული იყო კარგს არას გაიგონებდა, ხან კი მცირედი იმედი უკრთოდა.

— უარი რომ სთქვას, როგორ-ღა ვინსნა ტანჯვისაგანაო? — ფიქრობდა განუწყვეტლადა. მოვიდა თუ არა პალიკო, მაშომ ახარა ქეთინოს თანხმობა, მისი პირობაც. პალიკოსთვის მეტად მოულოდნელი იყო, მეტადრე უკანასკნელი. გამოართვა ხელები მაშოს და აღტაცებულმა დაუკოცა მადლობის ნიშნად.

— მაშო, ეს რა დღე გამითენეთ? რა ნეტარებაა, რა ბედნიერება! — იმეორებდა აღელვებული, სიხარულის ცრემლები თვალებში მოსდგამოდნენ. ქეთინო არამც თუ თანხმდებოდა, რომ წასულიყო თავის ნიქის საწვრთნელად, არამედ ჰპირდებოდა მეუღლობასაც! ქეთინო და პალიკოს მეუღლე!.. ნუ თუ სამოთხიდან მოტანილი მეგლიში არ იყო? როგორც იყო პალიკომ ღონე მოიკრიბა, რათა დამშვიდებული შესულიყო იმ წმინდათა-წმინდა ოთახში, სადაც ქეთინო ელოდა. უკანასკნელი გაფითრებული წამოდგა, მაშო აღარ შეჰყოლია, რათა თავისუფლად შესძლებოდათ მოლაპარაკება.

— მგონი დღეს... უნდა ჩომეცა თქვენთვის პასუხი. — დაიწყო ქალიშვილი. — თანხმა ვარ თქვენს... თქვენს წინადადებაზე... და თქვენს... — ქეთინომ ველარ დაათვა, ღონე წაერთვა, თვალე-ბი კი განაგრძობდნენ მტკიცე ყურებას. პალიკომ ჩამოართვა გამოწვდილი მორთოლვარე ხელი, რომელსაც მოწიწებით დაეკონა.

— გმადლობთ... გმადლობთ იმ უღირს ბედნიერებისათვის, რომელსაც მანიჭებთ. — გაძნელებით დაიჭურჩულა ამანაც.

— არა, პალიკო, თუმცა თანხმა ვარ თქვენს მეგობრობაზე, თუ ხელს არა მკრავთ, თუ შევიძლებ მოვახერხებ თქვენს გაბედნიერებას... ხომ იცით ჩემი... — მაგრამ პალიკომ სიტყვა არ გაათავებინა.

— ქეთინო, სალოცავო! რა ნება მაქვს მოგთხოვო მიუწლომელი? მერწმუნეთ, ჩემთვის სრული ნეტარება იქნება თქვენს მახლობლად ყოფნა, მონობა, თავს შემოვლება!

რამდენისამე წუთის შემდეგ ქეთინო და პალიკო იღებდნენ დედისა და დისგან ლოცვა-კურთხევასა. ქეთინო თანდათან შეეჩვია ახალ გარემოებას, რომ დღე-დღეზე გახდებოდა მეუღლე-მეგობარი პალიკოსი, რომელიც თავს ევლებოდა. ეღვიძებოდა დამშვიდებული, მოფიქრებული, ძალ-დატანებული გრძნობა. პალიკოც ატყობდა ამ დამშვიდებულ გრძნობას და ამის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. არც ნატო დამდგარა უაერზე, როდესაც შეიღმა შეატყობინა, ქეთინოს

ვირთაეო. მას ძალიან მოსწონდა ქეთინო, მისი წყნარი, მშვი-
დი ხასიათი; არჩია ისევ მეზობელთან დამოყვრება, ვიდრე
მოეყვანა უცნობი, რომელიც შეიძლებოდა ახტაჯინა და აშა-
რი გამოსდგომოდა... ქეთინო კი ყოველთვის პატივისცემით,
თითქმის მორჩილებით ეპყრობოდა ხოლმე... ამანაც თავის
მხრივ გულწმინდად, მხურვალედ დალოცა ორივენი და მოუთ-
მენლად მოელოდა მათ გვირგვინსაც... მაგრამ როდესაც გაიგო,
რომ პალიკო და ქეთინო აპირობენ საზღვარ გარედ წასვლას,
ეს უკანასკნელი აზრი ვერ მოსდიოდა ქკუაში, ძალიანაც აწუ-
ხებდა.

— მერე, შეილო, ოჯახს, მამულს ვის ანაბარა სტოვებთ? —
ჰკითხა ამან, როდესაც პალიკო გაბრწყინებულის თვალებით
უმტკიცებდა, რომ უსათუოდ საჭირო იყო ამათი წასვლა.

— შენ, დედა-ჩემო, შენ უნდა უკდო ყური.— ნატოს ასე-
თი დავალება არ ეუცხოვა, რადგან უიმისოდაც ამის ხელში
იყო მთელი მამულის განკარგულება, ნატო არა ჰგავდა მუქთა-
მკამელ მანდილოსნებს, რომელნიც მარტო კრიალოსნის თა-
მაშით და ქეიფით ათენ-აღამებდნენ; ეს, ჯერ კიდევ ყმაწვილი,
ჯანიანი, ოჯახში ჩაუფერხებლად ტრიალებდა, ყველაფერს ფეხ-
და-ფეხ მისდევდა ქმრის სიცოცხლის დროსვე და მის სიკვდი-
ლის შემდეგაც არ შემდრკალა, არ შემუმჩნევენებია ოჯახისთვის
უფროსობა, თუმცა პალიკო უმართებულოდ იქცეოდა, ამას
ყურსაც არ ათხოვებდა, ჰფლანგავდა მზად შემოტანილსა. ნა-
ტო კი მაინც მტკიცედ იდგა და რავედენადაც შეეძლო იცა-
და ოჯახს ყოველ ცუდისაგან... ღვთით, ბოლოს პალიკო სრუ-
ლიად შესხვაფერდა, სხვა ხასიათზე დადგა, შეიქნა სამაგალი-
თო თავდაცული ყმაწვილი კაცი, მარიკაც კაი კაცს მიათხოვა
და ნატომ კიდევ მომეტებულად ფრთები გაშალა. ამას უყვარ-
და თავისი შვილები, როგორც სჭირია თავ-დადებულ მშო-
ბელსა, და ყოველთვისა მათთვის ზრუნავდა... მაგრამ შვილისა
და რძლის წასვლა კი სამზღვარ გარედა აშფოთებდა...

— თუ ჩვენი ბედნიერება გინდა, დედი, ნუ დაგვიშლი...
და გზა დაგვილოცე!.. — ემუდარებოდა პალიკო... ნატოს ვე-



ღარ მოეხერხებინა გადალიანება, დაღონებული გაკვირვებით უყურებდა პალიკოს...

— რაედენის ხნით აპირობთ მაინცა?—ჰკითხა ამან ბოლოს...

— რაედენიმე თვითა... მერე ისევ მოვალთ... არც კი შეიძინე უჩვენობას... აქ იქნება ჩემი სიდედრი, მაშო, განო და სხვები... ჩვენც მალე მოვალთ...—ამწვიდებდა შვილი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, როდის მოუხდებოდათ დაბრუნება, რომელიც დაშოკიდებული იყო ქეთინოს გულის ვითარებაზე... პალიკოს თუმცა ეცოდებოდა მშობელი, უძძიმდა მისი მარტოდ დატოვება, მაგრამ ქეთინოს სიყვარულთან როგორც მშობლისადმი გრძნობა, ისე მთელი ქვეყნის მიმართ ყველაფერი ხუნდებოდა, ფეხ ქვეშ ფიანდაზად ეშლებოდა და ჰქრებოდა... პალიკო სცოცხლობდა ქეთინოთი, ფიქრობდა, ოცნებობდა მარტო მის გულისა და სულის საღებუნება-განკურნებაზე, მის დამამწვიდებელ, მაცოცხლებელ ღონისძიებაზე. მალე ყველამ შეიტყო ამათი დანიშვნა, მოდიოდნენ, ულოცავდნენ, მათ შორის განო და როსტომიც ერიდნენ. უნდოდათ დაენახათ, თუ რაედენად კმაყოფილი იყო ქეთინო, მაგრამ ქეთინომ მიიღო მხიარულის სახით ისინი, მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისათვის, არ წმუნებდა, რომ დიდი ბედნიერი და კმაყოფილი იყო... განოს ეყურებოდა ქეთინოსგან აღტაცება, რომელიც არ ეთანხმებოდა მის გამხდარ, გაყვითლებულ სახესა, თუმცა ამათ შესახებ ჩვეულებრივად მითქმა-მოთქმა ატეხილი იყო სოფელშია, ზოგი სძრახავდა ოქროს, სიამოვნებას აცხადებდნენ ქეთინოსა და პალიკოს შეუღლებაზე, ზოგი წინააღმდეგს გაიძახოდნენ. პალიკო და ქეთინო კი ყურადღებას არ აქცევდნენ ყველა ამას, ელოდნენ ქრისტიშობის მარხვის გასვლას, რათა ჯვარი დაეწერათ. მანამ პალიკო დაიარებოდა ქეთინოსთან, მთელ ღღეებს თითქმის მასთან ატარებდა. პალიკო ხშირად უკითხავდა წიგნებს ქეთინოს და სხვებიც ყურს უგდებდნენ.

— ქეთინო, შენ რაღას იტყვი... თავი დაეანებო კითხვას, თუ განვაგრძო?—მოუბრუნდა პალიკო ქეთინოს, როცა მაშომ წიგნი წაართვა.

— რასაკვირველია. ძალდატანებისგან ყელი გეტკინება.— მოესმა ზრუნვით აღსავსე პასუხი.

— კარგია, გენაცვა, ქა, ახლა მომავალ საქმეზე ვილაპარაკოთ.— დაუმატა თეკლემ.

— როდესაც წარმოვიდგენ, რომ ამ ორ კვირის შემდეგ ჩვენთან აღარ იქნებით, გული დამიწყებს კენესასა.

— არა, შეილო, გულთან კენესას რაღა საქმე აქვს? მიხარიან რაკი ქეთინო და პალიკო მიბედნიერდებიან... რა ვუყოთ, რომ მიდიან, ნეტაი შენც აგრე მოგიშორო, არც მაშინ ვინაღვლი. მე და ჩემი მძახალი ნატალია ერთად დავრჩებით და დავტკბებით შვილების ნეტარებითა. დღეს რატომ არ ვადმოვიდა, შეილო, დედა-შენი?—ჰკითხა ბოლოს...

— ისიც თქვენსავით ფუსფუსშია. გვამზადებს... რის ვაივავლობით დავამშვიდე, დავარწმუნე, რომ მალე დავბრუნდებით-მეთქი...

ესენი რომ ლაპარაკობდნენ, ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ნინო თავის თმა-ხუჭუჭა ბიჭითა, რომელიც ლაზათიანად სუფთად ჰყავდა ჩაცმული. ნინოს სახესაც მოშორებოდა განწირულება, თუმცა ისევ თალხებში იყო, მაგრამ მაინც თვალები უბრწყინავდნენ იმედითა. ოთხი წლის შაქრო უხასდებოდა ყველა აქ მყოფთ, ეტყობოდათ ძალიან ანებივრებდნენ.

— წადით, შეილებო, ჩვენ აქ დავრჩებით და ნინოს დახმარებით ვიცხოვრებთ. მოგიმზადებთ სხვა-და-სხვა შესანახ საწურებს და მოგვლოდებით.— განაგრძობდა თეკლე.— ნინო ამ დროს ვახშამსა შლიდა. ამასაც ოდნავის ღიმილით გაპობოდა ტუჩები, როდესაც უყურებდა ქეთინოსა და პალიკოს. მოაგონდებოდა თუ არა თავისი უდროოდ გაყრილი პავლია, თავ-შემაგრებით ამოიოხრებდა.

— სამი წელიწადი კიდევ და შაქროსაც სკოლისკენ თავს ვუკრავთ! არა, ქეთინო, ეს შენი სურვილია?—წარმოსთქვა პალიკომ.

— ოლონდაც...—ამან გაუწოდა ხელი შაქროს, რომელიც მაშინვე მივიდა, მოეხვია ქალსა და დაუკოცნა ლოყები.

— გინდა სკოლაში, ბიჭიკო?—ეკითხებოდა ქეთინო.

— მინდა, რატომ არ მინდა!—იმეორებდა პატარა. ნინოც ამ დროს ბედნიერი იყო.

— ღმერთმა თქვენი თავი უცოცხლოს მაგასა, რატომ არ მოინდომებს... რა ღმერთი მომასწრებს, რომ ევ მაინც არ დამიჩაგროს უსამართლობაში...—ჩაილაპარაკა ამან.

— ნუ გეშინიან, ნინო, ჩვენ აქა ვართ, შაქროს ისე გაგიზრდით, რომ პირველი განათლებული ქართველი გამოვა.—უთხრა პალიკომ.

— თქვენი იმედი მაქვს, შენი ჭირიმე, ჩემო ბატონო!—ქეთინო მადლობით უყურებდა თავის საქმროს.

— შენი ცოდვით მაინც კარგი არ დაემართა როსტომსა. ვერ აღინა ცხვირში ძმარი გრიგოლამ... ე რაც ებადა, სულ ხელში კი გამოაცალა და!..—განაგრძობდა პალიკო.

— ვიშ, შერცხვენილები ვართ მაგისაგან. სასახლეც კი აღარ დარჩა. გრიგოლას ქირას თურმე აძლევს პირიქითა!—შესძახა თეკლემ და თავი გადააქნ-გადმოაქნია.

— ნეტაი თქვენა, დედა-ჩემო, რა დროს ეგებია! წამოდით, შემოუსხედით ეახშამსა!—წამოიძახა მაშომ.—ნინო, გეთაყვა, შეშა შეუმატე ბუხარსაც, რომ გაგვიმხიარულდეს, სიძე მხიარულადა გვყავს...

ვახშმის უკანაც კარგა ხანს ილაპარაკეს ამათ. ღამის პირველი საათი იყო, როდესაც პალიკო წავიდა. მომავალი დღესასწაულები მხიარულად გაატარა ქეთინოსა და პალიკოს ოჯახში. დადგა ქორწინების დღეც. ერთ მზიან კვირა დღეს გადიწერეს ჯვარი. ორი კვირის შემდეგ გაემგზავრნენ, რათა შეესრულებინათ თავიანთი განზრახვა, პალიკოს აღმოეჩინა ქეთინოს დაწყლულებულ გულისათვის გამკუთრებელი მალამო და ესახელებ-ენეტარებინ.

სანსტასაა კრასთავი

(შემდეგი იქნება).

მ ე ლ ე ა

ტრაზედია ევრიკიდესი*)

მეღვა

ჭოი ზევსო და ჭეშმარიტებაჲ,
 ზევსის ასულა და შვის ნათელა!
 ეხლა ჩემს მტრებსა მუსრსა გავაფლებთ,
 ტოლებო, ეხლა ნამდვილ გზაზედ ვართ:
 ვიმედობ მტრსა მიგოს თვისი.
 როს დავიწვიტე იმედი, რომე
 განზრახვას ვეღარ აღვისრულებდი,
 კაცი აღმიჩნდა, ვითა ბოდოზი
 ნავის ბაგირსა იმას მივაბამთ,
 როცა მივახწევთ ქალაქს და ცინეს
 ჰალადისას; აწ გაგიმუღავენებ
 ჩემს განზრახვას: არ იფიქრო, რომ
 სისინარულა შენ რამე გესმას!
 მოახლეოვანს ერთს ასონსა
 გაუგზავნი და ვსთხოვ კიდე მოსკლას.
 როდესაც მოვა მტრელად დაფხვდები.
 ვეტყვი კარგი ჭქმენ, ღონე იღონე—
 მე რომ მიმუხთელე და იქარწინე
 შეთვის ასულზე. მხოლოდ ვსთხოვ, რომე
 ბავშვნი აქ დარჩენენ,—მისთვის კი არა
 მართლა დავტოვო, მტერი ვაგინო,
 არამედ მისთვის, მანდურებითა

*) „მოამბე“, № VII, 1897 წ.

მოკვდა მე იგი მეუის ასული.
 მიზეზს ვიტყვი, რომ აქ ჰსურთ დარჩენა,
 ზატარძლთან კი გავგზავნი იმით,
 თანვე ხელთ მივცემ ძღვენს, — სამსახურს
 უცხოდ ნახელავს და ოქროს გვირგვინს.
 და თუ ჩაიცვას ის სმკაული,
 მოკვდება თვითონც და ვინც ხელს ახლებს!
 მისთანა შესამსა შევასმევ ძღვენსა.
 კმარა, რაცა ვსთქვი. საშინელებად
 მიჩანს მისი ქმნა, რაც წინ მიმეღის.
 ამოწვევებ სრულად მე დეიძღ შეიღებსა.
 და ვერც არავინ ხელთ გამომტაცებს!
 ოდეს სახლობს ის ასონისას
 მე ქვეყნით ავხრც, კადვიკარგები
 შორს იმ ადგილით, სადაც ბავშვით გავწვევებ,
 სადაც ჩავიდენ მე უღთობას.
 არა, მტერს თავს... არ გავაქირდვინებ.
 წინ! ჩემთვის რაღა სიღოცნსე არის?
 არ მაქვს სამშობლო, არ მაქვს სახლკარი,
 არა მაქვს შეუღა გასაჭირთაცან.
 შევცდი, მოვშორდი მამის სამკვიდროს,
 აუევი ბერძნის რჩევას, ჭკუასა,
 მაგრამ დმერთები თუ შემწედ მევანან,
 ის დაისჯება: შეიღებს, რომელნიც
 ჩემგნით ჰეფლია, ვეღარ იხილავს
 იგი ცოცხლებსა; ვერც ზატარძლი
 მიანიტებს შეიღს: მზაკვრის სიკვდილით
 სულს ამოხდენს მას მზაკვარ ცოლსა
 ის ჩემი შესამი. ნურავინ ჩამთვლის
 ნურცა სულ-მოკლედ და ნურცა სუსტად,
 ვით მეკობრეთან გულგუთილად ვარ,
 ისე ჩემს მტრებსა არას დაზოგავ.
 ვისაც სახელის მოხვეჭა სწადდეს,
 ესე ამ ქვეყნად ჰსამს იქცეოდეს.

ხორც

რაკი ერთსელევე გვითხარ განზრახვა,
შენ სსსიკეთოდ და დასაგველად
ხალხის სჯულისა, გიშლი მაგის ქმნას!

შედეგა

არ იქნება! შენ ძალგამს იუბნა
ეგრე, როს ჩემებრ ტანჯვას ვერა სცნობ.

ხორც

განა გაბედავ შვილთა გაწვევტას?

შედეგა

მით ხომ კვეთებას ქმარს ფიცსსა დავცემ.

ხორც

იქმნები მაშინ უფულად უბედურ.

შედეგა

ვიყო! შეტია დაჯერებანი. (მოახლეს)
გასწი ესლავე და იასანი
აქ მომგვარე მე! ჩვეულ ვარ ვენდო
შენს ერთგულებას, რაც გკისმა, კრინტი
არ დასძრა მასთან, თუ ქაღბატანი
გიუვარს და ქალად დაბადებულსარ!

ხორც

ჭი, ათინელნო, ნეტართ დმერთთ შვილნო!
ძველთაგან ძველად ბედით მდიდარსართ:
შტრისგან მიუვალ მას ქვეყანაში
სიბრძნის ნაყოფი გიკეშებიათ,
ეთერის სხეტაკ ზვირთ-ტაღდებ შორის
ადვილად განუღით ცხადვრების გზასა;
ოდესმე ცხრანი დანი ზიკრიდ
აქ ჭარმონიას ქერას უშენია.
კეფისოს უცხოდ მჩქეფარ ზვირთთაგან
კიპრიდსა წყალი ამოუღია
და ზომიერის ტკბილ საამურის

ქართი შიდაშის მოუფრქვევია?
 იგი მარადის თმა შეშკობილი
 კეთილ საყნოსელ ვარდთა გვირგვინით,
 ვითა სიბრძნისა თან-მოგზაურსა
 წარმოგზავნის კაცთა სიუფარულს.

*
**

ქვეყანამ, სადაც ნაკადულებსა
 წმინდა წყალთა ბინა აუჩენიათ,
 ქალაქმა, სადაც ძველთაგან ძველად,
 ზატოვის სტუმენ შეგობრობისა,
 შენ, ბავშვთა მკვლელი, ვითა გიგუნ
 თვისა წიადად? დაფიქრდი ერთი,
 თუ ვისი მოკვლა გადგიწვევია!
 უგულანი გვედრით, რომ უკუ აგდოთ
 განზრახვა ეკე მოსისხრობისა!
 შენმა გონებამ ვით შეიწყნაროს,
 შენმა გულმაცა ვით მოითმინოს, —
 რომე ბავშვებსა ხელი შეახო
 მას შებედვისა საშინელ ჟამსა?
 მათ, ვისაც მოკვლის აღთქმა დაუდე,
 უცრემლოდ როგორ უნდა შესედა?
 ოდეს ბავშვები ხახვითა მოვლენ
 შენსა წინაშე და ზატოებს
 გთხოვენ, შეტეძრის გული—მათ სისხლით
 ხელებსა ვეღარ გაისვრი მაშინ. (შემოდის იასონ)

იასონ

გეხმე, ვიახელ. ხომ გძულვარ, მაგრამ
 ჩემგან უარსა შენ ვერ მიიღებ.
 გიუურებ: აბა რას ითხოვ ჩემგან?

მედა

იასონ! გვედრი მაზატო მუ,
 თუ რამ კვადრე, ჩემი გაწყრომა,

ჰქნას, აიტანო მორჩილებითა,
 მისთვის რომ ჩემგან ბევრჯელ გინახავს
 სიუფარული. რა დაფიქრდი კარგად,
 თავს შემოვიკარ: მე უბედური
 რისთვის ვსულელობ ტუეილ-უბრალოდ
 და ვურისხდები მას, ვინც მშეგობრბს?
 რად ვკმტერები ქვეყნის მეფეებს
 და ქმარს, რომელმაც სიკეთე დამდო
 მით, რომ შეირთო მეფის ასული
 და ჩემს შვილებსა ძმები უბოძა?
 შორს ჩემგან გულის უჭათობავ, შორს!
 რისთვის ვიტანჯო, ოდეს დმერთები
 ისე მოწყალედ იმყოფებიან?
 ან თუ შვილები დამვიწყებია?
 ხომ ექსორია მოგველოდება,
 სადაც ვერ ვზოვებთ ვერც ურთს მეგობარს.
 ესრედ ვფიქრობდი და სისულელე
 ჩემი შევიგენ, ვნახე ვწერებოდი
 სრულიად ტუეილად. ეგ შენი ქცევა
 დიდაც მომწონს. ჭკუა ჰქმენ, რომე
 იმ ოჯახობას დაგვაკავშირე,
 უჭკუო ვარ მე! უნდა შემეტეო
 შენი განზრახვა და ქორწილისთვის
 ხელი შემეწეო და სინარულით
 მემსახურნა მე შენის ცოლისთვის!
 ეველა ქალები ამ გვარები ვართ —
 ცუდი უნდა ვსთქვათ: სჯობს რომ გაფრუდე.
 მაგრამ არ უნდა ცუდი მომაგო,
 და სისულელე სულელებერ ქცევას
 არ შეაკებო. გნებდები: მაშინ
 უგნურად ვსჯიდი; ესლა კი საქმეს
 მეტის ჭკუით ვსჯერეტ. ოჰ, შვიდნო, შვიდნო,
 აბა გამოდით თქვენი აქ სახლითგან.

(ბავშვები შემოდინ სენახე ლალასთან ერთად)

ერთად ჩემთანა მამას აკოცეთ,
 ერთად მასთანა იმუსაიფეთ,
 ნუ გაიხსენებთ უმანდელ მტრობას,
 როგორც რომ დედას იგი არ ახსოვს.
 ამიერ იურს მშვიდობა ჩვენში
 და არა მტრობა, ხელი მოჭკიდეთ!
 ვაიმე! ერთსა საიდუმლოსა
 საშინელსა ვსჭვრეტ... შვილებო, განა
 დიდს ხანს დატყაფდესთ ემაგნაირად
 ხელების გაწვდა? ოჰ, მე საწყაღსა
 როგორ მიხელთებს შიშისა ზარი,
 როგორ მერევა თვალეში ცრემლი!
 ხომ სახეს ცრემლი კურცხლად მისთვის კდისთ,
 რომ შეგურიგდი მე თქვენს მამასა.

ხორა

ჩემს თვალებსაცა ცრემლი ადინე;
 ამით დასრულდეს შენი ტანჯვანი!

აისან

მაგისთვის გაქებ, ძველს არ გაუგედრი.
 მეორე ცოლის შემერთველ ქმარზედა
 ქალთ არ ეძახვისთ გულძვირად ეოფნა;
 შენ სასიკეთოდ გამოგაცივლია
 გრძნობანი შენი, ბოლოსაც ჭკუას
 გაუტანია. გულის ხმიერა
 ცოლი ჭხამს ეგრე მოიქცეოდეს.
 თქვენთვის კი, შეიღწინო, ღმერთთა შეწევნით,
 მამა ზრუნვას სწევს, რაც რომ ღონე აქვს,
 ვგონებ ოდესმე თქვენ ძმებთან ერთად
 კარინთს ზირველსა ადგილს დაიჭერთ,
 ოღონდ დამთავრდით! სხვაფორივ კი მამა
 დაშვრება თქვენთვის და ღმერთიც თქვენა
 მწყალობულია. ნეტამც შენახოს,
 ხანში რომ შეხვალთ, თქვენ მიერ ძლევა

ჩემის მტრების! შენ რაღად ღვრი ცრემლს
და მისმენ სიტყვებს გაუსარულად?

მედეა

ეგ არა! ფიქრად მომდის, რომ ბავშვნი...

იასონ

გულ-მშვიდად იუა! მათთვის ვაზრუნებ.

მედეა

ვეცდები. სიტყვა ეგ შენი მჯერა,
მაგრამ ქალი კი ცრემლთ ამოღია.

იასონ

რად სტირი, ბუნავ, შენ ბავშვებისთვის?

მედეა

დედა ვარ მათი. შენ მოისურვე
სიცოცხლე მათი და დავმწუნხარდი,
ვა თუ ვერ ახდეს, ზოგი რამ გითხარ,
რისთვისაც გიხმე; დავსძენ მე კიდევ:
რახან მეუფეს ჰსურს ჩემი განდევნა
(საუმჯობესოდ მიჩანს ეს ბედი),
რომ აქ ცხოვრებით არ დაგაბრკოლო
არც შენ; არც მეფე — ხომ მტრად მიტყევენ, —
ქვეყნითგან წავალ მე ექსორიად.
მაგრამ თვითონვე რომ შესძლო ბავშვთა
თვალის დევნება, სთხოვე კრეონსა,
რათა იგინი ადარ განდევნოს.

იასონ

არ ვიცი, იზამს თუ არა: ვნახავ.

მედეა

მაშ შენს ცოლს უთხარ მამას ევედროს
განდევნისაგან იგინი იხსნას.

იასონ

კარგი! მკონია დაიყოლიოს,
ქალადაც მისთვის დაბადებულა.

შედეა

წილსა დაუუღებ მე შენს ზრუნვაში:
 ბავშვთა ხელითა მივართმევ ძღვენსა,
 რომლის მჯობის ქვეყნად ვერა ვხედავებ, —
 უცხოთ ნაქსოვსა შესამოსელსა
 და ოქროს გვირგვინს. ერთმა მოახლემა,
 ვინც უნდა იყოს, ჩქარა შინითგან
 მთარბენინოს ის სმკაულა!
 ერთჯერ კი არა, ასჯერაც იტყეს
 იგი ბედნიერ, შენებრ ჩინებულ
 ქმარს რომ გამოჰყვა და იძღვნა ძღვენი,
 რომელიც მას ჩემს ზნას ზელიოს
 შვილიშვილთათვის უჩუქებია.
 შვილნო, ქორწილის მოსაკითხია!
 მართვით სეფე-სასძლეს სვანსა!
 არ დაშიძრახოს, ძღვენად მიითვალეს.

იასონ

ოჰ, უკუნურა! რად აკლებ შენ თავს?
 თუ გგონია, რომ შეფეთ ჩარდახში
 ტანისამოსი ნაკლებად ივეს
 ან ოქრო ნაკლებ იხვევებოდე!
 შენ დაიტყვი! თუ იმას რამე
 უადრი აქვს ჩემი, არ გასცვლის განძი.

შედეა

ნუ იტყვი! ძღვენი ღმერთებსაც აცდენს;
 ოქრო უფრო სჭრის ან ბრძნულ სიტყვაზე,
 ღმერთი მისკენა და სწუალობს კიდევ,
 იმას სიქაროვე ტანთ ადგზნებია:
 შვილნი გაურისგან ოქროთი კი არ,
 სიცოცხლით მზად ვარ, რომე დავიხსნა.
 გასწით, შვილებო, დიდებულ სრასა!
 მართვით თუ არ ძღვენი მას ქართვას

მამის მეუღლეს, ჩემს ქალბატონსა,
 სთხოვეთ, ევედრეთ, რომე აქ დარჩეთ!
 საჭიროა კია მან ძღვენი იგი
 ხელთა აიდოს. ჩქარა გასწიეთ,
 აღასრულოთ რა დაბარებული,
 დედასთან მოდით კარგის ამბითა! (ბავშვები და იასონ სკუ-
 ნას დასტოვებენ)

ს არა

გაწედა იმედი, რომე ბავშვები
 ცოცხლები დარჩნენ. აღსრულებულა!
 სიკვდილს უცილოდ ჩაეკონიან.
 ის ახალგაზდა ოქროს გვირგვინსა
 მიიღებს თვისდა საუბედუროდ.
 ოქროს და ლაღსა იგი სამკაულს
 ბედის წერისას შიგან ჩაიწინის —
 ელვარება და არ-საწუთრო
 შვენება ძღვენთა სცდურ ექმნება:
 დაიდგამს თავსა ოქროს გვირგვინსა
 და ტანთ ჩაიცვამს შესამოსელსა:
 მაგრამ მკვდართ შორის დაამშვენებენ
 იმ ზატარძელსა. მისთანა ბედეს
 გაბის იგი და მით სიკვდილსა
 ბედის ნაწერსა ხვედრად მიიჩქმევს.
 ბედს ვერ წაუვა. ბედშეზო ქმარო,
 გამგებლის სიძევ, შენ კი არ იცი,
 რომ ბავშვებს ღუზავ და განუმზადებ
 შენს ცოლს სიკვდილსა წამებისსა.
 შენ უბედურო, რა რიგად შესცდი!
 საწყალო დედავ, შენს ტანჯვას ვდარდობ:
 გასწევებ შვილებსა შურის სკებლად
 კანონიერის საწოლისათვის,
 შენმა მეუღლემ რომე დაგდო,
 რა სიუვარული სხვისა ირჩია.

ღაღა (შემოდის ბავშვებით ერთად)

ოჰ ქაღბატონო, ბავშვთა განდევნა
 გამოუცვლიათ, შეფის ასულმა
 ძღვენი აიღო სინარულითა.
 შეფის ჩარდახში ბავშვებს ეველანი
 შეჭრიკებიან.

შედეა

იულისტა ეგრე!

ღაღა

ამ ბედის მომსწრე რამ აღგაშეოთა?
 გაუნარულად ეგრე რად დამხვდი?

შედეა

ვაი, ვაიშე!

ღაღა

ჩემს ამბავს ეგრე კი არ შეშვეენის.

შედეა

ვაიშე! — კიდევ!

ღაღა

ეგებს ცუდი რამე განარე
 და შენდომითა კარგად მივიდე?

შედეა

რაც უნდა მითხრა, არ დაგუჟედრი.

ღაღა

რასდა ჩაჭკიდე თავი და სტირი?

შედეა

ბერი-კაცო შე უნდა ვსტიროდე,
 არ სასიკეთოდ ესე განზრახვა
 გუფს ჩაუღვიათ ჩემთვის ღმერთებსა.

ღაღა

მხნედ იყავ! ბავშვთა მიზეზის გამო
 კვლავ ესტუმრები აქაურობას.

მედეა

მედეა

ჟურ გავისტუმრებ სხვებს სიაქიოს.

ლალა

ბავშვებს მარტო შენ ხომ არ დაშორდი.
სიკვდილის შვილმა, ჭხამს, თავმდაბლობით
ჭირსა გაუძღვას.

მედეა

გორეც მოვიქცე. შენ კი შინ გასწი
და დაუმზადე ბავშვთ ვეკლავური,
რაც ერთს დღეს უნდათ. (ლალა გადის)
აჰ შეიღწე, შეიღწე, თქვენ გაქვთ მამული,
გაქვთ კარ-მიდამო, სადაც მე, საწყაას
რაკი დამტოვეთ, იცხოვრებთ დედის
სამარადისოდ დამკარგველები.

მე კი დევნილი უცხოეთს წავალ,
გაუხარელი თქვენგან, ვერ მომსწრე
თქვენის ბედისა, ველარ მოგიერთავთ
სეფის საწოლსა და ზატარძლებსა,
ველარ ავინთებთ ღამზარ-ჩირადებს.

ზნე-უჯათობა წყაროა ყოველ
ჩემ გასაჭირთა. ესე შვილებო,
ტუილ-უბრალოდ გამომიზრდისართ,
ძეობის იგი სიშიში ტანჯვა
ტუილ უბრალოდ ამიტანია.

მე უბედურსა ცოტა იმედი
არ მქონდა თქვენი, რომ იქმნებოდით
ჩემთვის ბურჯად მას სიბერის ჯამსა
და მკვდარს მიწასა მიმზარებდით
ზატოლსებით — სიკვდილის შვილთა
სახარბილო ხეგდრია ესე!

მაგრამ ეხლა კი მე ყოველივე
სატრფო იმედი გამქარწყლებია,

უნდა ვცხოვრებდე მარტოაზ რხრად
 თქვენ მოშორებით და მას იქით
 ვეღარ იხილავთ დედა-მშობელსა,
 ჩემგან წარსულნი სხვა ქვეყანაში
 საცხოვრებლად. ვაჟ მუ! რად მიმზერო?
 რად ილიშებით უკანასკნელად?
 ოჟ, რა ვუერო მე? გული ჩამწედა,
 როს დავინახე ბავშო მნათი სხე.
 ვერა, ვერ გავსძლებ. შირველო აზრო,
 განვედი ჩემგან! თანვე წავიყვან
 ჩემსა შვილებსა ექსორიაში,
 რომე იმათის ამოწევეტითა
 მამა ჩავაგდო მე სატანჯველში.
 რად დავინახო თავი ორწილად?
 ეს არ იქნება! შორს შორს, განზრახვავ!
 მაშ რა შემართვის? თუ ჩემი მტრები
 ვაგინო ჩემსედ, არ გადაუხადო
 სამაგიერო. დროა გაბუდო!
 რა სულ-მოკლე ვარ, რომ აველოივარ
 ღმობიერს აზრებს! შინ გასწით, შეიღნო!
 ვინაც რომ გულმა ნება არ მისცეს
 უუეროს მსხვერზლსა, წავიდეს იქით!
 ეს ჩემი გული არ შემაერთებს!
 ვაჟ! გულო, ნუ იქმ, ეს ჩავიღინო!
 ცოცხლები დარჩნენ! შე უბედურო,
 ნუ გაიმეტებ: გაგახარებენ
 დევნილობაში. არა, ქვესკნელის
 ვფიცავ სულებსა შურის მტებელსა,
 ეგ არ იქმნება! არცა ვაგინებ
 მტერსა შვილებზე. მათთვის ერთია,
 უნდა ამოწეღნენ. მაშ თუ ასეა,
 მშობელი თვითონ ამოგსწევეტ იმათ.
 მათი ბედა და ვერც წაუგდენ!

დიად, ვგრძნობ, კვდება გვირგვინისა
 და ტანთ მისილი შეუვის ასული.
 ტანჯვას ვადგივარ, მაგრამ იმათ კი
 სატანჯველს მივცემ უფრო შიშისა.
 მინდა, რომ შეიღებეს გამოვეთხოვო,
 მოეცით, შეიღებო, მოეცით ხელნი
 თქვენსა დედასა და დაგოცნისთ!
 ოჰ, ზირო ბადრო, თათო ფუნჩუღავ!
 სახე და ტანი მათ რამდენს უთხრობს
 კეთილ ზნეობას. ნეტარ იყავით,
 მაგრამ იქ! მამამ თქვენმა წაკართვათ
 ეგ ნეტარება საჩქარო,
 ტკბილ შესახებო, ოჰ ნახო კანო,
 ოჰ, სულთა მშენივავ საკვირელებავ!
 მადით საჩქაროდ! აღარ მაქვს ძალა,
 თქვენ შეგუებდეთ: ტანჯვა მერევა.
 დიად, ვგრძნობ, რის ქმნაც გადმიწვევითა,
 მაგრამ გულის თქმა მძლავრობს გონებას,
 გულის თქმა წყარო დიდთა ცოდვათა. (მეღვა დარჩება და უც-
 ქერის მეფის სასახლეს)

ხორა

ხშირად გონებით გადგვიწვევითა
 მეტად ძნელი რამ, ხშირად გვიბრტყია,
 რა დგას უმადლეს გულის თქმაზედა,
 რასაც ვერ სწვდება ეს ჩვენი სქესი.
 ჩვენც ხომ გვაქვს ნიჭი ჭკვათა-უოფისა,
 საბრძნის მხლებელი მიუცილებლად,
 თუ ეველას არა, ზოგიერთს მაინც.
 მუხთ შეიშენევენ დედაკაცებიც.
 მითქვამს, სიკვდილის შეიღებში ვისაც
 არ გასჩენია შვილი, არ იცის
 ძეობის გრძნობა, იგია უფრო
 ბედნიერ მახედა, ვინცა შეიღონობს.

უშიღოდ ეოთა და ბავშვთა ეოლის
 სიტკობა-სიმწრისა განუტდელობა
 ბევრ მწუხარებას აშორებს იმას.
 ვისაც ბავშვები შინ ახვევია,
 იგი შინახავს, სიტყვების დღეთა
 დაჭლევის მამურალი ნაღივლით, ზრუნვით.
 ამაგობს ჟერეთ, შვილნი დაზარდოს,
 და სარჩა-საზრდა მათ დაუტევოს,
 მაგრამ გამოვლენ კარგები თუ არ,
 ვისთვისაც ის სწევს შრომას, ჭათასა,
 ამის ცოდნა კი მის ხელთ არ არის.
 და, აჰა, სარჩიც შეუძენია,
 შვილთაც გათურჩქენის დრო დასდგომიათ,
 კარგნი დამდგარან. და ერთიც ვნახეთ,
 ჯოჯოხეთისა სამკვიდრებულში
 წარიტაცებს მას დმურთი... სხვა ჭირთან
 ამ მწარე ნაღველს - ბავშვთათვის ტანჯვას
 დმურთნი სიკვდილის შვილთ რად ასმევენ?

შედეა

ტოლ-მეგობრებო, დიდი ხანია
 ამ ადგილს ვდგავარ და ვიციდი, აბა
 შინ რა მოხდება. (მოახლოვდება შოამბე)
 იასონისა ვხედავ მისხურსა
 მას მომაყადსა. მოსწრაფებულნი
 სუნთქვას მიქადის, რომე მაუწყებს
 ახალსა რამე უბედურებას.

შოამბე

შენ საშინელო ძვირის მომქმედა,
 რბოდე, შედეა, დაუეოფნებლად,
 ხელში რაც მოგხედეს, ნავი თუ ეტილი.

შედეა

გაქცევას რისთვის მაკისრებინებ?

მოამბე

ეს არის ესლა შენის შხამისგან
მკვედა ის ქორთვა მეუთის-ასულა
და კრეონიცა იმისი მამა.

შედეგა

კარგი ამბავი მახარე, იუავ
ამიერთგან ჩემი მკეთე
და შეგობარი.

მოამბე

რას ლაზარაკობ? ქალო, ჭკუაზედ
ხომ არ შემტლარხარ? კერა მეუთისა
კაცის მკველითა წაგობილწავს
და ეს გინხარის, არ გეშინია?

შედეგა

შენდა ზასუხად მაქვს მე სათქმელი,
მაგრამ ნუ ჩქარობ, კაცო-მკეთე!
მითხარ, თუ როგორ ამოწვევტილან?
ორწილ მახარებ, თუ დახრცილან
საზარის ტანჯვით?

მოამბე

მამასთან ერთად ორნივე ვაჟნი
ოდეს მოვიდნენ და ზატარძლსა
ხლებით ეახლნენ შიდა ოთახში,
ჩვენ გაგვეხარდა, შენის ტანჯვისგან
დატანჯულთ მსახურთ, მაშინვე სიტყვა
ჩამოვაცდევით, რომ ქმართან ძველს ჩხუბს
ბოლო მოუღეთ, ერთი ხელს ჰკოცნის
ბავშვებს, მეორე თეთრ გრუზა თავსა.
სიხარულიდან ქაღის ოთახში
მე შევირბინე. ქაღბატონმა კი,
რომელსაც ესლა ვემსახურებით,
ვერ შეამჩნია შენი ვაჟები,

თვალი აისრის გადაუღალა,
 ხელთ თვალები მერმე დასუტა
 და ფერმიმკრთალი ზიძი იბრუნა
 ბავშვების მოსვლით გაჰფრებულმა.
 მაგრამ ქორთა ქალს გულისა წყრომა
 შენმა შეუღლები დაუცხრო და ჰქრქვა:
 ანუ მტრობ ნათესავს, გულს ნუ მოიყვან.
 და თავი ჩემკენ გამოიბრუნე!
 ვინც ქმარს ჰმეგობრობს, მას ემეგობრე!
 მიიღე ძღვენი, მამას ვუვადრე,
 ბავშვებს განდევნა გაუბათილონ
 ჩემის გულისთვისა. მან სანკაუღლს
 რა მოჰქრა თვალი, ვერ მოითმინა
 და ქმარს აღუთქვა ეგელაფერს ვიქო.
 სახლს რომ დაშორდნენ მამა-შვილები,
 ქალმა სამოსი ტანთა ჩაიცვა
 შეისვე და თავსა, გრუზა თმანსა
 აქრას გვირგვინი ზედან დაიდგა,
 და იწყო ცქერა ბრწყინავ სარკეში,
 დიშით შემზერდა თვის მკვდარ სახესა;
 მასუკან ადგა სავარძელითგან
 და თოვლსავითა თვისს თეთრსა ფეხსა
 აატაკსა ძლივს თუ აჯარებდა,
 ისე ოთახი შემოიარა,
 საჩუქრით მეტად აღტაცებული,
 ცერზე დგებოდა, თანვე თვის თავსა
 უკნით დამზერდა. მაგრამ საშიში,
 აჰა, სურათი თვალთ წარმოგვიდგა:
 სულ შთლად გაფითრდა, განზე გაიჭრა
 და უკველ სახსარ ათროლოებული
 ძლივს დაეწია თვისსა საწოლსა
 დაუცემელად. აქ ფიქრად მოსდის
 მოხუცს მოახლეს, უთუოდ რისხვა

ზნის ან სხვა ღვთის მას ეწია
 და უღოცაგდა, სანამ არ ნახა,
 რომ ღუჟი ზირსა გადმოსდებოდა,
 რომე თვალები გადმოექანა,
 რომ ტანთ სისხლისა წვეთიც არ ედგა.
 მაშინ გონება კვნესად აქცია,
 წუთს ერთი მაშის ოთახს შეგარდა,
 ჭაბუკს შეუღლეს ეცა მეორე,
 სანქაროდ მათთვის ეუწებინა.
 უბედურება, აღაქათი
 შინ დიდი ატუდა. კაცი ფეხმარდი
 მოიჭრებოდა, ექვსი ზღუტრთის
 გზად გამოშვლელი, ვიდრე თვალები
 ახილდა და ხმა დაუბრუნდა.
 ერთი საზარლად დაიდრიალა
 და ჭკვას მოვიდა. ორ წილად ბრძოლა
 მას მოუვიდა: ოქროს გვირგვინი
 გარემოს თვისსა ხეთქდა საზარელს
 ცეცხლის მდინარეს, ტანთ საცმელი კი
 ის საკვირველი, შენ შვილთ ნაძღვნივე
 საწყალბოელსა ნახს ხორც უჭამდა.
 წამახდა, იწყო ავარდნ-დავარდნა
 ცეცხლ-მოღებულმა, — აქეთ-იქითა
 თავს ახეთქებდა, გვირგვინი რომე
 თავით წაეძრო. ოქრო კი იმ დროს
 ღრმად ეჭდებოდა, ოს თმის არეუდა.
 დაემხო მიწას, ბრძოლის ვერ შემძლე;
 მხლელად-და მამა ეხლა ტოპილობს!
 ვერ შეამჩნევდი, სად ჰქონდა თვალნი;
 სახე სრულიად გაუჭებოდა.
 სისხლის წვეთები, ცეცხლ-ნარევი
 თავს ჩამოსდიან, ვითა ფიჭვის ცრემლი,
 ხორცის ნაფლეთი ძვალს ისე სცვივა,

იმ სასიკვდილო საწამლავისგან.
 საშინელი რამ სანახავია!
 ვერვინ გაბედა ლეშის შეხება.
 მის ბედი უველას თავზარსა გვეცემდა.
 საწყალმა მამამ არა იცოდა,
 შეიჭრა უტბად, ლეშს დაეძგერა
 და დრიალითა ხელი წაავლო
 გვამსა, ჭკოცნიდა, ესრედ მოთქმიდა:
 «საწყალო ქალო, ვინ დმერთთაგანმა
 ეგერე უწყალოდ ბოლო მოგიდო,
 ვინ დააბლა მოხუცებული
 სამარის კარსა? ვაი, ვაიმე!
 მოგვედე მეტ შენთანა. და რომ გაჭერდა
 ტირილითა და უძღური თავი
 იატაკითგან ჭსურდა წაედო
 მის სამოსელთან, როგორც რომ სურო
 ნორჩისა დაფნისა, იგი ჩაეკრა
 და საზარელი შეექნა ბრძოლა:
 მოხუცი ცდილობს ფეხი გამართოს,
 სამოსელი კი უჭირავს ხელთა:
 რაც ძალი აქვს, სწევს, ძვალთაგან იგლეჯს
 იგი უძღურ ხორცს. მაგრამ გაუწედა
 საწყაღს ილაჯი, სული დაღია.
 გაჭირვებასთან ვერა გააწეო.
 ერთმანეთისა ახლოსა ჰყრია
 ლეშები — ქალის და ბერი მამის!
 კაცი ვერ ნახავს, რომ არ ატირდეს.
 არაფერს გეტყვი, თუ რაც მოგელის,
 თვითონაც ძაღვობს სასჯელს გადარჩე.
 მე მოლანდებად მიჩანს, რაც არის
 ამ ჭვეუნაზე და მზადაც ვარ,
 რასაც კი ვფიქრობ, კანნიერად ვსთქვა:
 ვისაც რომ თავი ბრძენი ჭკონია

და ცდილობს მისწვდეს სუეველაფერს,
 ხარჯავს უველაზე მეტ სისულელეს;
 სიკვდილის შვილთა შორის სვიანა
 არავინ არის: ერთი მეორეს
 შესაძლო არის წადმართ სჯობნიდეს,
 თდეს წუალობა თავსა იფრქვევა,
 ბედნიერება კი არსად არის. (კადის)

ხორა

ბედი უთუოდ ბევრ ჭირს აუტებს
 ამ დღეს იასონს. ახიც იქნება.
 შენი სიკვდილი რა რიგ გავწუხებს,
 საბრადო ქალო კრეონისაო.
 ჩახველ ჯოჯოხეთს მის გულისათვის,
 რომე იასონს ცოლად გაჭეკვი.

მეფა

ტოლ-მეგობრებო გადმიწვევითა
 ესლავ შვილებსა ბოლო მოვუდო
 და შორს წავიდე მე ამ ქვეყნითგან
 ხანდაზმულობით, რომ არ ჩავყარო
 მტრის ხელთ შვილები დასახცოცავად;
 მათთვის ერთია, უნდა ამოწედნენ.
 რახან ეგრეა, მათი მშობელი
 თვითონვე დავხცო. გამაგრდი გულო!
 რასლა ვაყოვნებ საზარელ საქმეს
 ჩასადენელად მიუცილებელს?
 ბედმავე ხელო, იმეარ მახვილი!
 წარუედ იქ, სადაც ცხოვრება მწარობს.
 ნუ სულ-მოკლეობ, ნუ გაგონდება
 შვილთ სიუვარული, მათი დედობა.
 ამ მცირეს დღესა შენ დაივიწყე
 შვილნი! მერმელა მოთქმით იტირე!
 შვილები თუმცა უნდა გავწვევითო,
 მაინც ძვირფასად მიჩანს. ვაკლავ მე! (გავა და ბავშვებს
 გაიყოლიებს)

ხორა

ოჰ დედამიწავ! ოჰ მზისა სხივნო!
 გამომართეთ აქით, იხილეთ
 ეს დადუბვილი ქალი, ვიდრე მას
 შეიღთათვის ხელი არ შეუხია:
 თქვენ ოქროვანთა გზათესაობენ.
 დურთების სისხლს კი უქადის შიში
 ადამიანის ხელით დანთხევას.
 მზისა ნათელი, შენ ღვთაებრივო,
 დაიჭი, დედა მას დაუწყენარე,
 დაისხენ სახლი ესე მონისხრის,
 შურის გებაში ბრმა ირინისგან.
 ამაოდ სტადე ძეობის ტანჯვა,
 ამაოდ მიეტ შვილებს სინოცხლე
 შენ, ვინც გადურხი სიმძლეკადის კლდეს,
 სორეტს ვერვისგან თავ-დასაღწევსა!
 რა ბრახის რისხვა ეწია შენს გულს?
 შურის გება გსურს ბავშვთა დახრცვით:
 ხომ დანთხეული ნათესავთ სისხლი
 მძიმედ სიკვდილის შვილთ დაწვეება
 და ჭირი ღვთისგან, ბრადის საწყაო,
 მოეგლინება სახლეულობას.

ერთი ვაჟთაგანი (შინ)

ვაი, რაღა ვქნა? სად დაგემალა
 შე დედა-ჩემისა?

შეურე ვაჟი

არა ვიცი-რა, ძვირთესო ძმაო, —
 დავიღუპებით.

ხორა

არ გესმის განა გოდება შვილთა?
 ვაი შენს თავსა, ბედშავო ქალა!
 შევიდე შინ. ჭხამს, შვილები სიკვდილს
 გადავარჩინო.

ვაჟები

ტვიშველეთ ერთი! ხელი მოკვეცილთ:
 კხლავ კავნდებით მახვილის მსხვერპლი.

ხორც (დადგება დახშულის კარის წინ)

შე უბედურო, ქვა სარ თუ რკინა,
 რომ გსურს შვილები, შენა ნაშობი
 თვითვე დახრცო? ძველ ქალთა შორის
 მხოლოდღა ერთმა, ვიცი, შეასო
 ღვიძლ შვილებს ხელი: ის იყო ინო,
 დმერთთაგან ხელი, ზევისის მუდლვე,
 ოდეს სახლითგან უგუნურობის
 მსხვერპლი განადო. ზღვაში ჩავარდა,
 საწყალობელი, ჩაიძინა რა
 საქმე საზარი; ნაზირით ფეხი
 ზღვის მორქვს მისცა, სიკვდილი ჰმცა
 შიგ ბავშვებითურთ. კიდე რა და რა
 საზიზღრობასა მოველით შენგან
 დედა-კაცისა, თჳ, სარცელო
 მრავალ-ტანჯული? რამდენ გასაჭირს
 შენ დაუხვედრებ სიკვდილის შვილებს! (შემოდის იასონ)

იასონ

მითხარით, ქალნო, —სახლს ახლო მდგარნართ—
 მედეა საზარ საქმის ჩამდენი
 აქ არის კიდევე, თუ გადისვეწა?
 ან ქვესგნელს უნდა ამოეუაროს
 ან აღიშართოს მადლა დრუბლებში,
 თუ მეუის სახლსა სისხლს არ გადაუხდის.
 ან თუ ჰგონია, რომ დაუსჯელი
 აქითგან იგი სახლში წავიდეს,
 მეუის სისხლისა დამათხვეელი?

ისე მისთვის არ, შეილთათვის ვწუხვარ.
 დაბრიეკებული დაბრიეკებულსა
 უზღავს მაგიერს. მაგრამ მოვსუღვარ
 სიკვდილისგან ვიხსნა შვილები:
 ვშიშობ, რომ დედის უღთობისთვის
 შეთვის გვარმა არ ამოიყაროს
 ჯავრი იმათზე.

ხორც

ბედშავო, ჯერედ უბედურება
 კიდევ არ იცი სრულიად, თორემ
 აღარ იტყვოდი ემაგ სიტყვებსა.

იასონ

რა ამბავია? ეგებ სიკვდილსა
 შემუქრებიან?

ხორც

ერთავე ვაჟთა შეხვდით სიკვდილი
 დედის ხელითა.

იასონ

რა დედა-კაცო, მე მომკალი შენ?

ხორც

მაშ იცოდე, რომ ამ წუთისათვის
 აღარ არიან.

იასონ

სად ამოსწევითა, აქა თუ სახლში?

ხორც

კარი შეადე, ღეშებს იხილავ.

იასონ

ჩქარა მოემენო, ეგ ურდულები
 გადაყარეთ და კარი შეტუნეთ,
 განვიცდი ორწილ მე ვაქებსა,
 ვნახავ მომწეღართა და სასჯელს მივცემ
 ძვირის მომქმედსა!

მედეა (პაერში გველამაზ შებმულ ეტლებს
თან ბავშვების ლეშები აქვს)

რისთვის ისწრაფვი კარის შეღებს?
დაეძებ ღეშებს, დაეძებ მკვლელსა?
ტყვილად ირჯები! თუ კი გჭირია,
რაც გსურს, მითხარი, ვერ მახლებ ხელსა!
ეტლი ზელიომ ჩემსა ზაზამან
ასეთი მიძღვნა მტრისგან მფარველად.

იასან

ოჰ, დედა-კაცო, შე სსზარელო
დმერთთა და ჩემთვის და მთლად კაცთათვის!
დვიდღ შეიღთ მახვილი დედამ უგშირე,
შვილნი წამართვი და მეც მოჩკალი.
და კაცთ უსმენის ამ სსქმის მქმნელი
მზისა ნათელსა და სოფელსა სჭვრეტ;
აქოთდი, აწ ვცან, რაც არ ვიცოდი,
ოდეს ბარბაროსთ ქვეუნით ელლადს
სსჭირბოროტოდ ჩამოგიყვანე, —
მამის, სამშობლეს მუხანათ-მგომობი,
შენის გულისთვის დმერთთ შურის გება
თავს დაფიტე. დვიდღის ძმის სისხლში
გასვრილი დაჯექ არგოს ხომალდზე.
ესე დაიწე და როცა მიქრმე
და მე შვილები ამ ქვეუნად მომეც,
სარეცლის გამო ემუქრე სიკვდილს.
ეგრე ჭელღინთა ქალი არ იქდა.
იმას ვარჩიე მე შენი თავი
და უბედურის, სსძაკელისა
ნათესაობით დაგიკავშირდი
დედაკაცს კი არ, არამედ ძე ღომს.
ზნის მძვინვარებით სცილლას აჯობე,
ტირსენის ურჩხულს. კაცმა რამდენიც
უნდა გაგინოს, გულის ვერ გაგინებქს:

ისეთის ურცხვის წინსა ეოფილხარ.
 აქთადი, ქაღა, შე სათაკილა
 შვილების მეგლელო! შე დამშთენია
 ბედს დავსტიროდე. ვეღარ დამატკობს
 შვილთ ქორწინება; მათ, რომ შეღლია
 და გამიზრდია, ვეღარ ვინილავ
 ცოცხლებს! ქვეყნად აღარ არიან!

მედეა

სიტყვას არ ერთხელ შეგობრუნებდი,
 რომ არ იცოდეს ზევსმა, თუ ჩემგან
 შენ რა მიიდე და რა მიყავი.
 მაგრამ სარცდლის შემარცხვეელი
 შენ მეფის ქალსა ვერ შეეტკობი
 ღვინის ცხორებით, ჩემი შქირდავი,
 ვერცა კრეონი, ვინც შეგაუღლათ,
 ჩემი გამდეგნი სირცხვილ-ჭმევეთა.
 ესრეთ მიწოდე, თუ გსურს ძე ღოგი
 ან ტირსენის კლდეს მცხორები სილლა.
 დიად, ებ გული ახად მოგიკალ.

ასონ

გულ-მხიარული არც შენ ბრძანდები:
 თავად იტანჯვი.

მედეა

ისიც ჯავრს მიქრობს, რომ არ იცინი.

ასონ

შვილხო, რა გულ-ქვა დედა გეოლიათ!

მედეა

შვილხო, მამისა ცოდვამ დაკლუხათ.

ასონ

ჩემის ხელით ხომ არ დასოცილან?

შედეგა

შენის ურცხვობით, სხვის შეუვარებით.

იასან

მათი სიცოცხლე საწოლს ანაცვლე?

შედეგა

თუ ხედავ, ქალი მისთვის ცოტას სწუხს?

იასონ

დიაღ, კეთილი. შენ კი ბოროტ ხარ.

შედეგა

«აღარ არიან ცოცხალა», აჭა რამ
 უნდა დაგტანჯოს.

იასონ

მაგრამ სცოცხლობენ მათი სულები
 მათ მაგიერად შურის-მიტებლები.

შედეგა

დმერთთა უწიან, ვისის ბრალითაც
 ცოდვა ტრიალებს.

იასონ

დიაღ, უწიან საზიზღარობა
 შენის გულისა.

შედეგა

შემძულეებიხარ. სიტყვა მძაგს შენი.

იასონ

რცოვრც მე შენი. არ გვიმძიმს გაურა.

შედეგა

მითხარ, მე რა ვქნა. თვით ვისურვებდი...

იასონ

მამე ეგ ლეშნი: გამოვიტირებ,
 დაუსაფლავებ.

შედეგა

არას გულისთვის! აკრეველ გერას
 სამეფობელოში მე გადავიტან,

შევე დავმარხავ, რომ არ დამცინოს
 მტერმა საფლავის გათხრით, გაქურდვით,
 სიზიფოს თემში, მათდა ჰატოვთ,
 საღვთო რამ რიგს ჩვენ დავაწესებთ,
 რომ კაცთა კვლისა შერეულბობას
 ბრალი წარვსოცნათ. მე თვითონ წავაღ
 ერეხთეს თემში საცხოვრებელად
 ზანდიონისა შვილთან ეკესთან;
 შენგი თავხელო, მოკვდები ისე,
 ვითა ცუდ კაცი: არგოს ნალექი
 თავსა გაგიზიზნოს შენ, რომ იხილე
 ბოლო სამწუხრო ქორწინებისა.

იასონ

წაგწემედენ შვილთა გამო ერინნი
 და სისხლისათვის იგი სიმართლე
 შურის-მგებელი.

მედეა

რომელმა ღმერთმა უნდა გისმინოს
 სჯულ გადამავადს?

იასონ

სირცხვილი შენდა, შვილების მკვლელი
 შე უწმინდურა!

მედეა

შინ გაემართე, ცოლი დამარხე!

იასონ

მიუდივარ ერთავ შვილთ დამკარგველი.

მედეა

ადრე სტირი შენ: სიბერის უამს
 ელოდებოდე!

იასონ

რა საუვარელო ჩემო შვილებო!

მედეა

დიად, ჩემთვის და არა შენთვის.

მედეა

იასონ

რისთვის დახატე?

მედეა

რომ დაიტანჯო.

იასონ

აჰ, ვაგლახ ჩემდა! რა რიგ მწადა
 ბავშვებს ტუჩებზე ერთი დავეკრას!

მედეა

აწ უაღერსებ, გსურს რომ დაკონო,
 უწინ კი თვითონ შენვე გაჭყარე.

იასონ

ღმერთთა გულისთვის, — მომეცი ნება
 ბავშვთა ძვირფას კვამს ერთი შევეხო.

მედეა

არ შეიძლება! ამაოდ იტყვი. (გაჭკრება)

იასონ

აჰ ზევსო! კესმის, თუ ვითა დამგმეს,
 რა დაუთმინე ამ სასიზღარის
 დვიდლ-შვილთა მკვლელის ძე ლამისკან.
 ხელთ მსქეს ერთი რამ, ძალ-მიძს კიდევ ვქნა.
 ვიწუებ გოდებას, ღმერთთ შეგდადადებ,
 რათა იხილონ, თუ შვილთა მკვლელი
 როგორ მიშლი, რომ ხელი მოგვიდო
 იმათ ლეშებსა, დავასაფლავო!
 უმჯობეს იყო არ გამჩენოდნენ,
 ვიდრე შენსა მათი სიკვდილი
 შენის ხელითა. (გადის)

(დანასრული)

ქ ს პ ი ზ ი

(0-ს)

დალაშქდა. მთავარე თავის აკნადან ძალზედ აღმოზადულა და სხივებით ეაღერსება მშვიდობიანსა და უძრავს ზღვასა. წყალი ელკარებს მის სინათლესე. გარშემო სინუშკა. სდუმს ის დიდი სადგომიც, სარა მარამი იმყოფება აგერ ნახეკარა წყლიწადია. ძალით მიიყვანეს აქ საბრალა; არ უნდა აქ ყოფნა, მაგრამ.... ესლა იგი სსვისი ნების მონა, ყურ-მოჭრილი ყმა.

საუცხოო სადგომი მისცეს ბანად. მის ოთხებს აკრავს განიერი, მარმალღოს ფილქებით მოთენალი აივანი; აივანი მარმალღოსავე გიბით უერთდება ქვეით ტერასას, ეს კადეკ მეორეს და მათ ქვეით კი მშენიერი ბალი. ტრონიებს არ დაუშურებიათ თანგანთი საუკეთესო მცენარენი ამ ბაღის დასამშენებლად, — თითქო უიმათოდ არ ესკოდეს თავბრუ კაცს აქაურის სახსავებით, — აი მშენიერი მაგნოლია, გვერდით თითქო კონტრასტად უდგას გარეული როდოდენრონი; გვერე ვეკლავტუსი, აი კადეკ ათასნიერი ზღაბები. ამ სკებს შორის ავრცელებენ დამათრობელ სურნელებს საუცხოო გარდები და ათასი სსკა-და-სსკა გვარა ყვავალი და ყველა ეს ყვავილები, ყველა ეს სკები გარს არტყიან ღრმა შადრევანანს აუზს; აგერ-გვერე მძინარე თეთრი გედები გაჭკავებულსა ჭკვანან. მსოლად მთავარე-ლა ჭბანს და ათამაშებს თავისს ნაზს სსავეს ანკარა აუზის წყალში.

მარამი წკეს მშენიერს ხალიჩაზედ, თავი მუთაქაზედ დაუდგია, დაუსუჭია თვალები და, თითქო სძინავსო, ნულა ძლივს შესამჩნევად უელავს კარდისფერი მარმალღოს მსგავსი მვერდი, რომლის ნა-

სვესრი მოფენილს სსუცნოკო შავის თმის ნაწნაუბით. ზოგი ნაწ-
ნავი კიდევ გაშლილს და გადაჭყრია ცალ მკლავსკად. ამკვარად ისეთს
კარგს სანახაობას წარმოადგენს, რომ მთვარეც კი მოუხიბლავს.
ამ უკანასკნელს თითქო დავიწუება თავისი გზა, ბუნებისაგან მიხე-
ნილი დანიშნულება მუდმივის მსგეულობისა და ვარსკვლავებით მო-
კვდილს ცაზედ თავისი მსგეულობა შეუხერდობა, ერთ წერტილზე
შემდგარს და იქიდან გაკვირვებული იტყობება, ამ ციურს სილამაზეს
იქ მიაწავს ბიწიერთა შორის რა უნდაო, და თავისის მომხიბვლე-
ლის ნაზის სხავეებით ესიყვარულება ქალწულს—გულ-შეკრდს უგოც-
ნას; მიინარეს ჰგავს, მაგრამ არა სძინავს, ღრმად ჩაფიქრებულია;
არე-მარცხ, მგონი, იმიტომ არის ასე დამშვიდებული, მის ფიქრთა
მიმდინარეობის ძაფი არ გაწყვიტოს. ამ დილით მარამის ოთახში
ხელსახოცი ეპოვა იატაკზე. კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა იგი
თეთრი ხელსახოცი. ერთს რასმეს თხოულობდა ის მასგან და ამი-
ტომ მოდუნებული, ღონე-მიხდილი გდია დაფიქრებული. აკერ ერ-
თი თვეა რაც აქ მოიყვანეს ძალით. დიდი წინააღმდეგობა გამოუ-
ჩინა მამინ, ვინც აქ მოიყვანა. თხოვილობდა განთავისუფლებას,
ევიროდა და ჰგოდა, ხან სტირდა, ხან ცრემლით ემუდარებოდა
მათ, ხან კიდევაც ემუქრებოდა, მაგრამ ყოველივე წინააღმდეგობა,
ცდა და მუდარება ფუჭი იყო და ამაო. მარამი მოიყვანეს აქ და
დაამწყვდიეს.

საუკეთესო საჭმელები მოჭრნდათ მასთან, სსსმედად ჰქონდა
ტბილი და ცივი შარბათი. მის გასართობად ჩონგურსკად დამლე-
რდნენ სმა-ტბილი ქალები. მისი ბრძანებისა და სურვილების აღმა-
სრულებულად მრავალი მოასლე მიუჩინეს. მისი სადგომი, ბადი თა-
ვისის ანდრინტებით, თავისის შადრევანანის აუზებით სწორედ
სამოთხეს წარმოადგენდა.... ყველაფერი მიართვეს, მაგრამ ის მა-
ინც შატმირადა ჰგრძნობდა თავისს თავს. მარამ ცოტა ხნის შემ-
დეგ დამშვიდა, თითქო დამორჩილდა ბედსა, რადგან მას არავინ
არაფერსა სთხოვდა დღემდის, დღეს კი.... ის ხელსახოცი, ის სა-
ზარელი ხელსახოცი!...

წვეს მარამი ხელჩახსკად და ფიქრებისათვის მიუცია თავი.
ფიქრები კი მის წარსულს დასტრიალებენ, იმ წარსულს, როცა ის

თავისუფალი, ჯერ კიდევ ბავშვი, უღარდელი და უზრუნველი ცელქობს და დაბნობს იქ, თავის სხელში, თავის მხარეს და მისი დედა ისეთის ალერსიანის თვალთ შეჭურვებს მის მარიკას, მის სიღრცხლესა და სისარულს. რა ბედნიერი იყო მამინ! გაიბნინა ბეგრძად რომ; შატარა მარიკა წამოიზარდა: დაქალიშვილდა; ყოველი მისი სხელიდან გამოსულა რამოდენსამე ახალ მოტრფიალეს შესქენდა სოლმე მის სიღამასეს. იმ უბნის ახალგაზდა ბიჭები ხომ სრულებით გაგოყებულნი არიან «ჩვენის მარიკასთვის» (ასე უძახოდნენ მას). მაგრამ მარიკას კარგად ახსოვს დედის დარიგებანი; უბრალო ღიმილი რა არის, ამ ღიმილისაც ვერ მოესწრნენ მისგან მისი მიჯნურნი.

ჯერ არ მოხვედრია მის გულს შატარა ცელქის კუშიდონის ისარი, მოწამლული ტებილის შესმით, იმ შესმით, რომელსაც სიყვარულს უწოდებენ. ეველა ემაწვილი ერთია მისთვის; განსაკუთრებით ანაკისთვის არა სცემს ხალარას მისი გული. მართალია, რაცა ამჩნევს, რომ დაშტერებით უნჭებენ, ანთება სოლმე ლოყები; ტანში რაღაც საამური ჟრუანტელი დაუგლის; იცის ეველას მოსწონს და თითონაც მოსწონს თავისი თავი

გაიარა კიდევ რამოდენიმე ხანმა. მარამა გემზეა. გარშემო წყალია და მხოლოდ წყალი. ხსნა არსითა სჩანს. ის ძლავდ მოიყვანეს გემზე და ძლავდვე მიჭყავთ საღვაც. სად? არ იცის არც თვით მარამამა, ხოლო წინად-გრძნობა არ უქადის კარგს არაფერს. მოიყვანეს აქ, ამ საუცხოვო ადგილს. მზა ქქონდა ყოველივე, რაც კი შეუძლია ინატროს კაცის გულმა და სულმა ამ სოფლად. მაგრამ..... არა, არ მინდა, დაუინებოთ იმეორებს მარამის გული. მე ჩემი სხელი მჭკვს და ის მიჩვენია ამ ზღაპრულს სასახლეს; ჩემს სახლს არ აკრავს ასეთი მშვენიერი ბაღი, იქ ვერ ნახავთ ვერც აუზებს და შადრევნებს, მაგრამ იქ ჩემი საყვარელი ხეები მეგულეკობიან, ჩემი ჭაღარა ალვის ხეები, ჩემი საყვარელი ცაცხეები, რომელთ გვერდით შატარა წყარო ჩაურბის. აი იქ მიყვარდა მე ყოფნა იმ ცაცხეებს ქვეშ, მათ ჩრდილში ჯდომდა და ჩემის შატარა წყაროს ჟღერტულისთვის ყურის გდება.



მესმოდან მისი ენა; ვიცნობდი, რასაც მეუბნებოდა; აქ გი ვეკლავიერი უცხნა ჩემთვის. აი ის, შადრევანის წყლიც ბუტბუტებს რადასაც, მაგრამ ვერა გამიგია-რა მისი, ვერ მივმხდარვარ მის ღაზარაცს. მხოლოდ მთვარეს ვიცნობ ვეკლავ იმათში, ვისაც აქ ვხედავ. ეს სომ ის მთვარეა, რომელიც ჩემს მხარეს, ჩემს სახლს, ჩემს ზატარა წყაროსაც ანათებს და თავის ვერცხლის სხავებს ზედ აფრქვევს... იქ მინდა წავიდე, იქ მინდა ვიყუე, არ მინდა აქ ყოფნა.

დღევანდლამდეც მოსვლია ეს თეატრი, დღევანდლამდეც მონდომებია აქედან გაქცევა, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩენია. დღეს გი ის საზარელი ხელ-სახარცი მოსვენებას არ აძლევს. რამდენიმე, ორი-სამი საათი ვიდევ და... არა, არ მინდა, ეგ არ მოხდება—თვარობს მარიაში,—მოკახვრებ, რომ ეს არ მოხდეს. თუ დღევანდლამდე ვერ მომიხერხებია, დღეს მანც მოკახვრებ. ცოცხალი არავის დაემოწმებოდა, ვერავინ დამისაგუთრებს, ვერა. ეს უკანასკნელი სიტყვები თითქმის ხმის განკალით წარმოთქვა. მთვარე ცოცხალი გადარჩილიყო და ესლა ერთ-ერთი მისი სხავი ჩახვეოდა მარიაშიც ტუჩებს, თითქო მისი ასეთი აზრის მოწონების ნიშნად უკონიდა მარწვის თვარს ბავთო. ესლა მარიაში მხოლოდ იმას-ღა ჰთეატრობდა, რა საშუალებისთვის მიემართა, რომ თავისი სურვილი აესრულებინა. არ დაუნებდებოდა, ამბობდა, მაგრამ ვერ გი არ იცნოდა, როგორ და რა გზით შეეძლო წინააღმდეგობად მბრძანებლის სურვილსა... ვარდებისა და ათასი ვეკვილების სურნელება თავისაკენ იწვევდა და იზიდავდა ქალწულს.

სამხრეთის მშვენიერის ღამის ჰავარი, ღამაზის ქალის სუნთქვის-სავით თბილი და ნაზი, მის კონხასავით ტბილი, სულ მთლად ამბუნებდა მასა და განძრევის დონე აღარა ჰქონდა. მაგრამ ვარდების სუნთქვამ სძლია ჰავარის სითბო-სიტკაოს. მიხედ-მოხედა ვეკვილებისკენ და უცრად რადაც აზრმა გაუელვა თავში. ესლა აღარ უყურებდა ვეკვილებს, მისხერებოდა აუზს, მთვარის სხავებით მოკერცხილ და მთვარისაკე შექმედ მონიმიმე წყალსა. უყურებდა და თვალები ვერ მოეშორებინა. იმავ აზრმა მეორედ და მესამედ გაურბინა თავში. უფრო დაჟინებით უნქერის წყალს და სახეზედ რადაც გადაწვეტილება ესატვის!...

სულ ერთია, დედილო!.. შენ მანტ ვერ გნახავდი, ვერც ნა-
 ჩეკებს სასლსა და ხაღსა, ვერც ჩემს საყვარელ ველებსა და ტყეებს!..
 თქვენ ხომ აღარ აწსებობთ მანტ ჩემთვის?!... მას რამ უნდა და-
 მიშალოს, რასა ვკარგავ?...

მთვარე გადახრილიყო ცოტათი და იმავე სხვიმა, რომელიც
 აქამომდე ტყისებს უგონიდა მარიამს, ესლა ზედ შებლზე შეუთამაშა.

ამ თავში დაიხადა და განმტყინდა იგი აზრი, მისი იყო გარ-
 დაწვევტილება და მას ესკეოდა მთვარის შუქი. ძარბამიც მთვარეს
 მისჩერებოდა და უსიტყვოდ მსოფლად თვალებით უამბობდა თავისს
 აზრებს და სთხოვდა, ემზნა ყველაფერი დედა-მისისა და მისი მო-
 ბელი მხარისთვის. ყველაფერი... ყველაფერი...

გედება ძილისაგან გამოიკვნიან და გაკვირებული დაჭურუბ-
 დენ წყაღს: მოესმით რაღაც ხმა, რაღამაც ტყლაშანი მოილო და
 ცოტა ხანს აუზის იმ მხარეს, რომელიც სახლისკენ იეურებოდა,
 წყაღს რაღაც აღეკვება დაეტეო. დიდ ხანს ვერ დამშვიდდა აუზის
 აღეკვებული წყაღი და თუმიც ძლივს შესამჩნევად, მანტ დედადა,
 თითქო რამეს აქმეოთებინოს მისი მუდდროება, თითქო რაღაცამ
 შეუშალა მთვარესთან აწმეობა და ამით წყენილი ჟერ კიდევ ვერ
 და მოშინებულეოეს...

გედება დამშვიდდენ, თავები თეთრ ფრთის ქვეშ ამოადვენ
 და ისევ ტბელად დაიბინეს. მსოფლად წყაღი ისევ რაღაცას ბუტ-
 ბუტებდა.

ზემოდან კი ისევ მთვარე დაჭურუბდა აჭურობს, ისევ ეთა-
 მსებოდა აუზის წყაღს და მასში თავისს სხვიებს ჰხანდა. მსოფლად
 ამ სხვიებთა შორის ერთი ახალიც ერთია, ის არ ცურაობდა ახვარა
 წყაღში და არც თამაშობდა.

დასჩერებოდა ერთს ადგილს, თითქო აღარ უნდა იმის მოშო-
 რება...

ივ. ზურაბიშვილი



ს ა მ ი ჟ ი რ ი ა

(ჟან რამოდან)

მდიდრულად შემიკუდს აგვანსა
თავს ადგა საში ფერია;
შიგ იწვა ბატონიშვილი
ფუნთუშა, ვარდის ფერია.

ჯაფრბდნენ: ნათლობაშია
ჩვენ რად არ დაგვბატოესო,
დავსწეველოთ, მაზედ სახუარი
სხვა აღარავინ იუესო.

დავსწეველოთ! ერთმა გველივით
კიდევაც დაისისინა:
იუეს ისეთი მახინჯი,
რემ ეველა თრთოდეს მის წინა!

თვით თხამაც კი არ იკისრეს,
საშინლად იუაროსა,
ძუძუ არ მისტეს სწოვრად,
ახლეს არ მიიკაროსა.

სხვამა სთქვა: შეხვდეს მას ჭირი,
სძუღდეს და სძაგდეს ეველასა;
ზიზღით უურს არვინ უგდებდეს,
ვისაც კი სთხოვდეს შეუელასა!

მაშინ წამოდგა მესამე,
 სთქვა: ეველანფერი ტუვილია,
 სიცოცხლე ჭირიანისთვის
 ვით ჩვენთვის ისე ტკბილია.

და ზოგჯერ საშინელებაც
 თვალ-უურის მიმზიდველია.
 რაც თქვენ სთქვით, დებო, არ კმარა,
 არც ისე სასატრელია.

ეს ბავშვი მთელი სიცოცხლე
 სულ უნდა იტანჯებოდეს,
 დეონილი იუოს ეველანგან,
 ერთ ალაკს ვერა დგებოდეს.

და სდევდეს შური და მტრობა
 მას საშინელის ბრტყალებით,
 ეოველს ნაბიჯზედ სისხლს დვრიდეს
 თავისი დღენი წვალებით.

ეოველი მისი ხმა, კრინტა
 იუოს კენესა და ვაება;
 ისიც კი მასხარად ხდიდეს,
 რასაც კი ენა დაება.

და მაშინაც კი, როდესაც
 თვალს ხუჭდეს, სული ხდებოდეს,
 შური და ცილის-წამება
 გულ-ღვიძელზედ შესამად ხვდებოდეს.

ამისთვის, დებო, ჩემს ნათქვამს
 თუ არ შეხედავთ იჭვითა,
 ეს ბაღდი დავაჯილდოვოთ
 ტენიანობის ნიჭითა!...

შ. ძღვაძე

ეკვსნი

(სამღვდლოების ცხოვრებიდან)

ზატაშენკოსა

I

— ეჰ, მოწამე ვარ, გატანჯული და გაწამებული. ზოგს ღმერთი რანაირადა სწყალობს: წარსულ ზაფხულს ზერეკოპის დიაკონს ერთ კვირაში ორ-ორი მოუკვდა... რისთვის წვალობ, შე ოსტრო ჩემო თავო, რისთვის, მითხარი ღმერთს გულისათვის?

— ნატა, ნატა, რას ამბობ, შე უღვთო! ეგრეთი აზრი ფაქრანდაც რომ გაივლო, მაშინაც ცოდეა და შენ კი სიტუეირანდაც აღიარებ... ოხ, ღმერთო ჩემო!

ნატო იწვა უშნო და მოკლე დიკანზედ, რომელსაც მწკანე გადასაფერებელი ეფარა. ოთახში თბილოდა, თან კომლი იდგა და ხრჩილავდა. ზატარა ფანჯრების მწკანე და გვერდელა შუშები გარედან შემოსულ შუქს რაღაც სამწუხარო ფერს აძლევდნენ. ადამიანს აქ სული ესუთებოდა. ნატო კი იწვა დიკანზედ, იშმუშნებოდა და უფრო მჭიდროდ ესკოდა მ. ანტონის დაგლეჯილ ანაფორაში. სასლში საშინელი დრანცელი იყო ატენილი ეჭვისი ზატარა ბავშვისაგან. ყველაზედ უმიფროსი ბავშვი ტიმოთე შვიდი წლისა იქნებოდა, ხოლო სულ უნცროსი ესლა ცდილობდა ფეხის ადგმას. ტიმოთე თავის ჭკუაში ადგილობრივ მღვდელს, მ. ზანკრატის მღვდელმსახურებს აჯავრებდა, დანარჩენი ბავშვები დიაკონისა და მნათესროლს ასრულებდნენ; ზოგნიც კითომ მლოცველები იყვნენ. მნათეს



როდის შესრულება ოთხი წლის ზამსა შესვდა. საუბედურად, ზამსა, უნებ რაღაც შესცდა. ამასე ხუთი წლის ვასომ ერთი კარგი სილა უთავაზა. ზამსა წაქომაგა ფერ-მკრთალი, ჩაფიქრებული ბავშვი მარო, მაროს ხელა ვადმოფრტა ტიმოთე და ამნაირად სშირად ასტყუებოდა ხოლმე ყვირილი და ვაი-ვაგლასი. ბავშვების ყვირილით ნატო მეტად მობესრებული იყო. ის სანოდავად იწვა, ძელები სტესავდნენ და თავი სტკიოდა. მიუხედავად ამისა ნატო იძულებული იყო ყოველ წამს ფესზე წამოდგარიყო ბავშვების დასამშვიდებლად. ოთხის ერთ კუთხეში იჯდა მამა ანტონი და მეტრიკის წიგნსა სწერავდა. ნატოს ვადმოფრტობის ვამო მ. ანტონს ძალიან დაუგვიანდა ამ წიგნის დაწერა. დღე-დღეოდ კი ბლალონის ელოდნენ და წიგნებიც უსათუოდ თავის რიგზედ უნდა ყოფილიყო დაწერილი. ეს ანტონისათვის ფრად საჭირო იყო.

და ჩქარობდა მ. ანტონი, ისეთნაირად ჩქარობდა, რომ ყურადღებას არ აქცევდა ანაფორაში ვახვეულ ნატოს ძვამს; არც კი ეკითხებოდა, თუ რა სტკიოდა, ან როგორა ჰგრძნობდა თავს.

ფანჯრიდან მოხსანდა ეკლესია, ზატარა მოედანი და ვაყინული მდინარე. როგორც მოედანი, ისე ვაყინული მდინარე თითოეული თოვლით იყო დაფენილი. ვაყინულს მდინარეზე გლესს ქვიშა მოჰქონდა მარხილით. ვამდარი ცხენი წყნარი ნაბიჯით მოაბიჯებდა, მარხილი თითქოს თავის-თავად მოსრავლობდა. გლესს ტანზე ტყაბუნა ეცვა, ფეხებზედ დიდრონი წალები, რომელნიც ყოველ ფეხის ვადადგამსზედ მთელ ნასკვარ აწმინ კვალსა სტოკებდნენ.

— ვარზედ ვავშვებ, ნატო, ბავშვები, თოვლში ითამაშებდნენ, მშენიერებას ეხლა ვარედ!— სთქვა მ. ანტონმა. თან კი ისევე მეტრიკის წიგნსა სწერავდა.

— ოს, წავიდნენ! თუნდა მიწაშიაც ჩაცვინულან, ოდონდ კი მომასვენონ!— სთქვა შემადრწუნებელის სმით ნატომ; მერე შეიმხურა და ზირი დავანისკენ მიიბრუნა.

«ღმერთო, რა სიტყვებია, — ვაფიქრს ამ დროს მ. ანტონმა, — ამას ვადმოფრტობა ალამარაკებს, თორემ თვითონ სუფ სხვასა ჰგრძნობს, ვული ვეთილი აქვს ნატოს!»

და დაიწყო მ. ანტონმა ფიქრი იმასზედ, თუ როგორ მოეშორებინა ნატოსთვის ეს ვადმოფრტობა, რომელიც, ღმერთმა იცის,

საიდან გაუჩნდა. როდესაც ფერშალმა გასინჯა ნატო, სთქვა ციება არისო და აკურ ორი წელიწადი გრძელდება ეს ციება. წამოდგება ფეხსკედ, ერთი-ორ დღეს დადის და მერე ისევ მთელი კვირისობით დაწეება. როდესაც ზეზა, მამინაც ვერ არის სოლმე კარგად: სულ იშმუშნება და ოსრავს. გულს იტყვივებს; ძელებიცა სტეხავენ. დემრ-თმინ უწყის, რა აკადმოფობა უნდა იყოს. მამა ანტონმა ერთი თავისი ნაცნობი ექიმი ინახულა ქალაქში და ელაშარავა ნატოს აკად-მოფობის შესასვებ; მაგრამ რა გამოვიდა, ექიმი სოფლად ვერ მო-ვა, დრო არა აქვს. ქალაქიც შორს არის, ორმოცი ვერსია, სად უნდა ათრიოს კაცმა აკადმოფო იმ სიშორეზედ, მერე ისიც წამ-თარში. მერე თავითონ ნატოც როდი ნდომობს ექიმის ნახვას. ვერაფრით ვერ დააჯერებს ადამიანს. ეს უბრალო ციებაა, მოვა გაწა-ფხუღა და თავის-თავად გაიკლისო. ფერშალმა რაღაც ორიოდ შარ-შოკი ხინა მისცა: მაგრამ მან უფრო ყურები გამოუყურუვა და სხვა არაფერი უშეკლა. აქ ერთი მოსურნეული დედა-კაცია, რაღაც მტენ-რის ძირები მოკვიტანა და გვირჩია: წყალში გასხენით და ორმა-ბათ-წარასკეობით ასვითო, მაგრამ ამინაც ვერაფერი უშეკლა. ვინ იცის, იქნება გასაფხულზედ მართლა მზის სითბომ მოარჩინოს. ბავშვები აჯავრებენ ძალიან, ეს არის უბედურობა; არ ასვენებენ, რომ დაწვეს და თავისუფლად დაიძინოს. სულ ამის ბრალია, რომ ნატო მოთმინებიდან გამოდის და ისეთ სიტყვებს ამბობს, რომელიც გულში არა აქვს. რა იქნება? ვინ მოხედავს? სინდასან მამა ანტონის და ხამოდას სოლმე, სხვა არავინ, მგონი კარგი იქნება ესლა იმისი მოყვანა, ამ უკანასკნელად ნატო როგორღაც ძალიან დაძბუნდა. ექვ, ეველა ეს კი სიღარიბის ბრალია. მრეკლი ღარიბია და მერე ისიც დაიკვის ად-გილზე მსახურობს. მანეთზედ ერთ აბასს იღებ, წადი და იცხოვ-რე ამითი, როგორც გინდოდეს. ხუმრობა სომ არ არის, რვა წლის ცოლ-ქმრობაში ექვსი შვილი ეყოლათ. ანტონი ჯერ ოც და რვა წლისაა, ნატო ოც და ექვსისა. ვინ იცის კადვე რამდენი შვილი მიეცეთ და მერე რითი უნდა ცხოვრობს, რითი უნდა ხანჯვან და დახურობს. ოს! რა კარგი იქნება, რომ არქიელმა შებრალება იქნითოს და მკვდლო-ბის მოცემა არ დაიშუროს. მამინ სულ სხვა ცხოვრება იქნებოდა. ნატო ვისმეს მიიშველიებდა; ბავშვებიც სკოლაში დაიწებოდნენ,



კაცებად იქცეოდნენ. ესლა კი უსწავლელები უნდა დარჩნენ და ესლან-
დელ დროში კი უსწავლელობასკედ უბედურება ანა აჩის-რა. ოს, მათი
მეუფება რომ შებრალდებას იქონიებდეს, რა კაი საქმე იქნება!

ამ დროს სწორედ ფანჯარების წინ გამოიჭინეს ლამაზად გამოწყობილმა მარხილებმა. მამა ანტონმა მამინეკე იცნო, ვისიც უნდა
ყოფილიყო ეს მარხილები და ან შიგ ვინც უნდა მჯდარიყვნენ.

— ჰმ... აკერ ბლადონი იცნო მობრძანდა, ამ საათში მამა ზანკრატისა
კენ მიუხვია და მე კი მეტრიკის წიგნები ჯერ მზად არა მქვს,
მაგრამ შეიძლება არ მოიციოს. წავალ, გეითსავ, იქნება ჩემი საქმისა
იცოდეს რამე...

მამა ანტონი ფეხზე წამოდგა, მეტრიკის წიგნს ხელი წაუღო,
ფრთხილად დაეკრა იგი და კედლისაკენ გადასდო.

— აბა, ბავშვებო, ჩაიციოთ, ამ საათში კარხედ გაციშვებთ.
აბა, დროსედ! ტიმოთე, შენ ზელოს ჩააცვი, ვასო, შენ ანიკოს.
მარო საშას წამოიყვანს ზატარა ხობილათი. დროსედ!

— ოს, მეშინიან, საშა არსად გადაუვარდეთ! — მისუსტებულად
წამომოსთქვა ნატომ.

«კერ უყურებ, სედავ? — გაიფიქრა ამ დროს მამა ანტონმა, — წელს
მოსავლავ სიტყვებს ამბობდა და ესლა კი ბავშვებსკედ დარბობს...»

— არა, არა უშავს-რა, მარო გონიერი გოგონაა, არ გადაგდებს!
შენ, ნატო, ნუ ხაღვლანობ, მე თვითონ ვკვლავფერს მოკავსებს.
შენ გულისხმად დაიძინე, ნატო, საღამოზე კარგად გახდები.

ამსობაში ბავშვებმა თამაშობას თავი გახსნეს და ერთი-ერთ-
მანეთს ჩანმა დაუწყეს. იმათი განუწყვეტელი ჭიჭყინი, ახლა მხიარულების
ხმად შეიცვალა, ვკვლავს უხაროდათ მზანნი დღე და თოვლში
სიბილი. სამი წუთის შემდეგ ბავშვებმა საყდრის მოედანზე ამო-
ჰყვეს თავი. თოვლის გუნდები აქეთ-იქით გახარდა. მამა ანტონის
შეილებას ერთბაშად რაღაც უხრუნველი სიცილ-სარხარი შეუდგათ,
მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს დაგლეჯილ-დაკონკილი ტანისამოსი
ეცვათ.

— უყურე, როგორ კოტრიალობენ, როგორ უხარანთ? — წამოიძახა
მამა ანტონმა, როდესაც ბავშვებს ფანჯრიდან გახედა და
თან ანაფორას იცვამდა.

— ბავშვებს უთხარი, ეინულებს ნუ იბრუნენ, სოგან ჩატუნა-
ლია, შიგ ან ჩაკარდენენ.—საქება ნატომ.

— ჰო, კარგი, შენ დაიძინე შენთვის, კარგად დაიძინე... ეჭ,
აჩაუშავს-რა, სულს მოვიდგამთ, თუ ღმერთმა მოგვსება და ან-
ქელმა მოწყალების თვალთ შემოგვსება... მაშინ ის... ჩვენი სურ-
ვილი შეგვისრულდება, მაშინ ჩვენც გავიმართებით. დაიძინე, ნატო,
მე მამა ზანკრატისთან შევივლი, იქნება რამე გავიგო...—ქ მამა ან-
ტონი ცოლს დაწოდა და შუბლში აკოცა

— მარამა ბავშვებს უფრო უგდოს!—წარმოსთქვა ნატომ.

მამა ანტონმა ხელით ანიშნა კარგო და შემდეგ ფრთხილად
კარზე გამოვიდა. იმან სამზარეულოსაკენ გამოუსვია, სადაც საჭმე-
ლებს აკეთებდა მარამი. ეს იყო მისი უფრო, მსიარული სახის გოგო.
ეს ის მარამი იყო, რომლის მამაც ლოთობით დაიღუპა, დედა კი
სახლში უწვა ცალ-ფეხს მოტყეილი, რის გამოც იმთი რყისი მუ-
დამ ცივი და გამოცანალებული იყო. სოფელში ან მოაბაკებოდა
ისეთი მოქეიფე ბიჭი, რომ ამ ქალს ახლო გაეკლეს და ან მო-
ეჩქეიტოს იმისი მსუქანი ხელი. მარამი მუდამ მსიარული იყო, მუ-
დამ მღეროდა. ყმაწვილ ბიჭებს ხუმრობასე ის სულ იცინოდა;
ახლაც იდგა და რაღაც სიმღერას დიდებდა.

— მარამ, გაიგონე? ბავშვებსე თვალი გეჭიროს, მდინარის
ახლო ან დაიწყო სიარული, — უთხრა მამა ანტონმა, — თუ რომელი-
მე ბავშვი ატირდეს, შენთან წამოიყვანე სამზარეულოში, იქ, სახლ-
ში ნუ შეუშვებ, ნატომ უნდა დაისვენოს. გესმის?

— მესმის მამა, ყრუ ხომ არა ვარ, — უთხრა გბილების კრე-
ჭით მარამმა.

მამა ანტონი ქუჩასე გამოვიდა. გზები და მოედანი სჭლად
თოვლით იყო დაფარული. ეინაქდა საშინლად, ისე რომ მზის სით-
ბო ოდნავ მოქმედობდა გაცივებულ ჰაერში.

მამა ანტონი სიარულის დროს თოვლში იფლბობდა. მაგრამ
მალე თავის მოძღვრისაკენ შემოუსვია.

მამა ზანკრატი სცხოვრობდა საეკლესიო მამულზედ თავისაკე
აშენებულ სახლებში. ეს სახლი გარეგნობით ან იყო ლამაზი, არა
ბრწყინავდა ხეროთ-მოძღვრული სიმშენიერით. სამაგიეროდ ის იყო

გრძელი, განიერი და, რაინა უმთავრესია, ქვათკირისა. სახლს გარშემო ეშენა თავისი მოწყობილობა: თავლა, ბოსელი, ბეღელი და რაინდენიმე ფარდული. ცოტა მოშორებით მოსჩანდა მთელი ორი დღის მარტო ალუბლის ბაღი. ყოველივე ეს საეკლესიო მამულზე იყო გაშენებული, რომელიც სოფლის სასოგადოებას ერთხელვე ეკლესიის მოსამსახურე შირთათვის დაემკვიდრებინა. ერთს დროს, ესე თხუთმეტობად წლის წინად, ეს მამული მთელს გრებულს ეუთონოდა, მაგრამ ესლა კი მარტო მამა ზანკრატის დაესაუთრებინა. ისე რომ მთავარიც და სხვა მოსამსახურე შირებიც კერძო დაქირავებულ სახლებში იდგნენ. ამისთანა უგანონობის გამო ერთი ხელობა ეკლესიის მოსამსახურენი ჩივილს აწარმოებდნენ, მაგრამ მერე ისევე თავი დაანებეს. მამა ზანკრატის მეტად მდიდარი მღვდელი იყო და ახა ვინ გაბედავდა იმისთან შეზომილებას. ესლა იმისა ჰქონდა რამდენიმე ბეღელი ჰური, რამდენიმე ძირი თივა, ჰყავდა სუთი ლამაზად გამოწყობილი ცხენი, მთელი ნახირი ძროხებისა, ათასი ცხვარი და სხვა. ამისთანა გაცთან საქმის დატერა დაილაც ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ მამა ზანკრატი კარგად იცნობდა «კანსისტორიის» წევრებს და სასოგადოდ ყველასთან კარგი განწყობილება ჰქონდა.

მამა ზანკრატისთანა მღვდელი მთელ გუბერნიის სამღვდელთაში ბეგრი ან მოიძებნებოდა. ეს იყო მღვდელი-მემამულე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მეიფარადრე. იმან შირეკლადეკი, რამწამ მღვდლობა მიიღო, ხენა-თესვას მიჰყო ხელი. ოცი წელიწადია, რაც მამა ზანკრატის ხენა-თესვას მისდევს. ყოველ წელი სამას დღიურ მიწას მუშაობს, ხნავს, თესვას და აუარებელი ჭირნახული მოჰყავს. გარდა ამისა, ამ უგანასხეულ წლებში იმას ალბული ჰქონდა იფარით ვილაც მემამულის მიწები, რომელიც ჭეუასედ შესცდა და საქმეები აქვეწ-დაქვეწა.

მამა ზანკრატის ფერ ისევე ემაწვილი იყო, ცოლი რომ მოუგვდა; დარჩა ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ამის შემდეგ მან უფრო მხნედ მოჰქვიდა ხელი ხენა-თესვას. მამა ზანკრატის გაჭრობდა ქალაქის შესანიშნავ გაჭრობთან. ამასთან მოდიოდნენ რუსებიც, ებრაელებიც და სინჯავდნენ ჰურს, მატყელს, კრბოს და სხვას. იმას თქვენ ყოველთვის ნახავდით იარმუკასუდ, სადაც ის ან ცხენებს უადულობდა, ან სხვა ამისთანა რითიმეს ალბ-მიტომობდა.

მამა ზანკრატის უგულაფრის გაკეთება ესალისებოდა. უგულაფრ-
ზე ძალ-ღონე შესწევდა. ესლა ის ბარე სამოც წლამდის იყო მის-
წეული, მაგრამ ჯერ ისევე მსნე და გაუტყველი იყო. ასე გასინჯეთ,
ჭადარს თითო-ორჯელა ბეწვი თუ ჰქონდა გამოჩეული. ანაფორს
განდილი და ანაფურის კალთა მხარ-განდაგებული სშირად დაიარე-
ბოდა სოფლე მედიდურად მამა ზანკრატი ქალაქის ბაზარში, სადაც
ერთი ვაჭრიდან მეორესთან გადადიოდა და იგებდა ამ თუ იმ ჭირ-
ნასულის მანანდას. ამნაირა სასათ თქვენ შეგემდოთ გენასათ მამა
ზანკრატი დუქნების უგანა მიეუნტეულ ოთასებში, ჭირნასულისა და
მატეულის მოვაჭრეთა შორის, სადაც რაღაც ვირობებს და სელ-შე-
კრულობას სწერადენენ. გარნა მამა ზანკრატის ასეთი უოფა-ცხო-
რება არავის უგვირდა, რადგანაც უგულამ თვალა შეახვია.

მამა ანტონი შევიდა თავისი მოძღვრის ეზოში. ეზოში ალაგ-
ალაგ თოვლი იყო შეგროვებული. აქეთ-იქით დაბრაცუნობდნენ: ბა-
ტები, ისეები, ქათმები და დოვები; იქვე იწვა ორი კვებერთელა
ქოფავი ძაღლი. მამა ანტონის დანახვასედ ძაღლები ყოფით წამო-
ცვიდნენ, მაგრამ ძაღე იცნეს შინაური კაცი და ლაჭუცი დაუწყეს.
მამა ანტონმა ჯერ სამზარეულოსაკენ შეუსვია. აქ მამა ზანკრატის
მზარეული ქალი ავრინა საუზმეს განამზადებდა. მსუქანი მოწითა-
ლო თევზი თეფშზედ ელავა. იჭრებოდა მშენიერი დოში, ხასვი და
იქვე იდგა თეფშით ზეთის ხილიც.

— მშიადობა თქვენთან აკსინია! — უთხრა თავის დაქვეით მამა
ანტონმა და შემდეგ ფეხების ბერტევა დაიწყო პატარა ჭილხობის
ნაგლეჯზედ.

— უჰ, უჰ, რა მწარე! — წამოიყვირა აკსინიამ, დანა-ჩანგალი
სტოლზე გადასროლა და ორივე სელი მარცხენა ფეხზედ იტაცა. — კარი
მისურეთ, მამა ანტონ, საშინელი სიცივე შემოდის... კბილები!..

მთავარმა კარი მოხურა.

— შეიმდება მამა ბლადონინი კნასო? — შეეკითხა შემდეგ ალერ-
სიანად.

— თქვენ არ დაიჯერებთ, რანაირად ვიტანჯები ამ კბილების
გამო! — უბასუხა აკსინიამ. — რამდენი რამე ვცადე, არაფერმა მიშე-
ლა. ზოგჯერ ისე გამამწარებს სოფლე, რომ აღარ ვიცი, რა ვქნა!

— საკმელი რატომ არა სცადე? ძალიან კარგია.

— საკმელი გბილებს აფუჭებს, ვსინჯე. თქვენი მეუღლე როგორ არის, მამა ანტონ? ისევე ავადმყოფობს, ჰა?

— ავადმყოფობს საწყაღი! არ გიცი, ღმერთმანი, რითი ვუშეგლო.

— ოჰ, მამა ანტონ, ღმერთმა ნუ ჰქნას, ცუდია, როდესაც დიასახლისი ლოგინად ჩავარდება! მეტე იმდენი ბავშვები გყავთ. გულის არ იტკიებს?

— ჰო, ხანდახან!.. თითქო გულის რაღაცა სტესავს.

— ჰმ... იცით მე რასა გოვიჭრობ, მამაო ანტონ? თქვენ საწყენად ნუ გი დაგჩებათ და მე გოვიჭრობ, რომ ჭლეჭი უნდა იყოს... მე ქმარი ჭლეჭისაგან მომიკვდა, მთელი სამი წელიწადი ისინი კერე ავადმყოფობდა.

მამა ანტონი შეკრთა და აკსინიას თვალები დასჭეიტა.

— რასა ბრძანებთ, თუ ღმერთი გრწამთ! კვ რა სიტყვებია, ღმერთო ჩემო... — და შირჯვარი გაღიწერა. — ბლადოჩინთან შესვლა შეიძლება?

— მიბრძანდით, მიბრძანდით, სახლში არიან ისინი და მამა ზანკრატინ. ამ დროს აკსინიამ სახლის მიმწარისაგან მორეული ტრემლები მოიწმინდა. ანტონი ამ ამბავს მეტად შეაშოფოთა. იმას ეგონა, რომ აკსინია ჩემს საცოდავ ნატოს ესლავე გლოვობსო.

მამა ანტონი ჯერ ხალაში შევიდა, მაგრამ იქ არავინ დასვდა; შემდეგ სასტუმრო ოთახისკენ გაეშურა. აქ რგვალ სტოლს გარს შემოსხდომოდნენ ორი თავისებური განკერძოებული შესუფთობის სასუფაერო წოდების შირნი. მათ მიემატათ ხალა მესამე შირნიც, ისეთივე უცნაური შესუფთობისა.

მამა ზანკრატის შესუფთობა გვიმტკიცებდა, რომ ის იყო კაცი მხნე და დაუღალავი; იმას არავისი უშინოდა, არცარავის შეუღალაში საჭიროებდა. მოყვანილობით მამა ზანკრატის შუა ტანისა იყო მხლელად ლოყები ოდნავ გამობურღდა და მეტელოც ჩვეულებრივად დიდი ჰქონდა. იმისი დიდი თვალები მიშვიდობიანად გამოიციქობოდნენ, არავითარ შეკრთომას არა ჰხედავდნენ მთავრობის წინაშე. მამა ზანკრატის იქცეოდა გულ-დამშვიდებით, ალერსიანად; ეტყობოდა

სასამოვნოდ ჰქონდა სტუმრის მიღება. ყოველი იმისი მოძრაობა თითქმის ამბობდა: მე თქვენ მივიღეთ სასამოვნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ბლადოჩინი ბრძანდებით, თორემ სხვათერე მე თქვენში არას ვსაჭიროებ! მე ჩემი საკუთარი ას-თუმნაჩები მიღავთ ბანკშია.

მამა ზანკრატის საშინელი სასტიკი შესხედულობა ჰქონდა; ბლადოჩინი სასე მზისაგან მთლად გადარუჯოდა. თავსედ ეუფანს სშირი თმა. მამა ზანკრატი ხანდახან თმას დაიწნავდა ხოლმე და ქუდ-ქვეშ იმაღავდა. ესლბ ის ახალუხისამარა იჯდა სტუმართან, ანაფორის ჩაცმას საჭიროდ არა სცნობდა.

მამა იოანე უფრო სხვა შობაქცდილებას ახდენდა ადამიანსედ. ის ჯერ სულ ახალგაზდა იყო, წვერი ოდნავ ეტყობოდა. მიუსხდავად ამისა ბლადოჩინობა სულ ადრე მიეღო არქიელის წყალობით, რომელსაც ახლო ენათესავებოდა. მამა ბლადოჩინი შესახედავად ლამაზი კაცი იყო. თავსედ მსრებაძდის გადაჭყენოდა შავი, სუტ-სუტით თმა; ტანთ ეცვა სუფთად და კოპწიად. იმისი ახალუხის სასხელოები კოპწიად შემოსეოდა სელებსედ, რომელნიც თითქმის მართლად საკოცნელად იყენენ შექმნილნი. სასხელოებსა და საყულოსედ ცის-თერი დილები უბრჭყვიანლებდენ, წადები საამურად უტრატუნებდენ. მამა ბლადოჩინი ყველას ზრდილობაანად და სიყვარულით ექცეოდა. ადამიანი შესედავდა თუ არა, მამინეკ იმას იფიქრებდა, რომ ეს კაცი უწყინარი ადამიანი უნდა იყეს და იქნება ეს ასეც იყო. მამა ბლადოჩინი ესლბ რომელსაც ჩრდილოეთ გუბერნიადან არქიელს თან მოჭყებოდა; არქიელთან ძალიან დაახლოვებული იყო და თვით მის დაახლოვებას ყველა ცდილობდა.

— ა-ა-ა, მთავარო! — მიეკება მხარულად მამა ანტონს, — მე თქვენთან ვაპირობდი შემობრუნებას, მოსარული ვარ, რომ ცნახე!

მამა ბლადოჩინმა გაუწოდა ხელი მამა ანტონს და მარჯვედ, როგორც შეჭყენის საერო კაცს, ხელი ჩამოართვა. სასოგადოდ მამა ბლადოჩინი უფრო საერო კაცად სთვლიდა თავის თავს. ის ამბობდა, რომ არქიელი აღარ მომეშვა და იმიტომ შევიქენი სასულეირო შირიო.

— დაჯექი, მამაო ანტონ! — უთხრა მამა ზანკრატომ, თან სკამს მისწია იმისკენ.

მამა ჰანკრატი ძალიან შინაურად ექცეოდა სოფელ თავის მის-
 კარს, რადგანაც უფროსი იყო იმაზედ ხნითაც და სამსახურითაც;
 გარდა ამისა მამა ჰანკრატი მატარაობიდანვე კარგად იცნობდა მამა
 ანტონს.

მამა ანტონი შევიდა თუ არა ოთახში, მღვდელმა და ბლადო-
 ჩინმა გაოცებით დაუწყო ტყეპა და ათვლიერ-ჩათვლიერება. ჩვენი
 გმირი მართლაც გასაოცარი შესედულობისა იყო. ის იყო მაღალი
 და წკრილ-ვისურა. ერთი ბეწვა თავზე სულსულა ეყარა. გარდა ამისა
 იმას არა ჰქონდა არც წვერი, არც უღვაში. ყველა ეს მართლაც უცნაურ
 რამედა ხდიდა.

მამა ანტონი სკამზედ ჩამოჯდა.

— მე დაგინახეთ, ჩვენ თანჯრებთან რომ გამოიარეთ. გულმა
 აღარ მომითმინა და წამოველ, ვთქვაი, იქნება რამე გავიგო-მეთქი ჩე-
 მი საქმისა.

— ჰო, თქვენი თხროვის შესახებ ამბობთ?

— დიაღ, მა სხვა რაზედ, მამაო ბლადოჩინო!

— მე ვინახულე არქიული... კვლამარავე და არ შემიძლიან ვთქვა,
 რომ თქვენ მღვდლობას მოწადინებულნი იყავს?

— არ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მოწადინებულნი იყავს?—სთქვა
 უმედურად მამა ანტონმა.—მაშ, არ არის მოწადინებულნი!—განიმეო-
 რა შეორედ თავისთვის.

— უცნაური სასიათისა მათი მეუთება!—განაგრძო მამა ბლა-
 დოჩინმა.—წარმიდგინეთ, რომ იმას უყვარსართ, კარგად გიტყვირით.

— უყვარვარ?— ეჭვით სხვსე ღიმილით წარმოთქვა მამა ან-
 ტონმა.

— წარმიდგინეთ, დიაღ! მე რომ თქვენი თხროვა მივეცი, მით-
 ხრა: ჰო, ის წოწოლა რომ არის? ვიცი, კარგი მთავარია.—«დია-
 ღ-მეთქი, მეც ვუთხარი, სამრეკლო სკოლა ააშენა, თვითონვე ას-
 წავლის და სასოგადოდ მშენიარად მიჭუვს-მეთქი სკოლის საქმა.
 —«ჰო, მე იმისა სუყოველთვის იმედი მქონდაო... ამის შემდეგ
 მე საქმე განარხული მეგონა, ის კი არა თუ ბოლოს ასე მითხრა:
 მე მღვდლობას ვერ მანც ვერ მივეცოა.

— რატომ, რა მიზეზიაო?—ჩაკვითხა გამწარებულნი მამა ანტონი.

— წარმოიდგინეთ, რა მიზეზი დამისახელა: ტონის ალებს არ იცისო. ერთხელ იოანე ნათლის-მცელის მონასტერში მწირველები ვიყავით, მამა ანტონი მეორე მთავრად გვეყავდა და მგალობლებს ხმის ვერ აწყობდაო. მგალობლები რომ «ჰა»-ს იღებდნენ, ის «სოლა»-ს იღებდაო... მართლა ასე იყო? სთქვაი, თუ ღმერთი გწამს.

— დიაღ, ეგრე იყო, მამა ბლადოჩინო. მაგრამ რა უფოთ, ჩემი ბრალი არ არის. მე ჩემ დღეში ანჭიელთან ერთად არ მიმსახურებია. მამინ გი ჰიბრდაპირ მეორე მთავრად დამაყენეს. მე რე ანც მომზადება, ანც არაფერი—პირდაპირ მიბმანეს, შეიმოსეო. დიდაც ეგრე მომივიდოდა საქმე. მე ტონის ალება არ ვიცი, მაგრამ რაც შეეხება «უსტავს»—გაპრინანდ ვიცი, თორემ განა თვითონ ანჭიელს არ მოეხსენება!

— ჰო, სთქვა ეგოცა: წირვა-ლოცვის წესები კარგად იცისო. სასოგადოდ ანჭიელი ძალიან კარგად გიცქერით. ისე რომ მღვდლობას უსათუოდ მოგცემს, მხოლოდ ცოტა ოდენი უნდა მოიხადო. თვითონაც ეგრე ბძანა: ჯერ უმწვილია, მოიხადოსო.

— ეჰ, ეჰ,—ჩაერია ღაპანაკში აქნობამდის გახუმებული მამა პანკრატო, —დიდაც მოიხადის, რომ ამდენი შეილება არა ჰქვავეს. მაგრამ რა ჰქნას, ექვსნი ჰყვანან.

— ჰო, ბავშვებია საქმე, ბავშვები თორემ... რხერთ წარმო-სთქვა მამა ანტონმა.

აქ ღაპანაკი შესწყდა. მოიტანეს საუზმე. მამა პანკრატომ, როგორც მსპინძელმა, სტუმრები სტოლზედ მიიპატიჟა. მამა ბლადოჩინა სტოლთან მიბმანდა; ხოლო მამა ანტონმა საუზმეზე უარი განაცხადა.

— მე იცით რას მოგასხუენებთ?—მიჰმართა მამა პანკრატომ ორთავეს.—ჩემის აზრით, ყველა ეს სისულელეა. მე ვეთქვობ, რომ «კანსისტორიის» მდივანია აქ საჭირო. იმან რომ სიტყვა გადაუგოროს ანჭიელს,—ყველაფერი მოხერხდება.

— არა მგონია!—სთქვა ბლადოჩინმა. მაგრამ ისეთ-ნაირის კილოთი სთქვა, რომ აშკარა იყო, ისიც ასე ჰეთქვობდა.

— მე ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ. თქვენთან უკაცრავად, მამა ბლადოჩინო. თქვენ ჯერ უმწვილი ბრძანდებით... არ იცით, მე



გი ვიცი, კარგად ვიცი! მდივნის ნახვა უსათუოდ საჭირო არის; ამასთანავე მოხერხებულად უნდა ნახულას ვაძმა.

— რაც არ ვიცი, იმასე ვერას ვიტყვი!— წარმოსთქვა დი-
პლომატიურად მამა ბლადონინმა და, გადაჭკრა რა მისამე ჭიქა არაყი,
სარდინკას გადასწვდა.

— მე შირდაშირ გეუბნებით, არა ვმალავ, რომ მეც კვლევი ვი-
ვაგლახე ჩემი შვილის თაობაზედ. რას არ გვიმიხეცებდა არქიელი,
ხან ამბობდა, ყმაწვილიაო, ხან ამბობდა, სუსტი ხასიათისაა, კერ-
მივცემ მღვდლობასაო, და ხან რას. მე ავდექი და შირდაშირ მდი-
ვანს მიუძარეთ. აუუხსენი, ესე-და-ესეა ჩემი საქმე-მეთქი და დანძარე-
ბი ვთხოვე. რომ ჩემი თხოვნა არ გადაგაკვიწყდეთ, ვუთხარი ბოლოს,
აი ეს გონკერტი მიირთვიეთ-მეთქი. ის მამინევი მიხვდა, რაშიაღ იყო
საქმე. გონკერტი, რასაკვირველია, ჩემთან არ ვახსნა. «გარგი, ვნა-
ხათო». მე ვსთქვი, მეც კვ მინდა, რომ ნახათ გონკერტი და მე-
რე რაც იქნება, მე ვიცი-მეთქი. ორი დღის შემდეგ მივედი კანტო-
რასი. ყოველივე თავის რიგზედ გაკეთებულყოფა. არქიელს წაეწერა
თხოვნაზე: მიეცეს მთხოვნელს ესე-და-ეს ადგილიო.

მამა ბლადონინი თავის მოკვლეობადა სთვლიდა ამისთანა ღაშა-
რაკისთვის არ თანაგვრძნო. ამიტომ აქამდის ისე იჭრეოდა, ვითომც
სრულებით უფროს არ უგდებს ამ ღაშარაკისაო. მაგრამ სწორედ ამ
დროს იმან გადაუსვა მეოთხე ჭიქა არაყი და უნებურად ენამ მოძრაო-
ბა დაიწყო:

— ბეგრი მიეცით?

— მე ამასე ვარაფერს ვიტყვი. ყველა თავის შეძლებისდა გვა-
რად აძლევს, მაგრამ მე გადავამეტე; უფრო იაფად შეიძლებოდა გა-
მეკეთებინა საქმე. ეშმაკი ვატი ვია მდივანი. უნდა მოგახსენათ,
რომ ძალიან ეშმაკია. მე თითქმის ატერ ოცი წელიწადია ვმუშაობ
წლებზედ ფესს ვიდგამ და საბოლოოდ რაღაც თექვისმეტა ათასი
მექნება (მ. შანკრატი თავის ქონების რაოდენობას სინამდვილით არა-
ვისთან ამბობდა), იმან ვი რაღაც თორმეტოდე წელიწადში ორასი
ათასი მანეთიანი სახლი შეიძინა. ეს მოხერხებაა, მამა რა არის?

— დიაღაც, მე თქვენ მოგახსენებთ, მამაო შანკრატი, მე უკვე ვი-
ცი. — განაგრძო უცეპ ბლადონინმა, რომელსაც ენა ესლა უფრო აღარ



ემორჩილებოდა.—ორი სემინარიას სტუდენტი ეცილებოდნენ ერთმანეთს ალაგს. ორთაუკმ მდივანი ინახულებს და დანახვეს. მდივანმა შაკეტები გამოართვა ორთაუკს, მაგრამ ადგილი კი ერთ მათგანს დარჩა. აღმოჩნდა, რომ ერთს მიეცა ორასი, მეორეს—სამასი. ადგილი, რასაკვირველია, ამ უკანასკნელს დარჩა.

— მე რე მეორეს თავისი ორასი მანეთი უკან არ დაუბრუნა?

— ხა, ხა, ხა, ფიქრადაც არ მოსულა.

— მე რე არქიელი რას უყურებს?

— არქიელი?— განაგრძო მსიარულად ბლადოჩინმა.— ჰე, უნდა იმის მდგომარეობაშია ც შევიდეთ თუ არა? არქიელმა ჩვენი ცოდვილი ქვეყნისა არა იცის-რა. ამ ქვეყნიურ ამბებს ის მანინ გაიგებს ხოლმე ცოტადანად, როდესაც იმასთან მთხოვნელები ვინმე მივლენ, ან როდესაც ეტლით დაბრძანდება ქუჩებში და ათვალიერებს ხალხს ეტლის შატარა ფანჯრიდან. სხვათრავ რა იცის ჩვენის ცხოვრების აჯან-ჩავანი.

— მართალია, მამა ბლადოჩინო, მართალია!— დაბეჭდითებით უთხრა მამა შანკრატომ. მამა ანტონმა ამოიხსრა.

— დაილა, მართალია! მე რე იცით ვინ მითხრა ესა? თვითონ არქიელმა სთქვა: «ჩვენ ვერაფერს ვაჯაწყობთ ამ ბორცუების წინა-აღმდეგ, ესეთია ჩვენი მდგომარეობა, ჩვენ რომ ამ ქვეყნიური ხალხი ვიპყერთ, ქვეყნიური ცხოვრებას ვეცოდინება». აი თვითონ იმისი სიტყვები.

აქ მამა ბლადოჩინმა იგრძნო, რომ გადაამეტა და დაჩუმდა. მამა შანკრატო ბეჭდი ესევეა ბლადოჩინს, რომ შესუთე ჭიჭა არაყიდ მიერთმიათ, მაგრამ კერ დაითანხმა.

მამა ანტონი ფეხზედ წამოადგა.

— თქვენი აზრით როგორა სჯობანი? ესლს მე როგორ მოვიქცე?— სთქვა მამა ანტონმა და ჩააშტურდა ბლადოჩინს მსიარულს თვალეში.

ბლადოჩინმა შასუსი არ მისცა, მხოლოდ ხელები გადააქნა, რომათაც ანიშნა: არაფერი გამეგება ამ საქმისა, ვერაფერს გირჩეო.

— როგორ უნდა მოიქცე?— უშასუსი იმის მაგიერ მამა შანკრატომ.— უნდა წასვიდე ქალაქში და მდივანი უნდა ინახულო, ასე მოიქცე, მამა ანტონ!

მამა ანტონმა აწაფური სთქვა ამ ნაირ რჩევაზედ, მხოლოდ გამოემშვიდობა და შინ წამოვიდა. «აი სიმართლე! — ჭეჭეჭეჭედა გზაში მამა ანტონი. — სკოლა გააკეთა, «უსტავი» მოქმედობდა იცის, მხოლოდ ტონის ადებს არ იცის... ექვსი შვილი კი... უფალო, ღმერთო ჩემო! ყურად ისვენ, თქვენო მუუფებავ!»

«ჰმ... წადა მდავანთან! მერე რითი წავიდე, ან როგორ წავიდე? განა ის გაიგებს ჩემს ვარაძს, რომ ვუთხრა ექვსი შვილი შევს და ავადმოვიცი ცოლი-მეთქი? რას გაიგებს! იმას ჭეჭის გული ექნება. იქ უკვლანი გულ-ცივიები არიან.

მეგონა ეს აწაფური — რა ვუთხრა ნატოს? ესლა ხომ ვიცი, ის მოუთმენლად სასაიამოვნო ამბის გატებას ელოდება ჩემი და რა ვუთხრა? ეს, ვარაძი მაწვეს გულზედ, ვარაძი! რა ვუთხრა იმ საცოდავს? არა, მართლეს თქმა არ შემიძლიან — აშფოთდება, ტირილს დაიწყებს, თავის სიცოცხლეს დაჭკობს და დასწყევლის...

«საშინელი გაუზღელი რამ არის ეს აქსინია! საიდან მოუვიდა ეს აზრი, ნატო ჭლექით არის ავადა?! უფალო, ღმერთო ჩემო! როგორ ეადვილებათ ზოგიერთს ამისთანა სიტყვების წარმოთქმა! მერე ისე აშკარად. უვიცი, გაუზღელია აქსინია, სხვა აწაფური.

მამა ანტონმა გადასწყვიტა სიმართლე არ გაემუღავნებინა ნატოსთვის. ბავშვები ისევე საუდრის გალავანთან დატრიალობდნენ. მხოლოდ იმათში არ ურია მარო, ის სამზარეულოში შატარა საშას ჭდარავლობდა.

მამა ანტონი სამზარეულოში შევიდა, ანაფორა გაიხადა, ცხვრლთან გათბა და შემდეგ სასლში შებრუნდა.

ნატოს ჩასთვლემოდა. კარების ჭრატუნზედ იმან მამინეკ თვალები გასჭეიტა და დაუყოვნებლივ შევეითხა მამა ანტონს:

— რა გითხრა ბლადონიმი?

— აწაფური ნატა, საიმისო აწაფური... აჩქელი კარვად გიჭქერისო.

— მამ შეასრულებს შენს თხოვნას?

— რასაკვირველია, შეასრულებს... მხოლოდ ცოტა ხანს მოცდა უნდა, ესე რომ... ესე იგი პირად უნდა ვეჩვენო... ნახვას სურვობს...

— აჩქელი?

— ჭო, არქიელი, მას სსკა კინა?

— როგორ? არ უნახავსარ თუ? კერ დაკათვალეირა?

— აღბად კერ დამთვალეირა, ნატა... რა გენაღვლებს, კეკეკე-
 ბი, ამით სომ არათეირი დამაკლდება!..

მამა ანტონს უნდოდა ნატო გაემსიარულებინა; დაუწყო მეგობრული სიცილი. მაგრამ გულზედ ისეკ დარდი და კარში აწვა. ისა ჭივიქრობდა იმაზედ, თუ როგორ წასულიყო ქალაქში. სასესეებელი არსად ეგულეობდა და გასასყიდი. ეს არის ერთი გამხმარი ცხენი და ძროხა კი ჭყავდა, მაგრამ ამითში ვინ რას მისცემდა—ზამთარი ილეოდა საკეები ვიდას რა ექნებოდა. ამას თავი დაკანებოთ—როგორ დასტოვოს ლჯასი ურძეოდა, უცხენოდა? არა, ტუულია, არათეირი არა გამოკა-რა და ნატას ტუულიად აიძელოვნებს.

მაგრამ აღარ ანდიდა ნატო.

— თუ ჩეკებებს, დროზედ ეჩეკე, რაღას უნდა მოუცადო.

— კარგი, ნატო, კარგი, წავალ. მხოლოდ ჩემ დას დუნას დავიბარებ. წერილს მივსწერავ.—მამა ანტონი დაჯდა წერილის დასაწერად. დის ჩამოსვლის შემდეგ ქალაქში უნდა წავიდეო, მხოლოდ ჭივიქრობს და კერ წარმოუდგენია კარვად, თუ რა იქდით მიდის ქალაქში ან რა უნდა გააკეთოს. ესღა მამა ანტონი ევალზედ მეტად იმაზედა ჭივიქრობდა, რომ ნატო არ გაყავრებულიყო, არ დაეგმო თავისი სიცოცხლე და აღარ წარმოეთქვა გულ-მოსაკლავი სიტყვები.

II

სოფელი ბუტუშქევი იყო მოწოდელი, მაგრამ ამასთან სულელური სოფელი. ბუტუშქევი ხალხი ერთბაშად მრავლდებოდა. სახლები ერთიერთმანერთზედ მიჯგუფილნი იყენენ. რისთვის სახლდებოდნენ აქ ამოდენა ხალხი და არა სსკა უფრო მოხერხებულ ადვანს, ეს არაინ იცოდა. ბუტუშქეველებს ადგილი ბლომდა ჭქონდათ, მაგრამ ნაწილ-ნაწილ იყო დაყოფილი. ერთ დროს იჭაური მდინარე კარგ საქმეს უშვრებოდა ბუტუშქეველებს. გლეხები აწარებულ თეკს იჭერდნენ და ჭვიდნენ, მაგრამ შემდეგში კი ეს ცხოვრების სასას-

რი მოეშალათ. თხუთმეტი წლის წინად აქაურ ადგილ-მამულს ვიდრე სკრიდალოკი დაეპატრონა. სკრიდალოკი სსკა ნაირი კაცი იყო, თავის მამულში უფულოდ ფეხს აწავეს გადაგმეკინებდა. ასე გასინჯეთ, საწვალ გლეხებს ჭეიშას არ აძლევდა უფულოდ. ამის გამო ბუტუშეკი ძალიან ძალე დაეცა; სოფელნი თავიანთ ნადელებზედ შეიკრფნენ. რაკი-ღა ბუტუშეკელები დაღარიბდნენ, იქაური მიეიტანინე აბაზგა, თავისი სამეიტირო ჩირკინში გადაიტანა, ათი კერსის სიშორეზედ. ჩირკინში სულ რაღაც რც და ათამდის მოსასლე სცხოვრობდა, მაგრამ აქაური გლეხები შურმარილიანი და შეძლებული იყვნენ. ამ ნაირად ბუტუშეკელების უბედურობას ესეც მიემატა: არაუისთავს ათი კერსის სიშორეზედ უნდა ერობნათ. მაგრამ ბუტუშეკელები მანც კერ მოვიდნენ გონს. ზოგნი ასე ამობდნენ: «გზა-გზა გადაკვრა უფრო სასამოკნო არისო».

მომეტებულ ნაწილს გლეხ-კაცობისას ფრად საწყენად დარჩათ სამეიტიროს გადატანა ჩირკინში. სამეიტირო ერთად-ერთი გასართობი ადგილი იყო; უამისოდ როგორღაც მოწყენილობა დაუტყო მცხოვრებთ. იასე მიეიტანს ბეკი შეუხინდნენ, უნდოდთ ისეც ძველ ალაგზე დაებრუნებნათ, მაგრამ იასე წინ დაუსკდავად როდი მოქმედობდა. სადაც არაყს უფრო გასაკალი ჭქონდა, ის იმ ადგილს უფრო ეტანებოდა. ჩირკინში მეტი მოთხოვნილება იყო არაუისა, ამიტომაც იმან იქ ყოფნა არჩია. ამნაირად იყო მოწყობილი საქმე სოფელ ბუტუშეკეში და ამიტომაც რა გასაკვირავლია ესთქვათ, რომ მამა ანტონს არავისგან ჭქონდა იმედი, კერავისგან ხელს ვერ გაიმართავდა იფულით. მართალია, სკრიდალოკი შეძლებული კაცი იყო, ფულიც ბლომადა ჭქონდა, მაგრამ ვის რას არგებდა? ის სულ იმას ცდილობდა, რომ უკვლავიერი ფულად გადაეჭვია, ჭეიშა რა არის, ჭეიშასაც კი ფასი დასდო. მამა ანტონს არავითარი ღონის-მიება აღარ მოეპოვებოდა. დარჩა-ღა ერთი საშუალება: უნდა მამა შანკრატის მიჭმართოს. რაც გინდა იყეს, მამა შანკრატო მას კარგად იცნობს — სელი უნდა გაუმართოს.

ოთხი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბლადიმირი ბრძანებულა და ბუტუშეკეში. თოვლი გალხვა. მდინარეზედ გადაფარებულს ყინულს ზემოდან წყალი დაადგა. თებერვალი იწურებოდა, გაზაფხუ-

ღის მხრემ მხიარულად გამოაჭეოტა. აჭა-იქ ბაღსმა მიწიდან თავე
ამოჭყო. ფრინველებმა ჭიკჭიკი გააბეს. მამა ანტონმა უთხრა ნატოს,
მეტრეიას წიგნის შესატანად მივდივარ ცოტა ხანს მღვდელთანაო.
ის გი არა თუ საქმე სულ სხვა ნაირად იყო. დღეს იმას ფული
უნდა ეთხოვნა მამა ჰანკრატისათვის და თუ უარს ეტყოდა, მაშინ
ყოველივე იმედი გაქარწყლდებოდა. თუმცა უნდა ესთქვათ, რომ მამა
ანტონი ბევრ საიმედო ნაშნებსაც სედავდა.

წინა დღით მამა ჰანკრატიმ ერთ ვაჭარს მთელი შარშანდელი მო-
საკვლი პური მიჭყიდა. მაშასადამე, მამა ანტონი გასარბული უნდა
იყუეს ჯერ ერთი იმითი, რომ გაჭყიდა და მერაგრე იმითი, რომ
იცადა და მართლაც კარგ ფასში გაჭყიდა. გარდა ამისა გუშინ ბე
უბებ მიიღო და უარს ვერ იტყვის, ფული არა მაჭკოს.

ეს იყო კვირას, წირვის შემდეგ. მამა ჰანკრატე ჩაის მიართმევ-
და. მამა ანტონმა კარბი შემოაღო. მოძღვარმა ალერსიანად მიიღო
თავისი მთავარი.

— ჩაი გინდათ, მამაო მთავარო?

— გასკლით, მადლობელი ვარ. მე თქვენთან საქმე მაჭკოს, მამაო.

— საქმე გაჭკოთ და საქმესედა ილაშარაკეთ. მეც მოვიმინ.

— მე ისევე იმასედა, მამაო ჰანკრატე, ჩემ ბედსედა...

— ჭმ... და მერე მე რა მოუხერხო შენს ბედს? ანჭიელი რომ
ვიყო, დამეჭმუნე, შირდაშირ დეკანოზობას მოგცემდი, მაგრამ რომ
არა ვარ.

— არა, აი მე რის თაობასე: თქვენ რომ მითხარით იმ დღეს,
მდივანი ინახულეო, ცარიელი სელით სომ ვერ კინახულე?

— რასაკვირველია!

— მეც მაგას მოგახსენებთ. მე არაფერი არა მაჭკოს-რა.

— თუ არაფერი გაჭკოთ, მაშ არც უნდა წასვიდეთ!—დაბეჭითე-
ბით სთქვა მამა ჰანკრატემ.

«ვერ მიხვდა»—გაიფიქრა მთავარმა და ამავე დროს იგრძნო,
რომ მამა ჰანკრატისაგან არაფერი გამოდებოდა, მაგრამ საქმე ბო-
ლომდის უნდა დაეყვანა.

— მე ვფიქრობდი...—დაიწყო ისევე მამა ანტონმა, მაგრამ სი-
ტყუა გადაუბრუნდა და განხრდა.

— ჰო, რასა ჭფიჭობი, მამაო ანტონ?— ჩაუკითხა სახლის
 პატრონი. შემდეგ ესეც დაუმატა: — შენ იმას თუ ფიქრობ, რომ ფუ-
 ლები შევიდნან ჩამოცვივა, არა, ჩემო ძმაო, შენაში ფულებს რა
 უნდა?

— არა, მე თქვენთვის მინდოდა მეთხოვნა. იქნება გასუსუ-
 ბინათ. შემოდგომაზე ისევე მოგართმევდა.

— არა, ჩემო ძმაო, მე ფული არა მაქვს! — გადაწყვეტით უთხ-
 რა მამა ჰანკრატომ.

— არა გაქვთ? — მწუხარების სმით წარმოხტვა მამა ანტონმა
 და თან ჭკვირობდა, რომ ზოგაერთები ასე უნდა ასევესდნენ სოლ-
 მე უარის თქმას.

მამა ჰანკრატის ფული ჯიბეში ელავა. ეს დამალული აღარა-
 ვისთვის არ იყო. გუშინ თვითონ იკვებდა მნათესაინ, რომ მთელი
 წამთარი იმდენ ხანს ვიცადა, ვიდრე ათასი თუმანი არ მოვიგეო.
 ესლავა იმასის, ფული არა მაქვსო. მამა ანტონს რომ ეგრე ჯიბე-
 ში ფული ეწყო და გინდაც რომ რამე მიზეზით გასუსება არ უნ-
 დოდეს, ვერ მოახერხებს უარის თქმას. მთელი ნახევარ საათი იყო-
 ყმანებს, დაიწეებს ბოდიშის ხდას და ბოლოს საჭმელის მიკა,
 რომ ფულს მანც ამოღებს და ასუსებს. მაგრამ რას იზამ, რო-
 დესაც გუებნიან ჰილდაშირ: არა მაქვსო. მასსადამე, იმედი გა-
 ცრუვდა. მამა ანტონი ველარაფერს მოახერხებდა. განა არა იმან წი-
 ნადვე იცოდა, რომ მამა ჰანკრატის არა ჭქონდა წესად ფულის გა-
 ცრემა! შემთხვევას ეოფილა, რომ მამა ჰანკრატისთან მოსულა გლეხი-
 კაცი, ტირილითა და ქვითინით ფეხებში ჩაყარდნა და უთხოვ-
 ნია სამიოდ თუმანი ცხენის საყიდლად, მაგრამ მამა ჰანკრატის
 მანც ისევე ის უთქვამს, რომ არა მაქვს ფულიო. ესეთი ჩუ-
 ლობა ჭქონდა ამ კაცს. იმას სიმდიდრესთან ერთად მტრებიც ბე-
 რი ჭყავდა და კშინოდა ძალიან. გარდა ამის ის თვითონვე კარგად
 ჭკობობდა, რომ თავის წმინდა მოძღვრულ მოკალეობას კარგად
 ვერ ასრულებდა და ჭფიჭობდა მასეში არავის გაება იგი. ამიტო-
 მაც იმან ერთხელვე სამუდამოდ გადასწყვიტა არავისთვის არ ესუს-
 სებინა ფული, არამედ ჰილდაშირ ზანეში ეგზავნა.

მამა ანტონმა ყველა ეს იცოდა, როგორ არ იცოდა, მაგრამ
 მოსტყუვდა: იმას ეკონა, რომ მე როგორც თავისიან კაცს ეგრე არ

მიზამსო. ხანგრძლივი სიჩქარის შემდეგ მამა ზანკრატიმ წარმოს-
თქვა:

— მთავრო, აი რა გითხრათ, ჩემ ქალს მარინეს მიჰმართეთ,
ესლას იმას მგონი ფული აქვს... იქნება მოგცეს!

— მარინეს? — განიძეურა მამა ანტონმა. — ძვირად დამიჯდება
ძალიან!

— ეგ, ჩემო ძამიკო, არ ვიცი, ჩემი საჭმე არ არის... როგორც
გინდოდეს... იქნება შენ ნაკლებად გასათრახს... სცადე! ამას, თუ
გინდა, ესლასე მოასურსებ. აგერ თვითონ მარინე აქ მოდის.

სასადილო ოთახში მართლაც გამოვიდა მარინე. მარინეს თა-
ვზე დაძველებული «კაპოტი» ესურა. ადამიანს უსათუოდ ეგონებო-
და, რომ რამდენიმე წლის წინად შეუკერა, როდესაც უფრო სქე-
ლი და მოყვანილი ყოფილა. ვინ იცის, ეს იქნება ასეც იყო. მარ-
ინე ესლას მამა ზანკრატისთან ცოტა მოწყენილად სცნობდა, მა-
გრამ წინად ბევრი ვარჯი დღეები ასწავს. შესუბუღობით მარინე ეს-
ლას ორმეტრი წლის ადამიანსა ჰგავდა, მაგრამ ნამდვილად გი ოც და
თხუთმეტზედ მეტისა არ იქნებოდა. მარინეს ქმარი მღვდელი იყო.
ცოლთან სულ სამიოდ წელიწადი სცნობდა, შემდეგ მოკვდა და
არც ერთი შვილი არ დაჩენია. ქმრის სიკვდილის შემდეგ ძალიან
ჩამოსმა, მანაც მეორედ გათხოვების წინააღმდეგი არას დროს არა
ყოფილა. მთხოვნულებიც ბევრი ჰყავდა მარინეს, რადგანაც სიმიდი-
რის სასულიერო ჰქონდათ გათქმული იმისაც და იმის მამასაც. მაგრამ
საჭმე იმ. ში, რომ მარინეს ისევე მღვდლის ცოლობა უნდოდა. იმი-
სი იდეალი მღვდელი იყო. სშარად ეტყუადა ხოლმე მთხოვნე-
ლებს: «არა, ფოფოლიობის შემდეგ რომ ჩინოვნიკის» ცოლი შე-
ვიქნე ან ვაჭრისა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გენერლობიდან ჯა-
რის კაცად ჩამოგყვანონ.» ასეთი დიდი წარმოდგენა ჰქონდა მარ-
ინეს მღვდლობაზედ, მაგრამ, მოკვსსუნებათ, ისინი, ვინც მღვდლად
ემზადებიან, ნაჭკრივალს ვერ შეიერთავენ და ამ ნაირად დაჩნა მარინე
გაუთხოვარი. ვინ იცის, ესლას ის იქნება ეგრე რიგად აღარ არჩევა
საჭმომებს, აღარ მისდევდა გატაცებით თავის იდეალს, მაგრამ მთხო-
ნულები აღარაგინ ჰყავდა. ამ ნაირად დაჩნა. მარინე, სცნობდა თა-
ოსთვის და მამა ზანკრატის საჭმეებში არ ერეოდა.

მარინეს ქმარმა სამი ათასი მანეთი დაუტოვა სიკვდილის შემდეგ. ეს ფული იყო მარინეს სასსარკი, ამის მეტი საქმე არა ჰქონდა-არა ესლა იმას, თავიდანვე ამ ფულს ატრიალებდა ხელში მარინე და ესლა სამი ათასის მაგიერ თხუთმეტი ათასი ჰქონდა. იქაურმა გლეხებმა მარინეს სახლის კარები კარგად იცოდნენ; სამწუხაროდ, ბევრი მათგანი გულდაწვეტილი დაბრუნდებოდნენ ხოლმე ამ სახლიდან.

— მარინე, მთავარს რაღაც საქმე აქვს თქვენთან. მე ბოლომდის ვერ გამოვივითხე, თვითონ გეტყვის.

მამა ზანკრატიმ ზალისკენ გასწია; იმისი ფეხის სმას კაბინეტში მისწედა. მარინემ სელი არ გაუწოდა მთავარს ჩამოსართმევად. მამა ანტონმა თავი დაუკრა. მარინე საზოგადოდ უკადრისობდა იმისთანა კაცის ხელის ჩამორთმევას, რომელიც მღვდელზედ დაბალი ღირსებისა იყო.

— რა გნებათ? — გაჯავრებული სმით შეეკითხა მარინე.

— მე? მე... ფული მინდოდა მეშოკნა, ისეთი შემთხვევა მაქვს, მარინე, ძალიან ძნელი შემთხვევა!

— ფული? ჩემთან? რატომ მამა-ჩემს არ გამოართვით?

— მამა ზანკრატიმ ისე მითხრა, არა მაქვსო.

— მე ვთქვათ, მაქვს, მაგრამ...

— გაქვსთ? — სინხარულით შეეკითხა მამა ანტონი.

— მაქვს, მაგრამ თქვენ ხელს არ მოგცემთ.

— მე ისეთი შემთხვევა მაქვს, რომ ხელს მომცემს.

— მაინც რამდენა გინდათ?

— მე ესე, თხუთმეტი თუმანი!

მამა ანტონს წინადაც არც კი ჰქონია მოფიქრებული, თუ რამდენი მანეთი უნდა აეღო ვალად. მხოლოდ ეს ესლა ამ ნაინად გადასწევიტა თავის გონებაში: ასი მანეთი მდავანს, ორმოც და ათი გზის ფულად.

— ხელს არ მოგცემთ, მამაო, მეცოდებით.

— მაინც რამდენსა ოსოულაობთ? — ჩაეკითხა ანტონი და თან გადასწევიტა გულში აეღო ვალი, გინდა რომ ერთი-ორდაც ეთხოვნა სარკებელი.

— დღეს, მგონი, ოც და ოცა თებერვალა, ესე ოც და ოცა მარტს თხუთმეტ თემანში ოცი თემანი ჩამახარე. გარდა ამისა შემოდგომასკად სომეჲნი უხუცესი გუბერატორი დათესილი, იმისა ფასა...

— როგორ თუ უხუცესის ფასა? — წამოიყვირა მამა ანტონმა.

— ჰო, შემოდგომასკად სომეჲნი დათესე უხუცესი?

— დავთესე, ესე თორმეტობად დღეა.

— ჰო-და თქვენ ისეთი ქალაქად უნდა მომტკეთ, რომ ამ ნათესის მოსავალი, ვითომ მომყადეთ კიდევ. მე მანტ-და-მანტ უხუცესის ინტერესი არა მჭკეს, ეს შენ თვითონ გარჯად იცი, მაგრამ ქალაქად კი უოკელ შემთხვევაში საჭიროა.

მამა ანტონი გაშტერებით შესტყროდა მარინეს, იმას კერწა წამოედგინა, თუ ქვეყნად ასეთი საღისე არსებობდა. «და მერე ისიც ფოფოვდა, მკვდლის ქალი, — თუ იქნებოდა იგი, — დედათა საპატივით სასწავლებელში სწავლა დაამთავრა, დიპლომა ჩემო!» მამა ანტონი ძალიან შეამჩნევდა მარინეს ქვეყნად და ესე, როდესაც იმასთან საქმის დატყობა დასტორდა, გარჯად დაუკვირდა იმის საქციელს. თუმცა კი წინადაც იცოდა, რომ მარინე ფულს ტყუილად არაკის აძლევდა. საცოდავ გლეხებს ათი მანეთი რომ წავლთა გაზაფხულზე, შემოდგომასკე ოცი უნდა მოეტანათ. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ მარინე გლეხს უფრო სანდო ჰქონდა სოფლიდა, ვიდრე მთავარს. გლეხს ადგილ-მამულზე აჭკეს, მთავარს ცარიელი სამსახური. მთავარი რომ სამსახურიდან დაითხოვონ, ან გადაიყვანონ სადმე, რას იზამ, წადი და სდიეო, — იტყოდა სოფელის.

მამა ანტონს ბევრი აღარ უთქვამდა, ან კი რაღა დროს იქნებოდა იგი? და უთხრა:

— მას ესეავე გვიბოძეთ, მარინე.

— მას, პირიბეზე თანხმა ხარ?

— უბუნდეს გახლავართ.

— ძალიან მძიმე კი იქნება თქვენთვის ეს ვალი! მეცოდებით.

— რა ვუყოთ? გეტყვითი შემთხვევა მჭკეს, მარინე.

მამა ანტონისათვის, თქმა არ უნდა, მეტად სამძიმო იყო ასეთი პირობით ვალის აღება, მაგრამ რას იზამდა, სხვა ნაირად საქ-

მე არა ხერხდებოდა. ესლას ის ჩქარობდა ფულის გამოერთმევას, კმინოდა მარინეს სიტყვა არ გადაეთქვა, თორემ იმისი ბედი სსკა ნაინად დატრიალდებოდა.

მარინეს ბეჭი აღარ გაუწვალებია მთავარი. თხუთმეტი წუთის შემდეგ მამა ანტონი სახლში მოვიდა. იმ დღეს ნატო კარგად იყო და ფეხსეუდ დადიოდა. მამა ანტონი ცოლს აჯერსიანად ელაპარაკებოდა, თან გუელში სიხარულის ტაღლა უტემა, რომელიც გუელიდან ამოხეთქას ღამობდა. მამა ანტონს თხუთმეტი თუმანი ჟიბეში ელაგა და ისეთ ნაირად ჭკრძნობდა თავს, ვითომ მკვდლობა უკვე მიეღოს.

— დროზედ მანც მოვიდოდეს დუნია, უნდა ქალაქში წავიდე! — ამბობდა მამა ანტონი და თან გზისაკენ იცქირებოდა. აგერ ტალახან გზასეუდ მართლა გამოჩნდა პატარა ურემი. ურემით მოდიოდა მოსული, სიცოცხლით სავსე და მამა ანტონისა დუნია. რამწამს დუნია მოვიდა, მაშინვე სახლის დალაგებას შეუდგა. ის თუმცა უსწავლელი იყო, მაგრამ შინაური საქმე მშვენიერად იცოდა; გარდა ამისა შრომა ძალიან უყვარდა, უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ გასძლებდა.

დუნიას სულ ოთხი ძმა ჰყავდა, ერთი-ერთმანეთსეუდ უიღბლონი. ანც ერთ მათგანს მთავრის ალაგზედ უკეთესი ალაგი არ ეჭირა. დუნიას სტუმრობა ყველა ძმებს სასიხარულოდ მიანდით, რადგან ეს ქალი იფრიად მოხერხებული ქალი იყო. დუნია ბავშვებსაც ეურს უგდებდა, სადილ-ვანშამსაც ამზადებდა, ძროხებსაც სწვლიდა და მშვენიერადაც ჭკვრავდა. ერთის სიტყვით, ეს ქალი ძვირფასი რამ იყო ყველასთვის. ხნოვანობით დუნია ოცი წლისა იყო, მაგრამ ჯერ გათხოვებას არა ნდომობდა. მე ესლას თავისუფალი ქალი ვარ, — ამბობდა დუნია, — ერთი ძმიდან მეორესთან შეშელსასებ დაუფრინავ; ჩქარა რომ გავთხოვდე, ათას ნაირი ვაი-ვაგლასი უნდა დამატყდეს თავსა, ჯერ რაში მეჩქარება გათხოვება — იმასაც მოკუსწრება». დუნიას მოსულისთანავე მამა ანტონის ოჯახი თითქოს გაცოცხლდა; ასე გასინჯეთ, ნატოც გამხიარულდა, ცხოვრებას ესლას უფრო გამყოფილების თვლით დაუწყო მზერა.

— ჭოო, მადლობელი ვარ, დუნია, რომ მოხვედი, — ამბობდა მამა ანტონი, — მე დღესეუდ ქალაქისკენ გავსწევ.

— მიბრძანდით! უთქვენოდაც გაგსძლებთ!— გაესუმრა დუნია.

მამა ანტონი მართლაც იმ დღესვე წავიდა ქალაქში. გზაზედ საშინელი ტალახი იყო. იმისი გამხდარი ცხენი რამდენჯერმე წუმ-
 ზეში ჩავარდა. სწორედ გათენება იქნებოდა, როდესაც მამა ანტონი
 ქალაქში შევიდა. მთელი ქალაქი ტალახში ცურავდა, ქუჩებში წუმ-
 ზეები იდგა. ზოგიერთ ჩაღრმავებულ ადგილებში ეტლები ცვიო-
 დნენ. ფეხით მოსიარულე ხალხი ერთი ადგილიდან მეორეზე ძლივს
 გადადიოდნენ, ისეთი საშინელი ტალახი იყო. მამა ანტონი ღამის
 გასათევე სახლებში ჩამოხდა. ჟურ შვიდი საათი იქნებოდა. მდივან-
 თან წასვლას ადრე იყო, მდივანი— ჭეშქარი იყო მამა ანტონი— ალბად
 რვა საათზედ თუ ადგება და ათზე სამსახურში მიდის. ამ ხანებში
 უნდა კინახულყოფო. ჩაის შემდეგ, როდესაც მოემზადა, მამა ანტონ-
 მს თხოვნა დასწერა და ას მანეთიანთან ერთად კონკერტში ჩასდო.
 ის ესლას ძალიან გაბედულად მოქმედობდა, ალბად იმიტომ, რომ
 ოთახში მარტო თვითონ იყო: გარდა ამისა იმას ამ დროს მოა-
 გონდა მამა ზანკარტისა და ბლადლახინის ნაღამარაკევი და ამან უფრო
 ერთი-ორად გაამხივებდა. ესლას იმ საქმეს, რომელიც უნდა გაკეთებინა,
 ის უბრალო რამედ სთვლიდა. ცხრა საათზედ მამა ანტონი მდივანის
 სახლის ფარდულში იმყოფებოდა.

— რა ნაირად მოკახსენო, ვინა ბრძანდებით? — ეკითხებოდა
 მამა ანტონს ვიღაც მოხუცებული ქალი, რომელიც ვინ იცის ვინ იყო:
 «კეონომკა», მონაზონი თუ თვითონ მდივანის მეუღლე.

— როგორც გინდოდეს, ისე უთხარი, სულ ერთია!... ისინი
 მე მანაც ვერ მიტოვებენ. უთხარი, რომ მე ჩემ საქმესეც ვარ მო-
 სული.

— ეგ, რა! თქვენ საქმესეც იქნებით მოსული, მამ სხვისაზედ
 ხომ არა? — სთქვა ეს ბებერმა და ჩაბნელებულ ფარდულში გაჭქრა.
 მაგრამ მამა ანტონს ბებრას სმას არც კი გაუგონია. იმან თავისი
 საკუთარი სმას გაიგონა, რომელიც იმდენად წვრილი და შემკრთალი
 იყო, რომ ვიღაცის სმად მოეჩვენა. მამა ანტონი შეშინდა, მაგრამ
 აქ შესაშინებელი არა იყო-რა. ფარდულში ორიოდ სკამი იდგა;
 გარდა ამისა კედელზედ კვიდა დიდრონი სარკე და ტანისამოსის
 ჩამოსაკიდებელი. სახლის ღია კარებიდან მოსჩანდა სახლის აკეჟე-

უღობა და «ძის-გარმონიის» ერთი გუთსე, ბებერიც არაფერს გასაოცარს არ წარმოადგენდა, — ერთი სიტყვით, აქ ყოველივე თავის წესსა და რიგს ედ იყო. მამა ანტონს მაინც შიშის ურუნტული უღლიდა ტანში, ადრე იმისთვის, რომ ჯიბეში ას მანეთიანი ეგულებოდა, რომელსეც კვიდა იმისი ბედი და უბედობა. ბებერი მალე დაბრუნდა უგან და სტუმარი თავისთან გაიყოლა. მამა ანტონმა გაიარა ჩაბნელებული ფარდული, შემდეგ მარცხნივ შემოუსვია და სულ მოულოდნელად მდივნის კაბინეტში თავი ამოჭყო. კაბინეტის ერთ გუთსეში სტოლსეც ელაგა რამდენიმე ხატი. სულ მოზრდილი ხატის წინ კანდელი ენთო. მუორე გუთსეში იდგა მწკანე ხაკერდით გადაკრული სტალი. მამა ანტონმა აჭურობა მიათვალა — მოათვალა იკრა. ეს სახელი თათქმის არ ჰგავდა იმ სახელს, რომელსეც ამბობდნენ, რომ რაი ათასი თუმიანი ღირსო. მამა ანტონს მდივანი წინედაც ენახა და ესლა სულ ადვილად იცნო. ის იყო უხარმაზარი, ჭადარა შერთული ვატი, რომელსაც სახე წითლად უღაჟღავნებდა. ადამიანს ეგონებოდა, ახარადან ესლა გამოსულაო. ტანსეც გრძელი სერთუგი ეცვა. სახესეც ეტყობოდა, რომ ის გულცივი და მიუგარბელი ვატი უნდა ყოფილიყო. იმისთვის ყველაფერი ერთი იყო, რადრად სწეინდა, რომ ზოკიერთები მოდიოდნენ და აწესებდნენ. მდივანი აქვე კარებთან იდგა თავჩადუნული, იმის თვალეი რეგორდაც ცივად გამოიყურებოდნენ. მამა ანტონმა თავი დაუგრა.

— რა გვარი ბრძანებთ? — ივითხა სახლის ჰატრონმა, ისეთი წვრილი ხმით, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა იმის შესედულობას.

— სოფელ ბუტუშხევის მთავარი მამა ანტონ.

— ბუბირეო! — დაათვა იმის მაგიერ სახლის ჰატრონმა და სთხოვა მამა ანტონს სკამსეც დაბრძანება. მამა ანტონი სკამსეც ჩამოჯდა, ხოლო თვითონ დივანსეც დაჯდა.

— დიად, ბუბირეო!.. მე... მამა ბლადრჩინი... ის... ერთსეც მიკართვი თხოვნა... ის...

— ვიცი, ვიცი! — წარმოსთქვა სახლის ჰატრონმა.

— მათმა მუთებამ ასე დაწერა თხოვნასე: ადრეა ჯერო.

— გირი!— განიძეორა სხსლის ზატრონმა და თვალეში ჩაძ-
ტრდა.

— ექვსი შვილი მყავს... სკოლაც... მე ავაშენე.

— გირი!— განიძეორა კიდევ სხსლის ზატრონმა.

მამა ანტონმა ძლივს სული მოიბრუნა და ერთი ღრმად ამო-
იოხრა. მდივანი სტუმარს თვალს ღღარ ამოკრებდა. მამა ანტონს
ამან უფრო თავკუნა დაუბნია, ის თითქო ჭიბეში ხელის ჩაყოფას
გელარ ასერხებდა კონვერტის ამოსაღებად.

— ესლახ, მე თქვენ მოგმართეთ! ჩემი იმედი თქვენსკა დამყა-
რებულა. — ამობოდა მამა ანტონი და ხელი ჭიბისკენ წაიღო, მაგრამ
ხელი ჭიბეს ასცდა.

— რა იქნება, თუ რომ მათი მეუფება... — დაიწყო მდივანმა,
მაგრამ მამა ანტონმა სიტყვა გააწყვეტინა.

— თხოვნა მზადა მაქვს, მოგართმეეთ!

— თხოვნა? ჭო, ეს კი შეიძლება, სჯობინა!

მამა ანტონმა ამოიღო კონვერტი, რომელიც ცოტა დაჭმუჭნუ-
ლიყო.

— კონვერტი... დამჭმუჭნია! — სთქვა მან და თან გასწორება
დაწყო. ის ნაბიჯი, რომელიც ესლახ უნდა გადაედგა მამა ანტონს,
ფრიად საფრთხილყო იყო. ეს ნაბიჯი ან სულ დაღუპავდა, ან სულ
გაბედნიერებდა.

— არა უშავს-რა! გასწორდება! — სთქვა მდივანმა და თვალეში
კონვერტს დაატყობა.

— მამ თქვენს.. კეთილ-ინებეთ და... თხოვნა მიიღეთ!

მამა ანტონმა კონვერტი სტოლზედ დააგდო; შემდეგ მდი-
ვანს გამოემშვიდობა და ოთახიდან გამოვიდა. ის თავის დღე-
ში ისე არსად აჩქარებულა, როგორც ესლახ. მამა ანტონს თვალ-
წინ წარმოუდგა, რომ ვითომ მდივანმა კონვერტი უკვე გასხსნა და
დაინახა ის მანეთიანი; ვითომ ეწეინა მეტად ეს მდივანს, გაფითრდა
და მორთო უვარილი: როგორ თუ შენ ეს გამიბედე, კილაც ოხერ-
მა მთავარმა? შეურაცხ-ყოფა, მათ მეუფებას! ესლახე ანაფორა გაი-
ძრე, მონასტერში წადი ესლახ!

«ოჰ, უფალო! მომხედე და შემეწედე! — ჭიბიჭობდა კიდევ
გულში მამა ანტონი და დაბნეული მარცხენა თვისი კალაშს მარჯვე-



ნახედ იცხამდა: — რა კქენი, რა ჩავიდინე! დაუღუპე ნატა! დაუღუპე ბავშვები!

მამა ანტონს ვერ წარმოედგინა, თუ მდიანა ან გაფუკრდ ებოდა იმის თხოვნაზედ. როგორ შეიძლება? ამისთანა შიში, ამისთანა ადგილისა და ჭამაგირის ჰატრონი და ქრთამი! ეს სომ უბედურებაა, რისთვის უნდა იმას ქრთამი!

მამა ანტონმა აკერ უკვე შატრა კიბეზედ ჩამოაბნანა; კარებს აღებს, მაგრამ უკან კი არავინ მისდევს. აქ ის ცოტა ხანს შესდგა. თუ დაღუპვანა, ესლავ დავიღუბებო, — სთქვა მან. ორა წუთის შემდეგ მამა ანტონმა უკან, კარებისაკენ მიიხედა. მდიანის სახლის კარები იდგა უხმოდ და უძრავად.

მამა ანტონი, როგორც იყო, გამხსნევდა. მისვდა, რომ უკან არავინ მოსდევდა. მისვდა, რომ კონკრეტმა კი არ გააფუკრა მდიანა, გაანარა და, მამასადამე, იმისი საქმე კარგად უნდა წავადეს. რაკილა ასეთ კეთილ აზრამდის მივიდა მამა ანტონი, გადსწევითა: დღეს შენსისტორიას ახლა არ გაეარნა, თორემ შეიძლება არქიელს თვალი შეესწრო და საქმე გაფუჭდებოდა. მაგრამ ეს დღე მანც სულმე უნდა გაეტარებინა მამა ანტონს. ადგა და ბაზარში გაიარა; შემდეგ ღამის გასათეკ სახლებში მიდიოდა, უნდოდა შატრანსანს წაეძინა, მაგრამ იმდენად აღელვებულ იყო, რომ ვერ მოახერხა. ქალაქში მამა ანტონს ძალიან ბევრი ნაცნობება ეკუთვნოდა, მაგრამ იმით შესვენდრას კრიდებოდა. დაუწყებენ გათხვას, რისთვის ჩამოაჭმანებულხართო და როდესაც ეტყევა, როგო დაციდინება, როგო შეჩს გაივლებს გულში. ისეკ ასე მშვიდობიანად ყოფნა სჭობაო. მამა ანტონი აღელვებულ იყო და არ ეძინებოდა; მაგრამ, რომ იმისი საქმე კეთილად გათავდებოდა, ამის იმედიკა ჰქონდა. მდიანა — დიდი რამ ძალიან; თუ რომ მიიღო, რაც მიერთება — მამასადამე, საქმესაც გააკეთებს. მამა ანტონმა მანც და მანც საჭაროდ დანახა მამა ბლადონის ნახვა. მამა ბლადონი მამა ანტონს კარგის თვალთ უყურებდა, იმის წარმატებისთვის ცდილობდა და მამა ანტონსაც უნდოდა თავისი მისვლით შატრია ეცა, უნდოდა დაენახებინა, რომ მეც მახსოვხარ, მადლოერი და შატრიის-მცემული ვარო.

ბლადონი მამა ირანე სცხოვრობდა ისე მოსდენილად და კომპლიად, როგორაც თვითონ იყო. აქ სულ ყველაფერი აღერსიანად

გამოაყურებოდა, — სუფთა და კოხწია კაბე, განიერი შუშბანდი, მატარა ნათელი ოთახები, მრავალნაირი სასლის სამკაული ვარდის ფერის და მწკნე ხავერდით გადაკრული, კოსტა მოსამსახურე ქალი, ალერსიანი ცოლი და მოსიყვარულე შვილები, — ყოველივე სასიამოვნო რამეს წარმოადგენდნენ. მამა ბლადოჩინის ოჯახში რომ კაცი შემოსულიყო, არ შეიძლებოდა რამდენიმე საათი არ დაჩქინილიყო. აქ თითქმის განსხვავება არ სუფევდა ბრალის და უბრალო სტუმართ შორის.

— ოჰ, მამა ანტონი მობრძანებულა! მობრძანდით! ქალა ანტა, მამა ანტონი მობრძანდა, ბუტუშჩევის მთავარი. ახა, ჩაი ან სხვა რამ მოართვით. გნებავთ, მამა ანტონ, ჩაი მურაბით? თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდება? მამა მანკრატა როგორღა? სულ საქმიანობს განა? აი ეს ჩემი უმიფროსი ქალი გასლავთ!... ნუ გეშინიან, ნუცა, ეს ჩვენი მამა ანტონია ბუტუშჩევიდან.

გამობრძანდა დედა შვილებით; გამოატანეს ჩაი მურაბით. მამა ანტონი სრულიად თავისუფლად ჰგროძნობდა თავს. მამა იოანეს ოჯახს სრულებით არ ეტყობოდა თუ ის სამღვდელთა კაცი იყო. ბლადოჩინის კაბინეტში თქვენ ვერ შეამჩნევდით ვერც ათონის მთის სურათს, ვერც სხვა სასულიერო ზიგებისას. იქ კვიდა მსოფლოდ გეგრაფიული რუკა და ერთი ცხვარა სურათი, რომელიც დაგიღვინა. შუშის შვავში ელაგა დაკაზმული წიგნები, რომელთაც ზედ-წაწერა ამას გუჩენებდა: «შლოსსეა», «ბოკლი», «შილქერი», «ნუშინი», «ტურკენიკი» და სხვა. ზღვას ერთ კუთხეში «ფორტოპიანო» იდგა. ფორტოპიანოზედ ბლადოჩინის ცოლი უკრავდა, ხოლო იმათი შვილები დაპროწალობდნენ.

მამა ბლადოჩინი მამა ანტონი სადილად თავისთან დანაჩქინუნა. აქ მამა ანტონს უნდოდა ბლადოჩინისთვის ეამხნა ის ამბავი, თუ როგორ მიუტანა კონკერტით ფული მდივანს, მაგრამ დრო ვერ მოიხელთა: სასლში ბლადოჩინის ცოლ-შვილი დატრიალებდნენ. სადილს უკან მამა ანტონი და ბლადოჩინი მარტოკა დაჩქინენ ოთახში. მამა იოანე დივანზედ გადაეყუდა და სიგარა განახლა, შემდეგ სტუმარსაც მისთავაზა, მაგრამ მან უარა განაცხადა. მამა ანტონმა არც კი იცოდა, თუ როგორ უნდა მოეწია სიგარა. ის თვითონვე აკე-

თუბდა თუთუნისაგან მისკვილ-მისკვილ ჰაზირიკებს და იმას სწევდა. მამა ანტონმა ესლა კი დრო მოახელთა და სთქვა:

— მამა ბლადლოჩინო, იცით, მე მდივანთან გასლდით.

— ჰო, იმ საქმესე?

— დიალ, იმ საქმესე... დახმარება ვსთხოვე, — დამხირდა. ცხარე კაცსა ჰგავს, თავის სამისხურში ძაღიან ავი უნდა იყოს...

— არ ვინცა სწორედ! მე «განსისტორიას» არ ვეხები. ერთხელ არქიელი ჩამციებოდა, რამე მეც წვერად გეოფილიყვა, მაგრამ არ ვინდომე, იქ ათასწარი «ინტრიგები» არსებობს. რაც უნდა ქნან.

— მდივანთან რომ გიყვავი, კონკერტი დაუტოვე... შიგ თხავანს იდო, ხა, ხა, ხა! — გაიხარხარა და შემდეგ ჩუმიდ ვარუბისკენ მიიხელა.

— წარმოიდგინეთ, მამა, რა უცნაური ხასიათი მსქეს, თუ სადილთ უკან სიგარა არ მოკწიე, ასე მკონია, დღეს არაფერი მიჰქაია-მეტქი! — სთქვა ბლადლოჩინმა.

— ჩუეულებას! — უზახუსა სტუმარმა და გულში გაიფიქრა: «მე კონკერტსე ველაზარაკები და ის კი სიგარაზე!»

ამ დროს ზაღასში ფორტოფიანოს ხმა გაისმა.

— კონკერტი რომ მივეცი, მითხრა: ეს ურიგო არ იქნებაო.

— ანტა, მენდელოსნისა დაუგარი რამე, — დაუვეირა მამა ბლადლოჩინმა ცოლს და შემდეგ სტუმარს მოუბრუნდა. — მე ძაღიან მიუვარს მედელოსნი, ეს ჩემი საყვარელი კომპოზიტორია. აბა ყური დაუგდეთ, რა ხასიათიანია.

მამა ანტონი იმულებული შეიქნა მუზიკის ხმისათვის ყური დაეკლო, ხოლო მდივანსე, რასაკვირველია, კრინტიც აღარ დაუძრავს. საღამო უამსედ მამა ანტონი ღამის გასათვე სახლებში დაბრუნდა. გაჭედ ძალსედ სიბნელე იყო, მხოლოდ ქუჩებში აჭა-იქ ფარნები სრჩოლავდნენ. მამა ანტონი გზაში იმასედ ჰფიქრობდა თუ რა ნაირი ხასიათიანია ამბის გაკება მოკლის ხვალ, თუ რა რიგ გაუხარდებათ ხატოს და დუნისა, რომ ხვალეე სქმე გათავდეს და ხვალეე ნაკურთხი მივიდეს ბუტუშკეში.

გზა-და-გზა ისა ჰფიქრობდა აგრეთვე იმასედ, რომ ჭეკენიკებასედ ბუერნაირი ხალხია. აი მდივანი, მაგალითად, იმას, როგორც ამბობენ, 200,000 მანეთიანი ხასლი აქეს და კიდევ ჩვენისთანა ღა-

რობ სჯდს ატყუებს. მამა ბლადღჩინს კი ამისთანა აშბის გაცონ-
 ხაც კი ეწარება. მერე რა ნაირადა სცხოვრობენ ან ერთი ან მეორე-
 ერთთან კაცს მისვლა ეძძიებუბ, სუელი ესუთება, მოწყენილია, მე-
 რესთან კი გული უხარის, იქ ყოფნა ესაღისება. კარგია მდივანად
 ყოფნა, მაგრამ არც ბლადღჩინობაა ურიგო. ორივენი კარგადა სცხოვ-
 რობენ. უბედურებაა მსოფლოდ სოიულში მთავრად ყოფნა, მეტადრე
 როდესაც ექვსი შვილი გუყვს და აუადყოფი ცოლი.

მეორე დღეს, სწორედ თორმეტ საათზედ, მამა ანტონი აჩქი-
 ლის ბაღში დასვირობდა. ამ დროს მდივანი აჩქიელთან იყო სხვა-
 და-სხვა თხოვნების წარსადაგენად. მამა ანტონმა ეს უკვე იცოდა და
 თავის გონებაში ისახვდა, თუ როგორ უღაზარაკობდა მდივანი იმის
 თხოვნის თაობაზედ. აკერ მდივანმა ვითომ კიდერ გაშალა მისი
 თხოვნა. აჩქიელი ამბობს: «ჭო, ეს ის არის, ტონის ალება რომ
 არ იცის? მე სომ გუთხარი, ჯერ ადრეა-მეთქი!» «თქვენო მეუფე-
 ბაჟ!—უზასუებს მდივანი,—მაშინ იმ ერთ შემთხვევაში ვერ მოა-
 ხერხა ტონის ალება, თორემ ის საზოგადოდ ღირსეული და ნი-
 ჭიერი კაცია. ექვსი შვილი ჭყავს, თქვენო მეუფებაჟ! მივაჭტეე ამ-
 ზედ უურადლებას». ამას გარდა ბუერს სხვა რამესაც ღაზარაკობს
 მდივანი დინჯად და გონიერულად, მაგრამ მამა ანტონი სომ ყველაფერს
 ვერ გაიგებს. აჩქიელი ყურს არ უგდებს მდივანს, თან კი ჭიფქ-
 რობს, არ მისცეს მღვდლობა მამა ანტონ ბუბირკოს, მაგრამ მდივანი
 ისეთ ნაირად ღაზარაკობს, რომ უარის თქმა არ შეიძლება. ისე
 რომ დაბოლოს აჩქიელი თანხმდება და ამბობს: «კარგი, კარგი, ჯერ
 არ მინდოდა მღვდლობის მიცემა მაგისთვის, მაგრამ შენ დამარწმუ-
 ნე, რომ ეგ ღირსია! მომეცი კალამი!» აჩქიელი იღებს კალამს და
 სწერს: «ვლოცავ და ვაგურთხებ მამა ანტონ ბუბირკოს მღვდლად».
 მდივანმა ქაღალდები «წორტყელში» ჩააღაგა და «კანსისტორიაში»
 წამოივია. სობოროს საათმა თორმეტი ჩამოჭკრა. ცოტა კიდევ უნ-
 და მოვიცადო,—თქვრობდა მამა ანტონი,—მდივანი სტოლის უფ-
 როსს გადასცემს ქაღალდებს. სტოლის უფროსი ძველებური კაცია,
 იმას მამა ანტონი იცნობს; მას აქეთ, რაც კი «კანსისტორია» არსე-
 ბობს, სულ იქ არის. იმასაც მდივანისებურ წვერები მოზარსული აჭკს,
 მაგრამ იმისებურ ბრაზიანი კი არ არის, მსოფლოდ ეშმაკი კია. მეო-
 ნი ფულის მიცემა იმისთვისაც იქნება საჭირო.

სობორას საათმა ორის ნახევარი ჩამოჭკრა; მამა ანტონმა იგრძნო, რომ ესლა კი დრო არის და «განსისტორიისკენ» გასწია. სტოლის უფროსია რაღაც ქალაქების ჩხრეკაში იყო გართული.

— ესლაჲ, ესლაჲ, ერთ წუთს მომიტინეთ, მამა!—სთქვა ღიმილით სტოლის უფროსმა. მამა ანტონი დამშვიდებულის გულისით იცდიდა.

— მთავარი, ანტონ ბუბირკო?—არის, არის. აი თქვენი თხოვნა!—სტოლის უფროსმა თხოვნა გადაშალა და მამა ანტონს მიაწოდა. მამა ანტონ ბუბირკომ წაიკითხა არქიელის ხელთ წარწერილი: «ტონის აღება არ იცის, ამიტომ ჯერ ადრეა». ქვემოდ ეწერა სეკრეტარის ხელით: «უარი მოხსენდეს».

— სსკა არაფერი!—სთქვა ღიმილით სტოლის უფროსმა და თხოვნა ისევე სტოლსედა დასდო.

მამა ანტონს უცებ თავლთ დაუბნელდა, აზრები აერია. ესლა ის კვლარც სტოლის უფროსს ხედავდა, კვლარც მწერლებს, კვლარც გვერდით მყოფ დიაკონს, რომელიც ცრემლ-მორეული რაღასაც ისევეწბოდა. რა მოხდა განა ამისთანა? ნატა სტიარის, ღუნია დაღრეშილი დაიარება. მარინე ფულისა თხოულობს და თან იძანის: «ძნელი იქნება თქვენთვის, ძალიან ძნელი იქნება.» მამა ბლადონიანი სადღაც მალჯა ზის, თითქო ღრუბლებში გასკეულობ, და სიგანას ეწევა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. მამა ანტონი გონსედა მოვიდა და სთქვა, ცოტა ჩემსეო. ამავე დროს იმის დაებადა აზრი, მივიდეს მდივანთან და თავის თანამოსამსახურე ხალხთან უთხრას: «რამდენი უნდა დაგიმატოთ კიდევ, ბატონო მდივანოვო». მაგრამ ასეთი აზრის შესრულებას განა ვით მოახერხებს სოფლის მთავარი, ისიც დიაკონის მოადგილე. მამა ანტონი მდივანთან არ მისულა, ღამის გასათვე სახლებში დაბრუნდა. აქ ის მოშვეუდა დაბრუნებულა, უკემურად აბამდა ცხენს და უგულოდ უსწორდებოდა სახლის ჰატრონს. მამა ანტონს გული მოსდიოდა თავის თავსედა, ის თითქოს არა ნადვლიანობდა, არა გაგლანობდა და არ ფიქრობდა ცოლშვილსედა. იმისა მწუნარება უსაზღვრო იყო, მას მწუნარების ძალღონე აღარა ჰქონდა. კარგა დაღამებული იყო, რომ მამა ანტონ-



ნი ძლივს გონსედ მოვიდა; ბუტუშხევამდას სულ ათი ვერსი აქნებოდა. იმას თითქმის რაღაც მოაგონდაო, შესტა და ცხენს გაუჩქარა.

რაღაც მიხეცით ანტონს გულმა კვნესა დაუწყო და შინასაკენ გააჩქარებინა.

სწორედ შუადამიასს მოვიდა ის სახლში და გაუგვირდა, რომ უდროო დროს სახლის შუქი გამოდიოდა იმის სახლიდან.

III

ანტონ ლოგინში იწვა, სიცხე ჰქონდა და ჰბოდაკდა. მამა ანტონს წინ დუნია მიეგება. ბავშვებს სუფილას ეძინათ მეორე ოთახში. მხოლოდ არ ეძინა მაროს, რომელიც პერანგის ამირა მოსჯდამოდა აკადემიოს და თვალს აღარ ამოკრებდა.

— რა დაქმართა? — იკითხა მამა ანტონმა.

— სს... აქ მოდი.

დუნია მამა ანტონი სამზარეულოში შეიყვანა და მძა-მძლავ ტირილი დაიწყო.

— ანტონ, ანტონ! რა უბედური კაცი ხარ! — წამოიყვირა იმან ტირილით.

— უბედური კარ ყოველის მხრით! — წაიჩურჩულა მამა ანტონმა.

იმან წინდაწინე იცოდა, რასაც ეტუოდნენ და ეს იმდენად შესაზარი იყო, რომ აღარც კი რამეს კითხულობდა.

— რა წამსაც შენ წახვედი, იმ წამსვე ლოგინად ჩავარდა. — ამბობდა ცრემლ-მორეული დუნია. — თავი ასტვივდა, გულსედ ლოდივით რაღაც დაწვა, საშინელი სველ აუტყდა და სისხლმაც ამოხეთქა უღიდან... ჩვენ შეგვეშინდა, ღმერთო ჩემო, რა რიგ შეგვეშინდა... ფერშალი მოვიყვანეთ... მოვიდა, გასინჯა... მერე ცაღკე მითხრა: «ჭლექია, ძალიან მოსდებია... ისე რომ სულ ცოტა ხანს იცოცხლებს კიდეკ...» ანტონ, ანტონ!..

მამა ანტონს უნებურად მუხლები მოეკვცა; სახესედ ყვათუღმა ფერმა გადაჰქრა, მაგრამ კი არ სტიროდა; მხოლოდ ქვემოთა ტუჩმა თრთოლა დაუწყო. მამა ანტონი დუნიას დაშტურდა ისეთიანობად, რომ აღამიანს შეეშინებოდა.



— იცი, — სთქვა მან სუსტის, შეშინებულის ხმით, — იცნებ შენ ვაჟაგე... მდივანს ასი მანეთი მიკუცი... მარინეს გამოვართვი... და არაფერი გამოვიდა... ტონის აღება არ იცის... ტონი...

აქ მამა ანტონმა მოწითო უმნო ღრიალი, ბებერი ქალივით. დამ დამშვიდება დაუწყო: ჯერ ხომ არა გინათ-რას დანამდვილებით, ფერმადს არაფერი გაეგება; მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა, მამა ანტონი ისევე ღრიალებდა და თავს სტოლზედ ურტყამდა.

— შენ ამითა უფრო გულის გაუსუთქავ, — სთქვა დუნამ. ღრმად დაფიქრებულმა მამა ანტონმა სამყაროულში გაიარ-გამოიარა.

— დუნია, დუნია! ეს რა უბედურობაა? რა უნდა გქნათ? ბავშვებს რა უნდა გუეოთ?... ეჭვანი... სულ ერთი-მეორას მომდევნობები... ღმერთო, შემიწყალო!... — ჩუჩქვდა მამა ანტონი და თან კუთხეში ჩამოკიდებულ ხატს შეჭყურებდა, თითქმის იმისგან გამოკლის თავის ნუგეშსაო. დუნია კედელს მიჭყურებდა და მწარედ ჭეითინებდა.

ურც კარები გაიღო. მარამა შემოვიდა, მთლად გაფითრებულა და თვალები-ჩაწვინული.

— მამაო, თქვენ გიხმობენ, ქალებ-ტონი გიხმობთ!..

— შე?..

მამა ანტონმა მამიკე ანაფორა გაიძრო, ტალასი გაიწმინდა, თვალები კარგად მოიხანა, რომ ნაცრქელარი არაკის შეემინა და ჩუმის ნაბიჯით გასწია სხსლისკენ. ესღა ის, რაც ძალი და ღონე ჭჭინდა, იმასა ცდილობდა, რომ მშვიდობიანად და მხიარულად ეფიციყო, რომ ხმა არ აჭკანკალებოდა.

— ნატო! რა ამბავია, რომ დაწყება და აღარ წამოდექი ფეხზედ... — უთხრა ალერსიანად მამა ანტონმა და გასურებულ შუბლში აკოცა.

— სასიკვდილოდ გაკემოცადე, ანტონ, ალბად ღმერთი გკსჯის...

— ნატომ დაასველა და სისხლი ამოიღო...

— რას ამბობ, ნატო, რას ამბობ? რადროს სიკვდილია? ჯერ კიდევ დიდ ხანს გინცნებებო. მაღე მზე გამოაშუქებს და ფეხზედ წამოდეგები...

ასე ამბობდა მამა ანტონი, მაგრამ იმისა ხმა სულ სხვასა ნიშნავდა. ისა სწუნდა მეტადრე, რომ ენა აუბოროძოდა, სწუნდა, რომ თავი კვლავ შეიმაცრა.

— მლე გამოაშუქებს, მაგრამ ჩემთვის კი არა, — თავის ჩაქნე-
 ვით სთქვა ნატომ. — ნეტავი ჩემ ბავშვებს გამოუშუქოს მზემ! მე
 გგონობ კარგად, რაც მომეღის... მე თერშადიც კარგად დაინახე,
 დუნიას ცრემლებიც, შენ რომ სამზარეულოში ღრიალებდი, ისიც
 კარგად გაავიწყენ. გგონობ, ანტონ, გგონობ, რაც მომეღის და
 ამიტომ მინდა გითხრა რამე უკანასკნელად. მარო წაიყვანე, მაგის
 საქმე არ არის უურის მოგდება.

— მარო, წავიდეთ, დავიძინოთ! — მიუბრუნდა მამა ანტონი
 ბავშვს.

მაგრამ მარო ორივე ხელებით დედას მოეხვია.

— არა, არ წამოვალ! დედას არ მოვშორდები საფლავამდის! —
 დაბეჭვითებით იძახდა მარო.

ნატოს ორი მარგალიტით ცრემლი გადმოვარდა თვალიდან.

— დეე იყო! — სთქვა მან, — დაჟეჭი ანტონ, სკამი აიდე და
 ახლო მოდი.

მამა ანტონი თავით მოუჭვდა ავადმყოფს.

— ქალაქში რა ქენი? რა გითხრა არქელმა? — ჰკითხა ნატომ

— არქელმა... არაფერი, არაფერი, ნატო!..

— ანტონ, შენ ნუ მომატყუებ! შეიძლება მე სვალ ცოცხალი
 არც კი ვიყო! სიმართლე მითხარი, უარი გითხრა?

— უარი მითხრა, ნატო, — მიმკვდარებულის სმითა სთქვა მამა
 ანტონმა და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— საქმეც კვ არის! შერე როგორ გითხრა უარი, სამუდამოდ
 თუ დროებით?

— დროებით, ნატო! ჯერ ადრეა, იმიტომ რომ ტონის ალე-
 ბა არ იცისო, დიერთო ჩემო!

— მართლეს აშობ, ანტონ?

— მართლეს, ნატო, ამას აღსარებასავით გუუბნები.

— ჩვენ კი ექვსნი გუყვანან, ანტონ! გაიზრდებიან და რითი
 უნდა დაზარდო? ექვსნი!..

— ექვსნი არიან, ნატო!.. ექვსნი!..

— ანტონ! — ჩუმიად გამოიძახა ნატომ, რომ მაროს არ გაგო-
 ნა, მაგრამ მარო სმენად იყო გადაჭრეული. — მე რომ მოგვედე, ხომ
 ჰქრები უნდა იყო?

— უფალო, ღმერთო ჩემო!— გაისმაურა მამა ანტონის.

— დაქვრივდები, ანტონ!.. დაქვრივდები და მღვდლობას აღარ მოგცემენ. კანონი ეგრეთაა*)... ორმოც წლამდის უნდა იცადო და მაშინაც კინ იცის... თუ დაიმსახურებ, შეიძლება... მაგრამ შენ რითი რა უნდა დაიმსახურო?

მამა ანტონი ფეხზე წამოდგა, მერე ღრმად ამოიხსრა და ისევე დაჯდა.

— რა ამბავია ჩემს თავს, ღმერთო ჩემო!— ჩურჩულობდა ის, თან ხელით ზიზჯვარს ისახავდა.

— სულით დარცმა როდი ვარცა, ანტონ! საქმე უნდა კარგად გაისაჯგოს! ეჭვანი გეყვანან! შენ რომ სულ მთავარი იყო და მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაატარო, რა უნდა ქნან მაშინ ჩვენმა ბავშვებმა? გლახებად უნდა დარჩნენ... და მერე რისთვის? მაგათი რა ბრალთა.

— რას იზამ, როდესაც ღმერთს ეგრე უნდა?

— მერე, მე რომ მოკვდები, სომ სამუდამოდ მთავრად უნდა დარჩე?

— რა ეუფოთ მამა! მე გელარაფერი მოვაგვარე... გერაფერი მომიფიქრებია!

მამა ანტონი აიწია ამდენი ფიქრებისაგან, თავის თავისა აღარა გაეგებდა-რა. იმას ეკონა, არავითარი საშუალება არ მომეზოკება, რომ ამ მდგომარეობიდან თავი გამოვიხსნათ. ნატოს ისევე ასეველებდა.

— ყური დამიგდე, ანტონ, დროს ნულარა ჰქარგავ... მე სომ ჟურ ცოცხალი ვარ და არ დაქვრივებულსარ. წადი არქიელთან. გასწიე ამ საათში. ცხარე ცრემლით უამბე შენი ამბავი. უთხარი, რომ მე გვადები, უთხარი, რომ ჩვენთვის ეგელაფერს ბოლო ელება. ისიც გაცია, აღამიანის გული ექნება, ქვისა სომ არა. წადი.

ნატოს სელახლად წამოასკვლა, მაგრამ ლაზარაკი მაინც არ შეუწყვეტია.

*) სასულიერო კანონის ძალით დაქვრივებულს მთავარს მღვდლობა არ მიეცემა, თუ რომ წლოვანობით ორმოც წელს არ აღემატება.



— წადი, ფეხებში ჩაუჯარდი, თორემ სვალ მოგკვდები და მე დაძლიად მთავრად დარჩები.

— ნატო, ნატო! მაგას რას ამბობ, რეებს მეუბნები, ღმერთო ჩემო!..

— მე გუუბნები, რომ წადი, წადი-მეთქი, ანტონ! ექვსნი არიან... წადი!

— რანაირად უნდა წავიდე, როდესაც შენ... როგორ წავიდე?

— წადი, თუ საკვდილი მიწერია, უშენოდაც კარგა მოგკვდები. წადი-მეთქი, დროსად.

— ნატო, არ შემიძლიან! მე არ შემიძლიან!

— ანტონ!.. აქ მოდი!.. ასლო, ასლო... სული მომეცია... აი, ეგრე... რვა წელიწადი ერთად გვიცხოვრია თანხმობით და სიყვარულით და შენ ყოველთვის ყურს მიგდებდა ხოლმე... ესლა კვდება და ესლა კი არ გინდა სიტყვა გაგიგონო!.. ღვთის გულისთვის! გვედრები, ანტონ, წადი არქელთან... ანტონ, ჩემო სიცოცხლე, ეს ჩემი უგანსგნელი თხოვნაა, შემიძრულე: წადი. მე ვგრძნობ, რომ არქელმა უსათუოდ შეგვიბრალბეს!.. უფურე ჩვენს მარცხს, რა კეთილი და გონიერი გოგონაა, ნუ თუ ესლა ეგ უსწავლელი უნდა დაგერჩეს... დანარჩენები კიდე... ექვსნი! აბა, ანტონ, შირვევარი გადამწერე და წადი... იქნება შენს მოსკლამდის ვიცოცხლო და მშინ დამშვიდებულის გულით მოგკვდები... წადი, ანტონ, ჩემო სიცოცხლე!..

ამა ანტონი ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობით გაიმსჭვალა, და აკოცა რა ნატოს, სამჯერ შირ-ვევარი გადასწერა. ამის შემდეგ აიყვანა მარო, გადასწერა იმასაც შირვევარი და აკოცა.

— წავალ!—სთქვა მან ყრუ და მაგარის ხმით,—თუ კა შენ გინდა და შენი გული ჰგრძნობს... წავალ! ჩემთვის ეს ძალიან მწელია, აუტანელია, მაგრამ რასან შენ გინდა, წავალ, ნატო!..

ამა ანტონი კარსედ გამოვიდა. ღუნიან ერთ ადგილას თავხადუნული იჯდა. მარიაში ძროსასთან ფათურობდა. ცაზედ ვარსკვლავები მიმქრალიყვნენ, ის იყო თენდებოდა. მამა ანტონი ცხენთან შეკვდა დასათვალიერებლად. გამსდარი ცხენი თითქმის მიბნედილიყო. როგორ მიმეყვანს ქალქამდის, ამ საათში ირმორი ვერსი გამოა-

რია. — იფიქრა მან. ამასთან საჭირო იყო ჩქარა სიარული. დღეს შაბათია, თუ არქველმა შებრალებს იქონია, სვალეუ გურთსევა მოსერსდება; რომ დანგინადეს კი, მთელი კვირა უნდა იცადოს კაცმა და ამ ერთ კვირაში ვინ იცის რა მოხდეს. მამა ანტონი უსოში შევიდა.

— მარამ, — უთხრა მან, — წადი ესლაკე მეფოშტესთან, უთხარი, რომ ამ საათში დილიყანსი მომიმზადოს; მხოლოდ წარებს ნუ შებამს...

— ქალაქში მიდისართ? — ჰკითხა დუნამ.

— ჰო, ქალაქში! თვითონ მგზავნის.

— ექიმის მოსაყვანად?

— ეს, დუნია, ექიმა რაღა საჭიროა, რას უშველის... ფერშალმა მართალი სთქვა. ამ ერთ დღეში ისეთნაირად გახდა, რომ მკვდარს დაემსგავსა. თვითონვე ამბოს, მალე მოკვდებიო!..

— მამ შენაქაში რა გინდა?

— ისეთი საქმეა, დუნია, რომ მე თვითონ არ ვიცი, როგორ იქნება... მე ნურასა, მკითხავ, იქნება თვითონ ნატომ გითხრას... ადარ მომეშვა, წადიო... ახ, დუნია, შენი იმედი მაქვს, კარგად გაუფრთხილდი... თუ რამე იქნება, ღმერთმა კი ნუ ჰქნას, სვალ ისე მალე დაგბრუნდება... ვაი მე უბედურსა...

მამა ანტონი უსოში დადიოდა, შემდეგ მდინარისაკენ გაიარა. კარგა გათიხებული იქნებოდა, როდესაც მთავრის ქოხთან მოგრაღდა და დილიყანსი.

მამა ანტონი ოთახში შევიდა, ზარქვე დაემსო ხატას წინ და დიდ ხანს ლოცულობდა. როდესაც ლოცვა გაათავა, ხატოს მიუბრუნდა და უთხრა:

— მივდივარ, ხატო! დაუ აღსრულდეს შენი სიტყვა!

ნატომ გამყოფილებს ნიშნად თავი დაუქნია. მამა ანტონმა თავი ცოლისკენ დაქნა. ნატომ თავისი გამხმარი სელები ქმარს მაგრად მოჰხვია და წასწერწერა:

— მშვიდობით ანტონ! ფიქრი ნუ გაქვს! შენს მოსვლამდის კადეკ ვიცოცხლებ!.. იცოდე, იმდენი ძალა ჯერ კადეკ შემწევს...

მამა ანტონი ტორტმანით კარზედ გამოვიდა და დილიყანსში ჩაჰდა. ცხენებმა დილიყანსი მსწრაფლ გააქანეს.

ორმოცი ვერსი გზა, როდესაც კაცს იმისთანა ვარამი აწვეს
გულზედ, ძნელი გასავლელია ადამიანისათვის.

მამა ანტონი რომ მარტო ყოფილიყო, უსათუოდ ტირილს
მოერთავდა. მაგრამ რას იზამდა, ლილიყანსის თავზედ იჯდა მკარი,
ბურთუშეკველი გლეხი, რომელსაც ის კარგად იცნობდა. მკარი ძა-
ლიან ცნობის მოყვარე იყო და თავიდანვე კეთისებოდა მამა ანტონს:

— რა ამბავია, მამაო მთავარო? უსათუოდ რამე საჭირო საჭმე
უნდა გქონდეთ! ჟურ თქვენი ცხენით იუკავით ქალაქს და ახლა დილი-
ყანსით მიბრძანდებით.

— ალბად საჭიროება მოითხოვს! — უთხრა ანტონმა.

— ჰო, შეიძლება თქვენი სამსახურის გამო თუ? არქიელი თუ
გიბარებთ? — ჩასციებოდა მკარი.

— გაჩემდი, თუ ღმერთი გწამს! რას ჩამაცივდი? შენთვის არა
მცალაან.

მკარმა თავი მოაქექა და გაჩემდა. მამა ანტონს მართლა რომ
არ ეცალა მკარისათვის. იმას ესწა ათასნაირი აზრები აერია თავ-
ში. ხამუშ-ხამუშ აკონდებოდა თავისი წარსული ცხოვრება; ხან კი
ბურუსით მოცული, გამოურკვეველი მომავალი ბედი ეჯანდებოდა
თვალწინ; ხან კიდევ იმისი ფიქრები გარს დასტრიალებდნენ დი-
ვანს, რომელზედაც ნატო იწვა. მამა ანტონმა მოიგონა თავის ცხოვ-
რება, მოიგონა აშკარად უკვლავური ნაკრძნობარი და ნაფიქრალი,
თითქოს ეს არის აღსარებას აღიარებს ვისთანმეო.

დიდი ხანია მას შემდეგ, მაგრამ მანაც სიზმარივით ახსოვს
მამა ანტონს. იმისი მამა დიაკვნად იყო რომელსაც სოფელში და
რამდენიმე შვილი ჰყავდა. ვიდრე ათი წლისა შეიქნებოდნენ, ბავშვი-
ბის ყურის მკვებელი არავინ იყო. ისინი დაბოლდნენ კარზედ ფეს-
შიშველა და ცარიელი პერანგის ამარა; დაბოლდნენ მზეზე, ტალასში
და რაც უნდოდათ, იმას სჩადიდნენ. სწავლობდნენ იმას, რასაც ბავ-
შური გონება შეითვასებდა; სწავლობდნენ ისეთ რამესაც, რის ცოდნაც
მათ სრულიად არ შეეფერებოდათ. წიგნის კითხვას ბავშვებს თავიან-
თივე მამა ასწავლიდათ: «ან», «ბან», «გა», «და», «ე», «ვა», «ზ». მამა
შველებური კაცი იყო და შველებურადვე ასწავლიდა: ანბანის წიგნი,
ჟამნი და დავითნი შეადგენდნენ იმ დროის მენიერებას. დავითნის

ფსალმუნების კითხვა და შერე ზეპირად დასწავლა—ეს იყო მაშინ-
 დელი დიაკვნის ცოდნა. ანტონი სწორედ :თი წლისა იყო, რომ
 ქალაქში წაიყვანეს და ერთ რომელღაც სკოლაში მიაგდეს.

როდესაც მამა ანტონი იკონებს თავის შეგირდულ ცხოვ-
 რებას, ჰგონობს რაღაც ტვივილს, რაღაც უგუნურად და უსა-
 ბუთოდ შეურაცხავს. შეგირდობის დროს მამა ანტონს ყვე-
 ლა სცემდა, როგორც უფრო სუსტ ბავშვს, დაწეული ინსპექ-
 ტორიდან და კიდრე უკანასკნელ შეგირდამდის. საზოგადოდ, მა-
 შინდელი აღზრდა შეგირდების ტიპს - ტყუპაყედ იყო დამყარე-
 ბული. საბედნიეროდ, ამ გვარ ყოფა-ცხოვრებაში მამა ანტონი მარ-
 ტო ორი წელიწადი იმყოფებოდა. ორი წლის შემდეგ კი უნებ
 უჩველად გამოიცვალა. მოვიდნენ ასევე მასწავლებლები, რომელ-
 ნიც აღერსიანად ეპყრობოდნენ შეგირდებს, ყველანი თითქმის ზრდი-
 ლობიანი შეიქმნენ; როგორც ტიპს მწრაფელ გადაგდეს, ესეა აღ-
 რავისა სცემდნენ და არც არავინა სტიროდა. მაგრამ ანტონი შეში-
 ნებულია, დაჩაგრულია. საცოდავი ცუდადა სწავლობს, თითო კლასში
 ორ-ორი წელიწადი რჩება. მამა ანტონმა კაი-კავლასით სემინარიის
 შირველ კლასამდის მიაღწია; მაგრამ აქ კი, როგორც იმისთვის შე-
 უსაბამო და შეუფერებელ საქმეს,—სწავლას თავი დანება.

მამა ანტონი ოცი წლისა შეიქმნა, მამა ისევე ცოცხალი ჰყუდა,
 დაწყებულა და, მამასადაძე, უნდა რამე გზას დასდგომოდა. გზა კი
 ერთი იყო—ჰერ უნდა დიაკვნის ადგილზე ემსახურნა, შეესწავლა ვარ-
 გად და შერე დიაკვნის გამხდარიყო. ასე სხადიოდნენ სსკები; ასე
 უნდა მოქრეულიყო ანტონიც. მაგრამ აქ იმას ერთმა შემთხვევამ უშვე-
 ლა. რამდენისაძე ხნის წინად ამ გუბერნიისში გარდაიცვალა ერთი
 დეკანოზი, მეტად ცნობილი პირი, რომელიც ერთხელ ეკანისიტო-
 რიისს წევრად ინიცებოდა. სიკვდილის წინად დეკანოზმა ანდერ-
 ძად დასტოვა, რომ იმ ქონებით, რაც იმას დაჩებოდა სიკვდილის
 შემდეგ, გაემართნათ თავშესაფარი სასულიერო წოდების ქალებისა-
 თვის. ეს მართლად ასე მოხდა. გაიმართა თავშესაფარი სასულიერო
 წოდების ობოლ ქალთათვის, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას,
 კრასს, კერვას და სხვა საოჯახო საქმეს. საზოგადოდ ამ თავშესა-
 ფარში ამზადებდნენ საცოლე ქალებს სასულიერო წოდების დახლ

შირთათვის. მაგრამ თავშესაფარის დამფუძნებელი ძალიან ცნობილი შირი იყო და ამიტომ ამ თავშესაფარში აღზრდილ ქალებს მიანიჭეს ერთნაირი უფლება. საყოველთაოდ გამოცხადებული იყო, რომ უოკელ დიკვანს, რომელიც ამ თავშესაფარში აღზრდილ ქაღს შეირთავდა, სრული უფლება ეძლეოდა მთავრობისაგან მამხვე მთავრად კურთხეულიყო. ასტონმაც ისარგებლა ამ უფლებით. თვითონ მამა ანტონი აი რას იტყოდა ხოლმე თავის ცოლის შერთვანზე, როდესაც მსიარულად იყო:

«როდესაც სასწავლებლიდან გამოვედი, მამა-ჩემმა მითხრა: შეილო, სწავლა ხომ გაათავი, სხნს, არ გინდოდა, რომ შენ მშობლებს დამწუხობნებოდა. წავიდეთ ახლა თავშესაფარში, ცოლი შეგროთ; მთავრობას მოგცეკენ, რაც უნდა იყოს, დიკვანობას სჯობიაო. მე... რა? ჩემთვის სულ ერთი იყო. მამის მე ბეგრ არაფერი მესმოდა. დავთანხმდი, რასაკვირველია, რისთვისაც იყო საქარო ცოლი, ეს ვიცოდი. ავდექით და წავედიოთ თავშესაფარში. მივედიოთ, მე, მამა-ჩემი, დედა და ერთიც მაწანკალი—ჩვენი ნანობი დიკვანია. ჩვენ შირდაშირ კლასში შევედიოთ. ქალებმა წინდაწინვე იცოდნენ, რისთვისაც მივედიოთ და ამიტომ სუფთად გამოწყობილიყვნენ. სულ რვანი იყვნენ. ზოგი მათგანი ჰქვარავდა, ზოგი ჰქსოვდა... შევედიოთ, მე სუვეკლანზე უკან ჩამოვდექი; რაც გინდა იყოს, მე უნდაურად მეკენებოდა. მიდინარ უცნო კაცი და უნდა სამუდამოდ ცხოვრების მეგობარი ამოიჩნიაო. მე მამის ისეთივე ძალიანი ვიყავი, როგორც ესლა. ავდექით, ოთახში გავიარ-გამოვიარეთ; ვეკლას სასეში ვაშტრდებოდი, ისეთიარად, თითქოს ეადულობს რასიმეო. მაგრამ სულ ხომ ასე არ ვივლიდიოთ. ვნახეთ მოვიდა დედა-ჩემი და მეუბნება: «ანტონ, ჩემო სიცოცხლეკე, აი, ის, ქვარ-თმიანი, საკვარავს რომ უხის, ის წავიყვანოთ.» მაგრამ, უნდა მოვასსენოთ, რომ არ მომწონდა მე ის ქვარ-თმიანი, არ ვიცი რისთვის. კუთხეში მიმჯდარიყო შავკრემისა, გამსდარი და ცოტა ფერ-მერთალი ქალი. შევხედეთ თუ არა, შემებრალა, გულმა რაღანაირად შეიფართხალა... ესტევი, ეს უნდა იყოს ჩემი ბედი-მეთქი. ავდექი და ვუთხარი დედა-ჩემს: «არა, ქვარ-თმიანი კი არა, აი ის, შავ-თმიანი რაა»—და თითოთ ვჩვენე. დედამ მიპასუხა, რომ შენი ნებააო, შენ უნდა შეირთო, მე

სომ ჯრალ. საქმე ამით გათავდა. ჩვენ მისინვე თავსესავარის უფროს მამა ისიდორქათან წავედით საუზმისათვის; ენახეთ ის ჩვენგან მოწონებულ შავ-თმინინჯ აქ არის, ჩაის აკეთებს, გაწითლებული და ზღვლებულია. ჩვენ ერთმანერთი გავკაცნეს; შემდეგ ჩაი გაახელით. უნებ შევხედე, რომ სუეველანი შემოგვეფანტნენ, სადღაც გაჭქნენ. დაურჩით ოთახში მარტო მე და ნატო. მე მისინვე მავსვდი, ეს რასაც ნიშნავდა, გულში ძაგძაგი დამიწყო; მესარებოდა მარტო ყოფნა ქალთან, მაგრამ საქმე უნდა გამოეთავებინა; რადგან ცოლის შესართავად მოკვდი, უნდა შემერთო კიდეც. ავდექი და ჰირდაპირ ვუთხარი ნატოს: «ნატოლია, თქვენ ყველაფერი უკვე გეცოდინებათ, აქ, მეოანი, ბეერი ლახარაკი საჭირო არ არის, მსურს ცოლად შეგიერთოთ. მათი მეუფება მთავრად გურთხევას დამპირდა, ადგილიც უკვე მზადა მატქს სოფელ ბუტუშხეში.» ნატომ თავი ჩაღუნა: — «მე ეს გავგებულნი მატქს... თანხმა ვარ.» აქ მე ნატოს ხელზე ვაკოცე. მერე დღეს ჟვარი დავიწორე და მთავრადაც მავურთხეს.»

ასე იტყოდა ხოლმე მამა ანტონი ამ ამბავს, როდესაც კარგს ვუჩვენებდი იყო; მაგრამ ესლას ვი სულ სხვაგვარად იგონებდა. ამ ამბის მოგონებასთან ერთად გული ვარამით ეკსებოდა. მამა ანტონმა და ნატომ იმ თავითვე ხსიათები შეუფერეს ერთმანერთს ისე, თითქოს ერთი-ერთმანერთისათვის ყოფილიყვნენ განჩინილები. მიეცათ იმათ შვილები ერთი მეორესეუდ და ამასთან მიამატათ სიღარიბეც. ნატო გამხდარი იყო, ამასთან ავადყოფი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულ მედამ ფეხზე დეტრიალებდა; მხოლოდ ამ უგანასკნელ ორ წელიწადს ძალიან მოტყდა. მამა ანტონი საუკეთესო მთავარი იყო. არქიელი იმ თავითვე წყალობას თვალით უყურებდა და სრული იმედი ჰქონდა, რომ მალე მღვდლობას მიიღებდა; მით უმეტეს, რომ ნატო თავსესავარში იყო აღზრდილი. მაგრამ უნებ შემთხვას ის უბედურება, რადაც ტონი ვერ აიღო არქიელთან მსახურობის დროს და იმედიც გაუცრუვდა. მამა ანტონმა მოიგონა ის ბედნიერი ცხოვრება, რომელიც ნატოსთან გაეტარებინა, მოიგონა, ისიც, თუ როგორ დაჭხარდა იმ ჯრალს, რომ მალე მღვდლობას მივიღებო, ჩვენც სეირინიანად ვიცხოვრებთო; მოიგონა ეს და გული ბოლომით აუკნო.

ესლა ის ქალაქში მიდის, თვითონ ნატომ გაჭკვანა; შეიძლება არქიელმა შეიტყუა და ბედნიერებას ეწიოს. მაგრამ ის რა ბედნიერება იქნება, თუ რომ ნატოსაც არ შესვდება? მართლ თვითონ უნატოდ რა იქნება? ჰერ კიდევ ბერს იტოვებებს; სულ ოც და რვა წლის კანია. და ეს მომავალი ცხოვრება შავ და ბნელ სამარესაებრ თვალწინ წარმოუდგა მამა ანტონს.

როდესაც კი ის დაფიქრდებოდა იმაზედ, თუ რა ამბავი იყო ესლა იმის სახლში, სული ესუთებოდა და გული უძგავებოდა. ნატო რას სჩადის ახლა ის? ნატო უგანასენელ დღეშია, კედება, ეს თვითონაც კარგად იცის, რომ არ გადარება და ამ დროს ის წარმატების ძიებაშია. ნუ თუ ეს შესაზარი არ არის—იფიქროს კანმა იმ წუთებში, როდესაც იმისი საუკარელი, სუეველასე ძვირფასი არსება, სულსა ღეებს...

მაგრამ ექვსნი! ექვსნი არიან... საკმარისია ეს შემთხვევა გაუშვა, რომ გლახაკი შეიქმნე შეილებითურთ.

აი ქალაქიც, ტალახით სავსე ქალაქი, რომელიც გუშინ ისე უსამართლოდ მოკვებოდა მამა ანტონს. ესლა ისევე იქ მიდის სათხოვნელად, მაგრამ სულ სხვანაირი გულით. მამა ანტონმა საათში ჩაისკდა, თორმეტი იყო. სწორედ ამ დროიდან არქიელი მთხოვნელებს იღებდა.

— დროზე, დროზე, გასწი არქიელის სახლისაკენ! — დაუყობრა მკარს.

მაკარმა ცხენებს შეუტია. დილიყანსი ქალაქის ტალახიან ქუჩებში გაჭქანდა. როდესაც დილიყანსი არქიელის სახლის კზოში გაჩერდა, და მამა ანტონმა გადმოსკვლა იწყო, მაკარმა უთხრა:

— ეჭ, მამაო მთავრო, როგორ უნდა შესვიდეთ არქიელთან, სულ გათხუზული ხართ?.. ანაიორა, სახე, თმა სულ ტალახითა გაქვსთ მოსკრილი!

მამა ანტონმა ყურადღება არ მიაქცია მაკარის სიტყვებს; და თითქმის სიბრძნით გაჭქანდა იმ კარებისაკენ, საიდანაც არქიელთან უნდა შესულიყო.

IV

ზალა არქიელისა, სადა სსკა-და-სსკა შერთ ინახულებდა სოლ-
 ძე, მორთული იყო მიტროპოლიტებისა და სსკა წარჩინებულისა ში-
 რების სურათებითა. კედლების ძარს ჩაბიგებული იდგნენ სკამები.
 ზალაში სულ ათიოდ კაცს შეეკარათ თავი, რომელთაგანაც მომეტე-
 ბულნი სასულაურო შირნი იყვნენ, მოლოდ სსკა-და-სსკა ღირსები-
 სა. ვეკლანი, ვინც აქ იყვნენ, სუფთად გამოწოვილიყვნენ, თმა და-
 ეკარცნათ, სახე მოეწმინდათ და არქიელის გამოსვლას ელოდებო-
 დნენ. არქიელის «კეკელინაქმა» უკვე რამდენჯერმე გამოისედა ჩუ-
 მად, — საღვთის დასათვალეობლად. არქიელის შიდა ოთახებში, რომ-
 ელიდაც დასწავლავი უღი შირი იმყოფებოდა საქმეების გამო. მისკ-
 ნულები არქიელის მოლოდინში გასწორდნენ, მშვიდობიანი სახე მი-
 დეს. ამ დროს ფარდულიდან ხმაურობა მოისმა.

— მოითმინეთ, მამაო, ეგრე როგორ შეიძლება!.. ჯერ «კეკელი-
 ნაქს» უნდა ჰქითხოთ... — ჰქვიროდა კარის-კაცი.

— არა, არა, მე შირდაშირ არქიელი უნდა ვნახო, თვითონ არ-
 ქიელი... — უშასუხებდა ადელუებით მეორე.

— გარდა ამისა, წალები უნდა გაიწმინდოთ, უნდა გასუფთავ-
 დეთ... ეგრე როგორ შეიძლება. — განუცხადა კარის-კაცი.

— არა, არა უშავს-რა, არა უშავს-რა... მე მანდა... მე ისე!...
 მოისმოდა აგრეთვე ისეთ ხაირი ხმა, თითქოს ერთი კაცი მე-
 ორეს წინააღმდეგობას უწევდა.

— არ შეიძლება, მამაო!

— მომშორდი!

— უფრო ცუდად წაგიკათ საქმე!

— მე ამაზედ ცუდად აღარ წამიკა საქმე.. გამიშვი!

— ხალა, როგორც გნებავდეთ.

არქიელის მოლოდინში გართულნი შირნი ერთბაშად შეკრთნენ.
 უნებ ზალაში შემოვიდა მამა ანტონი გათხუზნილი და თმა-გაწვეწი-
 ლი, რომელიც კარის-კაცს რაღაცნაირად გამოჰქექვოდა.

— მათი მეუფება არ გამობრძანებულა? — იკითხა ხმა-მადლა მამა
 ანტონმა.

— არ გამობრძანებულა! — უზახუსეს იქ მეოფთ და თან გარ-
ცებით მხერა დაუწეს.

სმაურობაზედ გამოვარდა «კელეინიკი» და შირდაშირ მამა ან-
ტონს მივარდა.

— რას ჩადით, მამაო! კერე მოთხუზნილი როგორ შეიძლება!

მამა ანტონმა «კელეინიკს» თავის სიმაღლიდან ზიზლით ჩა-
ძიჭხედა.

— მომშორდი აქედან, თუ ღმერთი გწამს! — უთხრა მან ისეთ
ნაირად, რომ «კელეინიკი» მისინკე გაშორდა და მსრუბი-ლა აიხეხა.
ამ დროს არქიელის ოთახიდან გამობრძანდა ბლადოჩინი მამა იო-
ანე ქალაქდებით სელში. ბლადოჩინმა რამწამს მამა ანტონი დაინა-
ხა, მისინკე იმასთან მივიდა.

— რა, მამაო მთავარო! როგორ გაბედეთ?

— გაბედე მამაო ბლადოჩინო!

— თქვენ საუკუნოდ გააფუჭებთ თქვენს საქმეს.

— ოხ, მამაო ბლადოჩინო, ამაზედ მეტი სხვა რაღა დამემარ-
თება... — წაიხურჩხულა მამა ანტონმა.

აქ მამა ბლადოჩინმა მამა ანტონი გვერდზედ გაიხმო და უთხრა:

— იმედი მაქვს, სხვებსაც არ ჩაურევ მაგ საქმეში.

მამა ანტონი მისგადა, რაშიაც იყო საქმე, ბლადოჩინს ეგონა,
მამა ანტონი მდივანს უჩივის ქრთამის აღებაზედაო.

— რა, მამაო ბლადოჩინო, მე სომ იმისთვის არა ვარ აქა, მე
ს-უღ სხვა დარდი მაწიკვს გუფსე! — წაიხურჩხულა იმან.

— მაშ რა საქმე გაქვთ?

მაგრამ ამ დროს გამობრძანდა არქიელი, ჭადრა-შერთუელი და
მალაღი ტანის ვატი. არქიელს ეცაბა მოღურჯო აბრეშუმის ანაფო-
რა, სახეზე დინჯი გამომეტყველება ეტეობოდა. როდესაც ვინმე რა-
მესა სთხოვდა, ის სუღ განუბეუელი იყო, მხოლოდ ყურს უგდებ-
და და, როცა სასლში დაბრუნდებოდა, იქ გადასწვეტავდა ხოლმე
საქმეს.

— ვინ იყო რომ სმაურობდა? — იკითხა გამოსკლისთანაკე არ-
ქიელმა. უახუსის მაგიერ ზაღაში ფეხების ბაკუნი ასტყუდა და უნებ
არქიელს ვიღაც ფეხებში ჩაუვარდა.

— თქვენო მეუფებავ! თქვენო მეუფებავ... ჩემი ბრალა... ჩემი უსაზღვრო მწუხარება ხმაურობდა, თქვენო მეუფებავ!.. ჩემი უსომეო მწუხარება...

არქიელმა უკან დაიხია, სახე გაჟწითლდა და აღელდა. მკრამდი უნებ შეამჩნია, რომ იმის ივესთ ქვეშ გადა ტალახში ამოსურილი მთავარი მამა ანტონ ბუბირკო, შემოესმა ატრეთეე იმისი გულ-მოსაკლავი სიტყვები და დაწინაბდა.

— რა მწუხარება? აღქვი, მამაო მთავარო, — უთხრა არქიელმა.

— უსომეო მწუხარება, თქვენო მეუფებავ!.. მწუხარება, თქვენო მეუფებავ!.. ცოლი... ღმერთო ჩემო! მიკვდება... კიდუშები, თქვენო მეუფებავ!

ამის შემდეგ ადამიანი კელარ გაარჩევდა, თუ რას ამბობდა მამა ანტონი, ისეთი ტირილი მორთო.

არქიელი დათვიქრდა, თუ რა მოესურსებინა ამ კაცისათვის და რაკი კელარათყურს გახდა, ბლადლჩინის მიჭმართა:

— მამაო ბლადლჩინო! გამოჭკითსე, თუ ღმერთი გწამს, რას თხოულაბს ჩემგან?

— წავიდეთ, მამაო მთავარო! — უთხრა მამა ბლადლჩინმა.

მამა ანტონი მშვიდობიანად წამოდგა და გაჭყვა. შვეიდნენ იქვე ერთ ზატარა ოთახში, სადაც ერთი სარკე და ერთიცი ზირი-საბანა იდგა. ბლადლჩინმა თავის დაქნევით უთხრა:

— ეგრე როგორ შეიძლება არქიელის გაჯარება, ადვილი სომ არ არის!

— რა ვუყოთ, მამაო ბლადლჩინო, აღარათყური აღარ გამოვება. ისეთი ვარამი მსწევს!.. ნატო, ჩემი ნატო, ჭლექით მიკვდება... ოხ ღმერთო ჩემო!.. დღეს თუ ხვალ უნდა დაგქვრივდე და ყოველივე იმედი შეკარგება... სამუდამოდ მთავრად უნდა დავრჩე, მამაო ბლადლჩინო!.. ეჭვსი შეილო კი მყავს... და აბა იმათ რა ზასუსი უნდა გავრე?.. საცოდავმა თითონ გამომეზანა, უჭანასკნელ დღეშია... ბავშვების გულსათვის... მე უშენოდაც მოკვდებიო, წადი, იქნება არქიელმა შეგებრალსო... წარმოიდგინეთ ახლა ჩემი მდგომარეობა, მამაო ბლადლჩინო!... ცოლი მიკვდება. — ვინ იცის იქნება კიდევ მომიკვდა... მე კი აჰ...

მამა ანტონი ხელახლად დაეცა მუხლებზე და მოჭყვია ღრიალს. ხოლო ბლადონინი, რაც შეეძლო, ცდილობდა დაეშვიდებინა იგი.

— მოიცადე, არქიელი ამ საათში გაისტუმრებს, ვინცა ჭეკაც და ყველაფერი გუთხრათ. მე თვითონ ყველაფერს აგუსხნი. მხოლოდ შენ დანუშდა. ჩემად იქნები?

— ჩემად ვიქნები! — სთქვა მამა ანტონმა და სკამზედ ჩამოჯდა. იჯდა ის ასე რამდენიმე წუთი. არქიელმა ყველანი გაისტუმრა. ბლადონინმა არქიელს მამა ანტონის ამბავი მოახსენა. არქიელმა მამა ანტონი თავისთან მიიხმო.

როდესაც მამა ანტონი არქიელთან მიდიოდა, ჭკრძნობდა, რომ ის ტრესლი, რომელიც წელან გულში უტრიალებდა, თითქოს ჩამჭრალიყო. მიდიოდა მამა ანტონი, მაგრამ ისეთნაირად, თითქოს ფეხები ტანზედ არ ასხიაო. ხელები ძირს დაჭედა; თავი თითქოს გამოსცარიელებოდა. ესეა მამა ანტონის ისე ეშინოდა არქიელისა, როგორც სსკებს. ზალაში დარჩნენ: არქიელი, ბლადონინი, «კვლეპინი» და თვითონ მამა ანტონი.

— ვინ იცის ახლა, იქნება შენი მეუღლე კიდევაც გარდაიცვალა და იქნება შენ ამ საათში ჭკრივი ხარ?

— ყველაფერი ღვთის ნებაა, — უპასუხა წყნარად მამა ანტონმა.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ მღვდლობას რომ თხოულობ, ხომ იცი, დაჭკრივებულს მთავარს რომოც წლამდის მღვდლობა არ მიეცემა.

— ვიცი, თქვენო მეუფებავ!

— ჭო-და მამა რა გუყოთ, ხომ ზასუხის-გებაში ვიქნებით ღვთის წინაშე?

— თქვენო მეუფებავ! გუყოთ ზასუხის-გებაში! ექვსნი შევანან! ისინი აგებენ ზასუხს ჩვენ მაგიერ!

არქიელი დაფიქრდა და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

— მაგრამ იქნება შენმა ცოლმა კიდევ იცოცხლოს! — ლაპარაკობდა ხმა-მადლა არქიელი. — მართლა რომ შეცოდები. შენ ღირსი ხარ. მერე ექვს-ექვსი შვილი გყოლია, სულ ერთი-ერთმანეთის მომდევნო! ჭმ... ადვილია! და მერე როგორ ამრავლებთ ამდენ შვილებს? მაგრამ, კმარა, მხოლოდ შენი ექვსი შვილისთვის უნდა გიკისროთ ეს ცოდო! მოემზადე სვალისთვის.



— თქვენო მეუფებო! — წამოიყვირა მამა ანტონმა, მაგრამ ამ დროს ძალ-ღონე დაეკარგა და თავბრუ დაესხა.

— რა სანცოდავი კაცი უოფილას! — თანაგრძნობით სთქვა არქიელმა. — უნდა გაამხსნეოთ სოფლე, როგორ იქნება? ცოლი... იქნება ღმერთმა კიდეე უნცონსლოს. თუ არა და, კიდეე ღვთის ნებაა, — სთქვა არქიელმა და თავის ოთახში შევიდა.

«აი რა უოფილას ცხოვრება, — ჭიჭიერობდა ის სახლში, — რამდენნაირი შემთხვევა უოფილას ჭკეუნად. ჩვენ კი, უფროსებმა არა ვიცით-რა. ჭკეუნის ამხავს ჩვენ სხვა-და-სხვა პირობისაგან შემოტანილ თხროვნებიდან თუ ვიცებთ, თორემ სხვათნაირი არა ვიცით-რა. მე ვტანვარადი სანცოდავ მთავარს ტყუილ-უბრალოდ იმიტომ, რომ ტონის ალება არ იცი-მეთქი, და იმას კი რამდენი მწუხარება და ვარამი ჭკონია გულში. — და არქიელი მოვიდა კეთილ გრძნობასზედ, შეეცოდა თავისი ჭკეშეკრდომი სამღვდელეობა და ერთბაშად უნდოდა თვალით გადაესხინა მთელი სამღვდელეობისათვის, რათა გაეგო მათი გაჭირვება, მათი ვარამი.

მამა ანტონი მალე გონზედ მოვიდა და განშორდა არქიელის სახლს. ესლა იმას არ შეეძლო, არც სინაარული, აღარც მწუხარება. მამა ანტონმა კვლავ მოიყვანა რიგზედ ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც ამ ორ დღეში გამოსცადა. შიში მდივანის წინაშე თხროვნის მიცემის წინად, იმედი თხროვნის მიცემის შემდეგ, ალერსიანი მის-პინძლობა მამა იოანე ბლადომინისა, სამწუხარო ამის გაცება «ვანსისტორიაში», ნატოს სიკვდილი, ბრძოლა ნატოს სიყვარულისა და შეილების მოკვლეობის შორის, არქიელთან მისვლა და ბოლოს ეს დიდი ბედნიერება — მღვდლეობა, — ყველა ეს მოვლენებისანი ერთი-ერთ-მანეთში ირეოდნენ და თავბრუს ასხავდნენ კაცს. ცოლის დაკარგვა მამა ანტონისთვის დიდი უბედურება იყო. ეს უბედურება იმას უნდა გადაეტანა დიდ ბედნიერებასთან, მღვდლეობასთან ერთად. ესლა მამა ანტონის გულში ღვლავდა ორი სულ სხვა-და-სხვა ნაირი გრძნობა. სამღვდელეო პირისათვის დაქვრივება უბედურებაა. ცოლის სიკვდილი — ეს სომ სამუდამოდ მარტო ცხოვრებაა, ეს აუტანელი ვარამია ამ ჭკეუნად, სადაც ათასნაირი ცდუნება და ამისთან ერთად სხვა-და-სხვა ნაირი განონი ამა თუ იმ წოდების შესახებ. მეორე მხრივ, მღვდლეობის მიღება უდავსი ბედნიერებაა მთავრისათვის,

ეს ის ბედნიერებაა, რომელიც მუდამ ყამს ეტრფიალება და რომელიც მუდამ ყამს ოცნებობს მთავარი. და აი ეს ბედნიერებაც და ის უბედურობაც ერთად დაატყდა მამა ანტონს. ის ესლამ მხოლოდ ერთს რასმე ჭკრძნობდა აშკარად. ისა ჭკრძნობდა ნატოსთან დანაშაულობას. ნატო ამ ყამად სახლში კვდებოდა, ის კი აქ წარმატებას ეძებდა,—ამ აზრს გერ შეჭრიგებოდა მამა ანტონი. დანარჩენი დღე მან საშინელად ცუდად გაატარა. მამა ანტონი ლოცვასუდ იყო, მაგრამ ლოცვისა არა გაუგია-რა. იმ დამკს ხომ ცუარი არა სძინებია. მეორე დღესაც, წირვასუდ, მღვრთბულუაიყო, სახე გაჭყითლებოდა და თვალბეი ჩაჭკარდნოდა. არქიელმს შენიშნა რა ასეთი მდგომარეობა მამა ანტონისა, უთხრა: «გამსენკვი, მამა ანტონ! მოიგონე, რა დღეს შენთვის დღესანდელი დღე!»

მაგრამ მამა ანტონი გერ გამსენკვიდა, საყდარში ისევე მღვრთბულუაი იდგა. წირვა რომ გათავდა, მამა ანტონი არქიელთან მივიდა და ლოცვა გურთხევა სთხოვა, უნდოდა ახლა სახლში წასუღაიყო. იმის ხმას რალად ნადგლიანობა, ბედის დამორჩილება ეტუბოდა.

— წადი, მამა ანტონ, წადი! შენი საქმე სხვანაირად არის! — უთხრა არქიელმს, როდესაც ლოცვად.

მამა ანტონს ესლა სხვა აღარაფრის დარდი აღარა ჭქონდა, ოღონდ დროსუდ სახლში წასუღაიყო. ამიტომ ზირდაზირ ფოსტის სადგურისაკენ წავიდა და მოითხოვა დილიანსი და საუკუთსო ცხენები. აქ იმას ფოსტის უფროსი და მეეტლე რალაცას ეუბნებოდნენ, მაგრამ მამა ანტონს აღარაფრის ეურებოდა, მხოლოდ მეეტლეს ესეწებოდა, რომ დროსუდ წასუღაიყო. იდბლად მეეტლე ყოჩალი კაცი გამოდგა და ცხენები გარკვა. ბედური ცხენები ნიავსავით მააქროლებდნენ დილიანსს.

აგერ, შორს, საკესავით გამოჩნდა ბუტუშხევის მდინარე, აგერ საყდარი, აგერ სკრიდალოვის სახლებიც. მამა ანტონი ნდილობს თვალი მოჭკრას თავის ქოხსაც, რომ ეკება გაიგოს, თუ რა ამზავია შიგ. მამა ანტონს აზრები აერია, სხვა-და-სხვანაირი სურათი უდგას თვალ-წინ. აგერ ის ხედავს, რომ კითომ ნატო შივე დებს გაჭი-მული; ბავშვები შენიბუღნი სახლში შემალუღან, მხოლოდ პატარა მარო არა შორდება დედას, ზის და დღურემილი შესცქერის.

მამა ანტონს ამ ფაქტებსად გული უკვდება, მაგრამ ისევე მალე აჯობდება, რომ ეს მსოფლიოდ ფაქტია და ამტყუნებს თავის თავს. ის ფაქტობს, რომ ნატო უსათუოდ ცოცხალი უნდა იყოსო, რომ ის დიდ ხანს იცოცხლებს კიდეცო, და აჩქარებს მეტლეს, უნდა დროზე მივიდეს, უნდა გაახაროს ოჯახი.

მგზავრები სერიდალოვის სახლს გაუსწორდნენ. აკურ მამა ანტონის სახლიც. დუნია გაჩქარებული გამოძრავს. რისთვის, რა ამბით? მამა ანტონი კვლავ ითმენს, გული უსკდება.

— გაჩქარე!

დილიქანსი გაჩქრდა. მამა ანტონი გადმოსტა. დუნია ღრიალით მივარდა ანტონთან.

— ნატო? — ეკითხება ტირილით მამა ანტონი.

— გარდაიცვალა, ანტონ!.. წუხელის!.. შენ რომ წახვედი, კარგად გახდა... მე მეგონა, ეს არის ტექნიკა-მეთქი... უნდა ველში სისხლი მოაწვა... რიღათი შეკუნებდით... დაისრჩო საწყალი... სიკვდილის წინად სულ შენ გიგონებდა... უგანსკნელი იმისი სიტყვები იყო: ღმერთო, უშველე, ღმერთო, მღვდლობამდის მიახვეკინეო.

— და მე მიშველა ღმერთმა კიდეც... მაგრამ მაგას კი აღარ უშველა... რა გუფოთ, ღვთის ნებაა. — ამერბება მამა ანტონი და თან ხელებს იფშენტავდა.

მამა ანტონი, თითქო დამტკრეულ-დაჩხილიაო, ისე შევიდა ოთახში. ნატო სტოლზედ ესვენა. თავით სანთლები ედგა; ხოლო ზემოდან სუდარა ეუარა. მამა ანტონმა დაინახა ნატო, დაინახა, იმისი გამხმარი ხელები და კვლავ მოითმინა, მიჭკარდა, დაჭკოცნა და მერე დიდ ხანს უსიტყვოდ და უცრემლოდ კვადრებოდა ნატოს, რომ ეზატეებინა მისთვის იმისი ხელ-მოკლეობა, კვადრებოდა ეზატეებინა ის, რომ ესლა უიმისოდ იწებოდა უკეთეს ცნობრებას.

იმ ოთახში, სადაც ნატო ესვენა, სულ ოცოდად კაცს შეეყარა თავი. იქ იყო მარინეც. მამა ანტონმა თავი მადლა აიღო; ამ დროს შემოვიდა მამა ზანკრატი და მნათე. მნათეს ხელში ეჭირა შესამოსი და საცეცხლური.

— დავიწყოთ ზანაშვიდი! — გაინმაურა მამა ანტონმა.

— დავიწყეთ! — სთქვა მამა ზანკრატიმ და შეიმოსა. მნათემ მამა ანტონს ისევე მთავრის შესამოსი მოაწოდა, მაგრამ მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მღვდლის შესამოსი! — სთქვა მან, — მღვდლად კარ ნაკურთხი. ეჭვს ნატო, პირველად შენა გხვდება ჩემგნით გადახდილი ზანაშვიდი!

ზანაშვილები მეორე ოთახიდან შემინებულნი გამოიყურებოდნენ. მხოლოდ მარცხ ისევე დედის მასლობლად იდგა დაღვრემილ-დაღუპებულად.

მნათემ მამა ანტონს მღვდლის შესამოსი მოუბრუნა და მალე ზანაშვიდიც დაიწყო.

გ. ედილაშვილი

ხალხური ლექსები

სოფ. ბერშეთის (ქართლში) გაგონილი გლეხის ზაქარია
კვიწინაიისაგან და ჩაწერილი თ. სახოკიას-მიერ.

წიგნს დავსწერ, გამოგიგზავნი,
ვარდო გაძლილო ველათა.
სად მოიტყდა იმ დმერთმა
შენის თვალწარბის წერათა:
აიღო ხელში კალამი,
დაგხატა ათასფერათა?!

დავესწარ ცისა გახსნას,
ქვეყნისა დამუაგრებსა,
მღვდელი წირვასე დადგება,
ჭკითხულბის სხარებსა.
შენ რომ თვალით დაგინახავ,
ნეტა ჩემს განარებსა!

შენ რომ წიგნი მოგეწერა,
რა დირს ვიუავ აგრე ტკბილსა?
დაეწერა ბრძლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-კბილსა,
შავსა თვალსა, შავსა წარბსა,
უფრნის ფერად შებურვილსა.

აქედან გორი შორია,
თვალ-მარგალიტი ბრძლია.

უშენობა და შორს ეოფნა
სიცოცხლე არა მგონია.
სული შიბოძე, გავცოცხლდე,
წამოვალ რაცა ღონია.

ტურთა ბადი და წაღკოტი
კელითა ვინმე შეჰნარა,
რკინის კარები შეაბა,
კლიტე მე შიმცა, შენ არა.
სიკვდილსა ჭირის სანაცვლად
თავსა მე მივცემ, შენ არა.
ვაი თუ ეს დამემართოს:
მე კი მიუვარდე, შენ არა!..



ოქროს წარწერა

ამბავი ელზასელთა ცხოვრებიდან

გუსტავ გესვალდერასა

მატიას გაფნერი ორმოც და ათის წლისა იქნებოდა, მაგრამ ჯერ ისევ ჯან-მრთელი ვაჟკაცი იყო, ტან-მაღალი, გამხდარი და გაფშეკილი ნაძვის ხესავით. ზევიდან შავი ტანისამოსი ეცვა, ქვეშ წითელი მაუდის დოშლოუდი და შარვალზე კიდევ იქით-აქეთ ღილები ჰქონდა ჩამწკრიებული. რაც უნდა გარემოებაში ჩაგარდნილიყო, ის მაინც ყოველთვის მეგობრულად იღიმებოდა. აგურის ფერი სახე ჰქონდა და მის სამკუთხოვან ქულ ქვეშიდან პატარა, მაგრამ შორს მხედველი და მბრწყინაეი თვალები გამოიყურებოდნენ. მატიას გაფნერი ღვთისმოყვარე კაცი იყო, მაგრამ თან ლუდი და სადღეგრძელოებიც უყვარდა.

ოც და ათის წლის წინად მატიას გაფნერის ქარხნის ნაწარმოები განთქმული იყო არამც თუ სტრასბურგში, არამედ ახლო-მახლო სოფლებშიაც და თავის ღირსებით თითქმის მეტოქობას უწევდა პარიზულსაც.

მაგრამ მატიასი, ეტყობოდა, არა კვებულობდა ამას და თავი არ მოჰქონდა თავის ღვეზილებით. ელზასელები საზოგადოდ მშვიდი და წყნარი ხალხია, მაგრამ ესენიც კი თავის თანამემამულე გაფნერს გულ-ცივ და ამასთანავე გაქირ კაცადა სთვლიდნენ. დრომაც კი ვერ შესცვალა იმისი ხასიათი და ტანისა-

მოსსაც მუდამ ერთსა და იმავე ნაირს იცვამდა. თუმც შემოსავალი კარგი ჰქონდა, მაგრამ თავის ქარხანას არც აფართოვებდა, არც ალამაზებდა და წინანდებურადვე იჭუჭკებოდა ერთ პატარა დუქანში, სადაც პირველად დაიწყო ვაჭრობა. იმისი ქარხანა მართლაც ღარიბად იყო მოწყობილი და უფრო ხელოსნის დუქანს მოგავიწყებდათ. ვიწრო, მომწვანო-შუბებიან კარების თავზე ეკიდა ტყვიის ჩარჩოში ჩასმული საათი, რომელიც მორთული იყო ყვავილებით. დუქანს განაგებდა ქალბატონი მათიასი, ქერა, ლოყებ-ჩაწითლებული და ჩასუქებული. ხომ ასეთი სუქანი იყო, მაგრამ ჩიტივით დახტოდა ხოლმე, როცა მუშტარი მოითხოვდა რასმე; მარდი მოძრაობისაგან თმაში ჩაწნული ელზასური სამკაულიც კი უფრიალებდა.

ქალბატონი მათიასა ღვთის-მოყვარე, ზნე-მტკიცე და ნაყოფიერებით გათქმული მეუღლე იყო. თავის პატრონსა და მბრძანებელს შესძინა ექვსი შვილი და ქალი კი არც ერთი. საზოგადოდ, ქმარს არაფრით აწუხებდა, რადგანაც არ აუხირდებოდა ხოლმე და ისე ლაპარაკში კი სუყოველთვის ეთანხმებოდა. ხუთი წლის განმავლობაში სულ იმის ცდაში იყო, რომ ეხელთა როგორმე მარჯვე შემთხვევა და დაერწმუნებინა ქმარი, რომ საჭირო იყო დუქნის შელამაზება. გულ-უბრყვილო ქალბატონი მათიასი ოცნებობდა უმეტესად იმაზედ, რომ იმათ დუქანსა ჰქონებოდა ახალი წარწერა ოქროსფერი დიდრონი ასოებით.

როგორ მოახერხა ან როგორ დაიყოლია ქმარი? ამის შესახებ გაგწუმდეთ—შინაურული საქმეა და ჩვენ არ შეგვეხება.

ასე იყო თუ ისე, 1869 წლის ერთ მშვენიერ მაისის დილას ბიჭებმა მიაკრეს მათიასის დუქანს ისეთი დიდრონი ოქროსფერი ასოები, რომ ქუჩის მოსახვევიდან ბეციც კი წაიკითხავდა: „პურისა და ღვეზილების დუქანი“.

ქალბატონი მათიასი ცას ეწეოდა სიხარულით. იმის ქმარი კი, თავისებურად, არაფრად იმჩნევდა, ყურადღებასაც არ აქცევდა და, როცა მეზობლები მიულოცავდნენ ხოლმე, ასე ეტყოდა:

— ეჰ, ეს სულ დედა-კაცის ოინებია.

რამდენისამე თვის შემდეგ ომიანობა ასტყდა.

მატიასს გადაუწვეს ორი საუკეთესო მამული და დამარცხებულითა შორის მოკლულ იქმნენ იმისი სამი შვილიც. მაგრამ რაღაც სასწაულისა გამო ყუმბარებს გადურჩა იმის დუქნის ოქროს წარწერა.

როდესაც ომიანობა გათავდა, მატიასის უკანასკნელი სამი შვილიც საფრანგეთისაკენ გაემართნენ, მამა კი შინ დარჩა. გასტუმრების დროს შვილებს გულის ტკივილით გამოეთხოვა და ასე მიმართა:

— სამშობლოსა სჭირია თავ-დადებული და შეუძლრკალი შვილები. დეე, წავიდეს ახალგაზდობა! ჩვენ კი, მოხუცებულეები, აქ დავრჩებით. ან რა საჭიროა ჩვენი წამოსვლა, მუქთახორაობის მეტს რას გავურიგებთ ისედაც განადგურებულ სამშობლოს. ჩვენ აქ დავრჩებით და წინააღმდეგობას გავუწევთ მტერს, თორემ გაგერმანელება მოგველის უმკველაღ. რა მოუვა ელზასს, ყველა ფრანგებმა რომ თავი დავანებოთ? აქ დავრჩებით და სამსახურს გავუწევთ საფრანგეთსა, თქვენც, ახალგაზდობას და თან თქვენს მოლოდინში ვიქნებით.

... დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს მოხდა, დიდი ხანი...

ცხოვრება კი თავისას ითხოვდა. მატიასმა ისევ ცოლს მიჰყო ხელი, კვლავ გამოჰფინა დუქნის ფანჯარასთან თავისებური სხვა-და-სხვა ნაირი ღვეზილები. ომის აურ-ზაური თან და თან მისწყდა. ქალაქი მოიცვა სიჩუმემ, სიჩუმემ სამარისებურმა, რომელსაც არღვევდა მხოლოდ დრო-გამოშვებით მძიმე და მწყობრი ნაბიჯი დარაჯთა და პრუსიელების საყვირის ხმა: ერთი-ორი, ერთი-ორი!...

ერთხელ, როდესაც მატიასი იჯდა თავის დუქნის წინ და სტკებებოდა წმინდა და გრილი ჰაერით, დაინახა თავისი მეზობელი განს მიუღერი, მაუდით მოვაქრე. მიუღერი ჩუმად რაღაცას ანიშნებდა. მატიასი მივიდა იმასთან და ორნივე, თითქო უსაქმობისა გამო დასეირნობენო, ლუდხანაში შევიდნენ. აქ რამდენსამე კაცს მოეყარა თავი, ლუდს შეექცეოდნენ და თანაც ჩუმად მუსაიფობდნენ. მატიასი და იმის ამხანაგიც ამათში ჩაერივნენ.

ლაპარაკობდნენ იმის შესახებ თუ რა ახალ-ახალ ლო-
ნისძიებებსა ხმარობდნენ გამარჯვებულნი მათს შესავიწროებ-
ლად.

— იმას ხომ აღარა კმარობენ, — იძახდნენ სხვათა შორის, —
რომ სრულებით აღკრძალეს სკოლებში ფრანგული ენა, ახლა,
თურმე, ყველა დუქნებსზე წარწერები გერმანულად უნდა შე-
გვაკვლევინონ?!

მატიასს მწარე ღიმილმა გადურბინა სახეზე — მოაკონდა
თავისი ოქროს ფერი ასოები, რომლებსაც შეჰხაროდა იმის
კოლი.

— განა ეგ საზიზღრობა არ არის? — ამბობდა იოჰან ლინ-
დერი, თერძი, — ფრანგულმა წარწერებმა რაღა დაუშავათ, რომ
გეიშლიან! თვალში ეკალივითა ხვდებათ, როდესაც ხედავენ ამ
ფრანგულ წარწერებს; საფრანგეთი აგონდებათ!

— ამ წარწერების წყალობით, ფრანგი მუშტარი ბეერი
შემოდოდა, ეხლა ვინღა რასზე შეგვატყობინებს სამშობლოს
შესახებ? — დაუმატა გერმან ბლუმენმა, ოქრომჭედელმა.

— მართალია, — ამოიოხრა მატიასმა, — ეს წარწერები სა-
ყვედურით შესცქეროდნენ იმათ დროშას და ფრანგულ დრო-
შეკივით ამშვენებდნენ ქალაქს.

— შესაზარი სანახავი იქნება, როდესაც ყველა კედელზე
გერმანულ წარწერებს ჩამოგვამწკრივებინებენ, — დაიყვია პეტ-
რე ვეიტცმა, ყასამა, და თან სტოლს მუშტი დაჰკრა. — მეკი,
სწორედ გითხრათ, რა დღესაც ჩემის დუქნის თავზე გერმანულს
წარწერას დავინახავ, სხვა საშკელი აღარაფერი მექნება — უნდა
გავგერმანელდე, სწორედ უნდა გავგერმანელდე.

მაგრამ განს მიუღერმა დაამშვიდა ისინი.

— ნუ გეშინიანთ, სანამ ახალი ბრძანება არ გამოვა, ხელს
არ ახლებენ ჩვენს წარწერებს, გვიკრძალავენ მხოლოდ შეკე-
თებას, და თუ გაახლებას მოვინდომებთ, მაშინ კი უეჭველად
გერმანული უნდა იყოს. მაშ თვალის ჩინივით გავუფთხილდეთ
ძველებს!

მატიას გაფნერმა მხრები აიჩჩია:

— მაჰქარავენ რაღა! მოუცლიათ და ლაპარაკობენ! სანამ ჩვენი წარწერები დაძველდებოდეს, საფრანგეთი კიდევაც დაგვიხსნის მაგათ ხელიდან!

— რასაკვირველია! — დაეთანხმნენ ყველანი ერთ-ხმივ.

პირს ღიმილი მოუვიდათ და ხელში ჭიქები აიღეს.

— საფრანგეთს გაუმარჯოს! — შემოსძახეს ყველამ.

მაგრამ უცბად რაღაცა ხმაურობა მოესმათ; ყველანი ჩაჩუმდნენ. ლუდხანას უახლოვდებოდნენ დარაჯნი. მოესმათ: ერთი-ორი, ერთი-ორი!...

ჯარის-კაცებმა გაიარეს და შემთხვევით თოფის ლულა მოახვედრეს დარაბებს, რის გამოც თანჯრებმა ზუზუნი დაიწყეს.

...დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს მოხდა, დიდი ხანი...

—

მატიასი სახლში არ შესრულა პირდაპირ, დადგა შუა ქუჩაში და დაუწყო კქერა თავის დუქნის წარწერას. შემდეგ გამობრუნდა, შევიდა სახლში და ხელების შემუშვნით უთხრა ცოლს:

— კატო... არ გესმის... კატო... იცი რა გითხრა, ტყუილად დაგცინოდი ამ ჩვენს წარწერაზე... ეს რა კარგი რამ მოიგონე!

საწყალ ქალბატონ მათიასს მას შემდეგ, რაც შეიღებო მოუკლეს, პირს ღიმი არ მოსვლია, მაგრამ ამ სიტყვებზე კი გული ვარდით გადაეშალა.

— მაშ შენც კმაყოფილი ხარ, მათიას?

— ჰო, ძალიან კმაყოფილი ვარ, კატო.

მაგრამ ამ დროს რაღაც წკარუნი შემოესმათ, ეტყობოდა ლითონისა ჩამოვარდა რაღაცა.

— ნეტავი რა უნდა იყოს? — სთქვა ბატონმა მათიასმა და გამოვიდა ქუჩაზე,

მაგრამ შინ შემობრუნდა აღელვებული, კანკალით: ხელში ეჭირა დუქნის წარწერის ოქროს ფერი ასო ა, დაჟეჟილი და ტალახში ამოთხვრილი.

მუხლებ-მოკვეთილი მათიასი სკამზე დაეშვა.



— ღმერთო ჩემო! ამოიოხრა გულ-ჩათუთქვით.

— ლურსმანი შეუქამია ჟანგს, — უხსნიდა ქალბატონი გაფნერი. — აჰა ახალი, წაიღე და მიამაგრე.

მატიასმა თავი გაიქნია.

— აღკრძალულია, კატო. პრუსიელებმა რომ მამასწრონ, ახლავე გაანადგურებენ მთელს წარწერას, კანონის ძალით. იმათ უკვე შეტყობილი ექნებათ ჯაშუშებისაგან, რომ ერთი ფრანგული ასო ჩამოვარდა.

მატიასი მკვდარივით იყო. მაგრამ ერთბაშად ჩამოითვალა თითებზე და გამხნევებულმა წამოიძახა:

— ოცი ასო კიდევ დარჩა, კატო! ყოველ წლივ თითო ასოც რომ ჩამოვარდეს, მაინც კიდევ ოცს წელიწადს იკმარებს. იმ დრომდე კი პრუსიელები განდევნილ იქმნებიან. მაგრამ, — განსმა მართალი სთქვა, — უნდა გავუფრთხილდეთ წარწერებს.

მეორე დღეს, როცა დარაჯებმა დინჯად და მწყობრად გაიარეს, დაინახეს, რომ მატიასი იღვა კიბეზე და ჰრეცხდა სწუმენდა, ჰუხეკდა და ზეთს უსვამდა წარწერის ოქროს ფერასოებს. განს მიუღერი, გერმან ბლუმენი, იოჰან ლინდერი და უზარმაზარი პეტრე ვეიტცელი ასევე ალამაზებდნენ თავიანთ წარწერებს. ერთი სიტყვით, მთელს ქალაქში ყველანი ჰრეცხდნენ, სწუმენდნენ და ჰუხეკდნენ თავიანთ წარწერებს.

მატიასის მოსაზრება გამართლდა და ექვსის წლის განმავლობაში მართლაც მარტო ექვსი ასო ჩამოვარდა. ამიტომაც იმედი არ ეკარგებოდა.

— თოთხმეტი ასო კიდევ დარჩა და ამ თოთხმეტ წელიწადში კი... ერიჰა...

მაგრამ აგერ გავიდა მეტად ჭინჭკლიანი ზამთარი და ორი ასოც ჩამოვარდა. მატიასი მაინც გულს არ იტეხდა. დადგა გაზაფხული. მატიასი დუქნის კარებს აღარ მოშორებია. იღვა და გულმოდგინედ ათვალთვლებდა მოგზაურ ფრანგებს. შენიშნავდა თუ არა, რომ რომელიმე მათგანი კითხულობს იმის დამახინჯებულ წარწერას, ის მაშინაღვე მიეგებებოდა გამვლელს

ლიმილით და ხელების ქნევით და, თუ დარაჯებს არა ხედავდა, ტკბილ სიტყვებსაც არ დაიშურებდა ხოლმე. წაიყვანდა უცნობს დუქნის უკანა ოთახში, დაუდგამდა ლუდს და მოიტანდა მთელ გროვა ღვეზილებს.

— მიირთვია, მიირთვით. კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება. რა ამბავია საფრანგეთში? მალე გაგვათავისუფლებთ?

ყველაზე უფრო პარიზელების ნახვა სწყუროდა.

— აბა... აბა ერთი... მითხარით, გეთაყვა, რა ამბავია პარიზში? — ეტყოდა ხოლმე.

ათასნაირ ზღაპრებს უამბობდნენ და მატიასიც მეტი სიხარულისაგან წამოხტებოდა სკამიდან, აიღებდა ჭიქას ხელში, მოისვლექდა თავის სამკუთხოვანს ქუდს და თვალცრემლიანი წამოიძახებდა:

— საფრანგეთს გაუმარჯოს! გაუმარჯოს პარიზს! იმედია მალე ვნახავთ!

— სტრასბურგსაც გაუმარჯოს! — მიუგებდნენ სტუმრები, — იმედია ჩვენც მალე ვნახავთ!..

...ღიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს მოხდა, ღიდი ხანი...

მაგრამ მალე კი ნახავდნენ ერთმანერთს? დრო გადიოდა, ფრანგები არ ეშურებოდნენ ზეწარწერას კი ასოები თანდათან აკლდებოდა. თითო ასოსთან ერთად სწყდებოდა თითო ფოთოლი იმ იმედების ყვავილისაც, რომელიც გაშლილი იყო მატიასის გულში. სხვა წარწერებსაც იგივე დღე დაადგათ. განს მილერი იყო პირველი მსხვერპლი, ამას მოჰყვნენ ბლუმენი, იოჰან ლინდერი და, ბოლოს, პეტრე ვეიტცელი, რომელმაც მწარედ გამოიტირა თავისი დანაკარგი.

თუმც ბევრს დასცილოდნენ საწყალს მატიასს — შენი დამხინჯებული წარწერა ფრანგულს აღარც კი ჰგავსო, — ის მიინც გულს არ იტეხდა და იმედს არა ჰკარგავდა. მაგრამ ბოლომდე თანდათან უძლიერდებოდა და სიბერემაც ხელი დაჰრია.

მკათათვის დღე იყო. მთელი დღე ჰქუხდა და შუა ღამისას კი დაუშვა საშინელი მზაპუნა წვიმა. მატიასს მოეჩვენა,

თითქო ქუხილისა და წვიმის შხაუნთან ერთად იმას მოესმა თავის წარწერის ჟღარუნიც და ერთი ასო კიდევაც ჩამოვარდა. წამოხტა ლოგინიდან, საჩქაროდ ჩაიკვა, ყური არ ათხოვა კატერინას წუწუნს და ძირს ჩამოვიდა. ფეხის ფრჩხილებზე მოდიოდა, რომ არ გაეგოთ ბიჭებს, რომლებიც სარდაფში კომსა ჰხელავდნენ. ჩუმად უნდოდა გეგკეთებინა საქმე. გააღო კარები და გარედ გამოვიდა. ქუჩის მოსახვევში რაღაც სინათლე სჩანდა, ზედ დაერთო ელვაც და მატისმა გააჩნია მწყობრად მიმავალი დარაჯნი. მოხუცებულმა მოიცადა, ვიდრე უკანასკნელი ჯარი-კაციც არ მიეფარა ქუჩას ფარნით ხელში; წვიმა კოკის-პირულად ასხავდა, მაგრამ მატისმა ამას ყურადღება არ მიაქცია, დაიკუხა და ხელებს ფათური დაუწყო მოლიბულ გზაზე.

მოხუცი არ მოსტყუვდა: ხელში მოხვდა ასო. მატისი წამოღდა, მაგრამ ამ დროს ქარიშხალმა მეორე ასოც ჩამოაგდო. ეს ასო კი ქუჩის მეორე პირას ძლივს იპოვა. ამასობაში ქარიც კოტათი დაწყნარდა. მატისი სახლში შემობრუნდა, იპოვა მავთული და ორივე ასო ერთმანეთზე მიამაგრა. შემდეგ ძლივს, წვალეებით გამოიტანა კიბე, რომლითაც წარწერასა სწმენდდა ხოლმე, და მიაყუდა კედელს. თუმცა ქარი ისევა ჰქროდა და თან სახურავიდან აუარებული წყალი ჩამოდიოდა, მაგრამ მატისი მაინც ცდილობდა ერთ-ერთი ასო მაინც მიემაგრებინა როგორმე. მოხუცს მთელი სხეული უკანკალებდა.

როგორც იყო მოახერხა და სიამოვნებით გაიფიქრა გულში: „ძლივს! ერთი მზად არის“...

მაგრამ ხელმეორედ დაჰქროლა ძლიერმა ქარიშხალმა და წყალიც ნიავდვრად წამოვიდა სახურავიდან. ორივენი ერთად დაეტაკნენ წარწერას. ასოებმა გაიჟღირილეს, შეტოკდნენ და ქანაობა დაიწყეს. მატისი მიხვდა, რომ ახლა კი უნდა გამოსთხოვებოდა თავის წარწერასა და თან განთავისუფლების ტკბილ იმედებსაც. ინსტიქტიურად ხელები მიაშველა, თითქო უნდა შეიმაგროსო გადმოსაყრელად განმზადებული ასოები და თან იმედიც, რომელიც ამ ჟამად სტოვებდა მას.

კიბე მოსხლტა. საწყალმა მოხუცმა ერთი კი მოასწრო საზარელის სასოწარკვეთილებით დაყვირება, რომელიც ქარიზხლის ღრიალზე მკვეთრად გაისმა ჰაერში, და მიწაზე გაინართხა უსულოდ.

—

ქუჩის მოსახვევში ისევ გამოჩნდნენ ცეცხლები. ქარიზხლის ხმაურობასთან ერთად ისმოდა მწყობრი დარაჯთა ფეხის ხმაურობა. ჯარის-კაცნი წააწყდნენ ბატონ მატეასის გვამს. გვამთან ერთად ეყარა იმის ღუქის წარწერის ოქროს ფერი ასოებიც.

ს. — პე

ჩვენი თავად-აზნაურების განათლების შესახებ

ამ უკანასკნელ დროს უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ქართველ თავად-აზნაურთა უნუგეშო მდგომარეობას და მოიწადინა მათში სწავლა-განათლების გავრცელება. წინადაც არა ერთხელ და ორჯელ მოუსურვებია მთავრობას ამ აზრის განხორციელება ზე სისრულეში მოყვანა, მაგრამ... თავად-აზნაურთა უმეტესობა დღესაც, როგორც წინად, მოკლებულია სწავლა-განათლებას, იმ წყაროს, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატება და კეთილდღეობა როგორც კერძო წოდებისა, აგრეთვე მთელი ერისა და სახელმწიფოსი. ყველაზედ ნათლად ამას ტფილისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ. ეს გუბერნია, როგორც ყველას მოეხსენება, საქართველოს აღმოსავლეთ ნახევარია და მკვიდრთა უმეტესობას ქართველები შეადგენენ, მაშასადამე, სახელმწიფო და საერობო ხარჯის უმთავრესნი გადამხდელნი ტფილისის გუბერნიაში ქართველებივე უნდა იყვნენ. აშკარაა აქედან, რომ ამ გუბერნიის სასწავლებლებში მოსწავლეთა შორის ქართველები უმეტესობას უნდა შეადგენდნენ, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. როგორც ამას წინად გამოსულის ოფიციალურის წიგნიდან: „Статистическія свѣдѣнія по учебнымъ заведеніямъ Кавказскаго учебнаго округа за пятнадцати лѣтній періодъ 1879—1893 годы“ სჩანს, ქართველები ტფილისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვის ერთ მეხუთედზე ცოტა ნაკლებნი არიან. მაგალითად, ვაჟთა გიმნაზიებში ქართველები 18,4% შეადგენენ, რეა-



ლურ სასწავლებლებში—3,3% და დედათა გიმნაზიებში—12,4% ამასთანავე დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ქართველ მოსწავლეთა პროცენტმა ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში თუმცა საზოგადოდ იმატა კიდევ, მაგრამ კერძოდ ზოგიერთ სასწავლებლებში შესამჩნევად დაიწია ქალაქის სხვა წოდებათა და მოხელეთა სასარგებლოდ. მაგალითად, 1878 წელს რეალურ სასწავლებლებში ქართველები შეადგენდნენ 4,6%, 1893 წელს კი მხოლოდ 2,6%; საოსტატო ინსტიტუტში აწვე ხნის განმავლობაში ქართველ მოსწავლეთა პროცენტმა 39,5%-დან 28,6%-მდე დაიწია; საოსტატო სემინარიაში—29%-დან 19%-მდე; სამაზრო სასწავლებლებში 1879 წელს ქართველები 18% შეადგენდნენ, 1885 წელს კი მხოლოდ—7,2%. კერძოდ ქ. ტფილისის სასწავლებლებს თუ ავიღებთ, შედეგი უფრო სავალალო და სამწუხარო გამოვა. მაგალითად, ვაჟთა პირველ გიმნაზიის 770 მოსწავლეთა შორის ქართველი მხოლოდ 117-ია; მეორე გიმნაზიაში 658 მოსწავლეა და მათ შორის ქართველი 117; მესამე გიმნაზიაში სულ 592 მოსწავლე სწავლობს და ქართველი კი 62 მეტი არ არის; რეალურ სასწავლებლის 524 მოსწავლეში ქართველი მხოლოდ 63-ია. სულ კი ტფილისის ამ ოთხ სასწავლებლებში 2544 მოსწავლეა და მათ შორის ქართველი მარტო 365, ესე იგი ერთ მერველზედ ცოტა მეტი.

უფრო ნაკლებია ქართველთა პროცენტი კავკასიის სამოსწავლო ოლქის იმ სტიპენდიანტთა შორის, რომელნიც იმპერიის სხვა-და-სხვა მაღალს და სპეციალურს სასწავლებლებში სწავლობენ. იმპერატორის ნიკოლოზ პავლეს ძის 1849 წლის 11 ივნისის უმაღლესის ბრძანებით, იმპერიის სხვა-და-სხვა მაღალს და სპეციალურს სასწავლებლებში უნდა აღზრდილიყო სახელმწიფო ხარჯით 41 რუსი და 115 აქაური მკვიდრი. ამ უკანასკნელთა რიცხვში მარტო ქართველ თავად-აზნაურთა შვილნი უნდა მოჰყოლოდნენ, როგორც ერთად-ერთი კეთილშობილი წოდების წარმომადგენელნი კავკასიაში. ამ უმად კი კავკასიის სტიპენდიანტი სულ 125, მაშასადამე, წინანდელზე

გაცილებით ცოტა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საშუალო სასწავლებლები ერთი-სამად და ოთხად ცოტა იყო მაშინ, ვიდრე ეხლა. ამ სტიპენდიანტთა შორის ქართველთა რიცხვი სულ მცირეა. ერთი სიტყვით, ქართველები საზოგადოდ და თავად-ახნაურობა კერძოდ მეტად ცოტანი სწავლობენ დაბალს, საშუალო და განსაკუთრებულ მაღალს სასწავლებლებში.

ასეთი მოვლენა მარტო ქართველებისთვის არ არის თავში საცემი და სავალალო, იგი სახელმწიფოსთვისაც მავნებელია. ქართველები თავისს ნებით შეუერთდნენ რუსეთის სახელმწიფოს და ამ ჟამად კავკასიაში საუკეთესო ელემენტს წარმოადგენენ, რომლის დაწყნარება და დამშვიდებაში მათ რუსებთან ერთად აუარებელი სისხლი დაღვარეს. ამიტომ ფრიად სასურველია იმ მიზეზთა გამორკვევა, რომელნიც ასე აფერხებენ და ელობებიან ქართველებს, რომ შემდეგში მაინც თავიდან მოვიშოროთ იგინი და სწავლა-განათლების საქმე კარგსა და ნაყოფიერს ნიადაგზედ დავაყენოთ ჩვენში.

ზემო აღნიშნულის მოვლენის მიზეზი ორი უმთავრესი გარემოებაა. პირველი ის, რომ ქართველებს შვილები რუსულს ენასა და სხვა საგნებში იმდენად ვერ მოუშაადებიათ, რომ მათ შეეძლოთ შესვლა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, სადაც ეხლა პირველ კლასში იმოდენივე ცოდნაა საჭირო, რაც წინად მეორე და მესამე კლასში იყო. საშუალო სასწავლებლებში ან სულ არ არის მოსამზადებელი კლასები, როგორც, მაგალითად, კადეტთა კორპუსში, ან, თუ არის, ისიც უუროსი განყოფილება. ამ უკანასკნელში შესასვლელად კი მეტად რთულის საკონკურსო ეგზამენის დაჭერაა საჭირო, რომელზედაც, სხვათა შორის, რუსულის ენის კარგად ცოდნას უმთავრესი ალავი უჭირავს. აი სწორედ ქართველ თავად-ახნაურთა შვილების ამ საგნებში—რუსულს ენასა და პირველ-დაწყებით ცნობებში—მოამზადებაა ძნელი და გასაჭირი.

ქალაქში მცხოვრებნი და მოხელენი ან თვითონ ამზადებენ შვილებს, ან ქალაქის ინტელიგენტთაგანი დახელოვნებული და



საქმის მკოდნე მასწავლებელი ჰყავთ, რომელიც სულ ცოტა ხანში მოამზადებს მათ, ან არა-და ისეთს პირველ-დაწყებითს საქალაქო სასწავლებელში მიაბარებენ ბავშვს, საიდანაც საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში აღვილად გადავა. სულ სხვა პირობებშია სოფლის თავად-აზნაურობა. მომეტებულ ნაწილს თვით არ მიუღია სწავლა-განათლება, მაშასადამე, შვილების აღზრდა და მომზადება სულ არ შეუძლიან. აგრეთვე იშვიათ სოფელში შეხვდებით ინტელიგენტს, რომელსაც შეეძლოს ბავშვების რუსულს ენასა და სხვა საგნებში მომზადება. სოფლის პირველ-დაწყებითი სკოლები, რომელსაც შეეძლოს ამ ნაკლის შევსება, ტფილისის გუბერნიაში იმდენად ცოტაა, რომ ერთი ასს სოფელზე ძლივს მოდის და სწავლის საქმე მათში ისე ცუდად არის დაყენებული, რომ ბავშვი თითქმის ვერავითარს ცოდნას ვერ იძენს. გარდა ამისა სოფლის სკოლას თავისი სპეციალური დანიშნულება აქვს და თავად-აზნაურთა შვილების მომზადებას საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად მათ ვერ მოვთხოვთ. ამ რიგად მოსამზადებელი კლასების უქონლობა საშუალო სასწავლებლის კარებს უკეტავს თავად-აზნაურთა შვილებს ერთის მხრით და იგივე გარემოება მეორეს მხრით ყველა სასწავლებლებს ქალაქის წოდებათა და მოხელეთ საკუთრებადა ხდის, იმისდა მიუხედავად, რომ ტფილისის გუბერნიის უმეტესობა ქართველები არიან.

მეორე მიზეზი ქართველ თავად-აზნაურთა შვილების სიმცირისა ტფილისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში—მათი სიღარიბეა. ბავშვის აღზრდა და შენახვა ქალაქში მეტად დიდ ხარჯსა და გასაფალს თხოულობს, ჩვენი თავად-აზნაურობა კი მატერიალურად ისე დაქვეითებულია, რომ, თუ ყველას არა, მეტ ნაწილს მაინც, არ შეუძლიან ამ ხარჯის გაწევა. თავად-აზნაურობა ქონებრივად ამ ბოლოს დროს იმდენად დაეცა, რომ არამც თუ შვილების ქალაქში შენახვა და აღზრდა აღარ შეუძლიან, არამედ ოჯახის ცოტად თუ ბევრად რიგიანად მოწყობა და ცოლ-შვილის წლითი-წლამდე გამოკვებაც კი უჭირდება. მიზეზი ასეთის გაღარიბებისა მრავალია და უმთავრესი მათ შორის ის წეს-წყობილებაა, რომელიც ბატონ-ყმობის გა-

დავარდნამ და გლენსა და ბატონს შორის ახალმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. ამავ სიღარიბეს არა ნაკლებად ხელს უწყობს მამულებიდან შემოსავლის დაკლება, ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომელმაც ერთი-სამად და ოთხად შეამცირა ვენახის შემოსავალი, მიმა-პაპური ჩვეულება ხვნა-თესვისა და მრავალი სხვა. ქართველი თავად-აზნაური ან სულ არ აძლევს თავის შვილს სასწავლებელში ან და თუ მისცა, არ შეუძლიან, სიღარიბის გამო, შესაფერად მოაწყოს იმის ყოფა-მდგომარეობა, ურომლისოდაც ბავშვს ძალიან გაუჭირდება სწავლა. იმის შვილები მუდამ გაჭირვებასა და სიღარიბეში არიან: ან ტანისამოსი აკლიათ, ან სასმელ-საქმელი, ან ხეირიანი ბინა არა აქვთ და ყველა ამის გამო სწავლაში მეტოქობას ვეღარ უწევენ სხვა მოწაფეებს, ქალაქის მკვიდრთა შვლებს. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ უმეტესი ნაწილი ქართველებისა, რომლებიც ასე თუ ისე მოხვდებიან სასწავლებელში ვეღარ ათავებენ და მესამე ან მეოთხე კლასიდან უკანვე გამოდიან.

ამ რიგად, ყველა ზემოდ დასახელებულის მიზეზებისა გამო, ქართველები ცოტანი შედიან სასწავლებლებში, უფრო ცოტანი ათავებენ მას და სულ მცირედი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში მიდის, სადაც მეტი გაჭირვება და ტანჯვა-ვაება უნდა გამოიაროს.

როგორ უნდა იქმნას აცილებული აღნიშნული უსამართლობა და რა ზომების მიღებაა საჭირო, რომ ყველა სასწავლებლის კარები გაეღოს ქართველთა და ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა თავად-აზნაურთ მიეცეთ შეძლება იმდენად კარგად მოამზადონ თავიანთ შვილები, რომ საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში შესვლა აღარ გაუჭირდეთ. უამისოდ ყოველი შრომა უნაყოფო იქნება. ამ მიზნის მისაღწევად ტფილისის გუბერნიის ყველა სასწავლებლებთან უნდა დაარსდეს, მარტო ქართველებისთვის, როგორც მკვიდრთა უმეტესობისთვის, სამაგალითო მოსამზადებელი კლასები, თავისი

საკუთარი პანსიონით. ვამბობთ „მარტო ქართველებისთვის“ იმიტომ, რომ საზოგადო მოსამზადებელ კლასებში, სადაც სწავლობენ ერთად რუსები, სომხები და ქართველები, ეს უკანასკნელი იძულებული არიან ჩამორჩნენ პირველებს იმ გარემოების წყალობით, რომ მოქალაქეთა და რუსების შვილებმა კარგად იციან რუსული ენა, ხოლო ქართველები, როგორც სოფლის მცხოვრებნი, მოკლებულნი არიან ამას. რაც უნდა ნიჭიერი, ბუნებით დაჯილდოებული იყოს ქართველი ბალდი, იგი მაინც ვერ მიჰყვება ქალაქში გაზდილს, რადგანაც ის მოკლებულია ამ უკანასკნელის უპირატესობას—რუსული ენის ცოდნას, რომელზედაც ყველა საგნებს ასწავლიან მოსამზადებელ კლასებში. თუ ზემოხსენებულის კლასების გახსნა ბევრს ხარჯს და გასავალს მოითხოვს, მაშინ შეიძლება მხოლოდ ორი მოსამზადებელი სასწავლებელი იქმნას დაარსებული: ერთი ქართველთა და აღზარდა შვილთათვის ქ. გორში და მეორე—კახელე ბისათვის—ქ. თელავში. თვით სასწავლებლის შესანახად უნდა გადაიღოს ოცი ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ დანარჩენი, რაც დასჭირდება, თავდა-აზნაურობამ თავის ჯიბიდან შეავსოს. აქვე უნდა დავეუბნოთ, რომ ეს სასწავლებელი თავდა-აზნაურთა საკუთრებას არ უნდა შეადგენდნენ: მათში უპირატესობა თავდა-აზნაურთა შვილებს მიეცემა, ხოლო სხვა წოდების შვილთაც შეეძლება შესვლა. იმ მოწაფეებს, რომელნიც ხსენებულს მოსამზადებელს კლასებს ანუ სასწავლებლებს გაათავებენ, სრული უფლება უნდა მიეცეთ უკონკურსოდ ამა თუ იმ სასწავლებლის პირველ კლასში შესვლისა. ასეთივე უფლებანი უნდა მიენიჭოთ იმათ, ვინც ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო სასწავლებელთან დაარსებულს მოსამზადებელს კლასებს კარგად გაათავებს, თუნდა იმ პირობით, რომ უკანასკნელს ვეზამენს ამ სკოლაში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის რწმუნებულნი ანუ წარმომადგენელი დაესწრნენ ხოლმე. აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ პირველი კლასიკური გიმნაზიის მთავრობის აზრი, გიმნაზიაში ქართველ მოსწავლეთა რიცხვის შემცირების შესახებ: „ამ მოვლენის (ქართველ მოს-

წავლეთა შემცირების), — ამბობს მთავრობა, — ერთად-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროს პირველ კლასში შესასვლელად საკონკურსო ეგზამენები იქმნა შემოღებული (1893 წლის ანგ. გვ. 63).

ამ რიგად, როდესაც საკმაო რიცხვი კარგად მომზადებული, ყველა საგნებში საზოგადოდ და რუსულს ენაში კერძოდ, ქართველი მოსწავლენი გვეყალიბებინ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაწესდეს, რომ სასწავლებელში, რომელსაც ტფილისის გუბერნიის მცხოვრებელთა სწავლა-განათლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქვს აზრად, ქართველების რიცხვი ყველა მოსწავლეთა ერთ მესამედზე ნაკლები არ იყოს, ხოლო სახელმწიფო პანსიონერებისა — ნახევარზედ. ეს წესი უნდა მიღებულ იქმნას არა მარტო აწ არსებულ სასწავლებლებში, არამედ იმათშიაც, რომელნიც მომავალში დაარსდებიან, განსაკუთრებულ კი სოფლის სამეურნეო სასწავლებლებში, რომელთაც უპირველესი ადგილი უჭირავთ ხალხში რაციონალურის სამეურნეო კულტურის გავრცელების და თავად-აზნაურთა მამულების განკარგება-გაუმჯობესობის საქმეში. აქ მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ის ფაქტიც, რომ ასეთი განაწილება სახელმწიფო ვაკანსიებისა თვით მთავრობისაკან არის დაწესებული ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში 65 ასეთის ვაკანსიებიდან ოც და ათი ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს ეკუთვნის, სახელმწიფო ვაკანსიების შესახებ დებულების ძალით (1893 წლის ანგ. გვ. 317). რაც შეეხება სახელმწიფო სტიპენდიებს მაღალსა და სპეციალურს სასწავლებლებში, მათი რიცხვი ორასამდის უნდა იქმნას გამრავლებული და მათში სულ ცოტა ერთი-მესამედი იმ ქართველებს უნდა დაეთმოს, რომელნიც საშუალო სასწავლებლებს კარგად გაათავებენ. ამასთანავე, რადგანაც ქართველები ხშირად იმიტომ ანებებენ თავს მაღალს სასწავლებლებს, რომ სწავლის ფული, სიღარიბის გამო, ვერ შეაქვთ, განკარგულება უნდა მოხდეს, რომ ეს გადასახადი მხოლოდ შეძლებულ ნაწილს გამოერთვას, ხოლო შეუძლებელი განთავისუფლებულ იქმნას. საკვირველი და ღირს-შესანიშნავია ის გარე-

მოება, რომ ჩვენი ქვეყნის მოსავალ-მოუსავლობას და ქართველ მოწაფეთა სწავლა-მეცადინეობას დიდი კავშირი აქვთ ერთმანერთში. მოუსავლიან წელიწადს ქართველები სხვა ეროვნების მოსწავლეებზე ნაკლებ სწავლობენ და მათი მეცადინეობა 66% არ აღემატება, როგორც ეს 1890 წელს მოხდა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში (ანგარ. გვ. 64), ხოლო მოსავლიან წელიწადს ისინი რუსებსა და სომხებზედ, თუ არ უკედ, ნაკლებ არა სწავლობენ და მათი მეცადინეობა 82% აღის, როგორც იმავე გიმნაზიის 1893 წლის ანგარიში გვიჩვენებს (გვ. 64).

შემდეგ, სამართლიანობის, ადგილობრივ და სახელმწიფო სარგებლობისათვის და აგრეთვე ქართველ მოსწავლეთა სწავლაში მუყაითობისათვის, საჭიროა გუბერნიის სასწავლებლების ყველა კლასებში, როგორც დაბალს, აგრეთვე მაღალში, აღდგენილ იქმნას ქართული ენის სწავლება. ამას საჭიროდ ჰყოფენ შემდეგი მაგალითები და საბუთები: 1, მშობლიური ენის გონივრულად სწავლება მეტად აადვილებს და ააჩქარებს სახელმწიფო ენის შეთვისებას, რაიცა მტკიცდება, სხვათა შორის, იქიდანაც, რომ იმ ქართველებმა, რომლებიც 70 წლებში სწავლობდნენ, როდესაც ქართული ენა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა სასწავლებლებში სავალდებულო საგნად ითვლებოდა, შეუღარებლად უკედ იცოდნენ და იციან რუსული ენა, ვიდრე ეხლა მოზარდ თაობამ იცის. 2, სწავლება ისეთი მშობლიური ენისა, როგორიც არის ქართული, რომელიც მეოთხე საუკუნეიდანვე დიდად განვითარებულ და ქრისტიანობრივ-კულტურულ ენად ითვლება, მეტად კარგს გავლენას იქონიებს მოსწავლეებზედ. 3, თვით უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ სცნო 1895 წელს საშუალო აზიის ყველა სასწავლებლებში სავალდებულოდ გაეხადა სარტთა ენის სწავლება და ამ ენის მასწავლებელთ ისეთივე უფლებანი მიანიჭა, როგორიც სხვა საგნების მასწავლებელთა აქვთ. მით უფრო სამართლიანი და საჭიროა ასეთი განკარგულების მოხდენა ჩვენში იმ ენის შესახებ, რომელზედაც მართლ მადიდებელ ქრისტიანობის და მონარქიულ წეს-წყობილების სწავლით გამსჭვალული ათასის წლის

ლიტერატურა არსებობს. 4, ყველა სხვა ეროვნების შვილინი საღმრთო წერილს თავიანთ სამშობლო ენაზე სწავლობენ, ქართველები კი იძულებულნი არიან რუსებთან ერთად რუსულს ენაზედ შეისწავლონ, რასაც ქართული ენის დავიწყება მოსდევს. 5, რუსის ადმინისტრაცია და სამართალი დიდ გაჭირვებაშია ჩვენს ქვეყანაში კარგის თარჯიმანების უყოლობის გამო. ამას წინადა კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წლიურ კრებაზე ერთმა რუსმა იურისტმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რამდენად შეცდომაში შედის სამართალი ისეთის თარჯიმანების უყოლობით, რომელთაც საკმაოდ კარგად იცოდნენ როგორც ადგილობრივი, აგრეთვე რუსული ენები. და წარუდგინეს კიდევ კრებას ახალი სასწავლებლის ანუ დაწესებულების დაარსების პროექტი, სადაც შესაძლებელი იქნება შესაფერის თარჯიმანების მომზადება. ეს მართლაც და დიდი და ძნელი დაბრკოლება აღვიღადა შეიძლება აცილებულ იქნას ქართულის ენის აღდგენით, რომლის სწავლებაც სავალდებულო უნდა იყვეს ყველა ქართველ მოსწავლისათვის და რომელიც შეუძლიან შეისწავლონ როგორც რუსებმა აგრეთვე სხვა ეროვნების მოსწავლეებმა. ის რუსები, რომელნიც, ამ რიგად, ქართულ ენას შეისწავლიან, შემდეგში სამაგალითო ადმინისტრატორები და მოსამართლენი გამოვლენ. მათთვის სულ მეტი იქნება თარჯიმანების სამსახური, რის გამოც ყოველი გვარი საქმე უფრო სამართლიანად და ჭეშმარიტად იქმნება და დაწყვეტილ-შესრულებული.

რაც შეეხება ქართველთა თავად-აზნაურთა შვილების საშხედრო განათლებას, ისიც არა ნაკლებ ხელის შეწყობას და გაძლიერებას თხოულობს. თავად ვარანცოვის „ნამესტნიკობის“ დროს სამხედრო მოსწავლეთა სასწავლებლებში 600 მოსწავლე იყო ხოლმე, რომელთა მეტ ნაწილს ქართველ თავად-აზნაურთა შვილები შეადგენდნენ. ტფილისში კადეტთა კორპუსის დაარსებამდის, ქართველ თავად-აზნაურთა წოდების ორმოცი ახალგაზდა იგზავნებოდა ყოველ წელიწადს რუსეთის შიდა გუბერნიების სხვა-და-სხვა კადეტთა კორპუსში. დღეს კი აღარც



სამხედრო მოსწავლეთა სასწავლებლებია კავკასიაში და აღბრუნებული სტიპენდიები ქართველთათვის რუსეთის კადეტთა კორპუსში შესასვლელად. თვით ტფილისის კადეტთა კორპუსის 375 მოსწავლეთა შორის ქართველი მხოლოდ 102-ია. მართალია, სამოქალაქო სასწავლებლებთან შედარებით ეს პროპორცია გაცილებით სანუგეშოა ქართველთათვის, მაგრამ მაინც სამხედრო სწავლა გაძლიერებასა თხოულობს იმ მოსაზრებისა გამო, რომ ქართველი თავდაზნაურობა სამხედრო საქმეში დიდ ნიჭს, უნარს და ვაჟაკობას იჩენდა და იჩენს ხოლმე, რასაც კავკასიის ომების უტყუარი ისტორია ნათლად ამტკიცებს. ამიტომ საჭიროა, როგორც თავდაზნაურთა, აგრეთვე სახელმწიფოს სარგებლობისთვის, ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ იქნას, რომ ტფილისის კადეტთა კორპუსში მოსწავლეთა საერთო რიცხვის ერთს მესამედს უეჭველად ქართველები შეადგენდნენ. გარდა ამისა ყოველ წელიწადს სახელმწიფო ხარჯით უნდა გაიგზავნოს რუსეთის სხვა-და-სხვა კადეტთა კორპუსებში, განსაკუთრებულ სამხრეთისაში, ადგილობრივ კადეტთა კორპუსის მოსამზადებელ კლასში კურს-დამთავრებული ოცი იმ თავდაზნაურთა შვილები, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არ არიან.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია უნუგეშო მდგომარეობა დედათა განათლებისა საქართველოში. ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში სულ 880 მოსწავლე ქალია და მათ შორის ქართველი მხოლოდ—130. ტფილისის ორ სხვა დედათა გიმნაზიაში ქართველები უფრო ნაკლებნი არიან. მაგ. მესამე გიმნაზიაში ქართველები სულ 7,7% შეადგენენ. ყველა ამის გამო ასს ქართველ კეთილშობილ შთამომავლობის ქალთა შორის ერთი თუ ეღირსება განათლებას! ქართველ დედათა სწავლა განათლების საქმე უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენში, ვიდრე ვაჟთა. ამის შედეგი კი ოჯახის დაცემა და განადგურებაა, რომელმაც, დროის მოთხოვნისა გამო, ძველი, მამაპაპური წმინდა შეუქმნიველი ხასიეთი დაჰკარგა და ახალ კულტურულ ნიადაგსაც ვერ დაადგა. ქართველ დედებს ვერ მოუხერხებიათ

დააყენონ ოჯახი მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზედ, აღზარდონ შეილები ისე, როგორც აწინდელი სწავლა-მეცნიერება მოითხოვს, შეასწავლონ მათ რუსული ენა და მოამზადონ სკოლისა და ცხოვრებისთვის. ყველა ამისათვის საჭიროა სწავლა-განათლება, ქართველი დედები კი მოკლებულნი არიან მას. ამიტომ დედათა სწავლა-განათლების გასაძლიერებლად იგივე ზომები უნდა იქმნას მიღებული, რაც აღენიშნეთ მამა-კაცთა შესახებ, ე. ი. ქალებისათვისაც უნდა დაარსდეს ერთი სამხალისო მოსამზადებელი სასწავლებელი-პანსიონი და ვინც ამ სასწავლებელს გაათავებს, უნდა მიეცეს ისეთი მოწმობა, რომლის წყალობით შეეძლოს გიმნაზიის პირველ კლასში შესვლა. შემდეგ, როგორც ვაჟთა გიმნაზიებში, აქაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაწესდეს, რომ ერთი მესამედი საერთო ვაკანსიებისა ქართველ მოსწავლე ქალებს დაეთმოთ. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ ქართველი მოსწველ ქალები საღმრთო წერილს რუსებთან ერთად რუსულს ენაზედ სწავლობენ, მაშინ როდესაც სხვა ეროვნების ქალები ამ ნაკლულევაწებას აცილებულნი არიან და თითქმის ყველა სასწავლებლებში სამღვთო წერილს თავიანთ სამშობლო ენაზედ სწავლობენ. თვით ქართული ენა ქალთა გიმნაზიებში, როგორც ვაჟთა, ან განდევნილია, ან არა და სულ მცირე დროა იმის სწავლებაზე გადადებული, რის გამოც ქართველი ქალი იმდენად ივიწყებს ყველაფერს ქართულს, რომ სწავლის გათავების შემდეგ აღარც ლოცვა შეუძლიან, აღარც წერა და კითხვა თავის მშობლიურ ენაზედ. ყველა ეს კი მეტად ცუდად მოქმედობს ქალის ხასიათსა, ზნესა და ჩვეულებაზედ და ოჯახისათვის იგი სრულიად გამოუსადეგარი გამოჰყავს. აი სწორედ ამიტომ ფრიად საჭიროა ყველა დედათა სასწავლებლებში ქართველ ქალებს, როგორც სხვა ეროვნების მოსწავლეთ, საღმრთო წერილი სამშობლო ენაზე ასწავლონ, ან, ამის ნაცვლად, ყველა კლასებში ქართული ენის სწავლება იქმნას შემოღებული, კვირაში ორი გაკვეთილი მაინც.

მაგრამ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საშუალებანი მაინც საესებით ვერ დააკმაყოფილებენ თავად-აზნაურთა სწავლა-გა-



ნათლებისადმი წყურვილს. მრავალი მათგანი, განსაკუთრებულ სოფლის წვრილ-ფენა თავად-აზნაური, რომელიც ქონებით გლახზე მალა არა სდგას, სამუდამოდ უსწავლელი დარჩება. მაშ რა უნდა ვიღონათ, რომ მცირედი ნაწილი მაინც ამ კეთილშობილ შთამომავალთა განათლების სხვის არ მოვაკლოთ? რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ იმათ შვილებმა თავდაპირველი, ელემენტარული განათლება მიიღონ? ამ მხრივ თავდაზნაურობას რაციონალურად გამართული სოფლის სკოლები სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებებით დაუფასებელ ღვაწლს გაუწევენ, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოდაც შევნიშნეთ, სოფლის სკოლების რიცხვი იმდენად მცირეა გუბერნიაში, რომ ერთი 10,000 სულზე ძლივს მოდის. გარდა ამისა ამ სკოლებმა მათი არსებობის ოცი წლის განმავლობაში ქართული წერა-კითხვაც კი ვერ გაავრცელეს იმ სოფლებში, სადაც დაარსებულნი არიან. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ გლახ-კაცობა უმეტეს ნაწილად წინააღმდეგია სოფლის სკოლისა და ექვი არ არის, რომ ორიოდ აწ არსებულ სკოლასაც გააუქმებდა, რომ ადმინისტრაცია ძალას არ ატანდეს. ამიტომ საჭიროა ძირითადად შეიცვალოს ყველა სოფლის სკოლა და უფრო კარგად და ნაყოფიერად მოეწყოს იგი. ამ მიზნის განსახორციელებლად სკოლებში უნდა იქმნას მიღებული ოფიციალური სამოსწავლო გეგმა, მთავრობისაგან შემუშავებული და დამტკიცებული მისი იმპერატორობით უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნამესტნიკობის დროს. ამასთანავე დრო სამის წლის მაგიერ ოთხი წელიწადი უნდა იყვეს, რადგანაც სწავლის ცოტა დრო უმთავრესი მიზნისა სოფლის სკოლების უნაყოფობისა. შემდეგ, დირექციის წევრთა შორის მკვიდრთა ენის, ყოფა-მდგომარეობის და საჭიროებას მკოდნე კაცები უნდა იყვნენ, რომ მათ ხალხს თავიანთ სამშობლო ენაზედ უქადაგონ სწავლა-განათლების სარგებლობა და ამით ახალი სკოლები დაარსებინონ. ესენივე თვალყურს აღევნებენ უკვე დაარსებულ სკოლებს და დრო-გამომგებით კონტროლობას გაუწევენ. ამ მიზნით უფრო სამართ-

ლიანი და საქმისთვის სასარგებლო იქმნება, რომ რუსის დირექტორს თანაშემწედ ქართველები დაენიშნოს, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ და საპედაგოგო მოქმედებისათვის მომზადებულნი არიან.

ამ სასწავლებლებში გლეხი-კაცის შვილებთან ერთად თავად-აზნაურთა შვილებიც მიიღებენ სწავლას და ამ რიგად ელემენტარული განათლების გავრცელება, სამეურნეო და სახელოსნო ცოდნასთან ერთად, ექვი არ არის, გააუმჯობესებს თავად-აზნაურთა უნუგეშო მდგომარეობას და აამაღლებს მას, როგორც გონებრივ, აგრეთვე ზნეობრივ და ეკონომიურად.

ი. გოგებაშვილი

ხელოვნება სოხილომეოხის აზრით.

(ფრანგულიდან ლ. ე. აზოლენსკის რედაქციით იქმნა თარგმნილი).

გიუიოს პირადობა და იღვები.

(საფრანგეთის აკადემიის წევრის ალფრედ ჟუღლავის შესავალი).

„რომელიც გინდა საუკეთესო წიგნი აიღვეთო,—ამბობს გიუიო,—იგი მუდამ პირდაპირს თვალთ-ხილვასა ჰგავს, რომელსაც თვით სიკვდილიც კი ვერ დასჩრდილავს; მასში, ამ სინათლის სხივში, კაცობრიობის არსებობის ღრმა აზრი მუდამ გამოასკვრეტსო“. ვისურვებთ, რომ რაც კი ჩვენგან ამოღებულია გიუიოს უკვდავ და სამაგალითო ნაწერებიდან, რომელსაც გიუიომ მთლად თავისი სული ჩაჰბერა და გული ფიანდაზად გადაუშალა, სწორედ ასეთ საყვარელ წიგნად, ასეთ თვალთ-ხილვად გარდიქცეს, რომელსაც სიკვდილიც კი ვერ დაჰსჩრდილავს. გარდა ამისა, გიუიო იმ მწერალთა გუნდს ეკუთვნის, რომელთა ნაწერების წაკითხვაც ისე არ შეიძლება, რომ წამკითხველს თავი არ შეაყვაროს: თვითონ გიუიოსაც ხომ მუდამ დიდებული რამ უყვარდა და სიცოცხლე ამას შესწირა.

ჟან-მარი გიუო 1854 წ. 28 ოქტომბერს დაიბადა ლავალში. თავდაპირველი აღზრდა პატარა გიუიომ თავისი დედისაგან მიიღო, რომლის თხზულებაც აღზრდის შესახებ, ბ-ნ ბრიუნოს ფსევდონიმით გამოცემული, ყველგან დიდად მიღებული და პატივცემულია. შემდგომ-კი ჩემის ხელმძღვანელობით მეცადინობდა, და ამ მეცადინობამ მე და გიუიო მამა-შვილივით და-

გვაკავშირავს. იმ თავიდანვე გიუიოს შესანიშნავი სურვილი ჰქონდა შრომისა, ეტყობოდა, რომ მეტად ადრე და მალე უნდა განვითარებულიყო. სულიერი ძალა მდიდრად ჰქონდა მინიჭებული. პატარაობიდანვე პოეზია და ფილოსოფია მეტად უყვარდა: კორნელი, ჰიუგო, მიუსესე, პლატონი, ეპიკტეტი და კანტი ამის პირველ ღმერთებად გადიქნენ, ამათ ჩაუნერგეს პირველად საქმის სიყვარული. გიუიო ჯერ ისევ ჭაბუკი იყო, რომ საბერძნეთის ფილოსოფია დაახლოვებით ჰქონდა შესწავლილი; ხოლო საბერძნეთის ფილოსოფიამ ის „ღვთიური ცეცხლი“ გაუღვია გულში, რომელსაც პლატონი პარმენიდაში „Μεῖξ ἀρχή“ — სუფოდებს. ჩვიდმეტის წლისა იყო გიუიო, რომ სიტყვიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიიღო (licencié ès lettres) და ეპიკტეტის სახელმძღვანელო გადასთარგმნა; იგი ამ დროს სტოიკოსების დიდმა ზნეობრივმა სწავლამ (მორალმა) მთლად გაიტაცა. გიუიო მთელს თავისს სიცოცხლეში ამ დიდის სწავლის მიმდევარი იყო, ხოლო თავისს მოსიყვარულე ხასიათითა და ექსპანსიურის გუოკეთილობით აზომიერებდა, რომელიც, — სტოიკოსთა წინააღმდეგ, — გულშეუფარდნელად სიყვარულს უარ-ჰყოფდა. ცხრამეტის წლისამ უტილიტარულ მორალის შესახებ ეპიკუროსიდან დაწყებული, ვიდრე თანამედროვე ინგლისურ სკოლამდე თხზულება დასწერა და კონკურსზედ წარდგინილს მისს თხზულებას ზნეობრივ და საპოლიტიკო მეცნიერებათა აკადემიამ პრემია მიუხაჯა. ერთის წლის შემდეგ (1874წ.) კონდორსეს ლიცეიში ფილოსოფიის კურსი ჩააბარეს ჯერ სრულიად ახალგაზდა გიუიოს.

სამწუხაროდ, ამ დროს იგი მოჭარბებულმა შრომამ ცოტა არ იყოს დაასუსტა, ნელ-ნელა ფიზიკურად დააუძლურა, მაგრამ სასიხარულოდ, ეს სისუსტე მისს გონებრივს ძალას ვერ შეეხო, აზრის ნაყოფიერება ვერ შეუმცირა. იგი იძულებული შეიქმნა პარიზის ჰავა უფრო საღს ჰაერზედ შეეცვალა და ამისათვის სამხრეთს მიჰმართა, — ჯერ პოსა და ბიარიცში წავიდა, მერე კი ნიცრასა და მენტონში გადავიდა. ხმელთა შუა ზღვის პირად ყოფნამა და იქაურმა საღმა ჰაერმა გიუიო სრულიად



გამოაკეთა რამდენისამე წლით, იმედი კვლავ მიეცა და რამდენისამე დიდის თხზულების წერას შეუდგა. ეს დრო გიუიოს განუწყვეტელის მოღვაწეობისა და პროგრესის ხანად შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ გიუიო ამ ხანად ჯანით დასუსტებული იყო, მაინც ეს დრო უნდა ჩაითვალოს გიუიოს ნიჭის სავსებით ფრთის გაშლისა და მომწიფების ხანად. ამ დროს დაიბეჭდა მისი შრომა „ეპიკუროსის მორალი“ და „ჩვენის დროის ინგლისური მორალი“, რომლებიც მძლავრისა და მკვერ-მეტყველურის კრიტიკის ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს უტილიტარიზმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მალე ორი სხვა შრომა დაიბეჭდა: „ფილოსოფოსის ლექსები“ და „თანამედროვე ესტეტიკის აზრი“. ამათ შერე განსაკუთრებით ფელოსოფიური შრომანი დაიბეჭდნენ. „მორალის მიმოხილვა“-ში იგი მაგალითად სცდილობს უმაღლესის მორალის შესახებ გადაჭრილი აზრი დაადგინოს და კანტის აზრს არ ეთანხმება; გიუიოს აზრით, კანტის აზრი სავსებით ვერა ჰხსნის მოვალეობისა და თავის განწირვის (самопожертвование) იდეებს. გიუიო თავისს კაპიტალურ თხზულებაში „L' Irreligion de l' Avenir“-ში იკვლევს, თუ რა ძირითადი და შეუწყვეელი იდეები შეიძლება ამოიკრიბოს სარწმუნოებიდან, ან რა შედეგენს სარწმუნოების სულსა და გულს, რა დედა აზრი აქვს. ხსენებული წიგნი ზეაღმაფრენ აზრებით აღსავსეა, მაგრამ წიგნის სათაურის აზრი ყოველთვის სწორედ არ ესმოდათ. ამ წიგნმა ჟურნალ-გაზეთებში, თუ კერძო ბროშურებით დიდი კამათი გამოიწვია და ყველა დიდის პატივით მოეპყრა ავტორის შესანიშნავ გულწრფელობასა და თხზულების ღრმა ზნეობრივს ხასიათს. ამათ შემდეგ მალე ეს „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“ დაამთავრა გიუიომ, რომელიც ორიგინალურისა და ახალის იდეებით აღსავსეა; დაბოლოს დასწერა „აღზრდა და მემკვიდრეობით ზნე-ჩვეულებათა გარდაცემა“, რომელიც ფსიხოლოგიურის გამსჭვრეტელობითა და ზნეობრივის სიმაღლით არა ნაკლებ შესანიშნავია, ვიდრე პირველი. ეს ორი უკანასკნელი თხზულება და აგრეთვე „დროის იდეის გენეზისი“ მხოლოდ გიუიოს სიკვდილის შემდეგ იქმნენ დაბეჭდილი*).

*) დაწერილებითი ანალიზი გიუიოს ყველა თხზულებისა აღრვეე მაქვს დაბეჭდილი თხზულებაში: „მორალი, ხელოვნება და სარწმუნოება გიუიოს აზრით“.

რომელსაც განყენებულადა და თავისსავე საკუთარს მეხანრზში მოქცეულადა სთვლიდნენ, სრულიად თავისუფალი აღმოჩნდა და დამტკიცდა, რომ გარეშე ხალხსაც შეუძლიან ინდივიდუუმზედ იმოქმედოს, იგი თურმე სხვათა შეგნებას ეთანხმება, ჰმოძრაობს და ჰხელმძღვანელობს ანა ზარდაღას გრძნობებით. ამ ჟამად ნერვიული სისტემა მოვლენათა იმ ადგილად ითვლება, რომლის დასაწყისიც ინდივიდუალურ ორგანიზმის გარეშე უნდა მოიძებნოს. ინდივიდუალურს პირადობაზე შედარებით მალა სჯობთა თანხმება სდგას. ესტეტიური, მორალური და სარწმუნოებრივი ემოცია რომ ერთის რომელისამე სსუკლით განესაზღვროთ, ეს იმდენადვე საძნელოა, როგორც მაგალითად ელექტრონისა და სითბოს მხოლოდ ერთი სხეულით განსაზღვრა: ფიზიკური და გონებრივი მოვლენანი ერთგვარად ვრცელდებიან, ერთგვარად გადაძდებნი არიან. ნერვიულისა და სულიერის თანაგრძნობის ფაქტებს თან-და-თან უკეთ იცნობენ; „შთაგონებისა“ და ჰიპნოტიურის ზედგავლენის ფაქტებს ახლა მეცნიერულად სწავლობენ. სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა შემთხვევანი, რომელნიც დაკვირვებით ადვილად გამოიკვლევიან, სხვა-და-სხვა ტვინის ურთიერთ შორის ნორმალურ ზედგავლენის მოვლენებად გარდიქმნებიან ნელ-ნელა და აი, ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ორი სხვა-და-სხვა შეგნება და გონება ერთი მეორეზედ ზედგავლენას იქონიებენ ხოლმე. ახლო დროის მომავალი ბევრს რასმე გამოარკვევს და აღმოაჩენს ისეთს, რაიცა დღეს ჯერ ვერავის გაუთვალისწინებია, მაგრამ, ეჭვი არ არის, ისეთივე მნიშვნელობა ექმნებათ მათ ზნეობის საქმეში, როგორც ნიუტონისა და ლაპლასის გამოკვლევათ ცის მნათობთა სფლასა და მოძრაობაში. ხსენებულ ახალ გამოკვლევათა აზრი ის იქნება, თუ ორი სხვა-და-სხვა გრძნობა და ნება ერთ-ერთს როგორ იზიდავენ, ორი სხვა-და-სხვა გონება ერთმანეთს როგორ ეთანხმებიან, ან რამდენად შესაძლებელია, რომ შეგნება ორის სხვა-და-სხვა ადამიანისა თვალ-ხილული და ნათელი იყოს ერთ-ერთისათვის, ერთ-ერთს ჰაერით შეერეოდნენ და გამსჭვალავდნენ“.*) ამ რიგად დაარსდება მეცნიერული

*) „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“, შესავალი.

ფსიხოლოგია და სოციოლოგია იმავე რიგად, როგორც მე-XVII საუკუნე. ფიზიკა და ვარსკვლავთ-მრიცხველობა წარმოქმნილია. სოციალური გრძობები ნერვიულ სისტემათა მიმზიდველობისა და უკუ-მქცევლობისა გამო უფრო რთულად აღმოჩნდებიან, ისრევე, როგორც ვარსკვლავთ-მრიცხველობის მოვლენანი; სოციალური მეცნიერება, რომელიც მორალისა, ესტეტიკისა და სარწმუნოების სწავლათა მეტ¹, ნაწილს შეიცავს, უფრო რთულ ვარსკვლავთ-მრიცხველობად გარდიქმნება“. დასასრულ, იგი „თვით მეტაფიზიკასაც კი“ ახალს ნათელს მოჰფენს. ესაა ის დიდი იმედი, რომელიც გიუიოს ნაწარმოებებში გამოსჭვრეტს.

ის უმაღლესნი ღირსებანი, რომელთაც გიუიოს სახელი განუთქვეს, როგორც მოაზრება და მწერაღს, თითქმის ყოველს მის ნაწარმოებში იჩენენ თავს. ყოველსავე მის ნაწარმოებს გულწრფელობა ეტყობა, რაიცა ფილოსოფიაში ერთ უმთავრეს და აუცილებელ თვისებად ითვლება. გიუიო მუდამ უშიშრად იკვლევდა ყოველსავე საგანს და საქმის აღრევე გარდაწყვეტას ერიდებოდა; ახსოვდა მხოლოდ მოვალეობა: ისრევე შეტკებებოდა ქეშმარიტებას, როგორც „მორწმუნე—ღმერთს“. ასეთი თავგამომეტება ბოლომდის შეტრია.

Le vrai, je sais, fait souffrir;
Yoir, c'est peut-être mourir;
N'inimporte! ō, mon oeil, regarde! *)

მაშ თუ გულწრფელობა ქეშმარიტ ფილოსოფიის ზეშთაშბერველია, დიდებული ხელოვნებაც მანვე უნდა შთაჰბეროს ადამიანს, აზრის ძალასთანა და გულის მივარდნასთან შეერთებულმა გულწრფელობამ სიტყვა-კაზმულობის მიხედვითა და აზრით, აუცილებლივ ორი უმთავრესი მოქმედება უნდა გამოიწვიოს, რასაკვირველია, იმისდა მიხედვით, თუ აღნიშნული საგანი რამდენად მნიშვნელოვანი და დიდებულია: ჯერ ერთი

*) ვიცი, რომ ტანჯვის მოგვაველინებს ქეშმარიტება; რომ ხილვა რისმე ხშირად ნიშნავს თითონ სიკვდილსა; დეე, რა ეუყოთ! მხოლოდ, თვალა ჩემო, უმზირე!
„Yers d'un phylosophe“: La douce mort.

ის, რომ ბუნებრივის მშვენიერების მოქმედება უნდა იქონიოს, ისე როგორც მშვენიერმა, ფაქიზმა, წმინდა სულმა, რომელიც ადამიანის თვალ-წინ გულ-ახდილად და მთელის თვისის არსებით წარსდგება ხოლმე; ხოლო როდესაც მალალ საგანთა წარმოშობით თვით ჰორიზონტი ფართოვდება, მაშინ უდიდესსა და უმაღლესს შთაბეჭდილებას ახდენს; ეს იმითი აიხსნება, რომ როდესაც ჩვენი ბუნება მალლა აიწვეს, ვგრძნობთ, თითქოს დაუსრულებელს საიდუმლოებას პირისპირ ვმზერდეთ. კრიტიკოსთა აზრით, ეს ორი შთაბეჭდილება გიუიოს ნაწარმოებთა შორის ხშირად გამოსჭვრეტს. გიუიოს ეკუთვნის ის იშვიათი სახელი მწერალთა, რომელნიც, ზეშთაგონების საუკეთესო წამების დროს, თავის თავზედ გაცილებით მალლა სდგანან და სრულიად ძალადაუტანებლივ აღძრავენ ხოლმე ადამიანში „უმაღლესს“ გრძნობას.

გიუიოს ნაწარმოებთა განსაკუთრებული თვისება და მნიშვნელობა, რომელიც საფრანგეთსა და საზღვარ გარედაც ერთნაირად დაფასებულ იქმნა, ის არის, რომ თვისის დროის აზრი და ზეშთაგონება, ექვი და იმედი არც ერთს ფილოსოფოსს არ აღუნიშნავს ისე უტყუვრად და იმდენად სავსებით, როგორც გიუიომ ჰქმნა. თვით იგინიც კი, ვის აზრებსა და იდეებსაც გიუიო მუდამ სასტიკად სდევნიდა, პატივისცემითა და სიყვარულით იყენენ მის მიმართ გამსჭვალულნი, იმდენად მოსიყვარულე და მიშვიდველის სულის პატრონი იყო და არც თუ დაუფიწყნია ოდესმე დიდებული დევიზი: უნდა ყველაფერი შეიყვარო, თუ ყველაფრის გაგება გსურსო.

სხვა უიმისოს იქნება ვამაყნა კიდევ ამ მართლაც-და შესანიშნავისა და სამაგალითო ღირსებებით, მაგრამ გიუიოს ეს არასოდეს არ უქმნია; იგი მუდამ ჭეშმარიტის ფილოსოფოსსავით წყნარი და მშვიდი იყო. და აი, რად: თითონვე იტყოდა ხოლმე: ფილოსოფიამ კარგად უწყის, რამდენი რამ არის ჯერ მისთვის სრულიად უცნობი და დაფარული; თუ საბუთი არა აქვს, ალაღბედად ვერც ერთ აზრს ვერ გამოსთქვამს და ამისათვის იძულებულია მრავალ საგნის შესახებ მუდამ ექვში

იყო, უცადოს და იტანჯოს, „ვინაიდან ჭეშმარიტების იმ წასახსნს, რომელიც მხოლოდ შემდეგში უნდა გაიფურჩხოს და აპყვავდეს, იგი მუდამ პატივს სცემსო“.

მართალია, გიუიომ ბეერი ნაყოფიერი შრომა დასტოვა, მაგრამ ამისდა მიუხედავად მას იგი მეტად მცირედ მიაჩნდა, რადგან უფრო მომეტებული გაკეთება ჰსურდა. გიუიოს ბოლოს წლებში ბედი ტკბილად უღიმოდა: სიყვარულის სიხარული, ოჯახისა და მშობლების კმაყოფილი ცხოვრება და მის ნაწარმოებთა დამარჯვება, ყოველივე ეს მომავალში დიდს იმედს აძლევდა.

მის ცხოვრებაში ერთად-ერთი საფიქრებელი მხოლოდ ჯანის სიმრთელი გახდა, რომელიც მართლაც საშიში იყო. წარმოიდგინეთ, რა მწუხარება და ნაღველი უნდა გამოეცლო გიუიოს, როდესაც იგი უკანასკნელ ხუთის თვის ავადმყოფობის დროს ნათლად ჰხედავდა დღითი-დღე ძალა და სიცოცხლე როგორ ელეოდა. მაგრამ გიუიომ მაინც მუდამ იმას სცდილობდა, რომ მისი მწუხარება სხვას არ შეეტყო; მისი ერთად-ერთი საზრუნველი ის იყო, რომ თავისი ტანჯვა როგორმე დაეფარა, საშინელი წინაღ-გრძნობა არავისთვის გაემქლავებინა და მახლობელთათვის მწუხარება არ მიეყენებინა. იშვიათი მოვლენაა, აღამიანს სიკვდილის წინ ესოდენი სულის ძალა და მშვიდობიანი, წყნარი ხასიათი ჰქონდეს, როგორც გიუიოს, რომელიც, როგორც თვითონვე ამბობს, ისეთის მორჩილებით ელოდა თურმე სიკვდილის წამს, მის საზარელს მოწოდებას: „მომყეო უკან“. გარდაიცვალა გიუიო 31 მარტს 1888 წელს, მენტონში—33 წლისა.

მისი ძველის მარმარილოს ქვაზე მისისავე უკანასკნელ წიგნიდან ამოღებული სიტყვებია ამოჭრილი; ამ სიტყვებს თითქოს თვითონ იგი ამბობდეს სამარიდან, ისე ამცნებს და აგონებს ყველას სამარადისო ჭეშმარიტებათა ხმას. აი, ეს სიტყვები:

„ვისაც კი ნამდვილად უცხოვრია, იგი მუდამ ცოცხალია; ვინც მკვდარს ემსგავსება, იგი მხოლოდ კვლავ აღსადგენად ემ-

ზადება. სურვილი და გაგება იმისი, თუ რა უმჯობესია, სასუ-
 კეთესო და უდიდეს იდეალისადმი მისწრაფება, — ყოველივე ეს
 ჩვენს შემდეგ მომსელელ და მცხოვრებ თაობათა მოწოდებაა,
 რომ ამ ნათელს კვალს მოჰყვნენ. ის ზემთაგონებული აზრე-
 ბი, რომლებიც სრულიად უმნიშვნელოდ მიგვაჩნია ხოლმე, ხში-
 რად ტალღებს ემსგავსებიან; იგინი ჩვენზედ გაცილებით შორს
 მისცურვენ და, ვინ იცის, რომ შეჰკარბნენ და გაიშალნენ, ქვე-
 ყანაც ააღებენ. დარწმუნებული ვარ, რაც კი რამ საუკეთე-
 სო მაქვს, უსათუოდ მომიქამს. შეიძლება, არც ერთი ჩემი ოც-
 ნების ფიქრი არ დაიკარგოს, უქჷად არ დარჩეს; ჩემს შემდეგ
 სხვა დაებატონება და იგიც ჩემებრ იოცნებებს, ვიდრე დღე
 შესრულებისა არ დაუდგება. ზღვაც ხომ ასე თავისს მომაკვდავ
 ტალღებით გამოუჭრის ხოლმე ამა-თუ-იმ სახეს თავისს ნაპი-
 რებსა და ძირს, რომელთა შორისაც იგი დიადად და ამაყად
 ჰმოძრაობს.“

ა. ჭუღღაეს წინასიტყვაობა.

ხელოვნების შესახებ თავისი აზრები გიუიომ ორ დიდ ნა-
 წარმოებში გამოსთქვა; ეს გახლავთ: „თანამედროვე ესტეტი-
 კის აზრი“ და „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“.

უკანასკნელი თხზულება ავტორის სიკვდილის შემდეგ დაი-
 ბეჭდა 1894 წ.

პირველს ნაწარმოებში გიუიომ სამს საგანს არჩევს, რო-
 მელთაც ამ ჩვენს დროში თავისი განსაკუთრებული მნიშვნე-
 ლობა აქვთ: 1) ხელოვნების ძირითადი აზრი მართლა ის არის,
 რომ ოცნების ნამოქმედარმა გვასიამოვნოს და გაგვართოს,
 როგორც შილლერი და სპენსერი ფიქრობდნენ? 2) სხვა-და-
 სხვაგვარს ხელოვნებასა და პოეზიას რა შედეგი მოეღოს, რო-
 მელთაც თანამედროვე მეცნიერება და მრეწველობა მოსპობა-
 ს და გაუქმებას უქადის? და 3) რა მომავალი ექმნება ლექსს
 და მისი ნამდვილი კანონები რას წარმოადგენს?

I. გუთით რომ ამ ზემოდ აღნიშნულ საგნების ახსნას შეუდგა, იმ დროს ის თეორია იყო გავრცელებული, რომელსაც ხელოვნება და თვითონ სიმშვენიერე მხოლოდ ადამიანის-მიერ პირველ შექმნილ წარმოდგენათა და ნიჭის სასიამოვნო ეარჯიშობად მიაჩნდა.

გუთიომ ნათლად დაანახვა ყველას, რომ, როდესაც ხელოვნებას ისე უცქერიან, როგორც სასიამოვნო და საოცნებო საგანს, — როდესაც იმას სცდილობენ, რომ ხელოვნებას კეთილისა, ქეშმარიტებისა და სარგებლობისადმი მისწრაფება სრულად გამოსწირონ, უარ-ჰყონ, მაშინ ერთის მხრივ დილექტანტიზმი იჩენს თავს, ხოლო მეორე მხრივ მხოლოდ გარეგნობის თაყვანისცემა; ამ რივად ხელოვნებისა და ლიტერატურის უფრო ცხოველს-მყოფელი და სერიოზული მხარე სრულიად უარყოფილია, დაეიწყება ეძლევა.

II. გუთიოს მეორე თხზულებაში „ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით“ ახალსა და ორგინალურს აზრსა ებოვებთ.

გუთიო ამტკაცებს ამ თხზულებაში, რომ ხელოვნება თავისის ბუნებით ნამდვილი საზოგადოებრივი მოვლენაა. იგი რიგ-რიგით იკვლევს ესტეტიურ გრძნობისა (ესტეტიურის ემოციის) და გენიოსობის ძირითადს ნიადაგს, სიმპატიის დანიშნულებას კრიტიკაში, იდეალიზმს, რეალიზმს, იმას, თუ თანამედროე რომანში როგორ იქმნენ შეტანილნი საზოგადოებრივი და ფილოსოფიური იდეები, იკვლევს პოეზიას, შემდეგ წყობილსიტყვაობის ნამდვილს კანონებს სწავლიობს, რომლებიც სიმპატიის გამომსახველ საშუალებადა და იარაღადა აქვს მიღებული, დეკადენტების ლიტერატურას არჩევს და დასასრულ არკვევს, თუ ხელოვნებას რა საზოგადოებრივი და მორალური დანიშნულება აქვს.

გუთიოს აზრით, მშვენიერებას ის ქვეყნად ყოველისავე საგანში გაშლილი სიცოცხლე შეადგენს, რომელიც ჩვენში მუდამ თანაგრძნობას ჰპოვებს ხოლმე. ხელოვნებაში მშვენიერება ცხოვრებას ინტენსიურადა და თანაგრძნობით გამომსატველია. ამ რივად ხელოვნება „საზოგადოა“, არა მარტო თავისის აზ-

რითა და ნაყოფით, არამედ ბუნებითვე, იმ კანონით, რომელიც მას საფუძვლად უდევს; ხოლო ეს კანონი შესდგება იმისაგან, რომ სიმპატია ყოველსავე საგანს სხივებით ეფინება, ხელოვანს, მხატვარს აღაფრთოვანებს და ამ რიგად იგი სხვასაც აფრთოვანებს. რომ აღამიანმა მართლაც დიდებული მხატვრობრივი ნაწარმოები შექმნას, იგი უნდა ყველას ცხოვრებას დაუახლოვდეს, მათთან ერთად ერთის სიცოცხლით სცხოვრებდეს და ეს ცხოვრება ცოცხალის სურათებიდან შექმნას. მაგრამ სხვასთან ერთად ცხოვრება უსაყვარულოდ განა შესაძლებელია? ამ რიგად ნამდვილი ხელოვანი ის კი არ არის, ვინც ცხოვრებას მხოლოდ გონებით, თვალთ უცქერის, არამედ ის, ვისაც უყვარს და ამ თავისს სიყვარულს სხვას უზიარებს. აქედან გიუიოს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ესტეტიურს ემოციას საფუძვლად თანხმობის გრძნობა და საზოგადო სიმპატია აქვს. როდესაც ეს მაღალი აზრი თავისს ნაყოფს მოიტანს, მაშინ ეს დასწეულეული და სუსტი ლიტერატურა, რომელიც როგორც პრინციპით, ისე მოქმედებით საზოგადოებრივის ცხოვრების წინააღმდეგია, მთლად მოისპობა და მის მაგიერად სიცოცხლითა და ძალით სავსე ლიტერატურა დაიბადება, რომელიც გაბრწინილებიდან განვითარებისკენ წაიყვანს საზოგადოებას.

ბეკონმა სთქვა, რომ ხელოვნება ბუნების ნაკლთა შემავსებელი კაციაო, — homo additus naturae; მაშინ კი იტყვიან, რომ ხელოვნება საზოგადო ცხოვრებაა, რომელიც მთელს ბუნებაში გავრცელებულია. იგი ახალ სარწმუნოებად გარდიქმნება.

I

შეკრება

ოცნება, რომელიც იმედს არასოდეს არა სცილდება და ცას მიწასთან აკავშირებს, — ცხოვრებასთან შორის იდეალს, უდიდესს სიტკბოებას გვანიჭებს. ამ გვარ ოცნებათა შორის საუკეთესოა შეკრება. იგი იმ ნათლის სვეტსა ჰგავს, რომელიც სი-

რიუსის აღმოსვლის დროს მოციმციმე ზღვაზედ ჰკრთის ხოლმე; ეს რძის ფერი, ვერცხლები ბჰყვრილა გზა, რომელიც მთრთოლვარე ტალღებზედ გადაფენილა, უსაზღვროდ დაშორებულს სირიუსს ერთის სხივით ჩვენს ქვეყანასთან აერთებს, რომელთა შორისაც თვალ მაუწყვდენელი ზღვათა და ზეცის სივრცეა განრთხმული.

ხელოვნების განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ იგი განუმარტებლად, „დაუმტკიცებლად“ რაღაც შეურყეველს ქემმარტებას უნერგავს ადამიანს სულში. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის ბუნებაში გრძობა ყველა სხვა ნიჭზედ ძლიერია. თქვენს თავს სწავლულადა სთვლით, ჰგონებთ, ვითომ მიუდღგომელი, შეუმცდარი და ქემმარტების მუდმივი მამძიებელი ხართ, მაგრამ უცბად შეგიყვარდათ, ბავშვივით სტირით; დეე, გონება ეწინააღმდეგოს, თავისი ძლიერი ღ შეურყეველი საბუთები წარმოადგინოს, იგი მაინც ვერ შეგაკავებთ, თვალზე ცრემლს ვერ შეგაშრობთ. დეე, სწავლულმა პოეტის ცრემლებს დასციინოს,— არაფერია; თვით უგრძობელი სულიც კი გამოიღვიძებს და ხმას გამოსცემს იმის ძახილსა; ერთხელ შემთხვევით დაბადებული აზრი ათასს სხვას გამოაწვევს შეგნების სამთავროდან. ყველა ეს აზრები, რომელნიც დღემდის სდუმდნენ, ჩვენს სულში ერთს სასიამოვნო და ძლიერს ხმათა კრებულს შეადგენენ. აქ ჰპოვებთ ყველას, რაც კი ოდესმე გიგრძენიათ, რაც გიფიქრიათ, რაც გყვარებიათ...

ნამდვილი პოეტი მხოლოდ იგია, ვინც შესძლებს და ამ დავიწყებულსა და ტკბილს ხმებს კვლავ გაახსენებს ადამიანს.

მეცნიერება იდეათა განსაზღვრულს რიცხვს შეიცავს, რომელიც ჩვენს მსჯელობას (აზროვნობას) უკვე შეთვისებული აქვს. მეცნიერებას აზრად გამარჯვება და გონების დამშვიდება აქვს. პოეზია კი, პირიქით, მრავალ გრძობათა და აზრთაგან შესდგება, რომლებიც გონებას ყოველმხრივ გარს შემოჰხვევია; ამისათვის, იგი ამ აზრებსა და გრძობებს უცბად ველარ ითვისებს. იგი სამარადისო შთაგონებასა და აღფრთოვანებას წარმოადგენს. პოეზია იმას ესწრაფვის, რომ საგანთა ბუნდოვანსა,

მმოძრავსა და დაუსრულებელს სიღრმესა და საძირკველს თვალი გაუსწოროს, გაჰსჭკრიტოს იგი. კაცი მღვიმეებში რკინეულისა და ლითონის მძებნელს ემსგავსება: მისთვის მხოლოდ ის პატარა ადგილია განათებული, რომელიც გარს ახვევია; დანარჩენს წყვილი ჰფარავს, მისთვის უცნობი, საიდუმლოა. მაგრამ იგი რომ მხოლოდ ამ განათებულ პატარა ადგილით დაკმაყოფილდეს და სხვას აღარაფერს მიაქციოს ყურადღება, ეს იმას ეგვანება, რომ ქვეყნიერობის შესახებ შეხედულება და აზრი შეიზღუდოს, აღარ ვახსენოს, თუ რაოდენ დიდია უსაზღვროობა, რომელიც დღეს ჩვენს გონებასა და თვალს ვერ გაუყვლევია; ეს იმას ემსგავსება, რომ ლითონის მთხრელის მკრთალი, ოღნავ მბეუტავი ლამპარი ჩვენვე ჩავაქროთ.

პოეზია მეცნიერებას სწორედ ისეთ საქმეში ეხმარება, რომელიც მისთვის (მეცნიერებისათვის) უცნობი და საიდუმლოა. ჩვენი გონება დაუსრულებელის წარმოდგენით იახლებს ძალას, მასში ჰპოვებს ენერჯიას, ზეშთაგონებას. ხეც ასე ღრმად იდგავს ფესვებს, რომ ამ ნიადაგის სიღრმიდან შტოების მასაზრდოვებელი წვენი ამოსწოვოს და ცის სივრცეში ფართოდ გაიშალოს. რომელიმე საეარსკვლავთ-მრიცხველო თეორემა რომ ავიღოთ, იგი გონებას აკმაყოფილებს, მაგრამ უსაზღვრო ზეცას რომ ვუცქერით, როგორღაც უნებურად გვათრთოლებს, ჩვენს გულში ჰბდებს სურვილს, რომელიც ცოდნით ვერ დაკმაყოფილდება, მაგრამ რომელიც ზეციურს პოეზიასა ჰქმნის. მეცნიერნი მუდამ იმასა სცდილობენ, რომ ჩვენი ცოდნის მოყვარეობა დააკმაყოფილონ, სხვა-და-სხვა საკითხი განგვიმართონ; პოეტი კი თვით ამ საკითხითა გვხიბლავს. მეცნიერებას აზრად ისა იქვს, რომ საკითხი მსჯელობითა და გამოცდილებით განგვიმართოს, პოეზიის უმაღლესი მიზანი კი გრძნობა, ან ოცნებით გამოწვეული წინაღ-გრძნობაა. მაშასადამე, მეცნიერება და უფრო კი ფილოსოფია, მუდამ პოეტურნი იქმნებიან, ჯერ ერთი იმ გრძნობისა გამო, რომელსაც დიდნი და უკვე შეგნებულნი გარემოებანი და გამოკვლევანი წარმოშობვენ ხოლმე და მეორე იმ წინაღ ნაგრძნობ სიტკბოებისა გამო, რომელ-

საც ჯერედ უცნობი, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობის რემოებანი და გამოკვლევანი შთავცინერგვენ ხოლმე, რომელთა გაგებაც მხოლოდ წინად-გრძნობით შეიძლება და რომელთა მოხაზულობასაც გონება ოდნავ არჩევს საიდუმლოებით მოცულს ბინდ-ბუნდში.

გარდა ამისა, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ზეშთავონება მუდამ ძველი, თან მუდამ ახალია, რადგანაც ადამიანისათვის ქვეყნიერობის სახე თითოეულს ეპოქაში სხვა-და-სხვა გვარად იცელება. ეს ეპოქა, ანუ ეს ციკლოსი დედამიწის გარშემო მოგზაურს ადამიანს ემსგავსება: იგი სულ ახალსა და ახალს ვარსკვლავებს ჰხედავს, რომელნიც კვლავ თვალიდან ეფარებიან, ასე რომ ზეცის სხვა-და-სხვაობის გაგება მხოლოდ მოგზაურობის დასრულების შემდეგ თუ შეუძლიან.

თანამედროვე მეცნიერული შეხედულება ქვეყნიერობის შესახებ იმდენადვე ესტეტიურია, რამდენადც ძველი. საქვეყნო განვითარების ფილოსოფიური იდეა ქვეყნიურ ცხოვრებას იდეასთან, რომელიც პოეზიის საფუძველს შეადგენს, მეტად დაახლოვებულია.

თვით ზეცა უძრავ სამყაროდ როდი-ლა აქვს ადამიანს წარმოდგენილი, იგი ჰმოძრაობს, სცოცხლობს. უსაზღვრო ზეცის სივრცეშიაც ისეთივე დრამები ხდება, როგორც დედა-მიწაზე. ვარსკვლავთა ბოლო-დაუსრულებელს ტყეში პატარა, ქორთა ხეებიც არის ჭ ბებერი, მსხვილი ხეებიც, ბებერი მუხის ჩაშავებული მორებიც. ვარსკვლავებსაც თავისი წლოვანება აქვს, — თეთრი და მტრედის ფერი ვარსკვლავები, — მაგალითად, სირიუსი, — ხლები არიან, სინათლით სავსე, მეტის-მეტად გახურებულები; წითელი ვარსკვლავები, — მაგ არქტურ და ანტარესი, — უკვე ბერდებიან, ჩაქრობას ლამობენ, ისრევე, როგორც თეთრად გახურებული რკინა ნელ-ნელა შეწითლდება ხოლმე. „სამარადისო“ საგანთა შორისაც კი ევოლიუცია ხდება. როდესაც მეცნიერება ამ ევოლიუციას გვიჩვენებს ყველგან, იგი ქვეყნის შესახებ ძველს წარმოდგენასა და აზრს მისის შედარებითი სილამაზითურთ ახალის, ქეშმარიტებასთან დაახლოვებულის, სილამაზითა სცვლის

და თან-და-თან უახლოვებს მას, რასაც ვარსკვლავთ-მორცხველნი „ნამდვილს ზეცას“ ეძახიან. მაგრამ პოეზიის სამარადისო სიმდიდრე ფილოსოფია! უფრო შეეფერება, რადგანაც მეცნიერებას ჯერ კიდევ არ შეუძლიან მუდამ ხელთ-ეპყრას იგი: სულ უდიდეს ახალ გამოკვლევათა და აღმოჩენათა შემდეგ ისევ სამარადისო და მსოფლიო საიდუმლოება იჩენს ხოლმე თავს, რომელიც ჩვენს იწროდ და მცირედ განათებულს მიდამოს ბნელი ღამესავით დაჰფარავს ხოლმე. და აი, სწორედ ეს უფიცობის შეგნება, რომელიც უმაღლეს ფილოსოფიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, მუდამ იმ გრძნობად დარჩება, რომელიც პოეზიას აღურთოვანების ძალასა ჰმოსავს.

დღეს საღამოთი, როდესაც ირგვლივ მყუდროება, სიჩუმე იყო, აკვნიდან ბავშვის ხმა შემომესმა. ბავშვი ხშირად რაღასაც ჰბოდავს, თითქოს სიტყვის ნაწილაკებსაც ამბობს; დღეს კი მთელი სიტყვა წარმოსთქვა: „რაღაო?“ საბრალოა ბავშვის საკითხი, რომელსაც პასუხი არასოდეს არ ეღირსება! ბავშვი კვლავ ბოდვას მოჰყვა, კვლავ ღამის დიადი სიჩუმე გამეფდა... ჩვენც ეგრედვე ფუჭად ვკითხულობთ ხოლმე: „რაღაო?“ ჩვენი საკითხიც უკანასკნელსა და დამაკმაყოფილებელს პასუხს ვერასოდეს ვერ ეღირსება. მაშ, თუ საიდუმლო არასოდეს არ აიხსნება და არ გამოირკვევა, მით უფრო ძნელია ის, რომ ნივთიერებათა შესახებ ახალი და ახალი აზრი არ შევადგინოთ ხოლმე; არ შეგვიძლიან, შეძლებისა დავგარად, პასუხი არ გამოვუძებნოთ ყველა იმ საგანს, რომელთა შესახებაც ბუნება სდუმს. ეს წარმოდგენა სხვა-და-სხვა მოვლენათა მიზეზისა და არსობის შესახებ, როდესაც იგი (წარმოდგენა) განყენებულია, იწოდების მეტაფიზიკად, ხოლო როდესაც მხატვრობრივის სახით წარმოგვიდგება,—პოეზიად. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენის საუკუნის დიდი პოეტები ამ განსაკუთრებულს გრძნობას,—ხელოვნების სარწმუნოებრივსა და სოციალურს გრძნობას იჩენენ; მართალია, ხან-და-ხან ეს გრძნობა გულუბრყვილო სიამაყესაც აგრძნობინებს ხოლმე ამათ, მიგრამ იგი მაინც ჭეშმარიტად მართალია.

პოეტებმა რომ მხოლოდ ოქრომჭედლებად და ძვირფასის თვლების ხელოსნებად, ან სხვა რამ ამ გვარად ჩასთვალონ თავიანთი თავი, რომლებიც პაწია რამ სათუთ საგნებს გამოსტეგ-გამოჰბერვენ ხოლმე ყალბის ოქროდან, რომლებშიაც ევრაფითარს აზრს ვერა ვბოვებთ,—მაშინ პოეზია მხოლოდ აჩრდილს დაემსგავსებოდა, გარეგნობად გარდიქმნებოდა, უსულო სხეულს დაემსგავსებოდა. გაჰქრებოდა იგი.

II

მხატვრობრივი ემოცია და მისი სოციალური ხასიათი.

I. ძველს დროს, როდესაც ხელოვნება ჯერ ისევ ვანვი-თარების პირველს საფეხურზედ იდგა, პოეზია, მხატვრობა და ქანდაკება მხოლოდ სულიერ, ცოცხალ საგნების დასურათ-ხატებასა სცდილობდნენ, უსულო საგნების აღბეჭდვასა და დასურათ-ხატებას კი, რომელიც ცოცხალ არსებათ ემსახურებოდა, ძალიან გვიან მოჰკიდეს ხელი. დღესაც კი ყოველს სალიტერატურო და მხატვრობრივს ნაწარმოებში ჩვენ მხოლოდ ადამიანი, ან ბუნების ისეთი მხარე აღგვიტაცებს და მიიპყრობს ხოლმე ჩვენს ყურადღებას, რომელიც ადამიანს გვაგონებს. ამ რიგად მხატვრობრივი ემოცია საზოგადო ემოციაა და აი, რისთვის? ხელოვანი რომ ჩვენს საკუთარს ცხოვრებას სხვისას უხლოვებს, რომელიც ჩვენსას ძალიან ჰგავს, იგი ამავე დროს თითქოს ამ სიცოცხლეს გვიდგამდეს სულსა და გულში, მასვე გვაგრძობინებს, რასაც სხვა ჰგრძობს. სხვა რაჲ, უფრო თვალსაჩინო, მაგალითით დავამტკიცოთ და განვმარტოთ: ვსთქვათ, ფიზიკოსს ჰსურს მავთულს ელექტრონის ძალა გადასცეს, ვა-ელექტრონოს. პირდაპირის შეხებით ხომ ვერ შესძლებს ამას. მაჲ, რა უნდა ქნას? ამ მავთულშიაც რომ ელექტრონის ძალა გამოიწვიოს და სასურველი მიმართულება მისცეს აი, რა საშუალებაა: უნდა ერთი მავთული მეორეს, რომელშიაც უკვე გვაქვს ძალა ელექტრონისა, მივუახლოვოთ და პირველი

მაშინვე გაელექტრონდება ინდუქციის ძალით. მავთული, რომელიც შეუხებელად უნდა გაელექტრონდეს, ე. ი. სასურველი მიმართულება მიეცეს მასში მოქმედ ელექტრონის ძალას, ეს საზოგადოებაა, ანუ თითოეული ჩვენგანი. პოეტი-სა, ან ხელოვანის დანიშნულება ის არის, რომ ჩვენს ცხოვრებას სხვისი დაუახლოვოს, იგი, რომელიც ჩვენ მოგვწონს, ჩვენში ამ სხვა ცხოვრებას ჩვენთან თავს. მაშასადამე, აქაც ინდუქციის ძალა მოქმედებს. არსებითად ყოველივე ხელოვნება იგივე ინდივიდუალურ ემოციის სხვა-და-სხვა გვარად შეჯგუფება, რომ იგი (ემოცია) დამოუკიდებლად გადაეცეს სხვებს, ესე იგი გასაზოგადოებლად. ავიღოთ, მაგალითად, რომ ან რი ჟეფრერის სურათს „ჯარის - კაცის ქვრივის“ ნაღვლიანმა შინაარსმა მეც დამანაღვლიანა; ეს იმასა ჰნიშნავს, რომ მშვენიერმა, ცოცხლად აღბეჭდილმა სურათმა ამ დედა-კაცის სული სხვას გააცნო, მისის ნაღვლით გაიტაცა და ამ რიგად, ფიზიკურ დაბრკოლებათა მიუხედავად, გენიოსობასა და ნაღველს შორის ზნეობრივი კავშირი და დამოკიდებულება დაამკვიდრა. მაშასადამე, აქ, ჩემ თვალ-წინ, სულის ერთობაა განხორციელებული, რომელიც თავისთან მიწვევს მონაწილეობის მისაღებად, და აგერ მეც მთელის ჩემის გულითა და გონებით ამ კავშირს ვუერთდები. იგი ყურადღება, რომელსაც ხელოვნური ნაწარმოები იზიდავს, ნაყოფია იმისი, რომ ჩვენსა, ხელოვანისა და დასურათებულის შორის კავშირი და ერთობაა. ეს სულ ახალი საზოგადოებაა, რომელშიაც სიყვარული, კმაყოფილება, ტანჯვა და მთლად ბედი ერთურთთან შეთანხმებულიან...

ამ რიგად ვხედავთ, რომ ხელოვნებაში გრძნობით მთელს ბუნებას, ყოველივეს, რაც კი მასში არსებობს, თვით ისიც კი, რასაც ბუნებაზედ მაღლა ვაყენებთ, დასასრულ, რაიცა ჩვენის ოცნების ნაყოფად მიგვაჩნია და არ არსებულად, ყოველივე მასს საზოგადოება შთაიკავს. მაშასადამე, მხატვრობრაფი ემოცია აჩსებოდად სოციალურია ეფაფადა; ამისი პირდაპირი ნაყოფია ინდივიდუალურის ცხოვრების გაფართოვება, ის, რომ ინდივი-

დუალური ცხოვრება უფრო ფართო, საზოგადო ცხოვრებას უნებურად უერთდება. ხელოვნების უმაღლესა აზრით ან აზრს, რომ სოციალდემოკრატიის მქონე ესტეტიკურა ემოცია შექმნას. ხელოვნება ინდივიდუალის მისი საკუთარს პირადობას დააცილებს ხოლმე და მაღლა ასწევს. პირადი კმაყოფილებანი, რომელითაც ვრცელი და საზოგადოებრივი არა აქვთ-რა, ხანგრძლივი არასოდეს არ არიან; პირ-იქით საზოგადო ხასიათის კმაყოფილება კი უკვდავი და სამარადისოა. ამისათვის ხელოვნება და ზნეობა ნიადაგს მხოლოდ ამგვარ სამარადისო საგანთა შორის უნდა სძებნიდეს. ასეთ საგანად ჩაითვლება, მაგალითად, თვითმოყვარეობის უარყოფა, რომელიც ცხოვრებასაც ფართო ასპარეზს გადუშლის ხოლმე.

II. ქეშმარიტი მხატვარი და ხელოვანი მარტო ისე კი არ უნდა უცქეროდეს საგნებს, როგორც ხელოვანი, და მხოლოდ ამ სპეციალურის მხატვრობის მიხედვით აფასებდეს მათს ღირსებას; არა! იგი უნდა უთუოდ ჰგრძნობდეს, რომ საზოგადოებრივ წევრი და მისი კეთილის მსურველია; უამისოდ ხელობა გრძნობას სრულიად დაუხშობს და მისი ნაწარმოებს სიცოცხლის ნიშან-წყალს გამოსწირავს, სიცოცხლეს, რომელიც მშვენიერობის უმთავრეს ქვა-კუთხედად ითვლება.

ერთ უდიდეს ნაკლად იმისათვის, ვინც მხოლოდ სპეციალურს მხატვრობრივს შეხედულებას ითვისებს, ის უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი კაცი სრულიად ჰკარგავს თვისებას სხვადასხვა მოვლენათა სხვაფრივ გაგებისას, და მხოლოდ იმას-ლა აქცევს ყურადღებას, თუ რამდენად ადვილად შეუძლიან ესა თუ ის მოვლენა ხელოვნურად გადაიღოს და ოცნების სამთავროს შეუერთოს. ამ რიგად მისთვის ხელოვნებას მეტი აზრი და მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე ნამდვილს ცხოვრებას, ერთს მეორეს აჩავგრინებს. ყოველსავე გრძნობას, რომელიც მისი სულს შეიპყრობს, იგი იმ პრაქტიკულს მოსაზრებას უთანხმებს, რომელსაც მისი ხელოვნებასთან კავშირი აქვს, სასარგებლოა, იგი თათონ გრძნობასათვის კი აღარა ჰგრძნობს, — ჰგრძნობს მხოლოდ მისთვის, რომ ხელოვნურად შეამუშაოს და გაძლავდეს

რასმე, ისარგებლოს. იგი იმ პროფესიონალურს (ხელოვნით) მსახიობს მიემზავსება, რომლის თითოეული მიმოხვრა და სიტყვაც თავის ინსტიქტიურს ხასიათს სრულიად ჰკარგავს და ჩვეულებრივს ქმნავს ემსგავსება; ასე, მაგალითად, ტალმას რომ შვილი მოუკვდა, თავისს საკუთარს გულწრფელს მწუხარებასა და ქვითინს ყურს უგდებდა, რომ შემდეგ ამითი ესარგებლნა, გამოეყენებინა. მაგრამ მხატვარსა და მსახიობს შუა ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელი თავისის ხელოვნების აზრის მიხედვითა, ხანგრძლივის მეცადინეობითა და საკუთარის არსების შესწავლით მხოლოდ მიმოხვრასა და ხმას, წარმოთქმას იცვლის, ხოლო პირველს კი შეუძლიან გრძნობაც შეიცვალოს, გული წაირყენას. ფლობერი, რომელსაც მხატვრობა და ხელოვნება ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და რომელიც ამითი დიდად ამაყოზდა, შესანიშნავის სინამდვილითა ჰხატავს ამგვარს მდგომარეობას: ფლობერის სიტყვით, ხელოვნებისათვის მხოლოდ იგია დაბადებული, ვისთვისაც ქვეყნის მოვლენანი, მათის გაცნობის პირველ დღიდანვე, ასაწერ და დასასურათებელ ილიუზიებად (მოჩვენებად) გარდაქმნილან, მასთან ესოდენ ძირეულად—რომ ყოველსავე არსებას, თვით მისს საკუთარს სიცოცხლესაც კი, გარეშე ამ ილიუზიისა სხვა აზრი არ მოეძებნებო. ჩემის აზრით კი, პირ-იქით ამგვარის აგებულობისა და თვისების კაცი ხელოვნებისათვის გამოუსადეგარია, რადგანაც საჭიროა უთუოდ ადამიანს ცხოვრება სწამდეს, სჯეროდეს რამე იმისი, რომ ცხოვრება ასწეროს; უპირველეს ყოვლისა ჯერ ის უნდა იგრძნოს, რასაც საზოგადოდ ჰგრძნობენ ცხოვრებაში და შემდეგ ის გამოარკვიოს, თუ რისთვის გამოდგება იგი, თავისი საკუთარი არსებობა თვისდა სასარგებლოდ მოიხმაროს. ამ გვარს პირობებში ადამიანი მთელს ყურადღებას მხოლოდ მოვლენათა გარეგნობას აქცევს, რადგანაც მხოლოდ იგინი იძლევიან ეფექტს, რომელიც ადვილი შესათვისებელი და გადასაცემია. ამ რიგად ბუნებასა და მუზეუმს შორის საზღვარს არ სდებენ და ბუნებასთან შედარებით თითქმის ისევ მუზეუმს ამჯობინებენ.

ნამდვილს ხელოვნებას ბუნება და ცხოვრება ილიუზიად (მოჩვენებად) არ მიაჩნია, არამედ—სინამდვილედ, რეალურადა სთვლის. იგი უფრო ღრმადა ჰგრძნობს არა იმას, რაიცა ადამიანის ხელოვნებისათვის ადვილი შესათვისებელი და შესაძლებელია, არამედ მას, რაც ხელოვნურად გადასაცემად ყველაზედ საძნელოა. ადამიანმა ჯერ ის უნდა გაიგოს, თუ ცხოვრება ხელოვნებაზედ რამდენად ფართო და ვრცელია და მერე ისე შეიტანოს ხელოვნებაში სიცოცხლე.

ინ-ანი

(შემდეგი იქნება)

ტბათანიდან ნოვათაგონი

(მგზავრის შენიშვნები)

I

ტბათანიდან ალაზნის თავამდინ.

ტბათანა, როგორც საზაფხულო სადგური წოვა-თუშებისა და მისი მღებარეობა.—გამგზავრება.—ახალი თანამგზავრის მომაცემა.—ცხენის დაჭედვა და მისი ცოდნის აუცილებელი საჭიროება მწყემსისათვის.—გზის დალოცვა.—სპეროზის წმინდა გიორგი და მისი სალოცავი.—თქმულება.—ტბა.—აღმართ-დაღმართებზედ სიარული მთებში, საზოგადოდ.—საქისტოს მთა.—კახეთის და მთების გარდასახედავი საქისტოს მთიდან.—ფარსმელების შეხვედრა.—ლ—რე და ფარსმელი.—საუბარი მგზავრებ შორის.—საქისტოს წყარო.—მლოცავების შეხვედრა წყაროზე.—ქარავანი.—გარდასახედავი „ლამან“-ხევის და ფშავ-ხევსურეთის მთებისა.—ლომისის მთა.—წოვათის გზის მიმართულება.—სახლვარი თუშეთის და ფშავეთის მთებისა.—ლ—რის ცხენიდან გაღმოვარდნა.—მიწის ხიდი.—ივრის ხევი.—საწოლის ხევი.—ზევეები.—ბატკნები.—მასარის მთის გადალახვა.—ნისლი.—სიცივე.—წიფლოვანის ხევი.—დეკა.—ზვა-ვის მოსხლეტა ხევში.—ბორბალის მთა, როგორც მთის კვანძი და სათავე მდინარეებისა.—აკიდული აღმართი.—დუცი.—საყორნის მთის გადალახვა.—მაიარა.—ზევის ნაჭური.—თქმულება მეფე ერეკლე II-ის შესახებ.—ალაზნის თავში გადასვლა.

სანამ შეუდგებოდეთ მგზავრობის აღწერას, ნება გვიბოძეთ გაგაცნოთ, თუ რა არის ტბათანა: ტბათანა (ტბასთან) არის მთის სახელი. ეს მთა სამხრეთ-დასავლეთ ბორბალის მთის შტოს ბოლო ნაწილს შეადგენს. ტბათანა, რომლის კალთები შემოსილია ისევე ქაღწულ დაბურულ ტყით, არ არის, შედარებით, მაღალი მთა. მისი სიმაღლე 6,000 ფუტს არ აღემატება. მთის ორივე მხრივ, აღ-

შოსავლეთ და დასავლეთ, ჰატარა სვეები ჩადიან და ერთიან ჯანს. პირველი ქოხადლის სვეი ერთეის მთაშივე და მხოლოდ მუარე—ბაწარის სვეი უსვეეს წინ ტბათანის მთას და ჰანკისში ერთეის იმავე ჯანსანს. ორივე ეს სვეები იღებენ წყლებს საქისტოს მთიდან, რომლის შესასებ ქვემოდ გვექნება ჯანარაგია. ტბათანში საფესულოებით წოვა-თუშები დგებან სანსოვრებლად. თიბათეის მუარე ნასვეარში იურებანს ალვანიდან, ადიან ტბათანში და მარამობისთვის დამლეკამდე რჩებანს. შემდეგ ისევე ალვანში ჩამოდან სანამთროდ. ტბათანში წოკები ნახდის ქოხებში სანსოვრებენ. ამ ბოლო დროს დამწვეს ქვის და ფიცრის სანსლების აშენება. ფიცრის სანსლი ვერა სძლებს ბეგრ ხანს, რადგანაც ტბათანის ნიადგი, ჰანკა ნესტიანია და ამის გამო ფიცარი მალე ჯდება. რაც შეესება ქვის სანსლებს, ისინი ვერ იჭერენ საკომოდ სიციკეს, რადგანაც ქვები არ არიან გამკრებულნი არც კირით, არც ქვიშით და ისე უკავშიროდ არიან დწყობილნი ერთიერთმანერთზე. ტბათანის ჰანკა და ნიადგი, როგორც ვთქვით, ნესტიანია და ეს სომ მკნებულად მოქმედობს მცხოვრების ჯანმრთელობასზე, მით უმეტეს, რომ ნოტიო დროს ნისლი იცის, რომელიც ხანდახან მთელი ერთი კვირის განმავლობაში განუშორებელი დგას უძრავად და ამისთან უინჯულიც მოდის. საზოგადოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ტბათანა არ არის ჯანმრთელი ალგია. ტბათანში მარტო დედაკაცობა ბავშვებთან ერთ, მონუტებულნი და სანტიკვრის გამო დაუძღურებულნი მამაკაცები რჩებანს. დანარჩენი მამაკაცები ცხვრებთან არიან აქა-იქა მთებში: ზოგნი თრიალეთის, ზოგნი ლეკის და ზოგნიც თუშეთის მთებში. დრო-გამოშვებით ნასულობენ სოლმე ოჯახს და საფესულის დამლეკს, როგორც სვეით ვთქვით, ისევე ალვანში ჩამოჭვავთ.

მეც თქვენი უმორჩილესი მონა, როგორც წოვა-თუში, საფესულს ტბათანში ვატარებ სოლმე. მკათათვეში წოვათაში ყოველ, წელი იმართება სამების დღესასწაული და მოვისურვე გამეზარება, რომ მენახა თუშეთის მთები, წოვათის ნასოფლარები, ცისე-კოშკების ნანგრევები და დღესასწაული. მინდა გავიზიარო, ჩემო მკითხველო, ის, რაც ვინაღუ და გავიგონე.

მკათათვის 20-ში დილა-ადრინად ზღვექა, რომ დროინად მოკ-
 მზადებულაიუკ სამგზავროდ. მეშინოდა არ დამეგვიანა, იმიტომ რომ
 ის, რომელთანაც მივდიოდი, ადრე უნდა გასულიყო. ზღვექა თუ არა,
 შირველი ყურადღება მივაქციე, თუ როგორ დანი იდგა იმ დღეს—არა
 მაგდენი ნისლიანი და დრო-გამოშვებით წვიმაც მოდიოდა. ამნაირ
 დღეს მთაში მგზავრობა, სწორე მოგახსენოთ, ვერ არის სსსა-
 მდენო. მთაში მგზავრობის დროს, რაც დღე მზიანი და უღრუბლოა,
 ისა სუბობია. რა გაეწეობოდა, ავი იყო ამინდი თუ კარგი, უნდა
 წავსულიყავი. ცხენი იქვე ასლო მება ბალახსე. სანამ შინ საგზალს
 მომიმზადებდნენ, შევუდექა ცხენის კაზმას. ამ დროს მოვიდა გი-
 დვეც ჩემი თანამგზავრი და სლამის შემდეგ მთხოვა ავჩქარებული-
 ყავ. ვთხოვე ჩამომხდარიყო ცხენიდან და ცოტა მოეცადა, სანამ
 მოკემზადებოდი. არ გასულა ნასკვარ საათი ამის შემდეგ, რომ ჩვენ
 გავექეთ. ჩვენს ცოტა შემოდან რამდენიმე კომლი სცხოვრობს გზა-
 სე. როდესაც მიუვსლავდით მათ სსსლებს, დავინახეთ, რომ ორი
 კაცი ცხენსა სჭედავდა.—გამარჯობათ!—გამარჯობათ დამერთმა!—
 საით?—წოკათისკენ.—ღამიცადეთ, მეც თქვენი ამხანაგი ვარ,—და-
 გვიძახა ერთმა,—ჩამოსდით, ცოტა მოინადეთ, ესლავე მოკრებო
 ცხენის ჭედვას და ერთად წავიდეთ. ჩვენც მოვრცადეთ.

საზოგადოდ, მეცხვარეებმა, თითქმის ყველამ იცის ცხენის
 დაჭედვა და ამ სელობის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს
 ყველა მეცხვარისათვის, იმისთვის რომ მას არა აქვს საშუალება
 ყოველთვის გაჭირებისამებრ მჭედელს დააჭედვიანოს ცხენები, მით
 უმეტეს, მეცხვარე იმისთანა სელობის კაცია, რომ არა სვდება ყო-
 ველთვის იმისთანა ალაგებს, სადაც იმყოფება მჭედელი, როგორც
 მაგალითად, მთაში. სამ-ოთხს თვეს ატარებს მეცხვარე მთაში და იქ
 ქვიანი გზების გამო შეუძლებელია დაუჭედავი ცხენის მუშაობა და
 ნამეტანი ცხენის მუშაობა ვი მთაშია. მეცხვარე ყველაფერს ცხენით
 შიდავს მთიდან, როგორც მაგალითად, მატელს, ყველს და სსსა
 ბინის ბარგს. ამას თავი დაკანებოთ, სადა აქვს მეცხვარეს იმოდენა
 შეძლება, რომ გაჭირებისამებრ მჭედელს დააჭედვიანოს ცხენები.
 სანდასან მას ათის და ამსე მეტი ცხენის დაჭედვა დასჭირდება
 სოლმე. თითო ფენის დაჭედვა ღირს აბასი და, მაშასადამე, ათი ცხენი

რომ დაატყდებინოს მტკედელს, უნდა მისცეს რვა მანეთი. ცხენები, საზოგადოდ, ძალე სცვეთენ მთაში ნალებს და ამისათვის წელიწადში რამდენჯერმე უნდათ ტყედა. და ან მანც-და-მანც რისთვის გასწიონ უბრალოდ ხარკი და მისცენ ზიანი ქონებას, როდესაც თვითონვე შეუძლიანთ დატყდონ და ამით აიცილონ მეტა ხარკი. ამისათვის მეცხვარეები თვითონა სტყდენ. თუ იმნაირი გიჟი ცხენი ჭყავთ, მტკედელს ატყდებინებენ. სატყედ მასლას მეცხვარეები უდაულობენ და ცხვრის ბინასთან ერთად ატარებენ. ბარჯის გადატანა რომ უნდოდეთ, წინა-დღითვე დაატყდავენ ხოლმე ცხენებს.

მოწმნენ ცხენის ტყედას. დაკაპირეთ სამეცხვაროდ, მაგრამ იმან, რომელიც აპირობდა ჩვენთან ერთად გამეცხვარებას, არ გაგვიშვა. — «როგორ იქნება, — სთქვა, — ჯერ უნდა დაჯლიოთ, უნდა შეგვესვენეთ ჩვენ მთის წმინდანებს, რომ ჩვენც მოგვანიჭონ მშვიდობიანი მეცხვარობა და შემდეგ შეგვიძლიან გაუფუკეთ გზასაო». ამ სიტყვებით უბრძანა დედაცარებს გამეცხვარებას ანაყო და მატარა ყველი და ზურვი. დედა-გარებმაც საჩქაროდ ასრულეს ბრძანება. დასსა ანაყო ტიქაში და პირველად თვითონ დაილტვა: დმერთმა მშვიდობიანი მეცხვარობა მოგცესთ, შეგწიოთ ჩვენი სპეროზის წმინდა გიორგი და სსკა მთის წმინდანები. დალია თუ არა, ჩვენ გადმოგვანწოდა.

ძალიან მიხნეული ჭყავთ წოგებს, საზოგადოდ, წმინდა გიორგი, როგორც სსკა მეზობელ მთიელებს. წმინდა გიორგი, ერთი კი არ არის, არამედ რამდენიმე, როგორც ქვემოდ დაინსაჟს მკითხველი. მთის დეკანოზი ქადაგობის დროს (ლოცვა) იმდენად დმერთს არ იხსენიებს და არ ეკუთრება, როგორც წმინდა გიორგებს. თვინის დროს, მაგალითად წოვა, უფრო ნამეტანი წმინდა გიორგის თვინულობს, მინამ დმერთს. «წმინდა გიორგი მანდლეშოვან», ამბობს წოვა. «სპეროზა» მთის სახელია და, რადგანაც წმინდა გიორგი მთლიამ მთაში სცხვარობს, ამისათვის გიორგის უწოდებენ: «წმინდა გიორგი სპეროზისა». სპეროზის მთა თრიად მაღალია და საშიშრად კლდინი, ამყად გადმოჭეუტრებს ალანის ხეობას. ამ მთაზე მწყემსები ცხვარს არ ამოკებენ, კრადებთან წმინდა გიორგის რისსკას. ამის შესახებ თქმულბა დადის: ერთ მწყემსს კომკებინა ამ მთაზე ცოტა ხნობით ცხვარი. შემოდგომას ჩამოკრეკა ალანში, დამე დაე-



უენებისა ერთ ალაგას მინდორში და, თუკებ გახდილი, ცეცხლის შირას დაქმინა. მიღში მოკვიდა ამ მწეემს თურმე ცეცხლი თუკებში. ისე დაქო თუკები, რომ არც კი გაუგია. ამ ნაიხად დასაჯა სპეროზის წმინდა გიორგიმ თავსედი მწეემსი!... ამ მთის ძირში, ხუობაში, სალოცავია, რომელიც წარმოადგენს ჰატარა ჭვის ზღუდეს. ზღუდეზე აწეკია სხვა-და-სხვა ნადირის რქები. როგორც ირმის, ჯიხვის და სხვა. სპეროზის სალოცავი ამ უკანასკნელ დროებში დაქიწებულა. წინად კი, როგორც ამობს ხალხი, ბეკრი მლოცავი მიდიოდა, სწირავდა საკლაკებს და მართავდა დესასწაულებს. ესლა მივიწებულა. ათასში ერთი თუ წავა რომელიმე მკითხავის სიტყვით. სალოცავის წინ ერთი დიდი ჭვა დეკს, რომელიც დაღრმაკებულა ზემოდახ. ხალხის თქმით, წმინდა გიორგის მერხის დაუდგამს თუკი ამ ჭვაზე.

როგორც იყო შეკსხედით ცხენებზე და გაუუდექით გზას. ესლა ვიუჯით სამნი და, რასაკვირველია, მოგზაურობაში რაც მეტია რიცხვი მგზავრისა, მით უფრო სასამოკნა.

გავიარეთ ტბათანა. ამ მთის თავში არის ჰატარა ტბა, რომელიც დასაკლეთიდან რიი ჰატარა წყარო ჩადის. ამ ტბიდან ქოდა ამ მთას სახელი «ტბათანა», ესე იგი ტბასთან. წყაროების წყალი ძლიან ცივია და გემრიელი. ნო აქვს სითბოსი. მშენიერი წყაროებისა და გარეშემა კარგი სამოკარისა გამო ეს ალაგი ღამის სადგურისა სხვა-და-სხვა მგზავრთათვის. გუერდით გაუარეთ ამ ტბას. გზა საქისტოს მთაზე ადის. საქისტოს მთა ტბათანაზე ბეკრად უფრო მალაია, რადდეს სიტყვით, 8,000 ფ. გზა მთის აღმოსავლეთ კალთაზე ადის და, რადგანაც კალთა ძრიელ დაკიდულა, შეადგინს აღმართს. ეს აღმართი, თუმიც მოკლეა, საკმაოდ ღლის ცხენებს. საზოგადოდ, მთებში მგზავრობის დროს, ძალიან იღლებ ცხენი ხომ და კაციც. ესთქვი კაციც იმისთვის, რომ, თითქმის, ნახეკარი გზა ჭვეითი უხდება მას სიარული. მაგალითად, დაღმართებში კაცს ვერ ესერება ცხენზე ჯდომა და არც სიამოკნებას წარმოადგენს. რომ ესამოკნებოდეს კიდევ, საშიშოა, რადგანაც ცხენი რომ ან წაბორძიკდეს, ან წაქტეს, მამინ მშვიდობით, სამარეს მინახავთ თვალმიუწვდენელ ხევის სიღრმეში; ამნაირი დაღმართები ბეკრი ხელებიან



გაცნოს ის საშინელი წამების დრო, შაჰ-აბასისა, როდესაც უკანასკნელმა წაბილწა ეს კასეთის გული, სიწმინდე და მისი სიამაყე. ამ დროს თან გაცნოს აგონდება ის დიდებული მამულისშვილი დავით ასლანაშვილიც (ჟანდიერი), რომელმაც ამ სობოროს კედლებ ქვეშ აღმართა თავისუფლების დროშა და შესძახა ქართველებს: «მუსკრას სპარსელებო!»

ამ იფიქრებში გართული ვიფიქრე ცხენსე და გადაკუჭრებდი კასეთს; არ ვიცი ბევრ ხანს გასტანდა ამ ნაირი ჩემი მდგომარეობა თუ არა, რომ თანამოგზაურის ხმა მომესმა—გაცნო, რას უმხერ მატდენ ხანს, დროს წავიდეთ. ამ ხმასე შევერთი, თითქმის უცბად გადავიძებული. — აჰა, წავიდეთ, — ვუხვასუსე და მივედი ამხანაგებთან, რომელნიც ცოტა მოშორებით შელედებოდნენ. მივდივართ. ორი ჩემი თანამოგზაურნი წინ მიდიოდნენ მხინარულად, სიცილ-ხარხარით და მე ჩამოვრჩი უკან, რომ მეუჭრებინა მშენიერ გარშემოტყეულ ბუნებისათვის. როგორც ვეჭნი შირი ჩრდილოეთისკენ, სულ სსვკ ბუნება, სსვკ სურათი გადამეშალა წინ: ბუმბერაზი კაკვასიონის მთებზე, რომ ღებსაც ზოგს ნისლი ესევედა და ზოგნი თავიანთ თვლებთან წვერებით ბრწყინავდნენ მკათაოვას მზის სხაებუსე, წარმომიდგინენ თვალწინ.

საქისტოს მთის წვერი, შედარებით, ვაკვა. არ არის ოღროხლოდროიანი, როგორც სსვკ ბური კაკვასიონის მთები. ვზა მარჯვენად მიდის, თუმცა აუარებელი წვეტიანი სიმა ქვები აბრვოლებენ ჩქარ სიარულს. საქისტოს მთა ყორულად აქვთ წოკებს შენახული. მარიამობისთვის ნასკერამდინ ცხვარს არ უშეებენ სამოვრად. ამ დრომდინ მარტო ცხენები სმოვენ. უკანასკნელნი თავისუფლად არიან გამეებულნი. მსოფლად შატრონი დრო-გამოშეებით ინახულებს სოფლმე თავის ცხენებს. მარიამობისთვის ნასკერადან ვი ცხვარიც შემოდის. საქისტოს მთასე იზდება მცენარე, რომელიც შირველ დანახვასე სიმიდის მოგონებს გაცნოს. ეს მცენარე ძალიან ბევრია ამ მთაში, ისე რომ, გგონიათ, სიმიდის უნას ვხედავო. კასხან «შხამიას». ამ მცენარის ძირს შხამი აქვს. ხალხი სხმობს ძირს, ნაყავს და რაშიმე გარეულს აძლევს ან ძაღლს ან სსვკ ცხოველს, რომელიც სურს მოჭკლას. შესჭამს შირტყვი თუ არა, მაშინვე უხნდება

გულის რეკა, რომელსაც მოჭეუება პირის-ღებანება და საშინელ წვა-
ლებით გვადება. პირში ქათვი მოსდის. ფეთთალები და ღეროშიაც
აქვს შესაძი. მსოფლი, სანამ ნორჩია და, როდესაც სიბერისაგან
გაყვითლდება, მაშინ შესამს ძალა ეკარგება. საქონელი პირველ სანა-
ში კრდება და შემდეგ კი ძალიან ეტანება.

გარკა გზა რომ გავიარეთ, წინ დაგინასე რამდენიმე შეკავშირ-
ული ცხენი, რომელნიც გზის მიდამოს სმოკუნენ. ჩემი ამხანაგები გი-
დგენ მივიდნენ და ჩამოხტნენ ცხენებიდან. მივედი მეც. ერთ დაბლობ-
ში ჩამოესადნა სამ ვარსმელს, ცხენები სამოკრად გაეშვათ და თი-
თონ ბარგთან ჰურს შეეჭეკოდნენ. მივედი თუ არა, მომეკებნენ და,
ჩვეულებისამებრ, მთხროკეს ჩამომსდარკიყვავ ცხენიდან. ამ ფარსმე-
ლებს თელავში გაყვინათ ყველი და აქიდან მარბილის ქეები და ფქვი-
ლი მიჭქონდათ სასამთროდ თუშეთში.

საკვირვლად თავაზიანმა და სტუმრის-მოყვარე ფარსმელებმა ამო-
ღეს ხურჯინიდან შატრა არაყით სავსე ტიკტორა, რომელსაც პირ-
ზე შატრა რქის ფანწი ება. მთიელი გარც, საზოგადოდ, თავაზიანი
და სტუმრის-მოყვარე გარცია. უსასმელოდ თუში ძვირად გაიჯლის.
და თუ ვინმე ცოტად მანც ნანობი შესვდა, უნდა დააყენოს და
დაალეგინოს. და თუ უარი გამოაცხადე, ძალას იხმარს. დაიტკერს
შენს ცხენს აღვირში და, სანამ არ დალევ, არ გაგიშვებს. აბა ჩსუბს
ხომ არ უნამ, ნება-უნებლიე უნდა დალიო. უფრო არაყს მისდევენ,
ვინემ ღვინოს. არაყს თვითონ ხდიან ჰურისას. და როდესაც ბაზ-
რიდან მოდიან, მაშინაც უფრო არაყი მოაქვთ თან. მერე მთაში ღვი-
ნო არ გამოდგება, რადგანაც ტიკში ხვდარკისაგან ძალე ფუჭდება
და არც მკდენი იხმარება სიცივეში. ჩამომეკიდნენ, უნდა დალიო
ჩვენთან ერთადო. მე უარი გამოკუცხადე.

— რა ვაყვარც ხარ, გარცო, — თითქო წყრომით მითხრა ერთმა
მასპინძელთაგანმა, — თუ რა არაყისა გეშინიან!

— მე საზოგადოდ არაყს არა ვსომ, — გუშასხუე.

— იქნება არა სომდე, მაგრამ ჩვენი ხათრისთვის უნდა და-
ლიო, — ჩამომეკიდნენ. გამომისსეს ჩემმა ამხანაგებმა.

— დანებეთ თავი, ეგ თუში ხომ აღარ არის, ქალაქელიო.

თვითონ დალიეს რამდენიმე ყანწი ბაზრული და შემდეგ ცხენები მოაქურჩეს. აკვიდეთ ცხენებს. ერთი ფარსმელი ერთ ხალ გახდნილ ბაჩა ცხენზე მჯდარიყო. შემოგვივილა პატრონმა, რომ ძალიან გიჟი და ფხუვიანი რამ არისო, მეშინიან ამ მთაში სადმე კვდებოდა არ გადამაგდოსო.

— ეჰ, მავისი ასე და ისე, მომეცი მე შეკვდები და ვნახოთ როგორ ჩამომავდებს! — წამოიძახა არყით აღფრთოვანებული ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა.

უკანასკნელს, როგორც ცნობილს ცხენების გამხედნაკად თუ შებში, არ ეტანებოდა, რომ ვაჟგაცს ეშინოდა ცხენისა. ამ სიტუქვებთან მივარდა ფარსმელს, სტატა აღვირში ხელი და უთხრა რომ ცხენები გამოეცვალათ. ფარსმელი არ ანებებდა.

— შენ მავისი გიჟი ხსათია არ იცი, ლ—რე, გაგათუქებს და მაშინ მე ვიჭნება შენი უბედურების მიზეზიო.

ბეკრი ევაფხურენ ერთმანერთს. — მომეცი, — იძახოდა ერთი. — არა ჩამოგავდებს, — იძახოდა მეორე. — შენ რა გინდა, მე ჩამომავდოს, დაიძახა ლ—რემ, გამოვლიჯა აღვირი ხელიდან, შეკვდა მარდად და გასწია გზას. რა გაეწეობოდა. ფარსმელიც შეკვდა ლ—რეს ცხენზე და ერთად გაუდევით გზას. ლ—რე კარგა დაგვიწინაურდა.

მივდიოდით ყაყანით. ზოგი მთისას კამობდით და ზოგი ბარისას. ბოლოს ჩამოვადეს დაპარაკი წამთარში ჩინრახისაგან ცხვრის დაზიანებაზე. დაპარაკიდან სჩანდა, რომ ბეკრი ცხვრის პატრონი დარწმობილიყო ხელ-ცარიელი. ბეკრი შარშანდელი ცხვარის ბინის პატრონი წრეულს სსკას სდგომია მწყემსად. სძრახავდნენ ბეკრი ცხვრის პატრონებს. თითქმის იმათ სდიდნენ ცხვრის დღეუბის მიზეზად.

— ეჰ, კაცო, რა ქნას ცოტა ცხვრის პატრონმა, — სთქვა ერთმა, — შეძლება იმას არა აქვს საზამთრო ყორული იუიღოს; რაც სახელბწიფოა, ის დიდ ცხვრის პატრონებს უჭირავთ, და ღვთის ანაბარა დარწმობილი ცხვარი დაისოცება, მა რა მოუვა. ხარჯს კი ეგულანა კაძლეკთ და დიდ-დიდი და კარგ-კარგი ყორულები კი შეძლებულეს აქვთ. მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ამ უსამართლობას.

ძალა მეუობს და ძალი იმათკენ არის. მისკალ, მოგისკეს ჩამ-
ბასებთან ათ-ხუთმეტ მწვემს, შენც ცემით მოგაკლავენ, შენც მწვემ-
სუბსაც და ცხვარსაც კარგად წაგართმევენ. აბა რა უნდა ქნა, შენც
ემორჩილები ბედს. მდიდრები უფრო მდიდრდებიან და ღარიბნი ღა-
რიბდებიან.

— ნ—ლი როგორ დადებულა, — სთქვა მეორემ, — თითქმის
ათასამდე ცხვარი ჭყავდა კაცს და ესლა, თურმე, სამასოდე ძლივს
მოგროვდება. როგორი თავ-გადადებული მუყაითი მეცხვარეა მერე-
ცოდო არ არის, იმას ცხვარი დაესტოს?!
— ის სამასი რომ შერჩა, — გააწვევტინა მესამემ, — სულ მამა-
ლი თხზდა, მოსატევი ცხვარი წამლად არ შერჩენია.

— გაზაფხულზე, დაიწყო მეოთხემ, — როდესაც ცხვარი მთისკენ
აპირობდა წასვლას, თვითონ მოხუცებულ ნ—ლს თურმე ერთ დღეს
აქლო ჯოხნი, ეთქვა შვილებისთვის, რომ მათ დანარჩენი სამასი ცხვა-
რისთვის უური ეგდოთ, და თვითონ უნდა დამდგარიყო ვისთანმე მწვემ-
სად. შვილებს ტირილი მოსკლდათ და ეთქვათ: «მაშა, რა დროს
შენი მწვემსობაა, ჩვენ რისთვის გაგკზნა დე, სირცხვილია ჩვენთვის,
შენ მოისკენე, წადი შინ და ჩვენ დაგვკებით მწვემსებადო!» — სა-
წყალი, საწყალი, — წამოიძახეს სუეკვლამ. და მართლაც არ შეიძლება
რომ არ შესცოდებოდა კაცს ეს ბუნების მიერ დასჯილი მოხუცებუ-
ლი მწვემსი!...

ამ ღაზარკით მივდიოდით. გზა ჯერ მთის წვერის აღმოსავ-
ლეთ მხარეზე მიდის, გადადის ზედ ქედზე დასავლეთის მხარეს და
მიდის ამ მხრივ, სანამ ერთ დღეს არ გადავა. ეს დღე მიღარია,
ამ დღემდის აქეთ შენახული მთა ყოფილად. დღეს აღმოსავლეთის
მხრივ გამოდის წყარო, რომელსაც «საქისტოს წყაროს» უწოდებ-
ენ. წყარო ნამეტანა ცივია. ყელვით თუ არა, ისე ვერ ძალუმს
კაცს დალიოს, ნამეტანად დაწვეკელს. თუშებს ისე მიხნეული აქეთ
ეს წყარო, რომ როდესაც შეხვდებიან, რომ არა სწყუროდეთ, მაინც
როგორღაც კაღდებულად სთვლიან თავიანთ თავს დალიონ. ბარში,
როდესაც მოსწყურდება წოვას და ბარის წყალი სითბოსაგან არ ვარ-
გა დასაეკვად, მაშინვე საქისტოს წყარო მოაგონდება ხოლმე და
ინატრებს: «ას, საქისტოს წყარო, სადა ხარო!...»



წოკების სატყეოთ, საქისტოს წყარო ბარში ნამყოფი კანს სიტყვებ უხენს, ესე იგი ბუკრ ხანს ზაფხულში ბარში ნამყოფი ეს წყარო რომ დალიოს, მაშინვე გაწიებეს, რომელსაც, რასაკვირველია, მოჭყეებს ხელზე სიტყვა. ამის შესახებ ერთმა სოფ. ახმეტის მცხოვრებმა მამბოლ შუქდგვი: როდესაც დიდობის აჯანყება*) მოხდა, მილიცია გაკედით, თუშეთის გზაზე წაქედით და როდესაც საქისტოს წყაროზე მიუკედით, კენით წყალს. ბარელებს სად გვენსა იმნარი ცივი წყალი. ჩვენც ასევე, თითქმის ჯობრზე, მაგრამ მალე ჩავიშინა. თითქმის მესამედი იქვე გაგვაცია. ამთვანი ზოგი უკან დაბრუნდა და ზოგი, შეუძლებლობის გამო, იქვე დარჩა, ისე რომ, — დაბოლოვდა მოსახურებ, — ხსოვნაში დამჩნა საქისტოს წყარო.

მე თვითონაც ვისილე ჩემი თვალთ, როგორც ერთი ახალგაზრდა წოკა გახდა მსხვერპლად ამ წყაროს წყლისა. ეს ახალგაზრდა იყო ჩემი მეზობელი. ჯარის-კაცობიდან დაბრუნებული ჰირველ მთაში ასკლის ხანებში იგი ავიდა საქისტოს მთაზე ცხენების დასათვალად. საქისტოში ხარბად დაეცა ზემო აღნიშნული წყაროს წყალი და იქვე გაგვციანა. ჩამოვიდა თერ-მისდილი, დასუსტებული ტბათანაში და სამი დღის შემდეგ წვალებით გარდაიცვალა.

საქისტოს წყაროზე შეგვხედნენ მგზავრნი, რომელნიც ზოგნი მამაკაცები იყვნენ და ზოგნიც დედაგაგები. ისინიც წოკათში მიდიოდნენ სალოცავად და ამისათვის ჩვენთანა ჰქონდათ ერთი გზა. წყაროდან სუველამ ერთად გაწიეთ. ესლ ბლომად ვიყავით. მთელი ქარვანი შეკადგინეთ, რომელიც ინტერეს-მოკლებული არ იყო. საზოგადოდ, მთებში ორ-სამ ცხენოსანს ერთად სიარული, ვიწრო გზებისა და ცუდი ადგილის გამო, არ შეუძლიან; მწვრივად, თითო-თითო მიყოლებით უხდა ახრან. ჩვენც ისე მივიდოდით და ამისათვის გარკვე გრძელი ქარვანი შეკადგინეთ. აი, წინ მიდის მამაკაცი გოხტად, გარკ ბედაურზე მჯდომი, მხრებზე აქლემის ყელის ყაბაღანი მოუხვევია, წელზე შემოურტყავს ძველებური შეკერცხლილ-მოკაუჭებულ ტარანის ხმალი. ხმლის ტარი ხანდახან სვდება ხანჯლის ტარს და წვარუნი გააქვს. ზოგს ამასთან მარცხენა მხრივ უნაგირის ტანტზე უვიდია ძელის ან ტურის ტყავის ბუდეში ჩა-

*) 1877 წ.

დებულა თოფი. თოფს კონდასი უჩანს. ეს იმისთვის, რომ ვინც
ნიცობას, სახჭაროდ მოუნდეს, შეკდოს სწრაფად ამოღება ბუდიდან.
ვაჟკაცია, მიდის ამაყად, კისერ-მოღერებული. მამა-კაცს მისდევს მორ-
ცხვად დედა-კაცი, თეთრ ტყავ-ჩიცმული. ტყავს ჭებრავს შავი ქიშ-
მირის, ან ატლასის მანდილი, რომელიც ნიაგზე ფრიალდება. ვერ-
ცხლის სამკაული ათეთრებს ქაღის გულის მკერდს, რომელიც ღაბღა-
ბებს მისი სხივებზე. სურჯინის ერთს უერთა დედა-კაცს უჩის თავის
ხატარა, 4—5 წლის ბავშვი*), მათ მისდევს ცხენი, რომელზედაც ზის
ხატარა, 6—7 წლის ბავშვი, რომელიც, რამდენიც ცხენი მოიმატებს
ტუნტულს, იმდენად აკანტურებს თავს წინ და უკან. რომ არ ჩამოკარდეს
ბავშვი, უნაგირის წინ და უკან საბან-მუთაქები შეუკრავთ. მარცხნივ და
მარჯვნივ არ ჩამოკარდება, რადგანაც დადრონი ვატენილი სურჯინები
უკიდია ცხენს. ბავშვი ზის აჩხენინად, როგორც ტასტზე. წინ და
უკან საბან-მუთაქებით შეუკრავთ უფრო იმისთვის, რომ აღმართ-
დაღმართებში უიმისოდ ადვილი შესაძლებელია ჩამოკარდეს. შემდეგ
ფრუტუნათ და ქშენით მისდევენ ამათ სახალისიანი ცხენები. შედგა
ერთი მათგანი. გაუწვდენია კისერი და შიშხილისკან ვაცოფიანებუ-
ლი გლეჯავს ფერდოდან მწკანე ნოყიერ ბაღასს. ამის გამო სხეები,
მის მიმდევნი ცხენები უგზობის გამო შესდგნენ და აწკობდნენ
ერთი-ერთმანეთს.—ჯარო!—დაიგრილა უკანდან ვიღამაც და ცხენისაკენ
შუილით მიდის ქვა (ცხენზედ ჯდომის დროს მთაში ადვილად შეიძ-
ლება ქვის აღება ფერდობიდან). მოსკდა ცხენს. ცხენიც ატლანკდა
ცოტა (ცოტა იმისთვის, რომ სახალისის სამომე უძლიდა) და მუნ-
ძულით განაგრძო გზა. მიჰყენენ სხეებიც.

საქისტოს წყაროდან გაკარეთ მოკლე გზა და გაკედით უღელ-
ტეხილზე. ამ უღელტეხილიდან მარჯვნივ და მარცხნივ არ ხეკს ჩაკ-
ურებთ. ერთს ილტოს ხეკს და მეორეს «ლამსურსკეა»-ს. «ლამ-
სურ» წოგურ ენაზე ნიშნავს ღამასს («ლამსურ» ღამისნივთები
ქართული სიტყვაა—«ღამისი») და ხეკ—ხეკს. წმიდა ქართულ ენა-
ზედ გამოდის «ღამისი ხეკი». ღამისი ხეკი მშენიერი, ფერდობ-
გაშლილი და სანად, შედარებით, განიერი ხეკია. მისი წყალი მთა-
შივე ერთვის ღამასს. ამ ხეკში რამდენიმე ცხვრის ბინაა. ილტოს

*) თუშები მგზავრობაში ბავშვებს ხურჯინებში სხამენ.



სკეი ჩადის ზირდაზირ კანეთში და ერეთის იმავე ალაზანს. ჩრდი-
ლოეთ-დასავლეთისკენ კარგად მოსჩანან ამ უღელტეხილიდან ფშა-
სკეს-ერეთის მთები, რომლის იქიდან მოსჩანს დიდებული მუნიკარის
მთა, რომელიც ამაყად გადაჭყურებს გარს შემორტყმულ სსკა მთებს.
მაგრამ კარკვევით არა სჩანდა, რადგანაც იმ დღეს ვეკლას იმნიარ
მადლად მთებს ნისლი ესკვეოდა. მუნიკარს თუშები და კკონუბ, ვკე-
ლას სსკა მთიელები, როგორც ფშა-სკეს-ერები, მთიელ-გუდამყრე-
ლები და მოსკეები «ლომისს» უწოდებენ. წოკები ლომისს უმატე-
ბენ «წოროლა»-ს — «ლომწოროლა»; ნიშნავს ლომ-დასატული. მართლაც
ადმოსავლეთის მუნიკარის ერთ კალთაზედ მოსჩანს შაკი კლდე და
ზირველ შესედაკსე ჭკონია მყურებულს, რომ რაღაც ნადირი წკე-
სო. ეს კლდე კარკვევით მოსჩანს თუშეთის მთებიდან კარგად მო-
წმენდილ დღეში.

უღელტეხილიდან გზა რად იყოფება: ერთი გზა მიდის თუ-
შეთში და მეორე უსკეეს მარცხნივ და ჩაკეება იკრის სეობაში. აქ
ისევე რად იყოფება: ერთი მიდის თიანეთზე და მეორე იკრის სეო-
ბიდან გადადის არაკეის სეობაში და იქიდან სკეს-ერეთში.

თუშეთის გზა უღელტეხილიდან მიდის ზირდაზირ ქედზე, რა-
მელიც შესდგება რკინის და მასარის მთებიდან. ეს ქედი შეადგენს
ერთ უმთარეს ბორბალოს მთის დასავლეთ შტოს, რომელიც, ბო-
ლოს წოდებული ცივ-გომბორის ქედად, ჭყოფს რ მდინარის სეო-
ბებს: იკრის და ალაზნისას. მის გარდა ზემო მოსსენებული ქე-
დი შეადგენს ბველ დროდიანკე საზღვარს თუშეთისა და ფშავის
მთებ შორის.

ჩვენ, რასაკვირველია, თუშეთის გზაზედ უნდა წავსულიყავით,
მაგრამ ვერ შეკმელით, რადგანაც გზა ისევე თოკლს ეჭირა. რკინის
და მასარის მთები მადლებია. 10,000 ფუტს აღემატებიან და რად-
განაც წრეულ მთაში მადიან დიდი თოკლი იყო, ამისათვის ამ დროს,
თუშებს მკათათვე იღეოდა, ზემო მოსსენებული მთები ალაგ-ალაგ
დიდ მანძილზე მანც თოკლს ეჭირა. ამისათვის, ჩვენ, რა გა-
ეწეობოდა, მეორე გზაზე წაკედით. ჩაკედოდი იკრის სეობაში თუ
არა, იქიდან ჩვენ შეკვილო მასარის მთა გადაკველასა და თუშე-
თის გზაზედ გადაესულიყავით. აი როგორ: იკრის სეობიდან სკე-

სეკ წაიფოდით, სანამ მასარის მთის წვერს არ მივაღებოდით. გადავლახავდით წვერს და ისეკ სეკ-სეკ ჩავეშებოდით წითელკვანის სეკში*) და გადავიდოდით თუშეთის გზაზე. ეს გზა თუშეთს არსებობს, მაგრამ მარტო ცხვარი დადის განაფხულზე. ამ გზით მწუქმსების საბედნიეროდ ბუნებას ისე მოუხდენია, რომ ორივე სეკის სათავეები მოუხიროდანიკება. აქ მკითხველი, იქნება, განცვიფრებაში მოკიდეს და სთქვას: მერე რას უშველის, რომ ბუნებას მოუხიროდანიკება ორი სეკის სათავეები, როგორ უნდა გადავიდეს ცხვარი ამ სეკ-სეკ იმისთანა მალა მთაზე, როგორც არის მასარის მთა, მით უმეტეს განაფხულზე, როდესაც თითქმის ყველა მთები ამ დროს თოვლს უჭირავს, ხომ დაიღუბა ცხვარი თოვლში?.. წარმოადგინე, მკითხველო, მალან შევლიან ეს სეკები თურმე. აი როგორ: როდესაც განაფხულზე სითბოსაგან თოვლი დნება, ამის გამო წყდება და ჩამოდის სეკებში. ამნაირად სეკები იკსებიან თოვლით (ზვავებით). ეს თოვლი, რადგანაც სეკშია და მას მზე ისე არ ათბობს სინდრილის გამო, როგორც კალთებზე, იყინება, რის გამოც მარდება. სეკში ამნაირად ძვეს თოვლი, რომლის სისქე რამდენსამე საყენს აღმატება. აი, ამ სეკ-სეკ გაყინულ თოვლზე თანისუფლად მიდის ცხვარი, რაც უნდა საშიში იყოს, არ იფლებს თოვლში. ავა წვერზე და იქაც თოვლი გაყინულია, გადავა მოხიროდანიკე სეკში და ჩადის. კალთებზე კი ცხვრის გატარება ამ დროს შეუძლებელია, რადგანაც თოვლი კალთებზე სითბოსაგან დნება, ბოშდება და ამისთვის ვერ აიტანს ცხვრის და მით უმეტეს კანის სიმძიმეს, ჩაიფლებს და თუ მოწყდა, მანინ სომ ყველაფერი დაკარგულია. მოხიროდანიკობა ამნაირ სეკებისა იმითი შევლის, რომ მოკლედ გადადის ერთი სეკიდან მეორეში. უამისოდ, თუ მანძილი დიდი ქქინაიყო, რომ რომელიმე კალთა უნდა გაეკლო ცხვარს, მანინ შემო მოყვანილ დამხროკლებულ მიწეის გამო შეუძლებელი გახდებოდა გარეკვა.

მაშ, აი, მკითხველო, ჩვენც ამ გზაზე მოგვიხდა წასვლა. მე ამ გზაზე ხიროვლად მივდიოდი და ამისათვის, თუშეთს შორის უხევედა, ინტერესს-მოკლებული არ იყო ჩემთვის.

* მთის ხეობა, რომელზედაც მიმდინარეობს ალაზანი.



უკუღრუნილიდან გადაედიოთ ამ გზასკად თუ არა, არ გეძინებო
 ბოდა გაკლილი ასი ნაბიჯიც, რომ შეიქნას ერთი ჩქოლ-ჩქოლი
 ჩვენ შორის. იწიფლეს ქალებმა:—არიქა, უშველეთ!—გავისხედ წინ
 და რა სურათი დაენახე: ჩვენი მხედარი ლ—რე, რომელმაც ფარსმულს
 გამოართვა გიჟი ცხენი და კეკხულბოდა, როგორ შეუძლიან ცხენს
 ჩამომატდოსო, ძირს ეგდო. ფარსმული აფროთსილებდა ლ—რეს,
 რომ მას მათრასი არ დაეკრა ცხენისთვის, მაგრამ ლ—რე არ შეე-
 ჰუა და რამდენჯერმე მაგრად დაჭკრა მათრასი, ცხენი ისე გაფიცდა,
 რომ სიფიცისასგან სწორედ გზას არ იკვლევდა, ხტებოდა და ზე-
 დან ხანდახან ტლინკებს ისროდა. ერთ ამ ტლინკების დროს ლ—რეს
 ბლარტანი გაჭხდა ძირს. ცხენმაც ორიოდ წიხლი დასწილა; ერთი
 მოხვდა თავში, რის გამოც სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. სწრა-
 ფად ჩამოვხდით ცხენებიდან ჭ მიუშველენით. ზოგნი გაჭრეულ ლ—რეს
 ცხენს გამოკუდრებით დასაჭერად და ზოგნიც დამტვრეულს მიუშვე-
 ლენით. სისხლის შესაწვევტლად საჩქაროზე მოატანეს ცხენის ჩონ-
 ჩორი (КАМЬ), რომელიც იშოკებოდა აქა-იქა ფერდობზე და ბლამად
 დაფარეს იარაღე. სისხლი შესწედა. მანტა და მანტა იარა არ იყო
 საშიში; მარტო ტყავი ჭქონდა გამსქდარი. ესლა გი ივადრა მხედარმა
 თავის ცხენზე შევდომა.

სანამ ივრის სეობაში ჩავეშებოდით, გზასე ერთ ღრეზე გა-
 ვიარეთ. ღრე ძალიან ღრმა და გარეშემო მოზღუდულია კლდით.
 შირველ შესედვასე გეგონებათ, რომ გარის ხელით აგებულია ქვის
 კედლებით. გზის ჩასავალი და გასავალი, შედარებით დაბლებია. ამ
 ლელეს მიწის სიდა-ს უწოდებენ. როდესაც საქისტოში გაუჭირ-
 დებათ ხოლმე ცხენების დაჭერა, მორეკავენ, ამწეგდევენ ამ ღრე-
 ში და იჭერენ, როგორც ბაში დამწეგდეულებს. მიწის სიდა მი-
 ლარად ითვლება. მის დასავლეთ სავაგლოა და აქეთ სართოშო.

გაკვდით მიწის სიდას. წინ გაგვეძალა ივრის სეობა თავის
 გაშლილ ამწეგნებულ კალთებით, რომელსეც სტან აქაფებულნი
 ჩხატენი. სეობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მგზავრზე.
 ორივე მხრე სავდგრავენ მას ვაკე მთები, რომლის წვერები არ
 არიან ჩონჩხიანი და კლდანიები. ძირს სეეში ქუხილით მიეჭანება იორი,
 რომელიც ორივე მხრე შემეულია მშენიერი ტეით. სემოდ, სადაც

სკვი ვიწროვდება, მთის კალთებზე ფშავლების ცხვირის ბინებია, რომლის ტარებში მთებზე სძოვს ცხვირი. ქვემოდა და ქვემოდა, სადაც სკვი განივდება, ვაკე ალაგებში ფშავლის სოფლებია.

კმა, რომელზედაც ჩვენ ჩაკეცილი იქნის სეობაში, მთის წვერიდან არ არის მკვდრი დაღმართი, მაგრამ, რაც სკე-სკე უახლოვდება, იმოდენად უფრო და უფრო ჩაკედილი ხდება. კლავკით ეშვება ძირს, ჯერ შიშველზე, შემდეგ ტყეზე. ტყე შემოდ თითქმის პიტლად ნაკვინისსგან შესდგება და რაც სკეს უახლოვდება, იმოდენად არის სე სშირდება, სკდება აქა-იქა წიფელიც. ამ ალაგს «ლეკოვანს» ეძახიან. არ ვიცი—რისგან წარმოსდგება ეს სასული, სიტყვა «ლეკოვანს» თუ წოვურ სიტყვიდან: «ლეკვილი». «ლეკვი» წოვები ეძახიან ნაკვინისს.

ძირს სკვი, სადაც ჩვენ გავედით, ვიწროა. მარჯვნივ ამ ალაგას ერთვის სსკა სკვი, რომელიც მასარის მთიდან ჩამოდის. ეს სკვი ის, რომელზედაც ჩვენ უნდა წავსულიყავით. ამ სკეს «საწოლას» ეძახიან. კარგა მოხდელი წყალი მოდის სკეში და, რადგანაც სკვი ვიწროა, ჰქუხს და ღრიალებს. ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ სტემს მთის კალთებს და სტის აქაყებულად ქვეზე. სკვის სივიწროვას გამო რამდენიმე ალაგას გავედით და გადმოვედით წყალში. აქა-იქ წყლის ნაპირებზე ვიდევ შეჩენილიყო ზვაკები, მთლად მის და ქვიშისგან გაშავებული. პირველ შესვედრსვე გორაკად მიიღებდით. ზოგ-ზოგის წყალ გაღმა-გამოდმიდან ზვაკები ისევ შეერთებული იყვნენ და წარმოადგენდნენ თოვლის ხიდს, რომლის ქვეშიდან წვეთ-წვეთად აეურება წყალი. რაც შემოდ მივიდოდით, იმდენად სკვი უფრო ვიწროვებოდა და უფრო სშირ-სშირად გხვდებოდა ზვაკები. ბოლოს შევსდექით, როგორც იატაკზე, ზვაკზე და მთის წვერამდის სულ ზვაკებზე ვიარეთ. თოვლი გყინული იყო და ზვაკის სისქისგან წყლის გაშვებული ღრიალი არ გვესმოდა. ზოგ-ზოგ ალაგას ვი გათხლებულიყო და ჩამტვრევას აპირებდა. ამ ნაირ ალაგებში ფრთხილად ვიჭრებოდით, ზვაკის ფეხებზე ჩამტვრევა ძალიან ძნელია. ზოგ ალაგას ზვაკი ათ და მეტ საყენ სიმაღლეზე დევს და თუ ამ ნაირი ზვაკი ჩაუტყდა მგზავრს—მაშინ მშვიდობით ცოლო და შეიღო!.. რაც სათაკეს ვუახლოვდებით, იმ-



დენად სვეი უფრო და უფრო ვიწროვდება. ტყე ისპობა და მთის კალთები, როგორც კლდეები აუუდებულან ორივე მხრივ. მალეა ცის მეტი არა სხანს-რა. ტოტა მალეა ნათქვამი სიტყვა გრგვინვით გა- ისმის და მთის კალთები ხანს აძლევენ მას.

როგორც იყო, გავიარეთ სვეი, ესლა ჩვენ ივრის სათაკეში ვიუავით. ჰატარა კალთა-ლა გავკლდა მასარის წვერამდისინ. ამ ალა- გას, მარჯვნივ, ჰატარა მწვანე ბლახით და სხვა-და-სხვა ეფროკან ყვაილებით შემეგული გორაკია, რომელზედაც, საზოგადოდ, მგზავ- რები ისვენებენ. ჩვენც ჰატარა ხანს მოვასვენეთ ცხენები. გორაკზე ჰატარა გალაგანია გაკეთებული, მაგრამ გაუქმებულია. შემოდან ჩრდი- ლეთ-დასავლეთიდან დაგვეურებენ თოვლით აჭრელებული მასარის და რვინის მთები. ნამეტანი ალაგი ამ მთებისა ისე უძრავად თოვლს ეჭირა. ჟანდი ხან დაჭვთარავდა მათ და ხან ისე ადიოდა მალა. აჭა-იჭა კალთებზე ბატენები სძოვდნენ. საზოგადოდ, ბატენებს მთის წვერებზე აძოვებენ, სადაც უფრო ცივა და ბლამად წყალია. უწყ- ლოდ და სიცხეში, მწყემსების თქმით, ბატენი მალე ჭლერჭდება. მზიან დღეში, როდესაც, შედარებით, დაცხება, ბატენები ზვავებზე ივრივების და ისვენებან. განვავრძეთ გზა. წვერამდინ ავიდელ აღ- მართზე ვიარეთ. მიწა გაყენთილა იყო წელით. ეტყობოდა, რომ ბევრი ხანი არ იყო, რაც თოვლი გამძაღვიყო. ამისათვის ცხენი ძლეი-ძლეივობით, ფეხის ცურვით მიდიოდა წინ. დაბალ-დუ- ბლებში ისე თოვლი იდვა. ზვავების გარეშემო მიწა წითლად მოს- ჩანდა, რადგანაც ჟერ ბლახი არ ამოსულიყო. რამდენიც წვერს გუახლოვდებოდით, იმდენად უფრო და უფრო აცივდა, აკადით წვერ- ზე. ცივმა თოვლის სიომ დაგებურა და სიცვივისაგან აგვანგავდა. გარეშემო კერათერს კერა ვხედავთ ჟინჟლლისაგან, მარტო თეთრად მოსჩანს არე მარე თოვლისაგან. მივდივართ ხან სველ, ალაგებულ მიწაზე, ხან თოვლზე. მთის წვერზე თოვლი არ იყო გაყინული და გამავრძეული, როგორც სვეში, ამისთვის ცხენები და თვით ჩვენც ვიფლეროდით. დანიყო დაღმართა. დაღმართზე ფეხები გვირდებ- ბოდა და არა ერთმა და ორმა გასომეს ალაგი. ხანდა-ხან ცხენი წაბორწვილდებოდა, ჩაჭყოფდა თავს თოვლში და ფრეტუნით აბ- ლერტავდა თოვლით მოსვრილ ყურებს. გადავხედეთ წიფლოვანის

სეობას (მთის სვეი, რომელზედაც მოდის ალაზანი). როგორც შემოდ ავლნიშნეთ, წვერიდან სვეი ჩადის. ეს სვეი წითელკანში ჩადის და ამ სვე-სვე ჩაკდავროთ. ეს სვეიც, როგორც ივრის სვეი, წვერიდან მიყოლებული ძირს წითელკანის სვეამდინ სვეკებს უჭირავს. ამ სვეკს გავუღქათ. ჟანღი მანინ არა გვშორდება, ცოტა აიღება, ვიფიქრებთ, მადლობა დმერთს, ესლა მანინ გავისეღ-გამოკისეღავთო, მაგრამ მალე ისევე ჩემად, სრიალით მოედება მიდამოს და ისევე საბნელით მოიციავს იქაურობას. ვერაფერს ვერა გხედავთ, მხოლოდ ახლო მარჯვნივ და მარცხნივ გვესმის ჭებების შრალი და რაღაცა მოძრაობა. არ გი ვიციოთ რა არის. აჰა ცოტა გათხელდა ჟანღი, თურმე ბატენები სძოვენ. აჰვე ახლოს გაისმის სტრენა მერსვარისა. აი იქიდან მოისმის წყნარა სალამურის ლულუნი, რომელიც ხან აამაღლებს ხმას და ხან მიილეკა, თითქო შეწვეკტა უნდოდაც. შორს საიდანღაც გაისმის სიმღერა რომელიმე მწეემისა. მთის წვერებს დაჭურვებს გუნდი შავი ყორნისა. იქნება იმისთვის, რომ სადმე სვეში, ან ღრეში დაგორებულ ცხვრის ლეშსა ხედავენ, ის უხარანთო. ყორნების ყეფას, მწეემის სიმღერას და სალამურის კენესას ბანს აძლევენ მდულრად მჩქეფარე მთების წვერებიდან ჩსატუბი და მღუმა-რე ქუსილი უფესრულში, წითელკანის სვეში, ალაზნისა.

რაც დაბლა და დაბლა გეშეებით სვე-სვე, იმდენად ჟანღი უფრო და უფრო თხელდება. როდესაც ნახვარ წელამდინ ჩაკედით, ჟანღი მოკეშორდა. ესლა გი გავსეღ-გამოკისეღეთ წითელკანის სვეის არე-მარეს.

წითელკანის სვეი ძალიან ღრმა და ჩაკარდნილია. სანამ სულ არ ჩაკა, წყალს (ალაზასს) ვერ დაინახავს კაცი. მარტო ურუ ღრიალი გვესმოდა სვეიდან. მთის კალთები შემოდ და შემოდ უფრო ჩაკიდულნი არიან, მინამ ჭვემოდ და ჭვემოდ. სვეის აღმოსავლეთის მხრივ მთები უფრო ვაკეა, მინამ დასავლეთის: რკინის და მასარის. იგივე მიმართულება ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენა აქვს.

ალაზანა იღებს წყალს ბორბალეს მთიდან. ბორბალეს მთა სსვა გაგასაონის მთებთან შედარებით არ არის მაღალი. 10,000 ფ. არ აღემატება. მთები, რომელნიც ბორბალეს არტყია, როგორც მასარის დასავლეთ და ნარიკანის აღმოსავლეთ, ბევრად აღემატებიან



მას, და ამისათვის ბოროტად ღელედ მოსჩინეს მათ შორის. ამ მოთხე მტენარება ან ისპობა და არც თოკლი სძლებს წაფხულბობით—შკება მარბამობის თვემდინ. ხემ მოგზაურობის დროსაც, თუმიცა წრეულ დადი თოკლი იყო მთებში, ბოროტად თოკლი აღარსად იყო მიდებთ, მხოლოდ აქი-იქ ჩავარდნილ ადგილებში ნაბუჭები-ღა დარჩენილიყო. ბოროტად მთა არის შესანიშნავი არა როგორც სიმაღლე, არამედ როგორც მთის კვანძი, საიდანაც იღებს წყალს ხეთი მდინარე. ამ მდინარეების ხეობები გარშემო არტყიან ამ მთას და წოგს ჩრდილოეთ კავკასიისკენ აქვს მიმართულება, და წოგს სამხრეთისკენ. სამი ხეობა: ფშავის არაგვი, იორი და აღაწანი—სამხრეთისკენ, ანუ საქართველოში ჩამოდიან და ორი: სუნჟა და ანდაქის ყოისუ—ჩრდილოეთ კავკასიაში. აღაწანი შირდაზირ სამხრეთისკენ მიდის. იორი ჯერ სამხრეთისკენ მიდის, შემდეგ აღმოსავლეთისკენ იბრუნებს შირს და აღაწანთან შეერთებული ჩადიან მტკვარში. არაგვი ჯერ მიდის შირდაზირ დასავლეთისკენ შემდეგ იბრუნებს შირს სამხრეთისკენ და მცხეთასთან ერთის მტკვარს. ანდაქის ყოისუ მიმდინარეობს ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ შემდეგ იბრუნებს შირს აღმოსავლეთისკენ, ჩადის თუშეთზე და გადადის დაღესტანს. ყველა მთელ დაღესტნის სხვა მდინარეები, სამურის გარდა, როგორც ფარა (შავი), ფაზი-ყუმიუსის, და ავარიის ყოისუები უერთდებიან დაღესტნის ბოლოს ანდაქის ყოისუს და ერთად წოდებულნი სულაქად ჩადიან კასპიის ზღვაში.

ხემა აღნიშნულ ხეებს ჰყოფენ მთის ქედები, რომელნიც იწოდებიან იმავე ბოროტად მთიდან. ქედები, რომელნიც ჰყოფენ აღაწანს და ანდაქის ყოისუს ფშავის არაგვს და სუნჟას, შეადგენენ ერთ ნაწილთაგანს უმთავრეს კავკასიონის ქედისას. ის ქედი, რომელიც ჰყოფს აღაწანს და იორს, შეადგენს, როგორც ხემოდ აღანიშნეთ, ციუ-გომორის ქედს. და ქედი, რომელიც ჰყოფს სულაქის ხეობას სუნჟას (სუნჟა თერგს ერთის), იწოდება ანდაქის ქედად. უგანასკნელი ქედის მთები ბევრად აღემატებიან სიმაღლით თვის უმთავრეს ქედის მთებს. უმთავრესი წვერი ამ ქედისა შეადგენს ტერულას, რომელიც 15,000 ფუტს აღემატება. ბევრ ადგილან მოსჩინ იგი შესწრის თავივით, მუდმივ თოვლით მოსილი.

აქ უნდა ვთქვათ, რომ, სასოგადოდ, თვით უმთავრესი კავკასიონის ქედი სიძლიერით ბერად ნაკლებია თვის შტოებსზე და უძლიერესი კავკასიონის მთის წვერები, როგორც იალბუხი, მუინკარი, დისტაუ, კაშტანტაუ და ტერულა არ ეკუთვნიან უმთავრეს ქედს, არამედ ეკუთვნიან შტოებს.

სეკის, რომელსედაც ჩვენ ჩავდიოდით, ნახევარ წელიდან ფერდო-ფერდოდ გზა გადიოდა მარჯვნივ, გადადიოდა მთა-გრესილზე და მერე სეკში უერთდებოდა წიგნთაძინის გზას. რადგანაც გზა თავისუფალი იყო თოვლისაგან, ამისათვის ამ გზაზე წავიდით. ამ გზით წასულა ვარჩიეთ უფრო იმისთვის, რომ სეკ-სეკ რომ ჩავსულიყავით, შესაძლებელი იყო ჩამტყდარიყო ზვავი, თუმიც უფრო მოკლედ შეგვეძლო ჩასულა. მთა-გრესილი, რომელსედაც გადადიოდა გზა, იმ ადგილას სრულდებოდა არ ეჭირა თოვლს, თუმიც ეტყობოდა, რომ ბევრი ხანი არ უნდა ყოფილიყო, რაც თოვლი გამდნარიყო. ჩრდილო მხარე ამ მთა-გრესილისა მეტი ნაწილი დეკას ეჭირა.

დეკას აღმოსავლეთი მდინარეა. მწლარედ იხდება და მისი წყარო და მოკლე ღერო სამ-ათს მტკაველს არ აღემატება. ფოთლება წვერში იცის და ყვითლად ყვავდება. დეკას მდინარეები შეშად ხმარობენ. ტვან-ტვანით იწეება და, როგორც მწვერულები აზობენ, ძალიან ცოტა ნაცარსა წყლის. მთის საღმე წვერზე ყაუჩმის განალება რომ მოუნდაც მწვერულის, საჩქაროდ მოგვლევს (ხელით გვლევვენ ძირიანად) ბლომად, ცოტა გამხმარსაც გაყოფიებს და საჩქაროდ განალებს ცენტრს. კარგი დირსება ისა აქვს დეკას, რომ რაც უნდა სველი იყოს, მალე შრება და ჩქარა კვიდება ცენტრსა

დავადებით თუშეთის გზას თუ არა, ტუე დაიწყო. ტუე შესდებოდა ნაკვეთისაგან, წიფლისაგან და უფრო ნამეტანი ვი არვის სე გზავდებოდა რაც სეკს უხლოვდება, გზა უფრო დაკიდული ხდება. ქვევითად მივდიოდით და წინას კუინოდა უგანიდან ცხენი როგორმე არ დაგორდეს ჭ თან არ წამიღოსო. მიუხედავად სეკს, ჩავიხედეთ, მაგრამ მანც სეკის ძირს ვერ ვხედავთ. როგორც იყო, ჩავიდით სეკში. სეკი ისევე ზვავს ეჭირა. აღახანი ვერ დაინახეთ. მხოლოდ ერთ ადგილას ზვავი ჩამტყდარიყო და მოღრიალე წყალი ქავის ისრად ზვავით. მარჯვნივ და მარცხნივ სეკს ემატებიან მთის წვერებიდან



ზატარ-ზატარა სსკა სკეები, რომელსედაც საშინელი ქუსილით ქაფუნდ ქრეულნი წყლები ჩამოდიოდნენ და იკარგებოდნენ უმთავრეს სკეის სკავ ქვე უფსკრულში.

სკეში ცოტა ქვევით სკავსე მთელი გორა იდგა თოვლის, რომელშიაც არეული იყო მიწა, დიდრონი ქვეები, დგვის ღეროები და მთლად ძირიანად ამოკლეული სკეები. — აიო, — მათხრა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა, — იმ ალაგოდან არის ეს სკავი ჩამოსულია. ავინდე და მართლაც ერთ მთის კალთასე ეტყობოდა შავად სკავის ნაკალი, რომელსედაც მცენარეთაგანი არა ებადა-რა შავი მიწის მეტი. სულ ერთიანად თან წამოელა. ტყეში, რომელსედაც ჩამოკლულა ამ უსარ-მასარ ძალას, რაც სკეები დასკდომოდა, სულ თან წამოელა. გადარჩომოდა აქა-იქ დიდრონი სკეები და ისინიც საცოდავად მოდუნულნი იდგნენ.

ძირს, სადაც ალაზანი მიმდინარეობს, წითლოვანის სკეი ძაღვიან ვიწროა. რაც გასაქანია, წყაღს და სკავს უჭირავს. დაკიდულ კალთებიან სკეიდან სკეით რომ აისკდოს, კერაფერს კერ დანასკეს მგზავრი ცის მეტს.

წითლოვანის სკეიდან უნდა გადაკსულიყოთ ანდაქის ყოისუს სკეში. ამ სკეს ალაზნის თავს უწოდებენ თუშები. ამისათვის ჩვენ უნდა გადაგველახა საყორნის მთა, რომელიც შეადგენს, როგორც სემოდ აღნიშნეთ, უმთავრეს კავკასიონის ქედის ნაწილს.

გავედით სკეს და შეკუდექით აღმართს. აღმართი ტყის შირმდინ ძაღვიან აკიდულია. შეუძლებელია აღმართისა გამო ცხენსე კდომა. მგზავრს ეშინიან ცხენითურთ არ გადავარდეს კლდესე და სკეში არ ამოჭყოს თავი. შეიძლება სსკა ცხენი როგორმე მის ცხენს ეკასოს და ისე გადაკდოს. მიკვივართ ხელ-ხელა და თანაც ძაღლავიურები, რომ რომელიმე ცხენი არ ჩამოვარდეს, ან ქვა არ ჩამოგორდეს. ქვის ჩამოგორება ადვილია, ცხენი მოსდებს ფეხს რომელიმე ქვას და უკანასკნელი ჩამოგორდება ძაღლიდან. წასრიალებულ ქვას ვინღა დაიტერს. მოსკედარა და სულის განთხევა ერთი იქნება. არც შეუძლიან მგზავრს შორს გაერიდოს, რადგანაც იმოდენა გასაქანი არ იპოვება. წინა და უკან ცხენები და ქვეშ და სემოდ ჩაკიდული ფერდობები. რა უნდა ქნას მგზავრმა, ემორჩილება ბედს და განა-

გრძობს გზას. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ტუის პირამდინ მხედვე მანძილია, თორემ ვინ წავიდოდა ამ გზით თუ მთელი აღმართი ამ ხაირი იქნებოდა.

გასცილდება ტუის გზა თუ არა, შემდეგ მარჯვდ მდის. ჟურ პირდაპირ მთა-გრესილზე ადის, შემდეგ გადაუხვევს მარჯვნივ და გადადის ქედზე.

ისევე მიწს ხეუში ღ — რე მოგაშორდა, ცხენი ჩაკვანდა და თვითონ წავიდა ღურის დასაკრეფად და ნახევარ მთის წელზე მოგვეწია ღურით დატვირთული.

ღური აღზოური ბაღასის მცენარეა, ძალიან მიემგზავს და დიფს და პირველ შესვედრზე კერც კი გაიჩნება. განსაკვება იმაშია, რომ დიფს ფოთლის ღერო ფუღურა აქვს და ღურს კი აკრებულა. არის განსაკვება ფოთლებშია, მაგრამ შეუხვეველი თვლი კერც კი გაიჩნება.

ღური უგელჯან არა ხვდება. განსაკუთრებით ხეებში იცის. ხარობს მთის კალთებზე, უფრო ტუის კვლებში. თუშები, როგორც ხილს, საჭმელად ხმარობენ. ძირიანად ზღვევავენ, ფოთოლს აცლიან, ღეროს ფრქვინან, აშორებენ ძარღვებს და ისე სჭამენ. გემო მოტებო აქვს და ცოტა მწარე გემოც გაჭვრავს. სიტებო და სიმწარე ჟიშზე ჭკივია. ზოგი ჟიშის ღური ძალიან ტბილია და ზოგი კი სიმწარისაგან არ შეიჭმება. მწვემსება ძალიან ეტანება, რადგანაც წამლად მაინათ. ამობენ, რომ შრტულ ჭიის (СОЛИТЕРЬ) წამალია. მართალია ეს თუ არა, ამაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლიან. კაცი ხმარობს ღურს როგორც ხილს ან წამლს და დათვისთვის კი მთელ საზრდოს შეადგენს. რომ მოგესვენებათ დათვინას გემოვნება. ღური ტბილია და უოკელ ტბილს რომ დათვი სუნით ეძებს.

საყურისს ქედზე აქა-იქ ისევე თოვლი იდგა. აქაც ნისლი და სიცივემ არ მოგვასვენა. გზის ახლო ზეკვიდან წყლის ნაყური გამოდიოდა. ზოგჯერ მგზავრთაგანს წყლის დალკა მოუნდათ. ჩემოხტა ცხენიდან ერთი მგზავრთაგანი, მოინსნა ქამრიდან მათარა და დააღვინა ვისაც სწუროდა. მათარას ძროხის უკან ფეხის მესლის ტუკიდან აკეთებენ. მესლის ზემოდ და ქვემოდ ირგვლივ მოსჭრიან ტუკს, გაძობობენ ისე მთლიანად, მარიდს დაყრის და გახმობენ.

შემდეგ დაზღვევენ, ქვემოთა შირს შეჭკვევენ და ამ ნაირად გამო-
 დის მათარა. შეგვიდღ მხარეს იმავე ტყავის რგოლს უგეთებენ და
 ამ რგოლით აქვთ ჩამოკიდებულად უკან ქამარზე. მათარა კარგი რამ
 არის სისმელის დასაღვეად, ნამეტნავად მგზავრისათვის; არც გა-
 ტყდება და არც გარკდება. ზგავის ნაყურის დაღვევის შესახებ ერთ-
 მა მგზავრთაგანმა გვიამბო, რომ მეფე ერეკლეს სიბერის დროს
 თურმე ეთქვა: «ნეტავი ერთი კიდევე ზგავის ნაყური მასო და დეკა-
 ზე ნაზუქები მსკამა კიდევაო». მწეემსება, როდესაც ქაბი არა აქვთ
 და არც სე იშოვება, დეკის რიცხლს გახანდებენ და მის ნაღვერდაღ-
 ზე ჭყრინ შირდაშირ ხორცის ნაჭრებს. ნაჭრები იწეება. შემდეგ გა-
 მოიდებენ, დაყრინ მარლს და ისე სკამენ. ამნაირ შემწვარ ხორცს
 ეძახიან «ნახუნა»-ს. ნახუნმა, როგორც, საზოგადოდ, ყოველმა შემ-
 წვარმა, წყურვილი იცის. მოსწეურდება და იქვე თუ სხვა წყალი არ
 იშოვება, ზგავის ნაყურს დაღვეს. აღბად მეფესაც შესგდა ოდესმე
 ამ ნაირი სეფურა და შემდეგ, როდესაც მოხურებულ-დაჟღეურებულს
 მოაგონდა წარსული თავის ცხოვრება, ინატრა მწეემის დაწიბი
 სეფურა!...

გადაკედით საყორნის თავს და მთა-გრესილსე მარჯვე გზით
 ჩაკეშვით აღაზნის თავში. ჩაკეშვით სეში და მზეც ამოეფარა საყორ-
 ნის მთას.

იგ. ბუქურაული

(დახასრული იქნება)

ქართველთა ამხანაგობის

ზამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კოლსში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე	მ.—კ. 1—20
იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქალაღზე და მშვენიერივე ყლით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერი ყლით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზალაპრები I ნაწილი	„—30
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჰსევდონიმი)	„—40
იგივე შვენიერი ყლით	„—90
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I	1—20
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქალაღზე, მშვენიერი ყლით	2—50
იგივე ტომი III	1—
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერი ყლით	3—
ჩანგი	1—
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერი ყლით	2—50
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერი ყლით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე	„—75
იგივე კარგს ქალაღზე	1—50
სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1—
იგავ-არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა	2—50
ალა-მამკმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვაზ.-ძგ.ჯ. ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—40
	„—40

ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისი	„—30

გამოვიდა და იხსილება ახალი წიგნი

ბრჭყალები

დრამა პოლ ერვიესი, თარგმანი ფრანგულიდან

ი. მაჭავარიანისა

ფ ა ს ი ე ქ ე ს ი შ ა უ რ ი

301. ბძანება ირაკლი მეორისა, 21×16 სანტიმეტრი, დაწერილია ლიბერ ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1790, აზრღის 12. ქ. ჩენი ბძანება არის, გერმანოზის-შვილო გოგიავე! მერმე დავით ბატონისშვილს იახელ, მიყვანე და კასპს დაყენე რამდენსამე დღეს და მასუკან რომელიცა სჯობს, ისე იქნება, კარგად, მართებულად, რიგიანად უნდა დაყენონ, უღუთვა აქედამ გამოგვიგზავნია, დავით ოქრომქედლის-შვილი მოიტანს ოცდა ოთხს კოდს ფქვილს, ორას ათ თუნგს ღვინოს და ორს თუმანს საკლავის ფასს. ეს ასე გამოაბარე და მიირთვი, აპრილის ამ, ქქს უოჭ. ქ. ოცდა ოთხი ლიტრა ქერი კასპელებს მიაცემიე ერეკლე. ქ. დავით ოქრომქედლის-შვილი მოვა, ესეც მანდ იახლეთ ... ორთ უნდა მსახუროთ. ამას წინათ ექვსი თუმანი რომ გამოგვიგზავნეთ, ეს იმას გარდა არი ერეკლე.

302. ბძანება ბატონიშვილის ლევანისა, 17,5×13,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი.

XVIII საუკ. ბატონიშვილი ლევან უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა კიბძანებთ, ვინ გინდა ვინ იყუნეთ. მერმე ნადგაღუო ჩენი კელდებული არის, ფაზაშვილის შოშისათვის მიგზბარებია, იქ მახლობელს კაცთან, ნურავის სამალოდ და საავკაცოდ კელი ნუ გაქუთ. თუ ვისმე რამ იმათან სალაპარაკო საქმე ქონდესთ, ჩვენ შეგვატყობინეთ და სამართალს ჩვენ გიზამთ, ამ სოფელს ჩვენ ვაშენებთ და ნუ რას კაცს კელი ნუ გაქვთ. ლევან.

303. გაყრილობის დავთარი ამილღამბარ, თამაზ და ყაფარბეგ ბარათა-შვილებისა, სიგჱე აქეს სამი მეტრი და 84 სანტიმეტრი, ანუ ხუთი ადლი და $6\frac{1}{2}$ გოჯი, განი აქეს 16,8 სანტიმეტრი, ანუ $3\frac{1}{2}$ გოჯი. დაწერილია რბილ გასანთლულ ქალღღებ ნუსხა მხედულის ხელით. ეს გრძელი გრაგნილი შესდგება ათი ერთი ერთმანეთზე მიწებებულის ქალღღის ნაჭრებისაგან. ნიშნები არა იქვს, ხოლო ყოველი ახალი სტრიქონის წინ სწერია ასო ძ, რომელიც ჩვენ არ მოგვყავს. ჩვენი დავთარი პირია ნამდვილისა, 1785 წელს გადაწერილი, ხოლო გაყრა მომხდარა 1713 წელს.

1713, გიორგობასთვას 15. ქ. დოღოგნას ძაბილაშვილი თამაზა კომი ერთი.

დოღოგნას ძაბილაშვილი იასე კომი ერთი.

დოღოგნას მკედლიშვილი ოთარ კომი ერთი ამოიღო ამილღამბარ საუფროსოდ.

წერაქვს ერთი კომი (კაცის სახელი ძველის დავთრიდამ ვერ ამოვარჩიეთ) საუფროსოდ აულია ამილღამბარს.

ამოიღო საუფროსოდ ამილღამბარ წერაქვადამ მამასხლისი ალაჯანა, კომი ერთი.

ერთს წილად მიეცა ამილღამბარს წერაქვს ერუა საუარესოთ, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს ამილღამბარს წერაქვს საუფროსოთ უბაშვილი, რისაც მამულის მქონებელი იყოს, კომი ერთი.

ამოიღო საუფროსოდ ამილღამბარ ამღაგს ანუაშვილი გოგია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუფროსოთ ამილღამბარს წერაქვს შათრიშვილი და საუარესოთ, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ამოიღო საუფროსოთ ვანქს ამილღამბარ ჯანიაშვილი ტერტერა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ამოიღო საუფროსოდ ამილღამბარ დოღოგნას ხარაზი-შვილი ხუცია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ამოიღო საუფროსოთ ამილღამბარ ქათაშს გოგიაშვილი ქოთიშის მეოთხედის მინდვრით.

ამოიღო საუფროსოთ ამილღამბარ ეღფას-მოლოდინა-შვილი ხუცესი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ ამილდამბარს ანდრას ალუა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ ამილდამბარს დედოფანას ტერტერას ძმა ალუა, რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ ამილდამბარს აკურას ამაღაშვილი კაცია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ ამილდამბარს ბეთანას ფოცხვერა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ამოიღო საუფროსოთ ამილდამბარ ეჭვას ამბრუმელა-შვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ამოიღო შარაძის საუფროსოთ ამილდამბარ ვარდიშვილი ბერია, რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ ამილდამბარს შარაძეშა მკედლიშვილი მაზია, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მისცეს საუარესოთ აზაკვს შაემახარა ამილდამბარს, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ცამეტის კომის კაცის საუფროსოთ მივეციით ამილდამბარს აზაკვს...¹⁾ დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, საუარესო აღარ მიგვიცია.

მივეციით თამაზს საშუალოთ ქოთაშს სუთიაშვილი კომი ერთი, ქოთაშის მეოთხედის მინდვრით, თაკვს ამირაშვილი კომი ერთი, აშლაძეს ამბარაშვილი კომი ერთი. ესენი საშუალოდ მიგვიცია.

თორმეტის აყრილის საკომოში ამოიღო ამილდამბარ აგვ-დანეთს ოღომაშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

მიეცა აყრილის საუარესოთ ამილდამბარს განქს ალუას მამული, დღეს რისაც მქონებელი იყოს.

ძოდუას ერთ წილათ აზნაურშვილი ბერძნისშვილი ოთარ თავის ყმითა და მამულით, დღეს რისაც მქონებელი იყოს, ერგო ამილდამბარს.

ერთ წილათ აზნაურიშვილი ყიფიანი ხადაბუკს მისი ერთის გლეხით, ამაზედ აქვს აგვდანეთს გელიტაშვილის ძმა,

¹⁾ აქ დედანში არ არის თუ ვინ მიუციათ.

კომი ერთი, ერწას ჩეკურიშვილი კომი ერთი, იქავ თევდორე-
 შვილი პაპაშვილისა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს,
 ერგო თამაზსა და ყაფარს.

ერთ წილათ ჯანხუნას აზნაურშვილი არეშიშვილი გურ-
 გენა, ორის მისის მემკვიდრის ყმით და ბოგანოთი, ამაზედ
 აქეს ცხნას კაბუკაშვილი კომი ერთი, იქავ ამირანაშვილი
 კომი ერთი, ჯანქს საკაშვილი კომი ერთი, ერგოს თამაზსა და
 ყაფარბეგს.

ამოილო ბატონმა გასამყრელოთ დოღოჯნას მეცხერიშვილი
 დათუნა კომი ერთი, იქავ მატიაშვილი კომი ერთი მატია,
 იქავ ბერუკაშვილი დათუნა კომი ერთი, აგვჯანეთს გელიტა-
